

რ. ლაშვალიძე

# ქართული ენის ინგილის ენის კილოს ლექსიკონი

აკად. აკაკი შანიძის რედაქციით

„გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი — 1988

4 Γ(03)  
499.962.1.0+499.962.1—3  
ლ 206

ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი“  
წარმოადგენს ქართული ენის ერთ-ერთი ურთულესი  
დიალექტის—ინგილოურის—ლექსიკურ აღწერას (ნო-  
იცავს 7000-მდე სალექსიკონო ერთეულს). წიგნი თა-  
ვისი აგებულების პრინციპების, მოცულობისა და მა-  
სალის მიხედვით განსხვავებულია დღემდე გამოცემუ-  
ლი ყველა სხვა დიალექტური ლექსიკონისაგან. იგი  
იძლევა მდიდარ მასალას ამ კილოს ამომწურავი შეს-  
წავლისათვის.

ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს, უპირველეს  
ყოვლისა, ფილოლოგიის დარგის სპეციალისტებს—  
ენათმეცნიერებსა და ამავე ფაკულტეტის სტუდენტო-  
ბასა და მასწავლებლობას.

4602030000 — 016

Γ ————— 327 — 88

M-602 (08) — 88

ISBN 5—505—00667—1



## რ ე ლ ა ჯ ბ ო რ ი ს ა ზ ა ნ

ინგილოური კილო ერთი იმ ქართულ კილოთაგანია, რომელიც უცხო ენის გარემოშია მოქცეული და, სხვა ქართულ კილოთაგან მოწყვეტის გამო, ისეთი ცვლილებანი განიცადა საუკუნეების განმავლობაში, რომ მეტად დაშორდა სალიტერატურო ქართულსა და სხვა აღმოსავლურ ცოცხალ კილოებს. მართალია, ფერეიდნული ქართული კილოც (სპარსეთში) უცხო ენის გარემოშია მოქცეული სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ აბა რა შედარებაა ინგილოურთან! ინგილოური ტექსტების გასაგებად ხშირად თარგმანია საჭირო.

პირველნი გამოკვლევა ინგილოური კილოს შესახებ მოიპოვება მოსე ჯანაშვილის საკმაოდ ვრცელ „საინგილო“ ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში (განყ. 4, გვ. 51—276). ამ ნაშრომში მოცემულია მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა, ეთნოგრაფიული მიმოხილვა და ინგილოური ტექსტები ლექსიკონითურთ. შემდეგ მას იკვლევდნენ გრ. იმნაიშვილი („ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“. 1966), ნ. როსტიაშვილი („ინგილოური ლექსიკონი“, 1978) და როგნედა ღამბაშიძე, რომელიც უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრამ რამდენჯერმე მიავლინა საინგილოში, სადაც მან დიდი გულმოდგინებით შეისწავლა ინგილოური კილოს კაკური მეტყველება, ჩაწერა ტექსტები და შეკრიბა დიდძალი სალექსიკონო მასალა, შემდეგ დაბეჭდა ტექსტები და რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც საკმაოდ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ ამ მეტად თავისებური კილოს შესახებ. ესენია:

1. ინგილოური ტექსტები (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX—XXXI, B, 1947);
2. ინგილოური კილო, 1949 (საკანდიდატო დისერტაცია, რომლის ავტორეფერატი დაიბეჭდა: Ингилойское наречие грузинского языка. Автореферат для соискания ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1949);
3. სამაგიერო სიგარძე ინგილოურში (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIV, 1953, № 2);
4. მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957).

სალექსიკონო მასალა, რომელიც რ. ლამბაშიძემ მოიპოვა საინგილონი. მრავალი წლის კვლევა-ძიების შედეგია. იგი შემდგომშიც ბევრჯერ ყოფილა საინგილოში, სადაც კრებდა ახალ მასალებს, ამოწმებდა ძველს და ადარებდა სხვათა მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ სიტყვებს. ამის წყალობით რ. ლამბაშიძის ინგილოურმა ლექსიკონმა ისეთი სახე მიიღო, რომ იგი აშკარად გამოირჩევა სხვა ამგვარი ნაშრომებისაგან. მისი დიდი ღირსებაა სიტყვების საილუსტრაციო მასალა, სიტყვების დამოწმება ფრაზაში და სხვა დიალექტების სიტყვათა მოყვანა შესადარებლად. ზმნური ფორმები საილუსტრაციო მასალებში მოყვანილია სერებებისა და მწკრივების მიხედვით, რაც აადვილებს მათ ფორმებში გარკვევას.

ინგილოური კილო განიცდიდა და დღესაც განიცდის დიდ გავლენას აზერბაიჯანული ენისას. მოსალოდნელია, რომ ეს გავლენა კიდევ უფრო იმატებს მომავალში. ამიტომ მეტად საშუროა დღეს ინგილოური სიტყვებისა და ფორმების რაც შეიძლება ზუსტი ფიქსაცია, რომ ნათელი წარმოდგენა გვექონდეს მათზე და მომავალს შევუნახოთ ამ კილოს განვითარების დღევანდელი ეტაპი.

ამ ლექსიკონში შესულია ბევრი ისეთი ქართული სიტყვა, რომლებიც ჩაწერილია ხანდაზმულებისაგან და ამჟამად უცნობია ბევრი ინგალ-საოვის; ასეთებია. მაგ., ბაზმაი, საგრილებელ, კლინკლოი და სხვ.

რ. ლამბაშიძის ეს ნაშრომი, როგორც თავისი მოცულობით, ისე შედგენის მეთოდით, უეჭველია, საპატიო ადგილს დაიკავებს ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში.

ა. ზანიძე  
10. X. 1978

## წინასიტყვაობა

ინგილოურს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ენის მრავალრიცხოვან დიალექტთა შორის. ეს ადგილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ ინგილოურის განვითარების იმ თავისებურ ისტორიულ გზას, რომელიც მან ივანჯლო.

ინგილოური ორ კილოკავად იყოფა: კაკურად და ალიაბადურად. კაკური ინგილოთა დიდი უმრავლესობის სალაპარაკო კილოკავია. მასზე მეტყველებს ინგილოებით დასახლებული 10 სოფელი კახის რაიონში. ალიაბადური კი მაჰმადიანი ინგილოების მეტყველებაა. ესენი ძირითადად ძველი ჭარისა, ანუ ამჟამინდელი ზაქათლის რაიონში შემავალი ერთი სოფლის — ალიაბადის მკვიდრნი არიან.

წინამდებარე ლექსიკონი მოიცავს ინგილოური დიალექტის მხოლოდ კაკური კილოკავის მასალას.

ინგილოური ლექსიკური თვალსაზრისით ადრევე შეისწავლა ინგილოთა დიდმა მოამაგემ, გამოჩენილმა ქართველთა მოღვაწემ და მეცნიერმა მ. ჯანაშვილმა. მან 1913 წელს „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში საინგლოსა და ინგილოებზე გამოაქვეყნა ვრცელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა, რომელსაც დაურთო ინგილოურის ლექსიკური მასალა (993 სიტყვა). მ. ჯანაშვილის ეს შრომა, რომელსაც ენათმეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს, იყო პირველი ცდა ამ დიალექტის აღწერისა.

მ. ჯანაშვილის შრომაზე აკად. ა. შანიძემ 1915 წელს საინტერესო რეცენზია გამოაქვეყნა რუსეთის ორიენტალისტთა ორგანოში (Записки восточного отделения имп. Русского Археологического института, ტ. XXII). რეცენზია იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მას თან ახლავს მოკლე ლექსიკონი იმ სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც ჯანაშვილისეულ ლექსიკონში ვერ მოხვდა, მაგრამ მის გამოკვლევაში მოიპოვება.

მ. ჯანაშვილის ნაშრომის გამოქვეყნებიდან საკმაოდ დიდმა დრომ განვლო. ვინაიდან ეს მასალა თავისი მოცულობით უკმარი იყო და მთლიანად ვერ ითვალისწინებდა ინგილოურის თავისებურებებს, საჭირო გახდა ინგილოურის შესწავლა ენისა და დიალექტების განვითარების

რების მომდევნო ეტაპებზეც. ეს მით უფრო გადაუდებელ ამოცანად იქცა, რომ წლების განმავლობაში უცხო გარემოცვაში მოქცეული ინგილოური ინტენსიურ ცვლილებებს განიცდიდა და მისი ენობრივი თავისებურებები დაუყოვნებლივ აღნუსხვას ითხოვდა.

სწორედ ამის გამო 1943—44 წლებში მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს გრ. იმნაიშვილსა და ამ ლექსიკონის ავტორს აკადემიკოსებმა ვარლამ თოფურიაშვილს და აკაკი შანიძემ დაგვავალეს ინგილოურის ენობრივ და ლექსიკურ თავისებურებათა მეცნიერული შესწავლა, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ჩვენს საკანდიდატო დისერტაციებს.

გრ. იმნაიშვილმა 1966 წელს გამოაქვეყნა კიდევაც მონოგრაფია, სადაც მოცემულია ამ დიალექტის ენობრივ თავისებურებათა სრული მიმოხილვა.

წინამდებარე ლექსიკონი ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. იგი გარკვეულ ქრონოლოგიურ კრილში წარმოგვიდგენს ქართული ენის ამ ურთულესი დიალექტის ლექსიკურ დახასიათებას. ლექსიკონის შიგნითა შედარებით სრულად გამოავლინოს ინგილოური ლექსიკის მდიდარი შესაძლებლობანი და წარმოაჩინოს ის სხვაობა, რომელსაც იძლევა ამ დიალექტის დღევანდელი ვითარება ძველთან შედარებით.

ლექსიკონი ძირითადად ემყარება ჩემ მიერ შეკრებილ მასალას, ხელნაწერსა თუ გამოქვეყნებულ ტექსტებს (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXB—XXXIB, 1947 წ., გვ. 250—294). მასში გათვალისწინებულია ასევე თითქმის ყველა ტექსტობრივი მასალა, რომელიც ხელთ მქონდა: მ. ჯანაშვილისა („ძველი საქართველო“, ტ. II, 1913 წ.), საქართველოს შინამრეწველობისა (შეკრებილი 1935 წ. პროფ. ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით — გამოუქვეყნებელი), გრ. იმნაიშვილისა (სადისერტაციო ნაშრომზე დართული ტექსტები, 1947 წ. — გამოუქვეყნებელი), ნ. როსტიაშვილისა (ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, 1963 წ.). გამოყენებულია აგრეთვე ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიაშვილისა და ი. ქავთარაძის მიერ გამოცემული „ქართული დიალექტოლოგიის“ ინგილოური ტექსტები, რომლებიც ჩაიწერეს გრ. იმნაიშვილმა, ნ. როსტიაშვილმა და ამ ლექსიკონის ავტორმა (ქართული დიალექტოლოგია, I, 1961 წ., გვ. 228 — 242).

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ წინამდებარე ნაშრომი უფრო ადრე შესრულდა, მასში ვერ აისახა ის მასალა, რომელიც ნ. როსტიაშვილმა თავის ლექსიკონში 1978 წელს გამოაქვეყნა, ასევე რამდენიმე სხვა ლექსიკონის მასალაც, რომელიც მოგვიანებით გამოიცა.

ინგილოური დიალექტის სირთულემ განაპირობა წინამდებარე

ლექსიკონის აგების პრინციპების ერთგვარი თავისებურება.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი:

1. ძირითად სალექსიკონო ერთეულად მიჩნეულია არსებითი სახელი, ხოლო ზმნებისათვის — საწყისი. იშვიათად ცალკე სალექსიკონო ერთეულად ზმნის პირიანი ფორმებიც გვხვდება (კეპტევის, ექცევის, აწითევს, ათეთრევს, ჩედის, აკმარევს, დაძქვრავს, გარაქოვს და სხვ.). ეს ისეთი ზმნებია, რომელთა მოქმედების სახელები, ანუ საწყისები ინგილოურში რეალურად არ იწარმოება.

2. ნაწარმოები ანუ წარმოქმნილი სახელები და მომლობებო ჩვეულებრივ ცალკე სალექსიკონო ერთეულებს არ ქმნიან. პირველნი თავს იყრიან სახელების ბუდეში, მეორენი კი — საწყისთა ბუდეში (ასე, მაგ.: ბანგლ სიტყვის ბუდეშია ბანგლიან, არან სიტყვასთანაა არანელ, აკანკლაჲ-სთანაა აკანკლულ და სხვ.).

გამონაკლისს ქმნიან ისეთი სიტყვები, რომელთაც ან შესაბამისი ბუდის თავი არ გააჩნიათ (მაგ. ბალნიან, ანაკეც, თევზოვან, განავარ), ან საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ შეძენილი, ვიდრე სათანადო ბუდეში თავმოყრილ სიტყვებს (მაგ. ბროწლიან, დამზახნეველ), ან არადა თავისი ფორმით საკმაოდ დაცილებულნი არიან შესაბამისი ბუდის თავს (რის გამოც ბუდეში არ იქნებოდნენ ადვილი მისაგნები) და ამასთანავე ლექსიკურადაც ერთგვარი დამოუკიდებლობა აქვთ მოპოვებული. ასეთი სიტყვები ცალკეა გამოტანილი. მაგრამ გასამართავად სათანადო ბუდესთან არიან მიგზავნილნი (ნ. გააკუროჲ, განმაჟად, გამნაჩანევ და სხვ.).

3. ლექსიკონში დამოუკიდებელ ერთეულებად შეტანილია ფორმაუცვლელი სიტყვებიც (მაგ. აგრობან, ამიან, ამმა და სხვ.).

4. ზოგჯერ ცალკე ერთეულებად გვხვდება გრამატიკული მასალის ისეთი სიტყვებიც [ნაცვალსახელების სხვადასხვა ბრუნვის ფორმები, სხვათა სიტყვისა და კითხვითი ნაწილაკები, შედგენილ შემასმენელში ზმნური ელემენტების შეკვეცილი ფორმები (მაგ. ჰეეჰამ, -ვ|| ავ. ა-, -ს და სხვ.), რომელთა ცალკე გამოტანა ხელს უწყობს და აადვილებს სხვადასხვა ენობრივ ფაქტორთა წყალობით გართულებულ ფორმების ლექსიკური მნიშვნელობის ამოხსნას.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ სიტყვას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და იხმარება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში, ლექსიკონში გამოტანილია გასამართავი სიტყვა თავისი ფორმით, რომელსაც უზის ორი წერტილი. ამას მოსდევს იგივე სიტყვა სათანადო კონტექსტში (გამოთქმაში) და ნათარგმნია მთელი

ეს გამოთქმა (მაგ. ბურჟუა: ბურჟუა ცრემლევს ყრის მსხვილ-მსხვილ ცრემლებს ყრის).

6. ჩვეულებრივ, მეთაურ სიტყვად ანუ ძირითად სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია ცალკეული სიტყვები. ორსიტყვიანი (ან იარზე მეტსიტყვიანი) გამოთქმები, რომლებიც მეტწილად მყარ გამოთქმებსა და იდიომებს წარმოადგენენ (მაგ. ჰატი კმევნევაი, გურგურ დაკერაი, ყმაწულუ დალაჯაი, ტკბილ ენაზე დაკერაი და მისთ.), მათში შემავალი სიტყვების ბუდეებშია მოთავსებული (ანბანთ რიგზე) სათანადო მიგზავნით იმ სიტყვასთან, რომელიც ძირითადია ამგვარ გამოთქმაში და რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ გამოთქმის შინაარსი. ამ უკანასკნელთანაა მოცემული მათი განმარტებაც.

რწვითად ორ- ან მეტსიტყვიანი გამოთქმები ცალკე სალექსიკონო ერთეულად შეიძლება შეგვხვდეს. ეს ძირითადად ლექსიკის ის ნაწილია, რომელიც აღნიშნავს ტოპონიმებს (საქნი თაი. წითელ კონცხ), ჰიდრონიმებს (დიდ ქევ, შუნდრიან ღელეი), სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა და ცხოველთა დასახელებებს (ტურაი ცახ, ბოლოკა შამბაი, ფურტა შუნდ, ზუზუ ვაშლ, კონწიოდლი სხალ, ქოშოტა სოკოი, წყლი ზაღლ, ყორველა ჰიაი), ნაქსოვების — ჯეჯიმების, წინდის, კრელისა და მისთანათა სახეებს, თამაშობათა სახელწოდებებს, საჭმელეების სახელებს, სხვადასხვა სახის ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს და სხვ.

7. ზოგჯერ სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია სიტყვები, რომელთაც განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ფორმათა ისეთ მრავალფეროვნებას გვიჩვენებენ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიათა (ბრუნვის, რიცხვის, პირის, დროის, მწკრივისა და მისთ.) წარმოებისას, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ ილუსტრაციებში თითოეული ამ ფორმის საგანგებო ჩვენება და თარგმნა, ხოლო მათ გასაერთიანებლად — სპეციალური ბუდის თავის შექმნა. მაგალითად, იმსათვის, რომ გასაგები გამხდარიყო ზმნის ფორმები მანსლრვარ (მოვალ), მანსლრლნი (მოვლენ), მოვალდი (მოვიდოდი) მოხოლდი (მოხვიდოდი), მოლაი (მონდი), მანასულ (მომსვლელი) და სხვა, ლექსიკონში მოსულაი (მოსვლა) საწყისის შეტანა გახდა საჭირო. ყველა ასახსნელი ზმნის ფორმა, რომლებიც ილუსტრაციების საშუალებითაა მოცემული, ამ საწყისის ირგვლივ იყრის თავს. საწყისი, ასე ვთქვათ, მათი ოდენ მისაგზავნი ღირებულების მქონე ერთეულია.

თუ ამ ტიპის სალექსიკონო ერთეული თითქმის ემთხვევა სალიტერატურო ქართულის ფორმას (მაგ. ვადახტომაი, დაკერაი, ღვენაი), მაშინ მას თარგმანი არ უწერია (ასეთ სიტყვას უზის ორი წერტილი

და ტილდით (~) პირდაპირ ილუსტრაცია იწყება), ხოლო თუ განსხვავება მეტ-ნაკლებად ხელშესახებია (ეს განსხვავება ჩვეულებრივ ფონეტიკური ხასიათისაა), მაშინ სალექსიკონო ერთეულს მიწერილი აქვს თარგმანიც, ე. ი. სათანადო სალიტერატურო ფორმა, რომელსაც მოსდექს ილუსტრაცია (გაწითევამ გაწითლება, დაგუანევამ დაგვიანება და სხვ.).

სახელებში ასეთივე ბუდის თავი ორ- და მეტსიტყვიან გამოთქმათა. თავშესაყრელადაა შექმნილი. მაგალითად, გულ სიტყვასთან იყრის ბუდეში თავს გამოთქმები: გულ აღევამ, გულ გადალოკამ, გულ გაწურამ, გულ დადრვამ, გულ დაქერამ, გულ მოგრილევამ, გულ მოცვამ, გულ მოწყობამ, გულ ქნამ, გულ წაღევამ, გულზე კელ ჩომოსმამ და სხვ.

8. თავისებურ სურათს ქმნის ის ფაქტი, რომ ერთი ძირისაგან ნაწარმოები სხვადასხვა ზმნისწინიანი, მაგრამ შინაარსობრივად ახლო მდგომი ფორმები ერთადაა თავმოყრილი. ასე, მაგალითად, ერთ ბუდეშია გავრთიანებული: აზინქამ, შაზინქამ, დაზინქამ; დაყუფუნამ, გადაყუფუნამ, მოყუფუნამ; ასარბმამ, დასარბმამ, გომოსარბმამ, მომოსარბმამ; დაზგლუნევამ, გაზგლუნევამ, შაზგლუნევამ, ჩაზგლუნევამ. ზგლუნევამ და მისთანანი.

ეს ფორმები, რომლებშიც ზმნისწინი სხვადასხვა მიმართულებას აღნიშნავს მხოლოდ და სიტყვის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლის, ანბანთ რიგზე ცალ-ცალკეაა შეტანილი და მიგზავნილია ძირითად ერთეულთანაც, სადაც თარგმანი ახლავს არა ყველა ფორმას, არამედ დასაწყისს (ერთ ან ორ) სიტყვას. დანარჩენ ფორმათა მნიშვნელობას ზმნისწინების შესაბამისად მკითხველი ადვილად გამოიყვანს.

9. რთულზმნისწინიან სიტყვებში ზმნისწინები სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა წყალობით ისეა ტრანსფორმირებული, რომ საჭიროდ ჩაეთვალეთ ლექსიკონში მათი ცალკე გამოტანა, ხოლო ამგვარი ზმნისწინიანი სიტყვებიდან უპირატესობა მივეციტ გავრცელებულსა და სალიტერატურო ნორმისაგან უფრო მეტად დაცილებულ ფორმებს.

10. ინგილოურ ფორმებში (და იშვიათად მის თარგმანებშიც) სიტყვის გარკვეული ნაწილი (ერთი ხმოვანი, ან მთელი მარცვალი) ზოგჯერ ფრჩხილებშია მოთავსებული. ეს სისტემატურად გვხვდება რთულზმნისწინიან ფორმებში [გ(ო)მოზგავნამ, ჩ(ო)მოღევამ], ზმნიზედებში [აქამთი(თ), აქ(ა)თიან], ნაცვალსახელებში [ამ(ს)წო(ს)წო(რ)] და სხვაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგის მეტყველებაში სრული

ფორმის ხმარება ბუნებრივი (გომოგზავნა, აქამთით, აქათიან, აპ-სწოსწორ), ზოგისათვის კი რედუცირებული ფორმისა (გმოზგავნა, აქამთი, აქთიან, ამსწოწორ||ამსწოსწო||ამსწოწო).

მასალის მიწოდების ამგვარი წესი საკმაოდ ეკონომიურია და ამასთანავე საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ არასაჭირო განმეორებანი.

11. ლექსიკონში უხედაა წარმოდგენილი ფონეტიკური ვარიანტები: ბივრამ და ბჟჟრამ, ალომფურევა და ალუმფურევა, ბეაბან და ბიაბან, ბემ და ბემ და სხვ. ზოგჯერ ამ ვარიანტთა რიცხვი, სამი, ოთხი ან მეტიც შეიძლება იყოს.

თითოეული ასეთი ვარიანტი ანბანის მიხედვით თავ-თავის ადგილასაა მოთავსებული, მაგრამ მათი განმარტება (განმეორებათა თავიდან ასაცილებლად) მოცემულია ერთხელ, სახელდობრ, ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმასთან, სადაც ისინი არიან მიგზავნილნი.

ამ ძირითად ფორმასთანაა თავმოყრილი მათი ილუსტრაციებიც.

თუ ზემოაღნიშნული ვარიანტები ანბანის მიხედვით უშუალოდ ერთმანეთს მოსდევს, მაშინ თითოეული მათგანი ცალკე აღარაა გამოტანილი (მაგალითად, ერთხელაა მოცემული ბიჟოვა, ბიჟუვა; აკურტრვა, აკურტრანევა).

12. ლექსიკონში ცალ-ცალკეა შეტანილი სემანტიკური სინონიმებიც, ოღონდ სათანადო მითითებით ძირითადად, უფრო გავრცელებულზე. განმარტებებიც, როგორც ეს ფონეტიკური ვარიანტების დროს გვქონდა, სწორედ ამ უკანასკნელს ახლავს, ხოლო ილუსტრაციები თითოეულს თავ-თავისი აქვს. მითითებისათვის გამოყენებულია სიტყვები: „იგივეა, რაც...“ (აღოყევა, იგივეა, რაც აცახევა; ზანშამ იგივეა, რაც ჩირად; გაზომამ იგივეა, რაც გაწოდინევა).

13. იმ მიზნით, რომ მკითხველი ადვილად გაერკვეს ინგილოურ ზნათა მრავალფეროვნებაში და ადვილად მოძებნოს ყველა სასურველი ფორმა, ლექსიკონს ახლავს ზმნური ერთეულების საყრდენ ფუძეთა საძიებელი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხშირად რთულ ფონეტიკურ მოვლენათა წყალობით ისეა შეცვლილი სიტყვის გარეგნობა, რომ მკითხველისათვის ყველა შემთხვევაში ძნელი მისაგნებია მისი საწყისი ფორმა.

ინდექსების მიწოდებისას ყოველთვის არაა დაცული სიზუსტე წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით და ეს სრულიად შეგნებულად, რადგანაც ამ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპი სიტყვის ადვილად მიგნებაა და არა მისი გრამატიკული ანალიზი.

ინდექსების ფუნქციას ასრულებს ერთგვარად წარმოქმნილ ლექსებათა სტატიის ბოლოს („ნახეთი“) მოცემული მითითება ამოსავალ



ანუ ძირეულ სიტყვაზე, ან სიტყვის ცალკეულ მორფემაზე. მაგ. აწკირაჲ, შაწკირაჲ სტატიის ბოლოში მითითებულია: ნ. წკირ, აჟანუღა-სთან ნ. ჟანუღალ, ამიან... ნ. -იან, ამიგნი... ნ. -გნი, აჟქამითი... ნ. აჟ და სხვ.

14. ლექსიკონში მოცემული განსამარტავი სიტყვები სხვადასხვა წარმომავლობისაა: ზოგი არაბულია (ზაამათ, ლაყაბ, მამზარ, ილლაჟ, მაჟყულათ, ნაბათ, ჟანნათ, ყააბაჲ, ხაათ), ზოგი თურქული (ვერღან, თორბაჲ, ნაგახტან, ოლუზ, ქოთუქ, ყაბ, ყამჩია, ყოროღ), ზოგი სპარსული (ბაღჩეჲ, დერიჲჲ, ლაბადაჲ, ჟარაჲ, ჟილაგდარ, ჟინჯირ, ქაფტარ, ჩირალ), ზოგი სომხური (ქლუნგ, ქელახ, შიპროვჲჲ, ჰოპოპ) და სხვ.

უცხოური სიტყვების შეტანისას ლექსიკონში მითითებულია მხოლოდ ის წყარო, საიდანაც უშუალოდაა შემოსული ესა თუ ის სიტყვა ინგილოურში, ე. ი. მითითებულია მხოლოდ აზერბაიჯანული. სამწუხაროდ, პოლიგრაფიული დაბრკოლებების გამო იძულებული გავხდით ფრჩხილებში მოცემული აზერბაიჯანული სიტყვების დაწერილობა ქართული ტრანსკრიფციით გადმოგვეცა, რამაც წარმოქმნა ზოგი სირთულე (კერძოდ, ვერ მოხერხდა ველარული და პალატალური გ-ს გარჩევა და ირაციონალური ხმოვნის გრაფიკულად გადმოცემა).

თუ აზერბაიჯანულის მნიშვნელობა განსხვავებულია ინგილოურისაგან, მაშინ აზერბაიჯანულს თავისი თარგმანიც ახლავს.

ლექსიკონში იშვიათად რუსული წარმომავლობის სიტყვებიც გვხვდება, რომელთა ინგილოურში შემოსვლა ისევ აზერბაიჯანულთან უნდა იყოს დაკავშირებული: იშპიშკაჲ — ასანთი (რუს. спичка), ესტაქან — ჭიქა (რუს. стакан); ბოტულკაჲ, პოტულკაჲ — ბოთლი (რუს. бутылка) და სხვ. ამგვარ სიტყვათა წარმომავლობა იმდენად ნათელია, რომ მათ რუსული შესატყვისი მიწერილი აღარ აქვთ. ფრჩხილებში მითითებულია შემოკლებით „რუს.“.

15. სიტყვათა წარმომავლობის შემდეგ მოცემულია სიტყვის განმარტება მისი ძირითადი მნიშვნელობების მიხედვით. საკონტექსტო მნიშვნელობები კი საილუსტრაციო ფრაზებშია მოცემული.

თუ სიტყვა რამდენიმე მნიშვნელობის მქონეა, ეს განსხვავებული მნიშვნელობები გამოყოფილია ცალკე ნომრით (ნ. სტატიები: ამელაჲ, კირკალ, ჯიდ და სხვ.).

16. თუ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ზოგი ისეთია, რომელიც ემთხვევა საერთო ქართულში ცნობილ მნიშვნელობას, რასაკვირველია, ამას გვერდს ვუვლით და ვიძლევიტ მხოლოდ მის გან-

სხვაეებულ მნიშვნელობას, ვხელმძღვანელობთ რა დიალექტური ლექსიკონების შედგენის საერთო პრინციპით.

17. განმარტებებს ლექსიკონში თან ახლავს ვრცელი საილუსტრაციო მასალა, რომელიც ტილდითაა (~) გამოყოფილი. საილუსტრაციო მასალის ასე უხვად მოწოდება შემდეგი მოსაზრებითაა გამართლებული:

ა) ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ლექსიკონისათვის ყველაზე ფასეულ მასალას სწორედ ილუსტრაციები წარმოადგენს, რადგანაც აქა თავმოყრილი ბუნებრივი გამოთქმები, სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსი, საგანგებოდ შერჩეული ფრაზები თუ კონტექსტები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობას უკეთესად წარმოაჩენენ;

ბ) მეორეც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ილუსტრაციები ჩვენს ლექსიკონში გამოყენებულია სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიათა წყალობით ფორმაშეცვლილ სიტყვათა საჩვენებლად (ნ. პუნქტი 7). ამგვარ სიტყვათა, ან უფრო ზუსტად, სიტყვათა ამ ფორმების გამოტანა ცალკე სალექსიკონო ერთეულად არც ტექნიკურად იყო შესაძლებელი და არც ლექსიკონის აგების პრინციპების თვალსაზრისით გამართლებულია. ამიტომაც სწორედ, რომ ამგვარი ფორმები ილუსტრაციებშია თავმოყრილი სათანადო საწყისთან, ან სახელთან, რომელიც თავისთავად, შესაძლებელია, არავითარ ინტერესს არ იწვევდეს, როგორც ლექსიკური ერთეული.

ეს გრამატიკულად თავისებური ფორმები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ილუსტრაციებში გარკვეული თანამიმდევრობის დაცვითაა წოცებული: სახელებში — ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, საწყისებში — ზმნების პირის, რიცხვის, დროის, მწკრივის, გვარის, ქცევის, კონტაქტისა და სხვა კატეგორიათა მიხედვით.

ამ ფორმებს ლექსიკონში ინდექსები მიგვაგენებინებს, ხოლო თითოეული მათგანის მნიშვნელობას საილუსტრაციო ფრაზა და კონტექსტი გვარკვევინებს.

18. საილუსტრაციო მასალას ჩშირად ახლავს თარგმანი, რომელიც ფრჩხილებშია მოთავსებული. ამგვარი თარგმანი ზოგჯერ მთელ ფრაზას აქვს (მეტწილად თარგმანი ფრაზეოლოგიურია და არა სიტყვა-სიტყვითი, ეს უკანასკნელი აპოსტროფებშია ჩასმული), ზოგჯერ — ფრაზის გარკვეულ შონაკვეთს, ზოგჯერ კი — ცალკეულ სიტყვას იმისდა მიხედვით, თუ რა შემთხვევაში რა არის საჭირო შინაარსის გასაგებად.

თუ ამგვარი ასახსნელი სიტყვა რამდენჯერმეა განმეორებული ფრაზებში, ნათარგმნია მხოლოდ პირველი. იშვიათად ილუსტრაციით

ში შემავალი ასახსნელი სიტყვის თარგმანის ნაცვლად ჩაწერილია ფრჩხილებში (ნ.). ეს გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა განმარტება ერთი ან ორი სიტყვით არ გადმოიცემა და საჭირო ზღედა მიგზავნა ამ სიტყვასთან.

19. ლექსიკონში ნაჩვენებია ინგილოურის მიმართება, ერთი მხრით, ძველ ქართულთან და, მეორე მხრით, ქართული ენის სხვა დიალექტებთან. ამ მიზნით სიტყვა-სტატიის ბოლოს მოცემულია პარალელები სხვადასხვა ლექსიკონიდან: საბადან, ჩუბინაშვილიდან, კახურიდან, ქართლურიდან, ხევსურულიდან, ფშაურიდან, ფერეიდნულიდან, გურულიდან, აჭარულიდან, ლეჩხუმურიდან, იმერულიდან, რაჭულიდან და სხვ.

დამოწმებები ლექსიკონებიდან შემდეგ პრინციპს ემყარება:

ა) თუ სიტყვები ფორმითაც და მნიშვნელობითაც სავსებით ერთგვარია<sup>1</sup>, მაშინ ვუთითებთ მხოლოდ ლექსიკონის ავტორზე.

ბ) თუ სიტყვები მნიშვნელობით ერთია, ხოლო მათი დასახელება განსხვავებულია, მაშინ მითითებულია მხოლოდ ეს განსხვავებული დასახელება.

გ) თუ პირიქითაა, ე. ი. ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა, მაშინ მოცემულია ეს განსხვავებული მნიშვნელობა გასამარტავი სიტყვის დაუსახელებლად.

დ) თუ სიტყვები მნიშვნელობითაც დაცილებულები არიან და ფორმითაც, მაშინ სხვა ლექსიკონზე მითითება საერთოდ აღარაა მოცემული.

დამოწმებებში გარკვეული თანამიმდევრობაა დაცული: ლექსიკონთა ავტორები ჩვეულებრივ დასახელებულია იმისდა მიხედვით, თუ მათი ვარიანტები შინაარსობრივად რამდენად ახლოსაა ინგილოურის მნიშვნელობასთან და არა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ამიტომ, რომ სხვადასხვა სიტყვაში ხან ერთი ავტორია წინ მითითებული და ხან მეორე.

20. ვინაიდან ინგილოური არ იცავს საერთო ქართულის მახვილს და ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კითხვითი ფორმები, ეს უკანასკნელი ლექსიკონში მახვილით არის წარმოდგენილი.

21. სათანადო ნიშნების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა ამ და სხვა კილოს ბგერითი შედგენილობის ყველა თავისებურების სრულად ჩვენება. ასეთებია, მაგალითად, ძლიერი, სუსტი და ფშვინვიერი შემართ-

<sup>1</sup> ფორმათა მსგავსებაზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში არაა მიღებული უმნიშვნელო ფონეტიკური ხასიათის სხვაობები, მაგ. ა სიტყვის ბოლოს და მისთ.

ვის ნიშანი, ორ თანხმობას შორის დაკარგული ხმოვნის აღმნიშვნელი ხმოვანთვასაყარი, რომელიც აქუსტიკურად ნახევარხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუშურის მოკლე ი, მახვილი უმლაუტიან ხმოვნებზე კითხვით ფორმებში და სხვ. ამგვარი სპეციფიკური ნიშნებიდან დატოვებულია მხოლოდ უმლაუტები — ო და უ, რომელთა გარეშე ინგილოური ტექსტის გადმოცემა შეუძლებელი იქნებოდა. ეს ბგერები ანბანთრიგში ო-სა და უ-ს მოსდევს შესაბამისად.

დასასრულ, უღრმესი მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ინფორმატორები, რომელთაც მოგვაწოდეს მასალა, დაგვაზუსტებინეს ათასობით სიტყვა და უზრუნველყვეს მრავალი ტერმინის განმარტების სისწორე.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ ჩემი მუდმივი ინფორმატორების, ინგილო მეგობრების — მარკია ხუციშვილის, არჩილ ფიროსმანაშვილისა და მანუჩი ოთარაშვილის — დახმარებას ლექსიკონზე მუშაობისას. ასევე მადლობას ვუხდით თურქოლოგ დოცენტ ვენერა ჯანგიძეს აზერბაიჯანულ ნაწილში გაწეული კონსულტაციისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა და ზემოკლეგანი

- ალაფ.— მ. ალაფიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი, 1938.
- ბერ.— ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, C.-Πτნ., 1912.
- გაჩ.— პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.
- გიგ.— ი. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც დართული აქვს დ. გურამიშვილის „დავითიანს“, თბილისი, 1955.
- გიგ., თოფ., ქავთ.— ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1961 (სათანადო დიალექტები მითითებულია ფრჩხილებში).
- დოლ.— გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბილისი, 1975.
- ედილი — ზ. ედილი, საინგილო, თბილისი, 1947.

- იმნ. — გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგლოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
- კაიშ. — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 1967.
- კირ. — ებისკოპოსი კირიონი, სალექსიკონო მასალა, „ძველი საქართველო“, II, ტფილისი, 1911—1913.
- ლონ. — ლ. ლონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი, 1925.
- ლომთ. — ქ. ლომთათიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც დართული აქვს ეგნ. ნინოშვილის „პარტახს“ (პროფ. ა. შანიძის რედაქციით), ტფილისი, 1935.
- მაის. — ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1954.
- მარტ.-იმნ. — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი (ლექსიკონი), თბილისი, 1956.
- მაყ. — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.
- მენთ. — სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1943.
- ნიუ. (ზ. აქარ.) — შ. ნიუარაძე, ქართული ენის ზემოქართული დიალექტი (ლექსიკონი), ბათუმი, 1961.
- ნიუ. (აქარ.) — შ. ნიუარაძე, ქართული ენის აკარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
- ჟლ. — ს. ჟღენტი, გურული კილო (ლექსიკონი), ტფილისი, 1936.
- როსტ. — ნ. როსტიაშვილი, ინგლოურის სალექსიკონო მასალები. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1963.
- საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.
- სმტ — სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბილისი, 1959.
- უთურგ. — თ. უთურგაძე, თუშური კილო (ლექსიკონი), თბილისი, 1960.
- ქავთ. III. — ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
- ქავთ. IV. — ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.
- ქართლ. — ქართლური მასალა, შეკრებილი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 1950—1962 წლებში (ხელნაწერი).
- ქაჯ. — ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, ცხინვალი, 1967.
- ქგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქოზავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, თბილისი, 1950—1964.
- შან. ვაჟა — ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც დართული აქვს ვაჟა-ფშაველას შემდეგ თხზულებებს: ლექსები, I, 1946; II, 1950; პოემები III, 1930; IV, 1932 (სათანადო ტომები მითითებულია ფრჩხილებში).
- შან. რეც. — ა. შანიძე, რეცენზია გამოკვლევისა „მ. ჯანაშვილი, სიანგილო“, „Звездки Восточного отделения имп. Русского Археологического общества“, т. XXII, 1915 (ლექსიკონი).
- შან. კვეს. — ა. შანიძე, ხევსურული მასალების ლექსიკონი, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული“, I—II, ტფილისი, 1923—24.
- შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი, 1938.

- შინამრეწვე. — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, შეკრებილი 1935 წელს ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით (ხელნაწერი).
- ჩიქოვ. — მიხ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი. ა. პუშკინის სახელობის თბილისის სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941.
- ჩიქობ. — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნელის მთავარი თავისებურებანი (ლექსიკონი): ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
- ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-ПЕТ., 1887.
- ძიძ. ყაზბ. — შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც დართული აქვს ალ. ყაზბეგის შემდეგ თხზულებებს: I, II, 1948; III, 1949; IV, 1950.
- ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.) — შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართული ლექსიკონი (გამოუცემელი).
- ძიძ. — შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956 (სათანადო დიალექტები მითითებულია ფრჩხილებში).
- ძოწ. — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
- წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი, 1938.
- კინკ. ხუეს. — ალ. კინკარაული, ხევისურულის თავისებურებანი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1960.
- კინჩ. ვაჟა — ალ. კინკარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, (არნ. ჩიქობავას რედაქციით), თბილისი, 1969.
- კყ. — ილ. კყონია, სიტყვის კონა, С.-ПЕТ., 1910.
- ხუბ. — პ. ხუბუტია, თუშური კილო (ლექსიკონი), თბილისი, 1969.
- ჯან. — მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, ტფილისი, 1911—1913.
- ჯან. (არქ.) — მ. ჯანაშვილის საარქივო მასალები, დაცული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბ

ა- გამარტივებული ჩვენებითი ნაწილაკი აა (1). იხმარება, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელებისა და ზნინზელების წინ შერწყმულად. შერწყმისას მომღვენო სიტყვის თავციდური ი ა-ად ჯადაიქცევა; აეს აი ეს. ~ აეს მინა? (აი ეს ვინაა?); ააშ აი აშ. ~ აამ კაცს ღერდ არ ჰქონი (აი ამ კაცს დარდი არ ჰქონია); აახ აი ის. ~ მე რაა გეტყუე, აახ გააქეთთ! (მე რასაც გეტყვით, აი ის გააყეთთ!); აახენ აი ისინი. ~ აახენ ჩემ მზნობრლენი (აი ისინი ჩემი მუზობლები არიან); ააშინ აი მაშინ. ~ დათ რუმ ღოახნახ, ააშინ შიში ფერ-მერ დავკარგ (დათვი რომ დავინახე, აი მაშინ შიშით ფერ-ფერი წამივიდა); [სინ. ე-, ჰე-].

— შ ა ნ. გეეს., გ ი გ., თ ო ფ., ჰ ა ე თ. (ხეეს., მთიულ.).

ა- (1) კითხვითი ნაწილაკი, რომლის დართვისას სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუღის. ~ მინ ხა'რა? (ვინ ხარ?); თეთრ მე არ მაქ, შენ საათი მოქცეა? (ფული მე არ მაქვს, შენ საიდან მოგეე?); მემეშროლო, ჰედრე, ვერ ხელდავა? (მომეშველე, ვკვლები, ვერ ხელდავ?); მე რაა ჰქნრა? (მე რა ვქნა?); რა ღერდ გაქა? (რა დარდი გაქვს?); რაზე ფიქირრევა? (რაზე ფიქრობ?); ჰაბე არ ზრახულრევა? (რატომ არ ლაპარაკობ?); გავონდეეაა, თქონ უმ ჩონ სახლ დაქწუთ (გავონდებათ, თქვენ რომ ჩვენი სახლი დასწვით?).

— ჩ უ ბ., ჰ გ ლ (ფშ., ხეეს.), გ ი გ., თ ო ფ., ჰ ა ე თ. (გულდაწყერ., თუშ., ფშ.).

ა- (2) საკრეობი ელემენტი, რომელიც თავს იჩენს სხვათა სიტყვის -გ ნაწილაკის წინ. ~ კაცმა მითხრა: მევე შენ თავ აღარ მიეჯარსავ, სხო ღეკაც გარაქ მოაყონოავ (ქმარმა მითხრა, მეო შენ აღარ მიეყარხარო, სხვა ცოლი უნდა მოვიყვანოო).

— გ ი გ., თ ო ფ., ჰ ა ე თ. (რაქ.). ააგრ, ეეგრ 1. აი აქეთ. ~ ააგრ მოაა!

ააგრ-იგრ (აი) აქეთ-იქით.

შღრ. აგრ (1);

2 აი აგრე, აი ასე. ~ ეეგრ ღეღეკი შღრ. აგრ (2).

ნ. ა-

ააველათ, აჰველათ [ახ. აჰველათ] 1. ამბავი; თავგადასავალი. ~ ბჰთჰმეს ეკითხვე თავიან შჰლევი ააველათს (ყველას ეკითხება თავისი შევილების ამბავს); მე ღოაჰყევე ჩემ ააველათს (მე დაეიწყე ჩემს თავგადასავალს); 2. საქმის ვითარება, მდგომარეობა. ~ ააუთლო ეჰჰრაახს (საქმის ვითარება ამგვარია).

აამ ნ. ა-

აამაგ(რ), აემაგ(რ), ეემაგ(რ), ჰემაგ(რ) აი ამგვარად, აი ასე; აი მაგრე, აი მაგნაირად. ~ აამაგრ მიღის ჩემ ცხოვერევა; ეემაგ წოორა წაა, შაარში გაას-ლრზხარ (ქალაქში გახვალ).

შღრ. ემაგ(რ).

ნ. ა-

აამაზე, ეემაზე, ჰემაზე აი ამიტომ; აი ამისთვის; აი ამაზე ~ მიწას მეორედღეა (მეორეჯერ) აამაზე აბრუნევენ, მიწაა გაფუვედეს, კაა იქნეს; ჰემაზე გული ოღლით (აი ამაზე გული ავიყარეთ).

ნ. ა-

აამამ, ეემამ, ჰემამ აი ამან. ~ აამამ (||ეემამ) მითხრა.

ნ. ა-

აამა(ს), ეემას(ს), ჰემას(ს) აი ამას. ~ აამას რაბე ჩეღიხნრა? (აი ამას რატომ შერეები?); შენ რუმ აამა ამბოვ, მე რაუმ ქთქრა! (შენ რომ ამას ამბობ, მე რაა უნდა ვთქვა?); პური გაცხრინაში ცხრილიშიგაათი ჩამოღის პური ნაწეამე, ეემას კჰჰჰულეეს აქჰევენ (ხორბლის გაცხრილებისას ცხრილიდან ჩამოღის ხორბლის წვრილი ნამტერეები, აი ამას წიწილებს აქმევენ); ჰეემა მინ ამბრესა? (აი ამას ვინ ამბობს?).

ნ. ა-

აამი, აემი, ეემი, ჰემი აი ამისი. ~ აამი სახელ რანასა? (აი ამისი სახელი რა არის?); ეემი ფოთოლში ტოლმას ახე-

ვენე (აი ამის ფოთოლში ტოლმას ახ-  
მევენ).

ნ. ა-

ამიგნი, ამიზგნი, ეემიგნი, ეემიზგნი,  
ჰემიგნი, ჰემიზგნი 1. აი ამისაგან.  
~ ეემიზგნი რაუბ ინსან იქნეს? (აი  
ამისაგან რა კაცი უნდა გამოვიდეს?);  
2. აი ამაზე (შედარ. ხარისხის ვადმო-  
საცემად). ~ ჰემიზგნი კამს! (აი ამაზე  
კარგია, უკეთესია).  
შღრ. ამიგნი.

ნ. ა-

ამმმეტ. აამმმეტ, აემმმეტ, აემმმეტ, ეემ-  
მმეტ, ეემმმეტ აი იის პეტო. ~ ამმეტ  
[ჟემმეტ] არ მაქ; ფაჩას ეემმეტ ყმა-  
წულ აღარ უჩნდევ (ხელმწიფეს აი ამის  
მეტე შვილი აღარ უჩნდება).

ნ. ა-

ამმურ(აა), აემურ(აა), ააფურ(აა),  
ეემურ(აა), ჰემურ(აა) აი ამგვარი.  
~ ამურა მენადირეა ბუთუმ დუნუ-  
აზე არ ყოფილ (აი ამგვარი მონადირე  
მთელს ქვეყანაზე არ ყოფილა); ზ მ ნ ზ.  
აამურა, აემურა აი ამგვარად; აამ-  
ურააჰ, ეემურააჰ, ჰემურააჰ აი  
ამგვარია. ~ ჩემ ფეყსუმუზიცი ეემურ-  
რაჰს (ჩემი ფეხსაცმელიც აი ამგვარია).

ნ. ა-

ამმმეტ ნ. აამმეტ.  
აარ არა (უარყოფის სიტყვა). ~ ე ქალ  
შენ დაჰსა? (შენი დაა?) — აარ, ჩემ  
ნაცნოვი (არა, ჩემი ნაცნობია); ჰე მო-  
ალ, ჰე კილა, აარ (ან მოვალ, ან არადა,  
არა); || კი არა, არა თუ... (არამედ)  
კავშირების შემადგენელი ნაწილი. ~  
ჰემგოლავ კი აარ, მინკუმ გოყოს, ჩემ-  
ბე ერთი (ინგილო კი არა, ვინც უნდა  
იყოს, ჩემთვის სულ ერთია).

— შ ა ნ. რეც., არ, აღარ გ ი გ.,  
თ ო ფ., ქ ა ე თ. (ინგილ.).

ააქ იი აქ. ~ აქ დაქ (აი აქ დაქეი).  
შღრ. ააქ. ლ

ნ. ა-

— ააქვე აქათ დ ო ლ.

ააქს ნ. იღვეაბ.

აბაზ თევზის ქერცილი, ქიცივი. ~ თევზი  
აბაზ თეთრეს მინგავს (თევზის ქერც-  
ლი ვერცხლის ფულაბს წააგავს).

აბაჟურ [აზ. დიალ. აბაჟურ, აბაჟურ] სტა-  
ფილო.

— მ ა ყ.

აბარკლაბ, წ(ო)მობარკლაბ აპლაკეა, ფე-  
ხების მალა აშვერით წოლა. ~ ყმა-  
წულ წაბქიკეა თოტლში, აბარკლა;  
ქალ წომობარკლულეყო, იწო (წამოპ-  
ლაკულეყო და იწვა).

აბასევაბ 1. წაქეზება, ვაქეზება (საჩხუბ-  
რად). ~ ესენ რუმ იკიდნევიან, შენ ჰე-  
მათი ჰაბე აბასევა? (ესენი რომ ჩხუ-  
ბობენ, შენ მანდედან რატომღაჟ აქე-  
ზებე?); ყმაწულევე აბასს, წაჟიღნან,  
თამაშაჟ ექნოთ (ბავშვები წააქეზე, წა-  
იხხუბონ და სიერს კუკუროთ); ზ მ ნ ზ.  
აბასეველაჟწასაქეზებლა. ~ მრზობელ-  
თან აბასეველა წაჟე, მითხრანაც (კი-  
დეც რომ მითხრან, არ წულა);

2. უმნიშვნელო მიზეზის გამო ჩხუბი,  
კინკლობა, ჭიბრში დგომა. ~ აბასე-  
ვიან, გზას არ მიღიან (კინკლობენ, ვერ  
თანმდებიან).

შღრ. ბას; დაბასევაჟ; დაბასაჟ.

აბგრგ, აბიგრგ, აბუგრგ [აზ. აბგჩაზ.  
გა] ცისფერი, ღია ლურჯი. ~ აბ-  
გრგს ჩონ ვერ ღობავთ (ელევაბთ), ამისი  
უსტა კაც არის.

აბებრაჟ აბებრება, კანზე ბებერას გაჩე-  
ნა, კანის აბურცვა. ~ ყაბარ აბებრულ  
(ბებერა აბებრებულა); შ ი მღ. ანა-  
ბებარ(ევე), აბებრულ აბებრებული. ~  
აბელი სოკოჟ აბელის სოკო. ~ აბელი სო-  
კოჟ ხეზე კეპტევე (ხეზე იცის).

— სააბედე სოკო ქ ი ნ ქ. ვეჟა.

აბევერევაბ ბევერად ქცევა, მომრავლება;  
გაიღდება, მომატება. ~ ინსნევე აქთონ  
აბევერდნენ, რუმ ფოთოლ დათლრვ,  
ისენ კი აარ (აღამიანები იმდენადჟ მომ-  
რავლდნენ, რომ ფოთოლი დაითლვე-  
ბა, ისინი კი არა); ფუტკარის ყოშინ (მუ-  
შა ფუტკარი) აბებვერდა; ვერ კატაჟ არ  
გოქ (არ გვეყავს), თაგვე აბევერეტლან;  
წყალ აბევერდა (წყალმა მოიმატა).

აბიგრგ ნ. აბგრგ.

აბრაშუმ, აბრაშუნ აბრეშუმი.

— ჟ ა ნ., შ ა ნ. ვეჟა III.

აბრიანევაჟ კანის ვადაცლა ბრიანის მარც-  
ვალზე ცეხვის დროს, ანდა ნიგვზის  
ლებანზე ღინგში დანაყვისას (ნ. ღინგ).



~ ჩალთუქ სიპტანდელ დანაყაში (გა-  
უცეხვევი ბრიჩი პირვანდელი გაცეხ-  
ვისას) ბრიანდვის, ამამშინ ამბოვენ —  
ჩალთუქ ამბრიანდელავ; ნიგოზიც ახალ  
დანაყაში ბრიანდვის, გეგონევ, ბრე-  
დაე (გეგონება, ბრე არისო); ამბრიანდელს  
უკან ნიგოზს მარლი აყრიან, კედემ ნა-  
ყენ.

ნ. ბრეა.

აბუგა: გ ნ. აბგრა.

აბუნწა აბუნვა. ~ ქათამ იბუნწევის  
(იბუნწება); აბე აბუნწე(ლხნარა რ-  
ციევისა? (რატომ აბუნწულხარ, გციევა?);  
ჩონ ქუქულ სიცივი აბუნწულ (ჩიენი  
წიწილი სიცივისგან აბუნწა).

აბურთუნევა, აბურთუნევა ეცხლის  
ერთბამად მოღება, უტბად აგუზგუზე-  
ბა. ~ ცეცხლზე ნათ დაახხა, ცეცხლ  
აბურთუნდა (||აბურთუნადა).

— აბურთუნადა ჯ ა ნ.

აბუევა, აბუევა, გაბუევა, გაბუევა,  
ჩ(ო)მობუევა გაბუევა, გაწევა, გაჩეჩა  
(თმისა, მატყლისა, ბამბისა და მისთ.).  
~ თმა პოგო აბუევა, (|| გაბუევა),  
რას მინგაგანარა! (თემბი როგორ აგწეწი,  
რას პავებარა!); || გ ა დ ა ტ. გაბერვა, გა-  
ფუყვა, გაფხორვა; მ ი მ ლ. აბუეველ,  
გაბუეველ გაბუებული, გაწეწილი, გა-  
ჩეჩილი; || გაბერილი, გაფუყული, გაფ-  
ხორილი. ~ თუ ჰოპოპმა ინსნი თაე  
დაპვეჩა (ჰოპოპი დაგეჩა ნ. დაგეჩა,  
მნიშვნ. 2), იმი თმა აბუეველ კეპტევ  
(თუ ოფოფმა ადამიანი დასძლია, იმას  
თმა უბუედება), ემიბეა (ამიტომაც)  
ჰოპოპი დანახინეხ (დანახინდელ), ად-  
გომიხთაე (ადგომისთანაე) თავს ივარ-  
ცხნიან, ჰოპოპმა ნუ ღოგეჩასაე, თმა  
გაბუეველ ნუ ღოქჩესაე; გაბუეველ  
ცოცხზე დიდ ქუას ვოდვეთ ყალიბ შიქ-  
მევენეველა (ყალიბ ქმა ნ. ყალიბ,  
მნიშვნ. 1), მეორე დღეს ხედაე, გატყე-  
ლე: ლ, ჩაგ: ლ კაე კეპტევ (დასაგვე-  
ლად ვარგა).

— გაბუევა გაფაფუყება მ ე ნ თ.,  
ბუის იბერება, იფუყება; გადატ. წყრე-  
ბა მ ე ნ თ., ბუედება იქნეძება; სითხის  
შესრუტვის გამო იშლება, იბერება,

მაგ. ტყავი მ ე ნ თ., გაბუებული ნა-  
. ცემი, გაწეწილი შ ა ნ. ვაეა I, ბუილი  
გაბერვა, აფხორვა მამალი ინლაურისა  
მ ა რ ტ. - ი მ ნ.

აბლატუნევა, გაბლატუნევა აბლატება,  
აბლატება, აფოფება. ~ თას (მთას)  
ევებლატუნით, წუეველით.

— აბლატება შ ა ნ. ვაეა III, აგ-  
ლატება კ ი ნ ქ. ვაეა, ბლატება  
უ თ უ რ გ., ქ ა ჯ., ქ ე შ ი კ.

აგ ნ. აგრ (2).

აგლატა აგლატა. ~ ქუა უაგ (ავაგდე);  
ლაგლე აგდევა ნ. ლაგ რიშხა  
აგდევა ნ. რიშხან; ქოვქოვში აგდევა  
ნ. ქოვქოვ.

აგ 1. ისეთი, იმგვარი. ~ ე ქალ აგე ლა-  
მავ ყოფილ, იმი სილამაზე ამნასულ  
ზეგს, ჩანასულ თორეა (ამომავალი  
შევა და ჩამავალი მთვარე); ბიბან აგე  
ტყეას, რუმ ინსნი ფეე არ მოხტომი  
(ბიბანი ისეთი ტყეა, რომელსაც ჯერ  
ადამიანის ფეხი არ მოხევედრა); ავე  
რამ მიხტრა, გოტმათ (ისეთი რამ მი-  
თხრა, გეოცილი); ამ გეეში აგე დიდ სელ  
მოქედეს, ნუმ ჩემ დეეაი თაე წაყონას  
(რუმ ჩემი ცოლი წაყენოს!)

— აგე, აგეთი გ ი გ., თ ო ფ.,  
ქ ა ე თ. (ფერეიდ.);

2. ისე, იმგვარად. ~ ერ წითელცხე-  
ნიან კაც აგე ოგაწყდა (დაგეეჯახა), რუმ  
ეხლაც გ: რდი (გვერდის) ტყვილით  
ვიგოციეითაე.

[სინ. ეგე].

აგევა შესარვა (ვენახისა). ~ მენაე აგა  
კიგოთი, მეელნი (მერმე) დაყელა (შე-  
ყელა), მოწამლა; მენაე ვარაქ დაჩუ-  
ტულ კიგოთი აგან (ვენახი უნდა  
წაწვეტებული კიგოთი შესარონ);  
ფაყლა (ლობიო) კაგგორა არ ოტგი,  
ო: ფანჩხლი (ნ. დოფანჩხლა).

— აგება ჯ ა ნ.

აგრ (1) აქეთ. ~ ჰაბე მანზე დგახარა,  
აგრ მოა (განზე რატომ დგახარ, აქეთ  
მოდო!); ფალას ღოქარგი, ამბოვენ,  
ჩახანც ინსან ქეჩრამს თავს ეერ ამბავს,  
აგრ გარბის, იგრ გარბის, გაშტერეშლ  
(თავგზა დაუკარგავსო — ამბობენ, რო-

ცა აღამიანი ვერაფერს თავს ვერ აბამს, აქეთ გარბის, იქით გარბის და ვაშტურება (უკუბრუნდება); **მა აგრ... მა იგრ** თიქეთ...

~~თიქეთ... მა აგრ~~ ენებთან, **მა იგრ** ენებთან, ვერ პოვლოვებს.

[საპირისპ. იგრ.]

**აგრ (2), აგ აგრე, ასე.** ~ იმა აგრ ეგონა, უკანი გამძვინვარებულა (იმას ასე ეგონა, რომ უკან გამომდევნებინა); **აგრ** კვბე, ეე შეზროხეა თაეი შინაბთი მიხორწყე (ასე ხდება, რომ ეს მემკრინი თაეისი სახლიდან ვარბის); **ვაგონი** არხანა კეკა, აგ მგონი, თუთან სათქმელნი შარში ვაწეხანში — ჩომოვ (ვაგონში არხინად ვზივარ, ასე მგონია, თუთონ მეტყვიან ქალაქეი ჩასვლას — ჩამოდიო).

— ხ უ ბ.

**აგრ-იგრ** აქეთ-იქით. ~ ცხორ აგრ-იგრ მიხორწყვის (გარბის); **გელევეს აგრ-იგრ** აქნევის; **ავრყოფ აგრ-იგრ** სხრილთეს (ტრიალებს); გუთნი უღელზე ვაზ აგრ-იგრ ნუ გასორდეს (რომ არ გაუტრდეს), კორაა (ნ. მნიშვ. 2) აქით თევენ.

**აგრობან, აგროვან** აქეთევენ, აქეთა მხარეს. ~ **გადაა (ვაეი)** ცხენს აგრობან აქენევის; **აგრობნით** აქედან, აქეთა მხრიდან.

[საპირისპ. იგრობან].

— ყ ა ნ.

**აგროშევა, აგროშა, დაგროშა, გაგროშა** დაროშვა, მსხვილად დაფქვა, დაღერვა. ~ **ცუტუტუტ** ქუთა ზეპტევენ აწევაში (წისკვილის ქვის ზეუითევენ აწევისას) ხორბალ, სმინდ, ქერ გრომდევის (იროშება, მსხვილად იფქვება); სმინდ აგროშა; **ცუტუტუტ** ში დენ დოტგროშავ (წისკვილში საფქვავეი დაუროშავს, დაუღერლავს); **აგროშაში** ფქულ წრულ ნაწყვიეი კეპტეე (დაროშეისას ფქვილი ბრინჯის წყრილი ნამტრევებიეთ ხდება); **მი მღ.** **აგროშლი, ანაგროშ** დაროშლი. ~ **აგროშლი** ფქულ; **ზ მ ნ.** აგროშელა დასაროშავდ. ~ **ცუტუტუტ** ში სმინდ აგროშელა მიფტანავ (მიმაქვს).  
**ნ. გროშ.**

**აგრუქეაა ნ. დაგრუქეაა.**

**ადათ ქნაა** იგივეა, რაც სახელ დადრევაა (ბ) (ნ. დადრევა, მნიშვ. 1).

[სახელ ქნაა].

**ადამა [აზ.=კაცუქ]** თითოეული, ყოველი მათეთი. ~ **წაა, შენ ზმეე** მაჟყონ, ადამა პაქთონ ტუმარასაც დაზრონ, იქთონ ტუმარას მააქემევეარ (წადი, შენი ძმე-ბი მოიყვანე და, თითოეული რამცდენ ტომარასაც დაძრავს, იმდენ ტომარას მიეცემე!); **იმამ (იმან)** ეე კაცეეს ადამა (თითოეულს) — **ქეს (ქესი)** ეარ შისცა.

**ადგილ:** **ადგილ-ადგილზე** თაე-თაეის ადგილას; **დააჟეკელ ადგილ ნ.** დაჟეკაა; **ენაა თბილ ადგილში** აქ ნ. ენაა; **მაგარ ადგილ ნ.** მაგარ; **ნაჟეკ ადგილ ნ.** დაჟეკაა; **ნ. ქობარ ადგილ;** **ქოლქოს ადგილ ნ.** ქოლქოს; **ყაბა თბილ ადგილში** აქ ნ. ყაბა, მნიშვ. 1.

**ადგლთჟაა** არეე-დარეეა, მიყრა-მოყრა. **ადგომაა:** ~ **მე დგრე, მივდ** (ვდგები და მივდივარ); **პალა აღრი, პაბე** დგრითა? (ქერ აღრეა, რატომ ვდგებით?); **პარ დილაზე** დგროდი, წყალ მოფტანაედი (ყოველ დილას ვდგებოდი და წყალი მომქონდა); **ხუალ იმთაეი** აადგომევეარ (ხუალ დილაადრიიანდ აედგები); **ლაშეელა** რუდექ (ლაშინანდ აედექი), **წეველ;** **შენ პაბე (რატომ)** აადქეი?; **აღეა (ადექი!);** ჩემ ადგომინესას (ადგომამდე) **შენ ცეცხლ დანთ!**; **მი მ ლ.** ანადგომ ამდგარი; **ფეეზე** ანადგომ ნ. ფეე; **ზ მ ნ.** აადგომელა ასადგომად. ~ **აადგომელა** არ მიშომს ('ასადგომად არ მიშეებს', ადგომის ნებას არ მაძლევს); **უოუტდგომელა** აუდგომლად. ~ **ჩემ უოუტდგომელა** არ ადგე! (სანამ არ აედგები, შენ არ ადგე!); **ყაბარ ადგომაა ნ.** ყაბარ.

**ადევაა ნ.** ადრევაა.

**-ადინა [აზ. ადინა=სახელობის]** ნაწილაკი, დავრთვის არსებით სახელს და ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს. ~ **შენ თაე** დაადინა კი აარ, დეკაადინა მინდ (შენ დად კი არა, ცოლად მინდხარ); **აკუქეაა** კარეეადინა გოტქეთეეი (ფანჯარა კარებად

გაუკეთება); ჰაბე მამუშიწვა ჰეჭთონს, ეშაქანინა ჰაბე გამხნდი? (რატომ მამუშავებ ამდენს, ვირად რატომ გამხანდე?).

ადოუვვა იგოევა, რაც აცახევაა. ~ ქინზ, ტორანუტ (კამა), რუჰანდ, ქონდარ...  
დობურევაში დოყდევის; ქინზ უმ (რომ) ადოყდევის ი, იმხ-დაქრეფენ, გომოქუნზენ, აგდევენ ფაყლაში (ლობიოში); შ ი მ ლ. ანადოყვე იგოევა, რაც ანაცახევე (ნ. აცახევაა).

ნ. დოყ.

— ადოყება ბალახეულის, ბოსტნეულის ან ნათესის ტანის აყრა, კარგად გაზრდა (იციხ ნესტიან და მეთად ნოყიერ ადგილებში გ ა ჩ.).

ადრვაა, ადევაა დატვირთვა, ტვირთის დაღება, აკიდება (ურემზე, საქონელზე). ~ ეშაქზე შიშას ჰუდრევენ (ვირზე შეშას უდებენ); ურმევე მაფონან, ირმევეს აადრვართ (დაუდებთ); ვრ მუერმევე მოდის, ზედაც ბეტრ აუდრვი (|| ოუდრვი, || ოუდევი); შ ი მ ლ. ანადრჷ, ადრ(ვ)ულ დატვირთული.

— ურმის დაღება მ ე ნ თ.

ადრ ადრე ~ ადრ გამნალუზ ვარ, მეზინეც (ადრე გამოდევინებული ვარ, მეძინება); დეველ ადრ ნუმ დახზრე, მუქიანაა (ნ.) ვეტუან (დეველი ადრე რომ მოიგებს, მუქიანას ვეტყვიან); ადრი ადრეა. ~ ჰალა ადრი, ნუ წუალთ! (ვერ ადრეა, ნუ წუალთ!); ადრიან ადრიანად. ~ ხუალ დილლაზე ადრიან ადგომევეარ (ავდგები), ფურ მაფრლორ-ვარ (მოვწევი).

ადრეულაა, ადრეულაა საადრეო ხილი (ეაშლი, მსხალი, ბალი, შინდი, თხილი და მისთ.).

— ადრეულაა ქ ა ნ.. საადრეული კ ა ი შ., ადრეულაა თხილის ჯიშია შ ა ნ. რეც.

ადრევეა ადრეება. ~ მაგრა აადრევეარ (ავადრელებ) წყალს; შ ი მ ლ. აადრეველ ასადრეებელი. ~ ჩეა აადრეველ დროას (ჩაის ადრეების დროა); აადრე ადრეებული; მდურარე. ადრეუანევაა ნ. დადრეუანევაა.

აე აი ეს; აი ამ. ~ აე ქალ შენია? (აი ეს შენი ქალიშვილია?); აე კაცმა შენ ჰაბე გეჭა? (აი ამ კაცმა შენ რატომ გცემა?).

— აი ამ გ ი გ., თ ო ფ., ქ ა კ ა. (ფშ.).

აეგ აი ეგ. ~ აეგ მამა! (აი ეგ მოიტანე!).  
ნ. ა-

აეგ(რ) აი ეგრე. ~ აეგრ უთქომ.  
ნ. ა-

აემ იგოევა, რაც აამ (ნ. ა-). ~ აემ დროზე ექ ვიქნე; აემ დუნუაში ემეურა ლამაზ ქალ არ ყოფილ (ამ ქვეყნად ასეთი ლამაზი ქალი არ ყოფილა).

აემაგ(რ) ნ. აამაგ(რ).

აემა(ს) ნ. აამა(ს).

აემი ნ. აამი.

აემმეტ ნ. აამმეტ

აემეურაა ნ. აამეურ(აა).

აემმეტ ნ. აამმეტ.

აეს აი ეს (ნ. ა-).

აექ, ეექ იგოევა, რაც ააქ (ნ. ა-). ~ შენ დამიზახ, შე აექ დაებადდე (აი აქ დავიბადები, გავჩნდები).

აექავროვაა აი აქაურობა. ~ აექავროვაა ეემისი (აი აქაურობა ამისია).

ნ. ა-

აექაა(თი), ეექაა(თი) აი აქედან. ~ აექაათი დაქარაგ!; ეექაათი მოჰშორ! ნ. ა-

აექივე აი ეს ადგილები; აექივეში აი ამ ადგილებში. ~ ისფირა ღერაა (ერთგვარი მუწუკია) გომოდის აექივეში, ყურთან ქრშ.

ნ. ა-

აექრამდინ, ეექრამდინ, ეექამდინ აი აქამდე. ~ აექრამდინ შამილ! (აი აქამდე მომიტანე!).

შდრ. ააქრამდინ.

ნ. ა-

აეხლა, ეეხლა აი ახლა. ~ აეხლა თუ არ მოვდა, დაა არ მოე (შაშასადამე, აღარ მოვა); ეეხლა კი მააყლოვარ შენ თაე (აი ახლა კი მოგყავე).

ნ. ა-

— დ ო ლ., ეეხლა შ ა ნ. გვეს.

ავად ზ ე დ ს. სნეული, ავადმყოფი. ~  
 აა შულო, ერ ზეა დამალეენ (ერთი,  
 რძე დამალეიენ), ავად ინსან (ავადმყოფი  
 ადამიანი) ვარ. გულ იწრვისაჲ (იწრ-  
 ვენაო); ავადი ავადაა. ~ ბეზრანთა  
 მიედ, ბებრაა ავადი (ბებრიანთას მიედლე-  
 არ, ბებია ავადა); ავად გაჯლოჰაა. ~  
 მაგი დალევის უჟან ავად აღარ გააჯლო-  
 მენარ (მაგისი დალევის შემდეგ ავად  
 აღარ გახდები); მე ტიფით ავად გოჰჷ  
 (გავხდი); შენ ამაშინ ავად გაჷ (ავად  
 გახდი); ოთხდენა ველდამ ავად გო-  
 ჰგით (ოთხდევ ამხანაგი ავად გავხდით).

ავადყოფაა ნ. ავადყოფოვაა.

ავანჯ თოჯნე გასახმობად აცმული თამბა-  
 ქოს ფოთლების ასხმულა. ~ თუთუნის  
 ფოთოლს ვიშზე (კანაფზე) ნემსით არი-  
 გევენ (აცვამენ), დარიგეტლ (აცმულ)  
 თუთუნს ავმოვენ, გაჯმოვას უჟან ეემ  
 ვიშევის ერთა ჰკრონ (ერთად კრავენ). ემ  
 ერთა შანაკარ (შეკრულ) თუთუნის ვი-  
 შეჯ ავანჯ ეხანინა.

— შ ე ნ თ., ჰევენგი ნ ი ე.

ავანც [რუს.] ავანსი. ~ ავანც გამმინერ!  
 (ავანსი გამომიწერე!).

ავანც(რ)ევაა, ავანცრაა აანცება, ცელქო-  
 ბით ავლება, არეუ-დარევა, აობრება.  
 ~ მე შინ არ ვიყავ, ყმაწულეეს (ბავშ-  
 ვებს) ჩემ სახ-კარ ოტუანცირაყ (აუცლიათ,  
 აუობრებიათ); ეევიანცრა (ავობრებინა)  
 ლოს ექაეროვაა; ჩემ სკამევე ჰოგო  
 (როგორ) ავივანცირიყა!

— ავანცება ჰ ა ნ., აანცება ჰ ა ე თ.

IV, აონცება ჰ ა ჟ.

ავარაა [აზ. ავარა] დედალი ზაქი, ფურზაქი.  
 ავატყოფ ავადმყოფი.

ავატყოფოვაა, ავადყოფაა ავადმყოფო-  
 ბა; ზ ე დ ს. ავადყოფაჲან ავადმყოფი;  
 ავატყოფოვაა გაკრაა ნ. გაკრაა.

ავსევაა, ავსრევაა, ატხევაა, აუსრევაა  
 აესება. ~ გოზაურით (ნ.) წყალ ატსრეს  
 (ავსება); ტყავ გაჯდენი, ბზეამი ოავსეე  
 (ავავსება); ყალიბ ატსუ (აუვისა); თოფ  
 ავსრევაა თოფის დატენა.

ავსტრალია თუთუნ თამბაქოს ჭინია ერთ-  
 გვარი, ხშირი და გრძელი ფოთოლი  
 აქვს.

ავლუა, აღლუა [აზ. აღლ, აღლუ] შხამი. ~  
 ჩემ მანალეე ხორაგში ავლუა კი არა,  
 ნუმ არ შქამ (ჩემს მოტანილ საქმელში  
 — შხამი კი არაა, რომ არ სქამ); ზ ე დ ს.  
 ავლუჲან შხამიანი. ~ ავლუჲან გრლ  
 (გეული); ზ ზეა გრლმა დალივა, ჰეგ.  
 ვიე, ავლუჲანი (შხამიანი), შოა დაე-  
 ლეე, რადე კიქნეე, ვიქნეე (რაც მო-  
 შივა, მოშივა); გრლხოყერას ავლუა  
 არ აქ, არ იქინეევის, ამმა (მაგარამ) ცხე-  
 ნიმგრლ (ნ.) კი ლაფ ავლუჲანი (ძალიან  
 შხამიანი); ავლუა არევაა ლეარძლის,  
 მტრობისა და არეულ-დარეულობის შე-  
 მოტანა. ~ იმ ქალმა ჩონ ოვდში ავ-  
 ლუა არივა.

— შ ა ნ. რეც.

ავჩიბ ნ. ოტჩიბ.

აზად [აზ.—თავისუფალი]: აზად გაჰქ! თავი  
 დამანებე! მოშორდი! მომცილდი!

— აზატი თავისუფალი ჩ უ ბ., შ ა ნ.  
 ვაე. III, ხ უ ბ., აზატი, აზადი ჰ გ ლ.

აზარ [აზ. აზარ] 1. დაავადება, სნეულება,  
 ავადმყოფობა. ~ ყარაბაზზე (გაზაფ-  
 ხულზე) კირან (ხნავენ) მიწას, ავდევენ  
 ფაჰზიბე (ტოვებენ შემოდგომისათვის)  
 ფაჰზამდინ, რაც აზარ არის, დიწვე  
 (დაიწვევა); ზ ე დ ს. აზარიან. ~ შარს  
 აზრიან წელ იყო (შარშან ავადმყოფობის  
 წელი იყო); აზარში ჩავარდნაა მძიმედ  
 დასნეულება;

2. გა დ ა ტ. საწყევარი სიტყვაა:  
 კირი! ყანდაბა! ~ ჰა აზარმა მოგიყრნა?  
 (რა კირმა მოგიყვანა?); შეამ მოჰქდ ზე,  
 რა აზრიბე ჩოტგავი! (რატომ არ მოგყ-  
 ვდები, რა კირად დავგავი!).

— კირი ი მ ნ.

აზარ-ბეზარ [აზ.] ყოველგვარი სნეულება,  
 ავადმყოფობა; აზარ-ბეზარში ჩავარდ-  
 ნაა იგივეა, რაც აზარში ჩავარდნაა  
 (ნ. აზარ, მნიშე. 1).

შდარ. აზარ.

აზიზღელაა შეზიზღება. ~ დღევანდელ  
 შიქმელ კა არ ეყო, ემეზიზღლა (შემე-  
 ზიზღლა).

აზინქაა, შაზინქაა, დაზინქაა აკიდება.  
 ადება (ძმობე ტვირთისა), მაგარად დატ-  
 ვირთვა. ~ ჩემზე ერ რაქწორ ტუმარაა

ზინქეს, ნაპურკულევ გემედინა (ერთი იმოდენა ტომარა ამკიდეს, რომ ნაწლავები დამაყრევინა); რაქწორ თუნგ შაჭზინქია (რამოდენა თუნგი აუცი-ღებია!); ურემ რა მაგრა დოჭზინქია; აა შულო, ჩემზე ნუ შაზინქუხარ (ნუ ამკიდებინარ), ჩომოა!; ატღევი (ნ. ადრვაა) ტუმარაა, დაზინქულ, მიე (მაგრად დატვირთულა და მიდის); ჩემ-ზე ერ რაქთონ (იმდენი) შალაყ (ნ.) შეე-ზინქაყ, ზლიე წოად (ძლიეს წაველე); ეშაქზე დედამიწა (უამრავი) პურ ღეე-ზინქაყ.

**აზლაყ, აზლაგ** [აზ. აზლხგ] 1. იგივეა, რაც კაწ, მნიშვ. 1. ~ ღობეა დოტლა-გიაყ, აზლაყ გოტქეთევიყ;

2. ბრინჯის ნათესში კობიდან [ნ. კობ (1)] კობში წყლის გასასვლელად გაყეთებული პატარა ქდე. ~ კობეცს შუადათი ყბაა (პირს) უსხნით, არხით წყალ უშომთ (უტშეებთ), წყალ ვეგეის (ეფინება) თახტეში (ყვლებში), ეემას ეტყუან აზლაყ ჰე (ან) კაწ.

[სინ. კაწ., მნიშვ. 2].

**აზნაურ ტ ო პ.** ადგილის სახელი მდინარე ქურმუხის (ნ.) ხეობის მახლობლად. ძველად აქ სოფელი ყოფილა, სადაც, ხალხის გადმოცემით, აზნაურებს უცხოვრიათ. ახლა კი მხოლოდ ტყე, საძოვრები და სახნავი ადგილებია.

**აზრახევა** ალაპარაკება (ალაპარაკებს). ~ **ზალ** (რძალი) მამამთილს, დედამთილს, დიდ მავლს არ ზრახავს იმ დრომდინ, რა დრომდინაც დედამთილ-მამამთილ არ ააზრახევენ (ალაპარაკებენ) მამებ ააზრახნი, თავიზე უჩუმრა იღვა (რატომ აალაპარაკე, თავისთვის ჩუმად იღვა).

**შდრ. ზრახტაა.**

— **ძრახხ:** ასძრახხ, ასძრახხდების, აძრახხომა შ ა ნ. გვეს., ამძრახხება ძ ი ძ. ყაზბ., აძრახხება ქ ა ჯ., აძრახხდება, შაძრახხება კ ა ი შ., აამძრახხბ ს ქ ი ნ ქ.

**აზრიან ნ. აზარ, მნიშვ. 1.**

**აზუა** ხველების ერთგვარი წამალი .

**აზღუნ** [აზ. აზლხნ] გაბღინძული, ქედმა-

ღალი, ამპარტავანი; || სასმელ-საჭმელი უზრუნველყოფილი, კარგი ცხოვრებით განებიერებული. ~ ბუთუმ რამ ნაქნარ ინსანზე იტყუან: აზღუნაყ, სხტ რამ არ მოაწონსაყ, თუთან ბევრ აქე (ყველაფრის მქონე ადამიანზე იტყვიან: გაბღინძულიაო, სხვისი არაფერი არ მოსწონს, თვითონ ბევრი აქეცო).

**აზღუტ, აზლოტ** იგივეა, რაც ბაგალაა, მნიშვ. 3.

— მ ე ნ თ., აზღუდი ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ჩ ი ქ ო ბ., აზლოტი ქ ი ნ ქ. ხეეს.

**ათაბაბაა**, ათაპაბაა [აზ. ათა-ბაბა] მამა-პაპა, წინაპრები. ~ ათაბაბაა მისალაას: კტუ ცხენს უჯან წავე (მამა-პაპის ანდაზაა: 'ყვიცი ცხენს გააყეებაო', კვიცი გვარზე ხტისო); ზ ე დ ს. ათა-ბაბურ, ათაპაპურ მამაპაპური.

— მ ე ნ თ.

**ათავენეა ნ. თაენოვა.**

**ათაპაბაა ნ. ათაბაბაა.**

**ათართარევა ნ. თართაროვა.**

**ათადარ 1.** ჭაგრცხილა. ~ ათადარი საჭრეა.

— მ ა ყ ;

2. ტ ო პ. ჭაგრცხილით დაბურული დაბალი და გაუვალი ტყე სოფ. კაქთან ახლოს. ~ ფიჩხ დააქრელა (დასაქრელად) ათადარში წყველ.

**ათადარიან** ჭაგრცხილით დაფარული ადგილი, ჭაგრცხილის ტყე.

**ათეფლ ნ. ათეტლ.**

**ათეთრევს** თეთრად ანათებს, თეთრად ელვარებს, თეთრად ქათქათებს. ~ ეზოში ერ ქტაა გოქ, შორისაათი ათეთრევს ლამი (შორიდანვე თეთრად ანათებს ლამით); იხედვიან დერიაში (ზღვაში), ხედენ, ერ რამ ათეთრევს (რალაც თეთრად მოჩანს, თეთრად ანათებს) ზირზე; დილაზე ოტღექ (ავღექი), ნოხ, თოვლ ათეთრევს; ყირავ (კირხლი) დილაზე თოვლივი (თოვლივით) ათეთრევს; დღე (დღეს) ჩემ ტამსმუშ (ტანისამოსი) და-მირეცხი, თეთრა ათეთრევს (თეთრად ქათქათებს); ათეთრევდა ქრისტოს (სა-კუთარი სახელია) საყულოა; ათეთრევს

თოლევს იტყვიან, როცა კაცი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, თვალის კაკლებს აქეთ-იქით ატრიალებს, ანდა თვალებს პრაწვეს და მის თვთრ ნაწილს აჩენს. ~ ჰაბე ათეთრევა თოლევს?; თოლევ დათეთრა.

შღრ. აწითევენ; აყუთევენ.

ათელაა აწუწ დაწუწვა, აბურღვა (ძაფრისა და მისთანათა). ~ კელი შულოა, ბაწრი ციფ (ნ.) რუმ ათთელევის, იტყუან — გომოგევაა (წვეერის პოენა და ამოხვევა) უნღ.

ათუშუა, ათველ პურის ყანაში ერთად დაღმული მომკილი პურის 10 ხელეური (ზოგაერ ხელეურის რიცხვი ნაკლებიტ შეიძლება იყოს — 5, 6, 7 და პეტიტ — 16, 20, 22, მაგარამ მას მიანც ათუშლს უწოდებენ).

— ათუული ქ ი ნ ქ., ვეა, ერთად დაღმული თერთმეტი ძნა მე ნ თ., ქ გ ლ.

ათუშაქ ათაშანგი. ~ ათუშაქ შაყყრაივ.

ათივეა შესრულება, ასრულება; რაიმე საქმის ბოლომდე მიყვანა, გათაება. ~ თქ : ნ ერ დღე ვადაა მეწეცით, მეორე დღე თქ : ნ ნათქომს ავათივე (შევასრულებ); შენ ამას ვერ აათივეხარ (შენ ამას ვერ შეასრულებ); ჩემ ნათქომ ქართული (სიტყვა) ათავედვის (ასრულებ); ერთიღ მრგოკლას, სამ უათივედით (ერთიღ რომ მოგვეკლა, სამს შევასრულებდით); ერ კურჩაა ათადა (ერთი კვირაა შესრულდა); ბუთენი მეთელე ვემურაათი კაგორა ათაველს! (ყველას სურვილი ასე კარგად ასრულდეს!); შენ ნათქომ ამითივეი (ამისრულებია); წინდამი ერ კრელ (ნ.) ამითივეი (გამითაება), მეორე კრელს ვიწყოვ; ცხრა თუ ათივეაში ჩემთან მოლა! (ცხრა თვე რომ შესრულდება, ჩემთან მოლა!); ზ მ ნ ზ. აათივეელა შესასრულებლად; გასათაებლად. ~ წელ ათივეელა ოთხ დღეა დგას ყოფილ (წლის შესრულებას ოთხი დღე აქვდა თურმე); თარიღ ათივეაა; თარიღ ამითივეი ჩემი სიკვდილის დრო დამდგარა.

ათითაა, დათითაა საკმელში თითების

ჩაყოფა და ისე ჰამა. ~ თაფაა ათითა, შიგ დატრიავა გელეე, აღარ ჰმშქომ, ემე-ზიზღდა; მი მ ლ. ანათით თითებჩაყოფილი (საკმელი). ~ მაგი ანათით რამ მინდა!

დალდალან [აზ.] 1. იგივეა, რაც ჰაკაჲ. ~ დალდალან ლაფ (ძალიან) მაგარ ხეას (ხეა), თოფი ტყუტრა არ უქდევის (ეერ ატანს), ტყუტრა უკანაყ ბრუნდევის;

2. დალდალანის ხის ნაყოფისაგან. გაკეთებული მძივიეთი რამ ავგაროზი, რომელსაც უმეტესად ბავშვებს ჰკიდებენ ყელზე იმისათვის, რომ მათ გუამაისა და ავი სულის თვალი არ მოხედუთ.

დალენევაჲ ნ. დალონევაჲ.

დალერღნაჲ დაღრღნა. ~ ზოლეს დერღნავს; მ ი მ ლ. დაღერღნულ დაღრღნილი.

დაღირევაჲ 1. დაღირება, დაღერება, მოღერება; დამიზნება. ~ ქალ გამააქს ებით თათანეას (იღებს ზობიდან დამიზანას), პატრა ზმას გულზე აღირევს; თოფ დაღირა, მოკლა ღორ.

— დაღირებას ა ბ ა, დაღერება ჩ უ ბ., დააღირებს კ ი ნ ჰ. ვაჲ, დ ო ლ.;

2. თავის აღება და სადმე წასვლა. ~ დაღირა, წაუდა მზზზბლტრისა (მეზობლებთან).

დაღირსევაჲ მოულოდნელად მოსვლა, გაჩენა სადმე. ~ ექ სადათი დააღრღსდი შენ, რამ მავიყონა? (აქ საიდან გაჩნდი შენ, რამ მოვიყუენა?).

— დაღირსება გაჩენა: დააღირსა ყმაწული (დაიბადა, გაჩნდა ბავშვი) ი მ ნ., გვ. 196.

დაღირსეულ ზედმიწევნით მსგავსი, ზედგამოჭრილი, პირწყურღნილი. ~ ი ქალ დაღირსეულ ნუცა ეყო (ზედგამოჭრილი ნუცა იყო).

დაღონევაჲ, დაღუნევაჲ, დაღენევაჲ იგივეა, რაც დაყენევაჲ. ~ კარეზე ალონევს (|| აღუნევს) ორ ყარაღლს; გზაზე ცხენს აღუნევს; ქორწილში პატარხალს აღონევენ ფეყზე, დაქდობაჲ არ იქნევაჲ; ფულან შაარში ნაქნარ გინერალ თავ გააყონეხარ, იმი ადგილზე ჩემ თავ დააღონევეხარ (|| დააღონეზეხარ, || დააღუნეზეხარ) (ამა და ამ ქალაქში მყოფ გენერალს გადაყენებ და იმის ადგილზე მე დამაყენებ); ეზლა ჩენ თავ ექ დააღონეველი (ახლა ჩენ აქ დაგვაყენებენ); ფლავ დემზე დულენ (ფლავი დამზე დავაყენე);

ასკარ ეერგაში დააღონა (ჯარი მწკრი-  
ვში დააყენა); შაჰისმაღლა (საკუთ. სა-  
ხელია) დააღონეს ფარჩა (დააყენეს ხე-  
ლმწიფედ); დააღონა დათქნიარევაჲ  
(‘დააყენე’, შეაჩერე რა მთქნარება!);  
ეერგაჲ კარგა დავიღუნევი; ღემზე და-  
ღონევაჲ (დაღენევაჲ) იგივეა, რაც ღემ-  
ზე დაყენევაჲ (ნ. ღემ); ყბაჲ დაღენე-  
ვაჲ, არ აღენეეს ნ. ყბაჲ, მნიშვ. 1.

**დაღოქაჲ** დაქმუქნა. ~ ჰაბე ემაგრ ილო-  
ქქევა (ასე რატომ იქმუქნება) ე ჩემ კა-  
ბაჲ?

**დაღრაჲ** დაღვრა. ~ ესტქან (ქიქა) იგე-  
ჩეე (ტყდება), ღწნრაჲ იღრაჲ (|| იღრა-  
რის) შიგაჲთი; კოქობ გააჭეჩეი (გატ-  
ყდება), თაფლ დაღარღლი (დაიღვრე-  
ბა); ნახუერ დაღია, ნახუერ კი დაღო-  
რა; ერ ჟამ წყალ დაღლორა (|| დაღლო);  
ე ზეჲ შენ დაგიღრუ (ეს რძე შენ დაგი-  
ღვრია); ბექმაზ დაღრულ (დაღვრილა).

**დაღუღუღევაჲ**, აღუღუღევაჲ კანზე ლუ-  
ღუღების გაჩენა (ნ. ლუღუღ), კანის  
დაფორეება. ~ ეინჭარ დაწოვაში ლუ-  
ღუღლე ინსან, ლუღუღ-ლუღუღ ქე-  
პტეე (ეინჭრით დასუსხვისა კანზე ლუ-  
ღუღებს აყრის ადამიანს); ბალღუქ  
(ბაღლინჯო), მუჩაქ (ყოლო) რომ ჰქმე-  
ნავს, აჰმაშინ ამბოეენ: ლუღუღ-  
ღუღუღ ექნივარ, დაღუღუღებუარ;  
ეინჭრი (ეინჭრისაგან) დანაწოე აღ-  
გილ აღუღუღეღ.

[სინ. ლუღუღ-ღუღუღ ქნაჲ, ნ. ლუ-  
ღუღ].

— დაღუღეება ჩ უ ბ.

**დაღუნევაჲ** ნ. დაღონევაჲ.

**დაღუბაჲ** დაღუბა. ~ ე სემა ზმაჲ  
დააღუბელი ჩემ თაე (ეს სულელი ძმა  
დამღუბავს მე); ეს არ ყოფილიყოს,  
დოჲღუბეოღიე (დავიღუბებოღიო); აჲ  
ზმაო, რაბე დოვღუბი? (რატომ დაგე-  
ღუბე?).

**დაღუჭლაჲ** ერთგვარი ავადმყოფობა, უქე-  
ფლო, შეუძლოდ ყოფნა (მეტწილად უკ-  
მელობით ანდა გაცივებით გამოწვე-  
ული. ამ დროს ადამიანს მადა ეკარგება  
და ტუჩებზე გამოწყარა უჩნდება). ~  
შერ დარჩომაში, შაიყევაში, გაცხელე-

ვაში, რახანც ინსან (ადამიანი) იშტაჲთი  
იჭრევის (მადას კარგავს), ან ღამეტლა  
(დილაადრიან) ამღვარ, შერ წასულ, ინ-  
სანს უჩუღეე (მუწუეები) გომოდის  
ლოღაღეე (ტუჩებზე), აჰმაშინ ამ-  
ბოეენ — დაღუჭლუ; დაღუჭლაში აჰმა  
(შაბს) აღეენევენ.

ნ. ღუჭლ.

— ჯ ა ნ.

**დაღქეჩიჲ** [ახ. დაღ ქეჩისი] იგივეა, რაც  
ქოტქარ.

**დაღჩეჲ** (სიტყვ. - სიტყვ.: მთის ჩაი) მცე-  
ნარეა ერთგვარი, რომელსაც ჩაის მა-  
გივრად ხმარობენ.

[სინ. თიურ (თი) ჩეჲ].

**დაღჩოვაჲ** ნ. დაგჩოვაჲ.

**დაღწეე(ნ)აჲ** ნ. დახწეე(ნ)აჲ.

**დაყაბრევაჲ**, აყაბრევაჲ ბებერების, კო-  
რძების გაჩენა, დაყოფრება. ~ გელეე  
დაყაბრევი (დაყოფრებია); შ ი მ ლ.

**დაყაბრეტლ**, აყაბრეტლ დაყოფრებული.  
ნ. ყაბარ.

**დაყათიევაჲ** ყათების გაყეთება ტანსაცმე-  
ლზე ([ნ. ყათ (1), მნიშვ. 3). ~ კაბას,  
მუქასარს (ნ.), არხოლოღს აყათიევენ  
(ნაყეეებს უყეთებენ).

**დაყალიბევაჲ** 1. იგივეა, რაც ყალიბ ქმაჲ  
[ნ. ყალიბ, მნიშვ. 1]: „[შალს] მოქ-  
სოვის შემდეგ სკირდება შათელაჲ ანუ  
შათელტაჲ. შესათელათ აგრეუვაღედ-  
ნენ წყალს და ასხამდნენ სარეცხის გე-  
ჟში, შიგ აგდებდნენ შალს, სდგებოდ-  
ნენ ზედ შიშველი ფეხით და დილითგან  
საღამომდინ სთელავდნენ... [შემდეგ]  
ხის სწორე ტრტზე ჰკიდებდნენ, ბო-  
ლოებს ყბაჲ-ყბაზე ჰკრეფავდნენ (ბო-  
ლოებს ერთმანეთზე აყერებდნენ), შიგ  
სდებდნენ ხოლმე ერთი მტკაველის სი-  
განე ფიცარს და ფიცარზე აწყობდნენ  
ქუეეს (ქეებს), დაწაფულთ გაშრეს, და-  
ყალიბდესო. ერთ დღე-ღამეს ყალიბში  
რჩებოდა და შემდეგ სხინდნენ ხოლმე“  
(შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); ბალახ დაყალი-  
ბეტლ (|| ყალიბში გამოსულ) (თიეა  
დაპრესილა, დაწეხილა).

[სინ. ყალიბში გ(ი)მოსტლაჲ (ნ. ყა-  
ლიბ, მნიშვ. 1);

— გაყალიბვა ნ ი ე ;

2. იგივეა, რაც ყალიბში გ(ო)მოტანა (ნ. ყალიბ, მნიშვ. 1);

3. ნ. ჩაყალიბება.

**დაუაბევა** დაობება, დაფორება; დამძალბა. ~ კონაგურ (ნ.) თუ არ გააგმეს, ყაბდვის (ობდება, ფორდება); გმელ თუთაა გააკეთებულა (გამხმარი თუთის გასაკეთებლად) თუთას ფიცარზე ჰფენენ, აგმოვენ, მევლნი (მერმე) თორბევი ინახენ, ჰაერზე ჰკიდებენ, არ დაყაბდეს, შიკმელა ვარგ იქნესავ (რომ არ დაობდეს და საკმელად ივარგოს); მ ი მ ლ. დაუაბეჯღ, დანაყაბეჯ დაობებული; დამძალბებული. ~ დაყაბეჯულ თხილ, ყაბალ, წაბლ, ფაყლაა (ლობი).

ნ. ყაბ.

— მოყაბვა მენტ.

**დაუაბევა**, **დაუაბევა** 1. ყაბიდან ძათის ამოხვევა და პატარ-პატარა მუგლებად (ნ. მუგლ, მნიშვ. 2) გაყეთება. ~ ყაბ დაყაბევი? დაყაბევა ყაბ მუგლ გააბეეთება.

ნ. ყაბ;

2. წყალში რისამე დარბილება-დაობება და მოპრუწვა. ~ ქალზე წყალში დაყაბეჯღ, დაბილუჯღ.

— დაუაბევა დაობება მ ე ნ თ ;

3. გა და ტ. ძალზე გახდომა და გახდომისგან პირისახეზე ნაკების გაჩენა, დაპრუწვა, დაპრანჭვა. ~ ე ყმაწულ ჰათარ წამდარა, ჰათარ დაყაბეჯულა! (ეს ბავშვი როგორ გამხდარა, როგორ დაპრუწულა!); პირ ჰათარ (როგორ) დაყაბეჯევირა!; მ ი მ ლ. დაუაბეჯულ დაპრუწული, დაპრანჭული. ~ ინსან (ადამიანი) თუ დაპრუწულ, დაბერეჯღ ლაფ (ძალიან), ამბოვენ ლაფ დაყაბეჯღ პირი სტუთათ (პირისახე) აბეჯ (აქესო).

**დაყეთება** ნ. დაბეეთება.

**დაყელაა**, **მენაჯი** დაყელაა შეყელვა, ვაზის რქის სარზე მიკვრა. ~ მენაჯ ააგა კიგოჯთი, მევლნი (მერმე) დაყელა, მოწამლა; ვაზს ქაა (რქა) ნუმ (რომ) აქ, იმას მოოდრეკავ, დაამბავ — ეესი მენაჯ დაყელაა; მ ი მ ლ. დანაყელ შე-

საყელაი; შეყელი; შემყელაი. მენაჯ დანაყელ ქერქ.

შღრ. შაყელაა.

— დაყელვა ჯან.

**დაყენება** დაყენება; გაჩერება; დადაშა დაყენება ნ. დადაშა; ღემზე დაყენება ნ. ღემ; თავრიალ დაყენება ნ. თავრიალ (2); თამაშაა დაყენება ნ. თამაშაა; შიოვი კოკომ დაყენება ნ. შიოვაა; ჩარდახ დაყენება ნ. ჩარდახ.

[სინ. დაღონებაა].

(ღ)აყიევაა, (ღ)აყევაა აღიეება, თესლის მიერ ღივის გამოღება, გამოტანა. ~ დათესინება (დათესვაშდე) კიტრი თესლს აყიევენ (აღიეებენ); თესლ დააყიევა; დაყიედა (აღიედა); კიტრი თესლ დაგიყიევირა? ფაყას ღვი გაჯეშო (ლობოს ღვი გამოღლია), დაყიეჯულ (|| დაყეჯულ, || აყეჯულ); მ ი მ ლ. (ღ)ანაყიევი, (ღ)აყიეჯულ აღიეებული. ~ დაფარცხას უქან მალეჯთიავ (მამინევი) დანაყიევი (აღიეებულ) თესლს აყრიან.

[სინ. ომოყიეყიევაა].

ნ. ღვი.

— დაყიედა; აყიეება ჯ ა ნ., დაღიეება მ ე ნ თ.

**დაყირმაა** 1. საფანტის მოხვედრება. ~ ოფოფს თოფ ვესროენ, დაყირმა.

შღრ. დატუწევაა;

2. ვაზის ყვავილის მარცვლად ქცევა, ვაზზე ყურძნის მარცვლების გაყეთება. ~ ჩიჩქი რომ ღვეღწევი (ყვავილიდან რომ გამოვა) ყურძნი მარცოლ, იმას დაყირმას ვებნევით, ყირმაა ჰწო-ჰწორო კეპტევის მარცოლ იმამინ (საფანტის ოღენა ხდება მარცვალი აი მამინ).

ნ. ყირმაა.

**დაყლარტაა** დაუღმეკად ლუკმების გადაყლაპვა. ~ ჰაქწოსწორ (რამოდენა) ლუკმევის ყლარტაა? ინდაურმა დაყლარტა ბუთუმ (მთელი) სმინდ; ჩონ ლოდ (ლუღვი) დოჰტყლარტი.

**დაყოფაა**, **ომყოფაა**, **გაყოფაა** დარღება, დაყოფა, დანაწილება. ~ ზალ

ყონღევს ფლავს უყოფავს (რძალი სტუმრებს ფლავს ურიგებს, უნაწილებს); კალხოში თეთის ჰყოფადნენ (ფულს არიგებდნენ); ღორს გ(ო)-მოვშიგნავთ, გორც ჩონ დოყოფავთ (დაეყოფთ, დავინაწილებთ), ღუზლ, ფტრტს, შიგნარს, ფაშუღტარს (ღვიძლს, ფიღტეს, შიგნულს) დოჭყოფავთ (დაეურიგებთ) ზადღევს; ფქულს მე დავყოფავს (დაგირიგებთ); ერ ვაშლ მაქონდა, ბუთუმს დაჭყოფ (ყველას ვაუწყავი, ვაუენაწილე); ფლავ დოყოფა (დაარიგა, დუნაწილა); მამა თავი ქალევს ბუჭღევ დაჭყოფა (დაურიგა); მალე ქენ, შიქმელ დოყოფ (|| უმოყოფ) (დაარიგე), შიმშილი ჰქდრე (შიმშილით ეკვდები!); დოყოფან (დაარიგონ); იმათ გეექეთაჲ ტოლმა, ემეეყოფაჲ, დეეწყოფ ყონღევებე (იმათ ვაეეკეთებინათ ტოლმა, დენაწილებინათ და დეეწყოფთ სტუმრებისთვის).

**დაჲრღრვაჲ დაყვედრება.** ~ ერ ლუქმა პურს მაქმევენ, უკანი მაჲრღრღვენ (მაყვედრიან).

**დაჲრაჲ დაყვერვა, დაკოდვა.** ~ ცხენს ჰყარენ (კოდავენ); შიშღღ. დაყრღღულ დაყვერული, დაკოდლი. ~ მამალ ცხენს ულაყს ეზახიან, დაყრღღულს — ძაბუს; დაყრღღულ ღორ, ტანაჲ (ხბო), მრზრ (მოზვერი).

**დაჲრაჲ (1) იგივეა, რაც დახვენაჲ, მნიშვ.**

2. ~ მოლლას თაფლ წოღღი გააყიდელა (გასაყიდალ), ბუთუმ ხალყ ზედ ეყრვიან (მთელი ხალხი ზედ ესევა) ემ მოლლას; ორ ბუღღა იჭინევიან, ამ ორ ბუღღას ხალღ დამყერი, ამა ვერ აშრღრვენ ყოფილ (მაგრამ ვერ აშველებენ თურმე); ჩონ ფაქაჲ (ჩენი ხელმწიფის) სახლს, დუნუაზე (ქვეყანაზე) რაც ფრინეველ არის, ზედ დამყერი; ნ. ნაცარ დაჲრაჲ 2); საფქოვ დაჲრაჲ ნ. საფქოვ; სულ დაჲრაჲ ნ. სულ (1); ტბიღღ ენაჲ დაჲრაჲ ნ. ენაჲ; ნ. ფასონეღღ დაჲრაჲ; ფორსეღღ დაჲრაჲ ნ. ფორს; ყარაჲ დაჲრაჲ ნ. ყარაჲ; ჩანგაჲ დაჲრაჲ ნ. ჩანგაჲ; ჰუნარეღღ დაჲრაჲ ნ. ჰუნარ.

[სინ. დაღრვნაჲ; დასვენაჲ].

**დაჲრაჲ (2): გეზანგულა დაჲრაჲ (შაყრაჲ) ნ. გეზანგულა; ვეზაჲ დაჲრაჲ ნ. ვეზაჲ; ნ. ნაცარ დაჲრაჲ (1); ნეპრეღღ დაჲრაჲ ნ. ნაპერ, მნიშვ. 3; ტრრ დაჲრაჲ ნ. ტრრ (1); ყოვიღღაჲ დაჲრაჲ ნ. ყოვიღღაჲ; წითღღაჲ დაჲრაჲ: წითღღაჲ დემეყარა (წითღღამ გამომაყარა).**

**დაჲუღღ(ნ)აჲ, გ(ა)დაჲუღღნაჲ, (მო)ყუღღნაჲ** ორთავე ხელით მოხვევა, ხელის მოხვევით გულში ჩახუტება, ჩაკონება, გულზე მიკონება, მირქმა. ~ ქალგადას (ვას) ყუღღ(ნ)ავს (|| ყუღღნის); ისენ იყუღღნევიან; ქალმა მოყუღღა მამაჲ; დაჲყუღღნეს ერთმერთი თავ; მაჲყონით ჩემთან, ერ დაჲყუღღო! ზ მ ნ. დაჲყუღღნელა. ~ ჰამწოწორ (რამოდენა) გულეღღ გქა, უან ბებრა, ჰაბქა (რატომ?) — შენ თავ კაჲგორა დაჲყუღღნელა (შენ რომ კარგად მოგხეო).

ნ. ყუღღალ.

— დაჲუღღვა ჯან., ყუღღვა: მოყუღღვა, მიყუღღვა, შეყუღღვა თავის შეფარება (მიყვრით რამეზე) ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

**დაჲურაღღა 1. დაგვალვა.** ~ ეზოა დაჲყურაღღლა (დაგვალულა), ჰაბე (რატომ) არ ჰყენათ?

ნ. ყურაღღ;

2. გაღღატ. რისამე ძლიერ მოსურვება, ძლიერ მოწყურება, დანატრება. ~ დიდხანს რუმ არ უქამი ინსანს (ადამიანს) ერ რამ (რაიმე), ჰე (ან) ყარფუზ, ჰე ყურზენ, იმიბეც (იმაზეც) იტყუნ — დაჲყურაღღლა ფულან ინსან (დანატრებულა მიაინი ადამიანი), არ უქამიავ.

**დაჲუღღვაჲ 1. ნ. დაჲუღღვაჲ; 2. ნ. დაყიევაჲ.**

**დაჲუღღვაჲ, დაჲუღღვაჲ, მოყუღღვაჲ, მოყუღღვაჲ დაყიევაჲ.** ~ ყმაწულს უყუღღვს (|| უყუღღეს) (უყიევებს); ზადლს დოჭყემ, ჰეჩრამ არ საქენელი (ძადლს დაუყიევე და არაფერს არ გიზამს);



„ნინია“ დაუწყვეი სიტყრამ (დასაყვა-  
ვებელი სიტყვა): ფშოვ ნინია... ფშოვ!  
(ასე ეტყვიან მოფერებით ძროხას);  
ყმაწულებე მოყუტევა (|| დაჰუტევა).

[სინ. მოგურგულევაჲ].

— დაუოვება ქ ა ჯ .

დაუტრევაჲ, დაუტრრევაჲ, გაუტრევაჲ და-  
ყვირება. ~ ბითამდინ ვკლავთავ,  
კაცს ყასტიბე აყუტრევენ (|| აყუტრრევენ)  
(ვითომდა ვკლავთო, კაცს განგებ აყ-  
ვირებენ); მე რახანც ქეჩის დააყუტრ-  
ვიარ, იმაშინ გ(ო)მოლაჲ (მე როცა თხას  
დავაყვირებ, აი მაშინ გამოლდი)!; ერ  
რამწორ გამოყუტრ, ბუთუმ შაფხტინენ  
(ერთი იმოდენა დავიყვირე, ყველანი  
დაფრთხნენ); ქალს შეეშინდა, გაყუტ-  
რა (დაიყვირა); კაცმა მიცნო, დაყუტ-  
რა (დაიყვირა); თავი ფოლდაშვეს და-  
ჰყუტრაყ (თავის ამხანაგებს დაუყვი-  
რა); შორსათო დოტყუტრნი (შორი-  
დანვე დაუყვირა).

დაშათლაჲ შათალ წინდაზე ძირას ვამო-  
კერება (ნ. შათალ წინდაჲ).

დაშალაკევაჲ 1. შალაკის ზურგზე წა-  
მოკილება (ნ. შალაკ). ~ ერ შალაკ  
აჲკიდა, დაშალაკდა;

2. გაღატ. დაორსულება. ~ და-  
შალაკდა (დაორსულდა).

დაშანარევაჲ ნ. ჩაშანარევაჲ.

დაშანგლაჲ ზერელედ, უხეიროდ მოთი-  
ბეა. ~ ბალახი დაკაჰაში (ბალახის გა-  
თიბისას) ამბოვენ: ზეგზედთი (ზერე-  
ლედ, არადრმად) შანგლაგს ათელუ-  
ლოვით, კარგა არ დატეკი; ნე შა-  
ნგლაგ!

— შანგლა არეულ-დარეულად მი-  
თიბე-მოთიბეა ჯ ა ნ .

დაშანშოლაჲ შეკვე ნილის ან ცხარე რა-  
მის ჭამისას პირის დაშაშვრა. ~ ბუტრ  
ყევებ ქამაში იტყუან — დოშანთლ;  
ჰაქთონ (რამდენი) შუნდ უჰამი, და-  
შანთლულ, მასკადომელ (სასიყვდი-  
ლე).

[სინ. დაშაჰაჲ, მნიშვ. 2].

დაშანშოლაჲ ნ. აშანშოლაჲ.

დაშაჰაჲ 1. დაშაბეა, შაბით დამუშავე-

ბა (ტყავისა, ქსოვილისა...): ~ ტყავს  
ემეურა (ამგვარად) ჭმაჰენ: აურევენ  
ერთა შაჰ, მარალ, ფქულ, აყრიან ტყავს.  
ემი გაელომას უკან ჰფენენ, აშრო-  
ვენ. ეს არის დაშაჰაჲ. ტყავს ჭმაჰენ  
აჲმიბე (იმისთვის), რუმ ნუ გაფუტდ-  
სავ, თეთრ ფერზე დგევის, ათეთრევეს  
ტყავს, ამბილევს. ჰათარატუმ ქუაჲსა-  
ლაჲთი იქნეს (როგორი ქეჲსავითაც არ  
უნდა იყოს), შაჰ ამბილევს, დაშაჰას  
უკან ტყავ ფრავუნაჲ (ნ.) არ გამოდის;  
შაღბაში ადულტულ წყალში შაჰას ჩა-  
ჰყრი, თეთრ ბაწარს შიგ ჩააწრნავ, დაჰ-  
შაჰავ;

2. იგვეა, რაც დაშანთლაჲ. ~ ე-  
ვე შუნდ ყბას (პირს) შაჰავს, გეგონე,  
შაჰ გიქამი; კუპაროზ ნაქნარ (შაჰაჰ-  
ნინი) ყურზენიცი ყბას შაჰავს; ჭარ (გა-  
რეული) სხალიც ჭმაში ბყას შაჰავს.  
ნ. შაჰ.

— მოშაბეა ნ ი ე ., მოშლაჲჲა პი-  
რისი კ ა ი შ ., მოყერტა ს ა ბ ა .

დაშლაჲ: ~ მე ცხორს დასაშლევეარ  
(დაშული), თქინ ერგან შააგრევიტი!  
ნავ დაშლაჲ ნ. ნავ, მნიშვ. 1; მ ი მ ლ .  
დანაშალ დასაშლეული, დაშლადი. ~  
ჩათანაჲ (ნ.) დანაშალ რაჲმი (რამეა);  
ულოჲ შლეღ დაუშლეული. ~ შაჰფუ-  
რეზე აგეტლ შახვე (ნ. შახ.) ჩევის  
(რჩება) ნეფეს ულოჲშლეულ (დაუშლე-  
ლი); ზ მ ნ ზ . დააშლეღა დასაშლე-  
ლად.

დაშლ: ჰაჲ ნ. გაშლ: ჰაჲა.

დაშნოვაჲ, დაშნომაჲ, მოშნოვაჲ, მო-  
შნომაჲ მოხდენა (უხდება, შეენის). ~  
ეემას ე კაბა აშნუ; კაბაჲ ჩაჲყო, დააშ-  
ნდა; მ ი მ ლ . დანაშნომ, მანაშნომ,  
მანაშნოვ მოხდენილი, ისეთი, რომელიც  
უხდება. ~ დანაშნომ კაბაჲ; მა(ხ)ა-  
შნომელ, და(ხ)აშნომელ მოსახდენი,  
ისეთი, რომელიც მოუხდება; მოშნოვლი  
იგვეა, რაც დანაშნომ; ფევე მანაშნოვ  
ნ. ფევე; ფევე მოშნოვაჲ ნ. ფევე.

— მააშტო გ ი გ ., თო ფ ., ქ ა ვ თ .  
(ინგილ.).

დაშოლტაჲ, დაშოლტევაჲ საქონლის  
ტყავის შოლტებად დაქრა ქალამნე-

ბისთვის (ნ. შოლტ). ~ ქალმევე შაკენელა (ამოსასხმელად) ტყავს ხევეს (კრიონა), ამოლტევენ, ვესი (აი ესაა) დაშოლტაა.

**დაშრაკევეა** გამოშრობა, გახმობა, გამოფიტვა ~ ქეკაა შრაკდვის გაწურაში, შრევე; მიწა დაშრაკულავე.  
ნ. შრაკ.

**დაშრომა** დაღლა. ~ არსენაა შროვე (|| (შრჰვის) (იღლება); ქალ დაშრო, დაწო (დაიღლა და დაწვა); ზმაო, მე ექთონ (ამდენი) მუშოით დაშროვარ (დაველილივარ); მიმღ. **დაშროლ**, მასროლ მასვრალი, დაღლილი. ~ ჩონ მასროლ ვართ; ნაჰყანტს, ბევრ როგნავ, დაშროლ მიწას ებნევიან.

— ს ა ბ ა, ჩ უ ბ., დაშვრომაა უ თ უ რ გ.

**დაშუტევა** დასიყვება, შეშუტება. ~ ბრინვე თოლვეს აშუტევეს; პირსაღმოზე (ნ.) ბევრ ფლავ უქამი, დილაზე თოლვე დაშუტევეი; ყმაწულ დაშუტეტულ.

ნ. შუბ.

**დაშხუღვევა** ნ. შხუელი.

**დაჩათაა**, მოჩათაა [ახ. ჩათ(მაგ)] 1. გადაკერება, გადაბმა, მიბმა, შეერთება (ტანისამოსის ცალკე ნაწილებისა ერთმანეთთან — ზედატანის ქვედატანთან გადაკერება, კაბისთვის სახელოების მიკერება და ა. შ.). ~ მიფხავი (ნ.) ტოტვე ერთმერთზე დოტჩათი (|| მოტჩათი) (ერთმანეთზე გადაუკერებია); ზ მ ნ ზ. დაჩათელა გადასაკერებლად, გადასაბმელად. ~ ყაჰის კედს ზრლმრლის (შველ-ძეულის) დასაკერად, ახალი ტანისამოსის აალარგელა-დაჩათელა (დასაბლანდ-გადასაბმელად) და ბაწრი შალიბე (შალისთვის) შიგ საყარადაც (საზედაოდ) ხმაროვენ“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.);

2. ფიცრული სახლის აგებისას ხის კედლების ერთმანეთთან შეერთება, კუთხის ფიცრების ერთმანეთზე გადაღება.

ნ. ჩათაა;

3. ორი ნაწნავის ბოლოების ერთ ნაწნავად გადახლართვა, ერთმანეთში ჩაწვნა. ~ თმაა დოტჩათი;

4. გა და ტ. ძალიან დამეგობრება კუდი-კუდზე გადაბმა, გადასკვნა. ~ ესენ პოგო (როგორ) დაჩათელანავე, როგო ერთმერთთან დოსტ ქნილანა;

5. ჩხუბის დროს ერთმანეთისათვის ხელის მაგრად ჩაელება; ზაღლევ დაჩათაა ძალღების მძუნობა.

**დაჩანგლა** იგივეა, რაც დაფანგლაა. ~ ქორმა ქათამ დაჩანგლა; ერ ვაღამ (ერთმა ვაჟმა) წაქიდანაში მეორევე თვე დაჩანგლა (|| დაფანგლა); დუშმანმა (მტერმა) დაჩანგლა.

— ქანგი კლანჭი მხეცთა ან მონადირეთა მფრინველთა ჩ უ ბ., ქანგი არის მგეცთა ფერტის ფრჩხილი მოდრეკილი ს ა ბ ა.

**დაჩანჩლა** ნ. აშანშლაა.

**დაჩელთაა** გაჭირვება, გასიყვება (ხორბლისა, სიმინდისა, ბრინჯისა, ლობიოსი და სხვა მარცელუელისა). ~ ჩალთუქ (ბრინჯი), სმინდ, ფაულა (ლობიო), პურ წყალში დაღბოვაში იჩელთეა.

**დაჩერთაა** დასერვა, გაჭრა (სხეულისა, ხორცისა). ~ ზროხას დაბად ნუშ ეყრევ (თერქული როცა ემართება), მაშინ ფევი ქვილევ ქრშ (ფრჩხილებქვეშ) უჭრინ ხუთ-რქსგნი (ხუთ-ექესგან). ჩერთენ, ცოტა ფინ სისხლ ჩომოტდესა; სხო რამზეც ამბოვენ დაჩერთას: თუ ავრაა (იარა) გომოსულ, გაპჭრი ორ-სამგან, დაჩერთავე.

— დაჩალთვა წერილად დაჭრა, დაუწვევა მ ე ე ნ თ.

**დაჩირქევაა**, დაჩირქაა: იჩირქევე (იჩირქევის) ჩირქდება. ~ თუ ავრას ტორ (მტვერი), ჰუქე მოხტო, ავრაა იჩირქევის; იჩირქევე შიგ ზუზუა; ამან (ციმბირის წყლული) ფინ სატკივარი (ფინთი ავადმყოფობაა), ამამ დაჩირქაა არ იცის, გაშაედევ, უწინდელ კაპიევე რუმ იყო, იმი სწორა შიგაათო ომოვარდვის.  
შდრ. ჩირქ.

**დაჩირქნაა** ნ. გაჩირქნაა.

**დაჩლართაა** ნ. აჩლართაა.

**დაჩრვაა**, დაჩრვნაა 1. სწავლა (სწავლობს); სწავლება (ასწავლის). ~ მეც ოჩრვეარ ანაფრენ გოგობ მოკლაა

(მეც ვსწავლობ აფრენილი ხობის მოკვლას); გერ დედა თავი დოღმა ქალს ბჳთუმ რამს მალივი აჩუვს (|| აჩევს), გერ ქალმა არ გაგასავ (დედინაცვალი თავის ღვიძლ ქალიშვილს ყველაფერს ჩემად ასწავლის; გერმა ქალიშვილმა რომ არ გაიგოს); მოღმა ჩემთან, მე ერ ფენდს დაგაჩუვ (მოდი ჩემთან და მე ერთ ფენდს გასწავლი); შენ რახან დაჩუვენხარა ჩემზე რამს? (შენ როდის მასწავლი რამეს?); ურუსულ ცოპ-ცოტა დევეჩივ (რუსული ცოტ-ცოტა ვისწავლე); დამ ბჳთუმ რამ (ყველაფერი) უთხრა ზმას, ჰათარაც (როგორც) ეშმაკმა დაჩუვა (ასწავლა); აა კაც საპთყენ (საითყენ) წაჳდა, მე დამაჩივთ (მასწავლეთ) გზაჲ; ჰემანდ შენ ჰათარ გოხორი, დამაჩუვ, ეან (ნ.) გაღა (მანდ როგორ გახვედი, მასწავლე რა, ბიკო!);

2. დაჩევეა, გაჩევეა. ~ დეეჩუე (დაეჩევი);

3. გახედნა (ცხენისა, კეცისა). ~ ცხენ გაჩუვა.

ღარ ნ ვაჲ ჩეენება, მითითება.  
შდრ. ჩუნრება.

ღარჩუტა დაჩურეტა, დახურეტა. ~ ეებაჲ გაკეთებაში (ფიწლის გაკეთებისას) გიღს (ნ. გიღ, მნიშვ. 5) სატებით სჩორტენ, შიგ არიგევენ წაჩხუტულ ტოტევეს (შიგ უყრიან წაწვეტებულ თითებს).

ღარჩუტუკევაჲ ნ. ჩუჩუტუკევაჲ.

ღარულაჲ 1. ნ. ჩაჩულაჲ;

2. შეფუთნა, თბლი ტანსაცემლში ან ლოკინში გახვევა. ~ ვიჩულევე (ვიფუთნები); ჰოგო დაჩულუნხარა, გტრევა, რამასა? (როგორ შეფუთუნუნხარ, გტრევა, თუ რა არის?); მ ი მ ლ. დანაჩულ, დაჩულულ ჩაფუთნული. ~ ბევრ რამ ჩანაკომ ინსანზე ამბოვენ — დაჩულულ (ბევრ რამეს რომ იცვამს, ისეთ ადამიანზე ამბობენ — დაჩულულა).

შდრ. ჩულ, მნიშვ. 2.

— დაჩულუჲ ჩულის, თეჭის ან სხვა რამის დახურევა, რომ გათბეს, არ გაცივდეს მ ი მ ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.).

ღარურჩაჲ 1. დაჩურჩევა, ხილისთვის კურკის გამოცლა, ან პარკოსანი მცენარის ნაყოფისთვის ჩურჩის შემოცლა. ~ ყაღსი ქლიავ (ნ.) წელს არ დოგიჩურჩი;

2. წიწილის გამოჩევისას კვერტზე ნაჭუქის შემოცლა. ~ ჩონ კურტბე ჩანაყარ კურტბე (ჩვენი კრუხისთვის დადებულ კვერტები) ერთ ლაყ ქნილ, ყალან დაჩურჩულ (დანარჩენი გამოჩევილა); მ ი მ ლ. დანაჩურჩ დაჩურჩული.

ღარჩუჩაჲ, გაჩუჩაჲ 1. მოჩხრეკა, გაჩხრეკა, გაქეკვა. ~ საკრეკთი ვჩუჩაველი ნაყარს, უგე(აი) ამ გაჩუჩაში ერ წიგნ (ქალალდი) ეიბოვენ; ყოხით ნაყარ დოჩუჩი; ცეცხლ გაჩუჩა; ქათმევემა ნაგვე დაჩუჩევეს; ლორს ჩონ ჳზრეღ დოჩუჩი;

— გაჩუჩევა ოღნავ განძრევეა მ ი მ. (ხევეს.); ჩუჩევა ქეკვა ქაჯ.;

2. გ ა დ ა ტ. წაქეუება. ~ ჰაბე ჰჩუჩევეა ემ ყმაწულევეს? (რატომ აქეუებ ამ ბეუევეს?).

ღარხლმორთაჲ ნ. ჩხლრთაჲ.

ღარხორაჲ ნ. ჩხორაჲ.

ღარხრეკაჲ შემოწმების მიზნით ცეცხლზე შედგმული საჭმლისათვის ძირის მოჩხრეკა, გაჩხრეკა, გაჩხრეკით გასინჯვა. ~ ფლავეს დეშუ დაყენევაში (დამზე დაყენებისას) მალ-მალ (ხშირ-ხშირად) უნდ ვაღაცორაჲ (ნ.) და კოვზი ტრით ზირ დაჩხრეკაჲ, რუმ ზირ არ დაფრს.

ღარხუტაჲ ნ. გაჩხუტაჲ.

ღაცახაჲ, შაცახაჲ შეცახევა, აბრეშუმის კიისათვის ცახის (ნ.) შედგმა; აბრეშუმის კიის ცახზე ვასვლა პარკის ვასაყეთებლად. ~ ჰიას ორჳურა (ორგვარი) ცახით ცახენ: ერჳურას (ერთს) ბოლოკაჲ (ნ.), მეორეჳურას (მეორეს) ბარინვეს (ნ.) გუახინან; არკიოვაში (როცა არა აქვთ) პიტნი ცახით ან სხო ცახით ცახენ; საცახეჲ (ნ.) ჰმას უჳან ჰიავ იცახევის (ცახზე ვადის), თორს (ქსელს) ამბავს, მეღვნი (მერმე) პარკს ქნის (აყეთებს); პარკ შაქნაჲ (პარკის ვაყეთება)

თუ დაინახა ქუჩა (ნ. ქუჩა) დეკაბა, ამაშინითა (ი მაშინე) იწყოეს კია დაცახას (ცახე გასვლას); დაცახი კურჩუ თაზე იწყოვენ დარჩევას; დაცახიგნი წინ (დაცახამდე) არჩევს ლუდრუან კიეეს; ზ მ ნ ზ. დაცახელა დასაცახავად. ~ ბოლოკა ცახს კია დაცახელა ავმარენენყ.

— შაცახვა მ ე ნ თ., შამოცახვა ძ ო წ.

**დაცემა** მენარეულობით (მეტწილად სარეველათი) ადგილის დფარვა, გადაფარვა. ~ ერგან მაგრა ევალ ცემს, ის მინდ ომოტჭტროკ (ამოფარკო); ალს დატეემი სმინდ (სარეველა ბალახს დაუფარავს ყანა); სოფელ ბრულბუტქს (ველიან ბარდებს) ღოტცი; ლუმბას (ნ.), ღნგრს (ველიან ბარდს) დატეემი (|| ღოტცი) ე ადგოლ, ემათი (აქედან) გასტლამ არ იქნევის; ახალ თუ დატეემი ტყეს, ის წრტლიანი (თუ ახალი ტყეა ადმოცენებული, მას წერილიანი ეწოდება); ბენდ დაცემა ნ. ბენდ, მნიშ. 1; დანაცემ კოლ ნ. კოლ; დანაცემ სრელ ნ. სრელ; ზინუხე (ზინუხე) დაცემა ნ. ზინუ; სოლ დაცემა ნ. კოლ; ნ. პატვი დაცემა; სირიდ დაცემა ნ. სირიდ; ყაამა დაგეცახს ნ. ყაამა; წუმამ დამცა ნ. წუმამ; კელ(ით) დაცემა ნ. კელ; ჰაშანგ დაცემა ნ. ჰაშანგ.

**დაცენცა** დაქნევა. ~ ე ნაქერ გარეცხაში მაგრა იცენცევის (იქნეძება).

**დაცირიხევა**: თოლვე დაცირიხევა ნ. თოლ, მნიშ. 1.

**დაცლა** დაცლა, გამოცლა. ~ ტამსუშუზ დოტლიავ.

**დაცოვა** ნ. დაცვა.

**დაცომა** ნ. შაიომა.

**დაცორა** დაცვარვა, ცვარის დადება, დანამევა; დოროტქელა. ~ ბალახ ნუმ (რომ) იცორევის დილაზე, ეემაზე იტყუნან — ბალახ დაცირილავ (|| ბალახს ცორ ღოტკრავ) (დაცვარულა); დაცორას ფლავეტე ამბოვენ: ფლავი დემზე დაეენევაში ფლავ იცორევის,

ლანგარზე ცორ გადადის; ღუნეა დაცორა ნ. ღუნეა.

ნ. ცორ.

[სინ. ცორ დაცრა, ნ. ცორ; დაცრამლა, მნიშ. 2].

**დაცორევა** ნ. ცორევა.

**დაცრ მლა** 1. ცრემელა, ცრემლების ჩამოყრა. ~ კაც ასკარში მიპყონაენდენ, დეკაც იცრამლეოდა (ქმარი ჭარში მიპყაედათ და ცოლი იცრემლებოდა); დაცრამლა ცრამელ ჩ(ო)მოყრამს (დაცრემელა ცრემლების ჩამოყრა);

2. იგვევა, რაც დაცორაა. ~ ვაშლ დაცრამლულ (დაცვარულა, ცვარი დასდები); ვაზი დაცრამლა ნ. ვაზ. ნ. ცრამელ.

**დაცუა**, **დაცოვა** დაცვა, დარაჯობა, ყარაულობა. ~ დიდ ზმეე მამამ სამარეა დორთიანი (ირგელიე) დგანან, იცრნ (იცაენ, ყარაულობენ), ჰეჩმინამ არ უშემენ გორც (არავის უშეებენ ახლოს), პატრა ზნამ კი არ დამცა (არ უყარაულა) მამამ სამარეა; წელს დოცოთ (ვეუყარაულთ) ჰე ვაშლეე, არ მამპარან; ემ ბაღს დაცუა უნდ; მიმლ. დანაცავ მცველი, ყარაული. ~ სანლი(ი) დანაცავ (სახლის მცველი); სანდუე თულა არც სანლ დანაცავი, არც მენადირეეს (გოშია არც სახლის დამცველია და არც მონადირეა); ზ მ ნ ზ. და(ს)აც ლა დასაცავად, საყარაულოდ. ~ სოფელმა, ეამათამა ამამარჩიეეს კაცეე ზროხი დააცლა.

**დაცქრის** ნ. ცქრინოვა.

**დაცხრნოვა** შერცხენა, დარცხენა (შერცხევა, დარცხენს). ~ დაცხრნდა (შერცხვა); ეან ქალეეო, ჰოგო არ დაცხრნდაყა ემეუთა შიქმელ გაქითევა? (როგორ არ შერცხვათ ამგვარი საქმლის გაკეთება?); ამ კაცს ფაქინაგნი დასტხნევი (მეფის შერცხენია).

შდრ. დარცხინაა.

**დაცხრინა** 1. ნ. გაცხრინა;

2. ნ. ცხრინა.

**დაცხრუეაჲ, დაცხრუეაჲ ნ.** ცხრუე-  
ვაჲ.

**დაწაფაჲ 1. ნ.** გაწაფაჲ;

2. დაწაფება. ~ დაწაფა (დაეწაფა).

**დაწ(ჭ)დაჲ ნ.** გაწდაჲ (2).

**დაწვენაჲ დაწვეა.** ~ მე დაწვენევეარ  
შენზე (დაგვენევი); თუ ჩემ ფეცსომოზ  
ჩოჲც (ჩაეცივი), მე დევეწვეიჲ იმათ,  
თუარდემ ეემაში მაგათზე ვერ დაწვე-  
ნუეარ (თუ არა და ამაში მაგათ ვერ  
დავეწვევი); ჰათარაჲც უმ იარას, ჰეგ  
ვერ დაწვენელი ჩონზე (როგორადაც  
არ უნდა იაროს, ეგ ვერ დაგვენევა  
ჩვენ); დღგწუნენ (დაგვენუნენ); ჰიას  
შიკმელს არ ოზლეეთ, ვუსტენათ, და-  
ნაზინეჲ ჰიაჲ გამნაღუნეჲს დეწვიას,  
ჰიაჲ წინ-უჲან ნუ ოქნეს. ისიც იმას ეწე-  
ვის, ოგემაშინ კეპტეჲს გაბარაბრეჲაჲ  
(აბრეშუმის ჰიას საკმელს არ ვაძლეეთ,  
ვეტდენტ იმისათვის, რომ მძინარე ჰია  
გამოღლიძებულს ანუ კანჯაკოლოს და-  
ეწვის და ჰია წინ და უჲან არ ოქნეს.  
ისიც იმას ეწევა და აი მაშინ ხდება გა-  
თანაბრება); შ ი მ ლ. დანაწვენ დაწვე-  
ვი, ეინჲ დაწვეა; დანაწვე დროზე. ~ ე  
მოლლაჲ დანაწვენ დროზე ვადაჲ გეჲში  
ვადახტა (იმ დროს, როცა მოლა უნდა  
დასწეოდა, ვაჲი მდინარეში ვადახტა).

**დაწვეაჲ, ჩაწვეაჲ დამტრეჲა, დასხვ-  
რეჲა;** წვრილ-წვრილ ნაწილებად ქცე-  
ვა (ბრინჯისა, ხორბლისა, ჰერისა, კა-  
კლისა, კვერცხის ნაჭუქისა და მის-  
თანათა). ~ ქუქულ თაჲი ტუჩით (ნის-  
კარტით) კარტხეჲს წვეაჲს; ჩალთუქ  
დანაყაში (ბრინჯის დატეხვისას) ნედლ  
ბრინჲ ჰე (ან) ცოტა გაფუქეჲლ იწეჲე-  
ვის; ჰერს ვეილოეთ ქათმეჲიზე, დინ-  
გში ჰყრუთ, ყილჩილს გწაჩავთ, მეჲ-  
ლან იმას ეედე ჰწრავთ ქუქულეჲიზე  
დააყრელა (ჰერს ვეილულობთ ქათ-  
მებისათვის, საცხევაჲში ვყრით, ფხას  
ვამტრეჲეთ, მეგრე იმას წვრილ ნაწილ-  
ებად ვაქევეთ წიწილებისათვის დასაყრე-  
ლად); კარტხე შაქიდნაში ჰემნისიც ჩა-  
წვეაჲ, მიატეჲელი ('კვერცხების შეჭიბ-  
რების დროს, იგულისხმება — აღდ-

გომას, რომლოსაც ჩიძსხვრეჲა, ის ში-  
სცემს'); ხორბლით კორკოტ გაყეთეჲაში  
ხორბალს დაწვეაჲს; კარტხე შაქიდნაში  
ჩემისაჲ (ჩემი) ჩაწვეაჲ; მაგრა ლტე-  
ჩი კაკალიჲ, დაწვეაჲლავ.

შღრ. ნაწეჲ.

— წეჲა, ჩეჲა ჰან, წეჲეჲა ეწენიწე-  
ბა; კვრტხე დაწვეაჲ ჰან. არქ.).

**დაწერაჲ დახაზეჲა, დახატეჲა.** ~ უსტაჲ  
კორთეს სიპტა აშიეჲს, მეჲდნი კირით  
ჰწერაჲს სხოდასხოჲურ ნაყიჲეჲს (ხე-  
ლოსანი თაროს ჰერ აშაჲებს ჰონში  
მოზელილი ნახშირით, მეგრე კი კირით  
სხეჲადასხეჲა სახეებს ხაზავს, ხატავს);  
ქუჲეჲა დაწერაჲ ნ. ქ ა ჲ.

**დაწილაჲ:** კიტრი დაწილაჲ ნ. კიტრ.

**დაწინაჲრეჲაჲ** აბრეშუმის ჰიის ერთო ნა-  
წილის მიერ კანის ადრე გამოცჲლა და  
დაწინაურება. ~ ჰიეჲ ბუთუჲმ ერთა  
არ ომოლიან (ჰია ყველა ერთად არ იც-  
ელის კანს). ზოგ ჰიაჲ ომოლის, ზოგ ზი-  
ნაჲ. ადრე ამნასულს (კანგამოცჲლოლს)  
ერთეჲა (ერთხელ) აქმეჲენ დღეში, უს-  
ტენენ (უღლენენ) ამიბზე, რუმ (იმბრე,  
რომ) ყალინც (დანარჩენიც) ომოტღეს,  
ამასთან ერთა ოქნეს. სიპტა ამნასულს.  
ორდეჲა, სამდეჲა რუმ აჲჲამან (პირჲან-  
დელ ამოსულს ანუ კანგამოცჲლოლს  
ორჲერ და სამჲერ რომ აჲჲამონ), ის  
წინაჲრდეჲ (წინაურდება), წინ მიდის,  
მეჲდნი (მეგრე) ამნასულ უჲან ჩეჲ (ჩე-  
ბა), ერთა არ ეპტეჲიან (ერთად არ არ-  
ან). ამიბზე (აი ამისათვის) უსტენენ.

**დაწინაჲრეჲაჲ** რიჲე-ტაფელას თამაშის დროს  
ჰერეჲა ადგებულეი ჲოხისთვის მეორე  
ჲოხის ქეჲემოდან აყერა და ზეჲმოთჲენ  
ასროლა (ნ. ჩხლუნეჲ-აღაჲ).

**დაწინწკლ(ე)ჲაჲ** ძვირად დაფასება (გა-  
საყიდი საჲონისა). ~ ბრინჲ რუჲა მა-  
ნითა ჰყიდიდა ერთ, დღე კი ცხრა მა-  
ნითა დამიწინწკლა; დილლით კაკალ  
ათ მანიდა დამიწინწკლეს.

**დაწიბაჲ ნ.** მოწიბაჲ.

**დაწეჲეჲაჲ** დასუსტება. ~ ეინჲჲარ გორკს  
წეჲეჲაჲს; ენაწეჲეჲა (ნ.) ბალახით ენაჲ  
იწეჲეჲეჲის, სისხლ ჩამოდს; ეინჲჲარი  
დაწეჲეჲეჲეჲარ შენ თაჲ (ჰინჲრით დაგ-

სუსხვე); ქინკრი ამთონ (იმდენი) დე-  
ეწიკაყ ყმაწულტ თაე (ბავშვი); ყმა-  
წულტ კლიეე (მკლავები) დალდალ ყეო  
(დასუსხული ისყ); დაწყაბაე უინკრი-  
თაე იქნეე, სკრიითაყ; მ ი მ ლ. დაწ-  
ეპულ წყეპლით ნაეეჲ.

დაწყირტიალეეა ნ. წყირტიალ.  
დაწყნულეეა, დაწყნულეეა ნ. აწყნუ-  
ლეეა.

დაწყრომაა ნ. ჩ(ო)მოწყრომაა.

დაწმენდაა შეხოეეა, შეწმენდა, შემშრა-  
ლბა. ~ ჯელეე დაწმენდა; მ ი მ ლ.  
დანაწმენდ შესახოეი. ~ პირ დანა-  
წმენდს (პირის შესახოეი) დესმალს  
ესტყუნ, ამბა (მაგრაბ) ესტაქენეი (ქი-  
ქების) დანაწმენდს — ესტაქენეი დეს-  
მალს; წყალ დაწმენდაა ნ. წყალ.

დაწნაა დაწენა. ~ ყაერით ჩაფრეეს სწნან  
(ლერწმისაგან ჩელტებს წნაენ); პუჲათი  
(ნ.) ხონეარს წნაენ; მ ი მ ლ. დანა-  
წან დაწნული. ~ ყლი დანაწანს (თხის  
ბალნისაგან დაწნულს) საბელ ეზახიან.

დაწნება, მოწნებაა დაგრება, მოგრება. ~  
მულელ ატიეეაში ინსან (ადამიანი) იწ-  
ნისხის (იგრისება); კისერ მოტწნეხი;  
დასტაში ბაწარ მაგრა დაწნებულ ეაარა-  
ზე (დართეისას მატყელის ძაფი ძალო-  
ან დაგრებილა ჯარაზე); მ ი მ ლ. და-  
წნებულ დაგრებილი. ~ დაწნებულ  
ბაწარ; ზ მ ნ ზ. წნეხი-წნეხი ა) გრე-  
ხა-გრებით, პრანეეა - პრანეეით; ბ)  
იგიეა, რაც ხანწლი-ხანწლი (ნ. და-  
ხანწლა); საქმეა დაწნისა საქმე გა-  
ეაბა, მოაეეარა, გაჩარხა. (— საქმე  
გაბარუნდა, სიმაართლის გზილამ გა-  
დაიყენა ჯ ა ნ.;) ყურეე დაწნებაა  
ნ. ყურ.

— წნება გრება წნელისა, ვახისა და  
მისთანათა ჯ ა ნ., წნება, ტრება, ღრე-  
ცა, გამრუდება მე ნ თ.

დაწოვაა ნ. დაწ; (ე)აა.

დაწოვანა, წოვანა: ~ პალეონში წრეეარ  
(აივანზე ვწეეარ); ღამი მ. ზ. ზ. ბლისა  
წრე(ის) წეება; მე აქ ღოწრე (დაე-  
წეებო), შენ კი აქ დაწოვებარ (დაწ-  
ვეები); ბუთ: მ რახანც დაწოველი, შენ  
იმამინ მოვლა! (როცა ყველა დაწეე-

ბა, შენ აი მამინ მოდი!); დაწო (დაწ-  
ვა), დაბინა; ბებრბაა ფართალში იწო  
(ბებიან ლოგინში იწვა); შენ დაწო-  
ლინეახ მასლარეარ (შენს დაწოლა-  
მდე მოვალ); მ ი მ ლ. დაწოვულ  
დასაწოლი. ~ დაწოვულ ადგილ არ  
მაქ; ნაწოლ, დანაწოლ: ~ ქალ ნა-  
წოლ ოთალი კარ ღიაა დააგდ! (იმ  
ოთახის კარი, რომელშიაც ქალიშ-  
ვილი წეეს, ღია დასტოვე!); ასმარტო-  
ლაა ზმეე დანაწოლ ოთალი კართან  
დგეეს (ასმარტოვალა იმ ოთახის კართან  
დგება, სადაც მისი მძები იწენენ); თაე-  
ტუჲსაღში დაწოვლაა ნ. ტუსაღ, მნიშე. 2;  
ცხორ დაწოვლაა ნ. ცხორ.

— დაწოვლადე მოულოგინიაო შ ა ნ.  
რეე.

დაწოთგვაა დაწეეთება.

ნ. წოთ.

დაწ. ნაა 1. დაწენა. ~ დეეაც ყმაწუ-  
ლეეს იქითიან სახლში აწ. ნაესყ (ქა-  
ლი „ბავშვებს იქითა ოთახში აწენს);  
ზალი-ზორი აწონან (ძალით აწეე-  
ნენ); ყონალეე დაწმენაყ (სტუმრები  
დაწენა); ბალინცაში ღოგაწუნეს  
(დაგვაწენეს); ყმაწულეეი დაწონი-  
ეახ ვერ მასლარეარ (ბავშვების დაწეე-  
ნამდე ვერ მოვალ); თაეთაეჲრ და-  
წონაა ნ. თაეთაეჲრ, მნიშე. 2; თაე-  
პირანეე დაწონაა ნ. თაეპირანეე; კოლ  
დაწნაა ნ. კოლ;

2. იგიეეა, რაც გ(ა)დაწონაა. ~ მე-  
ნაეი ქაა დაიწე ნ ა? (ვახის რქა ვადა-  
წილენე?); ვაწი დაწ ნაა ნ. ვაწ.

დაწარანეეეეაა ნ. წარანეე.

დაწარიყიანეეაა წრიყის შეყრა (ნ. წრიყ).  
~ ქათამს წრიყ შაჲყრიაე, გოღნაა  
(ტყანა ტანი) გაწითეეი, დაწარიყიანე-  
ულეე; ქათმეეზე, ჭუჭუტულეეზე (წიწი-  
ლეებზე) კარში ტარეეას (ფადარათს)  
არ ვაბმოტ, ამაზე დაწარიყიანეეას ომ-  
ბოეთ; მ ი მ ლ. დაწარიყიანეულ, დანაწ-  
რიყიანეე რასაც წრიყი აქეს (სინ. წრი-  
ყიან, ნ. წრიყ).

დაწარულეეაა პატარა-პატარა ნაწილე-  
ბად ქეეეა. ~ ნაქეაა ეეერ ჭრ (ქეეეშ)  
წრულდეე, იყუწეე, იქრეე, მეეღნი (მე-

რამე) ემას ნიჩბით უქცევენ (აბრუნებენ) იმიზე, რომ ბუთბუტმან ერეურა (იმი-  
თის; რომ ყველგან ერთგვარად) და-  
კუწას, დაწრტლდეს.

ნ. წრულ.

დაწუნჯლაა ნ. ვაწუნჯლაა.

დაწუნჯევაა, შაწუნჯევაა შეწუნჯება. ~ მოა  
ჩონსა, ნუ გეშინან, არ ღოპწუნხდევით;  
თუ არ დაელოე ღუნჯა, შაწუნჯევა  
(შეწუნხდები); მე ჰეჩმინამ (არავის)  
არ შუაწუნხევი; დაგაწუნხეთ (შეგაწუნ-  
ხეთ), ეან!; ჰაა (რა) ღოგაწუნხე, რაა  
ლაპარიკრვა?

დაწუნ(ვ)აა, დაწოვაა 1. დაწვა. ~ ჰა-  
რაა ვიწრე, მეგმეშლით! (არიქა,  
ვიწეები, მომეშველეთ!); ე კაც წოდ  
წოეს (|| სწოეს) (წვადს წვაეს); შიშში-  
ლი კუჭ იწ:ვ (შიშშილით კუჭი იწეება);  
გულ მძაწრე (მეწვის); მწოვენ (მწვა-  
ვენ); მაგრა აღუღუტლ ჩეას (ჩაის),  
ვირ ღოტლუე, და(ს)აწრევირ (დავიწე-  
ვირ); თუ იმამ გელ მოგაგწრდა, დასაწრ-  
ხარ (დაიწეები); ჰაბე პუტროღრა წა-  
ღან — ღოაწ, ღოაწიე? (რისთვის ჰყვი-  
როდი წელან — დავიწვი, დავიწვით?);  
შიშაა დაწო (შეშა დაწვა); გაგონდევკაა  
თქ:ნ უმ (რომ) ჩონ სალ დაწუნთ (||  
დასწუნთ) (დასწვით?); ჰახანც ღეგე-  
ქირღევის ჩემ თავ, აამაშინ ე ზუეაა  
დაწ! (როცა დაგეჭირღება ჩემი თავი, ეს  
ძუა დაწვი!); ამან (ნ.) მოკალით, ამან  
დაწუნთ (დაწვით)!; სემა (სულელი)  
ვარ, ჩემ სახლ მე თუთან დამიწუნ (||  
დამიწრე) (დამიწვაეს); შ. კონტ.  
დაწრეწინევაა დაწვეეინება. ~ დაღე-  
ქით, თქრნ სახლევ თქრნ გელითავ  
დასაწ:ვინევირ (|| დააწ:ვინეველვარ  
(მოიცადეთ, თქვენს სახლებს თქვენი-  
ვე ხელით დაგაწვეეინებთ); მიმღ.  
დაწრღლ დასაწვაეი; ზ მ მ ზ. წუნ-წუნ  
(←წვა-წვით) იგიეეა, რაც ხანხ-  
ლი-ხანხლი (ნ. დახანხლაა). ~ ე  
ქალ ამ გადაბე წუნ-წუნ დარჩა, არ  
გატშოს იმასთან წასლრლა (ეს ქალი  
ამ ვაჟისთვის დაიდავა, არ მისცეს იმა-  
ზე გათხოვების უფლება); ჩემ დღაა

წუნ-წუნ მოკლოაე (საშინელი წამებით  
მოკვდაო). (სინ. ხლართი-ხლართი, ნ.  
დახლართაა; წუნხი-წუნხი, ნ. დაწუნ-  
ხაა);

2. ერთგვარი ავადმყოფობაა ვაზი-  
სა და ხეხილისა. ~ მენაეი დაწოვაში  
ტეეან ღიდ კეატევის სიპტა (მტეეანი  
ჯერ ღიდი ჰღება). მეეღან (მერმე) ჰე  
(ან) წამალ არ ეწუნე (არ ეგუება, არ  
უხდება), ჰე კეღემ წუნმრინა წელ უმ  
(რომ) კეატევის (არის) ი, ტეეან იხ-  
რუშტეე (იპრუწება), მარკლტე ცუე  
(სტეეეა), ჰატრაა ჩეე (რჩება), ვაზ  
იწრე; ბალიც იწრე, ვაშლიც, სხალიც.  
დაწუნღომაა ნ. აწუნღომაა.

დაწუნოვაა (1). დაწუნევაა დაწუნება. ~  
იწუნკს მეშოივას; იწუნრ(ის) (იწუნ-  
ბა) მაგარ წუნმაა; დაქწუნე, ღოაწუნე  
ღხრუნეაა (დაეიწუნე ხერინეა), მითამღა  
მზინაე; ღოაწუნევით (დაეიწუნეთ) ლა-  
პარიე ჰენიღაურა (ინგილოურად);  
ემაწუნლეს (ბაეწუნებს) ღოწუნაე (და-  
წუნაით) თმაშოეა; ეე ღროა ადათი  
ჰენგილაეევი ქორწილევ დაწუნოვაა ('ამ  
ღროს ადათია ინგილოებს ქორწი-  
ლების დაწუნება', ეს ღრო ინგილოების  
ქორწილების დაწუნების ღროა).

დაწუნოვაა (2) 1. დაწუნობა, დაღაგება. ~  
შენ ჰაბე (რატომ) აწუნოდრა კორცხეე  
ტალერკზე (თეფშზე)?; მანახარ გო-  
რცეე ზედ დაწუნე (დაწუნე) ემ  
ფლაეზე!; ქურქელ კორთეხე (თა-  
როზე) ღოწუნუ (დაწუნეეა); ზ მ მ ზ.  
დაწუნოველა დასაწუნობდ. ~ უწინ-  
ღელ ზრღ (ძველ) სახლევში ოთალი  
ქერზე ერთ ან ოორ რაფ იქნეოდა ზევით  
გუგრა-მუგრაა (გოგრაასა და მის-  
თანათა), კოქპეე, თაფლი ქოთნეე და-  
აწუნოველა;

2. უბრობის შემღევ შერიგება. ~  
ჩონ მ.ზ. ბლეემა შაზრახეს, დააწუნ-  
ნრნ (|| დააწუნეს); დაწუნოვილხართა?  
(შერიგებულხარათ?).

— დაწუნობა ჰ ა ნ.  
დაწუნტაა დახეთქება (მიწაზე). ~ თუ

მაგრა მიწაზე დავაწყუტ (დავახუტე), მოკლო, პოგო იქნევა (როგორ იქნება), მინა პასუხ მინაცემ (ვინაა პასუხის მიმცემი)?

მღრ. აწყურტოვა.

დაწყუტლევამ დაწყვილება; ქიამ დაწყუტლევამ ნ. ქიამ, მნიშე. 1.

დაქერაამ: 1. ~ ხალოიქერავსე (იქერს) ქალევს, კმენსე; შენ დაჯინ, მე მიაგას დააქერევიარ (დაიქერე); ჩემ არანქნარ დღეა ჩემ ადგილს დააქერეხარ (მე როცა აღარ ვიქნები, ჩემ ადგილს შენ დაიქერე); ყარაბღლეი დაყენეითი ჩონ მაგა ვერ დოაქერთ (დაიქერთ); შენ თავ დააქერენნი (დაიქერენ); ორნიმ გელევი დოაქირ (დაევიქირე, დაევიკავე) კოკობ; გარაქ მაგი თავ დოაქირო (მაგ უნდა დავიქირო); კამ იქნეოდა, შენ თავ ღრგოქირას (ყარგი იქნებოდა, რომ დაგვექირე); მიმღ. დააქერელ დასაქერი. ~ დელამ (ვეერნის), ტამტამამ (ვირთის). კატამ, ჩიტ დაქერამი ქვას კლინგებ (ნ.) აყენევენ, დააქერელ რამ მოდის, ზარგ (ძერება) ემ ქტამ ქომ; დანაქერ დამქერი; დაქერილი; დასაქერი. ~ თევზ დანაქერ კაც (თევზის დამქერი კაცი); ქორწილში თუ თოჯ არ მაახბდროს (მოახვედრეს), მაშხალამ (ნ.) დანაქერ (დამქერი) კარ არ უღევსე; დანაქერ (დაქერილი) ქურდ; კაც მიდის დათ დანაქერ ადგილში (კაცი მიდის იქ, სადაც დათვი დაიპირეს); თევზი დანაქერ თორ (თევზის დასაქერი ბადე); ზ მ ნ ზ. დ(ა)-ს(ა)ქერელა დასაქერად. ~ შაღიან შინ კაც დააქერელა; ტორონჩოამ მუტლევი არაში დასაქერელა (დასაქერად) პაღულ ყოფილ; გუთან დანაქერ ნ. გუთან; გულ დაქერამ ნ. გულ; გულყევა დაქერამ ნ. გულყევა; ნ. დემ დაქერამ; ზემ დაქერამ ნ. ზემ (2); ზირ დაქერამ ნ. ზირ; თავ მაღლა დაქერამ ნ. თავ (2); თამბამ დაქერამ ნ. თამბამ; თორამ დაქერამ ნ. თორამ; ნალილ დამიქირა ნ. ნალილ, მნიშე. 2; სანუმ დამიქირა ნ. სანუმ; ტპილ ენაზე დაქერამ ნ. ენამ; ნ. ყელ-ყურ და-

ქერამ; ცოფ დანაქერ ინსან ნ. ცოფ; წუტამა ყბაში უქერი ნ. წუტამა; კელ დაქერამ ნ. კელ; კელ-კელზე (კელ-კელ) დაქერამ ნ. კელ; კამამ დაქერამ ნ. კამამ; კამამ ჩაშამამ ნ. კამამ;

2. დაქირაება, ქირით დაქერა. ~ იქერს მეცუტქულეოვან (ქირაობს მეწისქვილედ); მეზროხეს სოფლელევ იქერენ; ტანევ საყურელა მეტანეს იქერენე (ხბორების 'საყურებლად', სამწყემსავად მეხბორეს ქირაობენ ხოლმე); ნოქარ დაქერამ (მოჯამავირის დაქირაება); მიმღ. დანაქერ. დამქირაება; დაქირაება. ~ ნოქარ დანაქერ (დამქირაება) კაც; ულაყიმ დანაქერ გადაამ (ულაყისათვის დაქირაება ბიჭი, ნ. ულაყ);

3. რგება (არგებს), მოხდენა (მოუხდება); შერგება (შევერგება). ~ ავატყოფ დოხტური წამალმა არ დამქირა (ავადმყოფს ექიმის წამალმა არ არგო, არ მოუხდა); ჩემ გულ გადაალოკა, ნაქამ რამ არ დამიქირა (გული გადააქლია, საქმელი არ შევერგო, არ დამადგა), არ ვი, ქიამ მამა?; შიქმელ, ლუნემ არ დავიქირა? (არ შევერგო, არ დამადგა)?

4. დამქერავს შეეფერება; შეედრება; მოუხდება; შეეგუება. ~ ჩემ მოფიქრევაგრა ჩემ გადას შენ ქალ დამქერავს ('ჩემი მოფიქრების დავარად', ჩემი აზრით, ჩემს ვაეს შენი ქალი შეეფერება); ჩემ ცხრტ გორცს რამ არ დამქერს (ჩემი ცხრტის ხორცს არაფერი შეეფერება); ჩემ გულმა არ დამქირა ამ კაცთან (ჩემი გული ვერ შეეგუა ამ კაცს, გული არ დამიდგა ამ კაცთან); მიმღ. დამქერელ შესადერისი, შესადარი, თანაბარი. ~ იმ ქალი დამქერელ ღუნუაზე არ ყოფილ (იმ ქალის შესადერისი ქვეყანაზე არავინ ყოფილა). — შ ა ნ. რეც.);

3. დამქირა ამობენ შეღებვისას, როდესაც ქსოვილს, ძაღს და მისთანას საღებავი კარგად გაუჯდება და სათანადო ფერს მიიღებს, რამე ფერად შიღებება. ~ სიფტანდელ ტიტობმა თუ



კარგა დაჯიკირა, მაშინ ორდეთა ჰტუტბათ, თუ კარგა არ დაჯიკირა — სამდეთა (პირვანდელ დატიტბივისას თუ კარგი ფერი მიიღო, მაშინ ორჯერ ეტიტბათ, თუ კარგი ფერი არ მიიღო — სამჯერ); ფერ ვერ დაჯიკირა ზაწარმა;

6. იკირევის დაიკირება, დაქვერა შესაძლებელია. ~ ჩაჰპაა (6). გელში იკირევის.

დაქვეხევა ოფლის დასხმა (ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო). ~ აქვეხეს (|| ქებაეს) (ოფლს ასხამს); დამაქვეხა (|| ოფლ. მამივდა); გა და ტ. სტრცხულთ ლაფ ოფლ მაქვეხეს (|| ოფლევ მაყრის) (სირცხვილისგან მთლად ოფლს მასხამს); მაგრა მამშიევი, შიშლი ოფლევ მაქვეხვდა.

დაქიღნაა ნ. შაკიღნაა.

დაქირაქევაა ქირაქის გაყეთება (ნ. ქირაქ). ~ ყარაჯაზზე (ვახაფხულზე) მიწას აქირაქევენ, ფაჯზე (შეზღვევაზე) აბრუნევენ; ფაჯზეც აქირაქევენ სიმინდებ (სიმინდისთვის), ბოსტინებ (ნესე-საზამთროსათვის).

[სინ. ქირაქ ქნაა].

— აყრა მიწისა ქ ა ვ თ. III.

დაქირევაა დაქირება (სქირდება). ~ ჰაბეაც გეკირევ, მაგმარა (რისთვისაც გკირდება, მოხმარეს); ემ საქმეა თავზე მაალეველა (ამ საქმის შესასრულებლად) ათ წელ ეკირევაყ (სქირდებათ); ეს მე დემეკირდე (დამკირდება); ჰანან დემეკირდევის ჩემ თავ, ამაშინ მოლაჟ (როცა დაგკირდები, მაშინ მოდი); მ ი მ ლ . დანაქირევ საქირო. ~ ჩემ დანაქირევ რამს ვერ ვპოვნოვ შინ (ჩემთვის საქირო რამეს ვერ ვპოვულობ შინ).

დაქილა დაფრჩხილეა, ფრჩხილების დაჩნევა; ნაფეხურების დაჩნევა (უმთავრესად საქონლის, შინაური ფრინველისა ან მისთან. მიერ). ~ ეზოჟ რას დატკილრა?

6. კილ.

დაქნომაა დაქნობა.

დაქლიევაა ნ. დამქლიევაა.

დაქორვაა გაქორვა. ~ მე დამიკორა (ვაქორა); მ ი მ ლ . დანაქორ კორიყანა. ~ დანაქორ ქალ.

დაქრ(ვ)ლევაა დაქრელება, ნაყშების ანუ სახეების გამოყვანა, სახეების ამოქრა, მოპირკეთება. ~ ხი კიღბანს აქრელევენენ ყოფილ (თურმე), შიგ ნაყშევს უყეთევენენ; საყ. ლ. ს. (საყელოს) ალით (ნ.), ფარჩითაც აყეთევენენ, აქრელევენენ კბილ-კბილა; კიღბან დოტქრეველევაყ (|| მოტქრელევაყ); დაქრეველევაა ნაზუქისიცი იქნევ (შეიღება); ნიშან წაღევაში ქალიბე (ქალისათვის) ნაზუქს აქრელევენ. დაქრეველევაა ქე (ან) ბექლით კექტევ (ხდება), ჰე ერ ყუტით (ან ერთი პატარა ჩხირით): ყუტის ერ თარაფს (ერთ მხარეს) გაქვეჩე ოთბა. შუაში ერ ყუტ გოტყეთე, კექტევ ყორისაალი რამ (გამოდის ჭყარიეთ რალაც), ეემით დააქრეველევ; წაღანდელ (უწინდელ) დროში ლაბდას რომ იციმდენენ, ოგემაშინ (აი მაშინ) მასეასი (ნ.) იციმდენ. მასეყს თხელ ტყავით კერავდენენ, ზედც აქრეველევენენ; მ ი მ ლ . დამქრეველეველ დამქრელებელი, ნაყშების გამოყვანის, სახეების ამომქრელი. ~ დედაბოზს კაა სახლი პატრონ აქრეველევიგედა დამქრეველეველ უსტას (ხელოსანს), ჩონიე ინსანს (ჩენიეე ადამიანს); ბევრ ინსან კორთევესაც (თაროებსაც) დამქრეველეველ უსტას აქრეველევიგედა. დამქრეველეველ კაც ყერ კორთი პირზე ქონში მონაზელ, დანაყულ ნახშირს უსომდა-აშიეედა (აშაეებდა), კიღე იმაზედაათი კირით ჰწერავდა (მხაზავდა, მხატავდა) ირემს, კაცს, ყოეიში სახეს და სხოაც, რაც უნდოდა. მასენი ყალამით ჰყრიდა. ომნაყარში (ამოყრილ, ამოტეხილ ადგლიში) მემღან (მერმე) ფქულს უსომდა — აესრვდა. გარშომო შავ, შუაში თეთრსაზიან, დიად ლამაზ რამე კექტიეოდაყ (ძალიან ლამაზი რალაც გამოდიოდა ხოლმე) (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); დანაქრეველევ დამქრელებელი, ნაყშების

გამომყვანი; დაკრელებული, ნაყუმბ-  
ამოკრილი. ~ კიღბან საიაც კეპტევ,  
დანიკრეველეუც (კიღობანი სადაც შე-  
იძლება იყოს, დაკრელებულიც ანუ  
სახეებიანიც); დაკრეველეულ, დაკრე-  
ველელ დაკრეველებული, ნაყუმბამოკ-  
რილი. ~ მუერუი კინეით დაკრე-  
ლეული (კიღობანი რკინებითა დაკ-  
რელებული); დანიკრელეც (კრელ)  
გირც ნ. გირც.

ნ. კრელ, მნიშვ. 1.

დაქუტაი, მოქუტაი: თოლევ დაქუტაი  
(მოქუტაი) ნ. თოლ, მნიშვ. 1; ნ.  
ქუსლ მოქუტაი.

დაქუტაი, დაქუტაი დაკვირება (თვა-  
ლის მოუშორებლად), დაშტერება. ~  
აგრ ეპყუტეე (|| ეპყუტეე), იგრ ეპყუ-  
ტეე; აშმა ვერ ცნოვს (ასე აკვირდება,  
ისე აკვირდება, მაგრამ ვერ ცნობს);  
ფლავ ჩალაგევაში (ნ.). -გაქეთევაში  
ლაშახი (საკუთარი სახელია) მექვი-  
ტევის (მაკვირდება), შიანც ვერ აყე-  
თეეს; მიციტხანაში (სამიციტნოში) ერ  
ბერ კაც შომოდის, ფაჩაი დეექუტაი  
(ხელმწიფე დააკვირდა), ხედაეს, თაი  
მამას (თავისი მამა); ორნომ ერთ-  
მერთს დაქუტეიან (ორივე ერთმანეთს  
დაშტერებია).

დაქულეტაი: გზაი დაქულეტაი ნ. გზაი  
დაქუტმაი, დაქულმაი, მოქუტმაი აღ-  
მონაცენისთვის ღერო-ფოთლების დაქ-  
ულემა. დასრესა და ისე მოცილება ~  
თუ ალაი ან სხო რამ ვერ მოგუწყუ-  
ტი ზირი, იმაშინ ფოთოლ-რამს ქე-  
ლთი ქუყრმათ, ზედათი ქუყრმათ  
(თუ სარეველა ბალახი ან სხვა რამ  
ვერ მოვწყუტეთ ძირიანად, მაშინ ფო-  
თოლსა და მისთანას ხელით ვეღლე-  
მათ და ზევიდან ეწყუტეთ). ოგეესი  
(აი ესაა) დაქუტმაი (|| დაქულმაი), მი-  
წაში კო ჩევის (ჩნება) ზირ, კედემ  
ომოდის; „ბოლოკი თესლს მაისის ნა-  
ხევაში დილოგი (ბოსტნის) თირე-  
ზე (ნ. თირ, მნიშვ. 2) დგმენ ისევე,  
როგორც ფიადა ფაქლას (კუტ ლობი-  
ოს), ღეროი და ფოთოლ ომომოვაში

იმას ჯელით ჰყურმენ, ზედათი ფე-  
საც აკირევენ ზალაი ღეროში და ფო-  
თოლში ნუ წოდეს, ქრშეყენ დაბრუნ-  
დესაც (შინამრეწე).

— ჰუმენტა კენტა; წუვეტა მე ნთ.  
დაქულემა ჯელით გაქანა საბაი, და-  
ქულემა, დაქულეტა გასრესა ჩუ ბ.  
ულემა სრესა შარაშ, ჰუველავეს  
ხელით უღლეშს, ჰულეტს (მხხალს,  
ჰუნეტ ლობიოს და სხვ.) ქ გლ.

დაქუტაი ნ. დაქუტაი.

დახვევაი გამიზებება, გალიზიანება (სატ-  
კიერისა, კრილობისა...). ~ ჰერამ ხა-  
ოვს (კრილობა უმიზებდება); ქუტყ,  
წყალ თუ მოხტო შენ ჰერამს, სახვენ-  
ლი (გამიზებდება, გალიზიანდება), კა-  
იგორა მოჟარ!

— ხაო სიცივით წყულთ გასივება  
ს ა ბ ა; ხაო უკრიფა, ხაოს უკრიფეს  
აშუპება სიცივისგან ან დასველებისა-  
გან ჩუ ბ., დახვერება სიცივისგან  
კრილობის გასივება ქ ა ჯ.

დახალ [აზ. დიალ.] ბანიანი ძველებუ-  
რი მიწის სახლი.

დახანხალი დაწვა, დადაგვა; გა და ბ-  
დატანჯვა, ტანჯვისაგან დადაგვა. ~ რა  
მაგრა წოვეი იყო ე პილპილ; ემნი  
დამოწო, დამხანხლა (რა ძალიან ცხა-  
რე იყო ეს პილპილი, სულ მთლად  
დამწვა, დამდაგა); თით გოქეერ (გავი-  
ქერი) დომხანხლივ (დავიდაგე), ამ-  
ტოკედა; ემ ქალი დერდიბე დოიწ  
(დაიწვი), დომხანხლივ (დავიდაგე);  
ზ მ ნ ზ. ხანხლი-ხანხლი ტანჯვით, წა-  
მებით, დაგვით. ~ ხანხლი-ხანხლი  
დარჩა (დაიტანჯა, დაიდაგა) (სინ. წუ-  
წუ, ნ. დწუ(ე)აი; ხლართი-ხლართი, ნ.  
დახლართაი; წნეხი-წნეხი, ნ. დაწნე-  
ხაი).

[სინ. დახუხამ].

დახარტაი გარდაცვალება, მოკვდომა. ~  
უწინდელ დროზე ამბოვდნენ — ფუ-  
ლანქეს დახარტულავ, მითამდინ მამ-  
კდარავ (მავანი დახარტულა, ე. ი.  
მომკვდარა).

— დამხარტა ქ ა ნ., იხარტება.

კედება, ილუპება, თავს წირავს კ ი ნ კ. ვაჟა.

**დახარტაჲ, გახარტაჲ** 1. გაღესვა, აღესვა იარაღისა. ~ ხარტი ქტაძითი (საღლესი ქვით) გოჭლესი, გოტხარტი.

5. ხარტ (1).

— **გამოხარტაჲ** ნიჲ;

2. კარგად გაწმენდა, გახეხვა, დახეხვა, გარეცხვა (ქურკლოსა, ქვაბისა, ქვევრისა და მისთანათა. ითქმის აგრეთვე ხის მასალაზეც). ~ კუნზევ (ნ. კუნზ), კარევი გოტხარტი.

5. ხარტ (2).

— **ხარტვა** ქვევრის ხეხვა, რეცხვა ხარტით, სახარტავ ქვით ჯ ა ნ.

**დახატუნევაჲ** ლუტუნე, ლიტინი, ხიჩინი. ~ დამიხატუნ, ი!

**დახევაჲ** (1): 1. ~ ერ წყულ ქალმევი (ქალამნები) დოჰხივი (დაეხივი); თულევი მა ტამსულმუზ დოგიხივიეს (მეძებარმა ძალღებმა ტანსაცმელი დაევიხიეს);

2. ტყავის დაქრა (შოლტებად, საღვედელ და სხვ.). ~ ქალმევი შაჰქნელა (ამოსასხმელად) ტყავს ხევენ, აშოლტევენ (ნ. დაშოლტაჲ); ლოდს ჰხევენ ტანის, ზაქია ტყავით (ღვედს კრიან ხოსა და ზაქის ტყავისაგან); ტყავ-დახევაში (დაქრისას) ამბოვენ: ჯაჲ საღრიჲ (ნ. მნიშვ. 2) ტყავ დამიხივი; მ ი მ ღ . დახეულ დაქრილი (ტყავი...).

~ დახეულ ღოდ (დაქრილი ღვედი).

**დახევაჲ** (2), **დახრვაჲ**, **ახევაჲ**, **შ(ო)მოხევაჲ** დახევეა (ახევეს, იხევეს). ~ მე ბაწარ ვახრე (ძახს ვახევე); შალს ოვაქ, უხევი (ვიღებ და ვიხევე); ქალამ (კომბოსტო) თავს იხევეს (იხევეს); ფაჲლას (ლობიოს), კიტრს ევაგზე ახევენ (ახევენ); მეჰანენიყევე (ნ.) მიანენიყზე (ნ.) ახევენდენ (ახევენდენ) პარკს; ბაწარ დოახივი (დაეახივი); ფაჲლაჲ ოახივი (ლობო აეახივი); მეშუჲ თუ დოახივი (დაახივი) ააბიერა (უშნოდ), იტყუან — შაჰტეგონგლი; ემ ცხენი კისერზე დოახივი ქენდირ (დაახივი ბაწარი); ქალისიანევი (ქალის მარხიდან მოსულები) ქალს პატრა ქორწილში აყარან [ნ. შ(ო)მოკრაჲ], გრევევი გარაქ შამაახივიან (მხრე-

ბზე უნდა შემოახვიონ); შამიხივი (შემომიხევეია); შაგმიხევერა შალ, რაჰსაჲ? (რა არის, შალი რომ შემოვიხევეია)?; შ. კ ო ნ ტ. დახევიწევაჲ დახევეინება. ~ მე თუთან მიხევიწევი ხაჲათ (ნ.); მ ი მ ღ . დახეულ დახეველი. ~ თავზე კარკატან (ძონი) აქ დახეულ; ზ მ ნ ზ . აახეველა ასახეველ. ~ კიტრ აახეველა სხო რამიგნი ბევერ ცხილას კრიან (კიტრის ასახეველ უმეტესად რცხილას კრიან); ხახეველა სახეველ. ~ აბრაშუნ სახეველა; მალაჲჲა დახევაჲ ნ. მალაჲჲა.

— **ახევა** ჯ ა ნ.

**დახევენაჲ**, **დახრვენაჲ**, **ახევენაჲ**, **შ(ო)მოხევენაჲ** 1. დახევეა, შემოხევეა (რამის ირგვლივ) (ეხევეა). ~ ფაჲლი ჰკალ ეხრვის ევაგზე (ლობიოს ჰქკალი ეხევეა ფიჩხზე); ფეჲზე ერ გულ შემმეხივა (შემომეხივა); ტანაჲ ჩუზე დახევენი (|| დახრენი) (ხხო პალოზე დახეველა); შუღდენა გულ ერთმერთს დახევენაჲ (შვილი გველი ერთმანეთს დახევეია); ფეჲვეში თავ (თავი) შემო(ჰ)ხევენი (შემოხევეია); მ ი მ ღ . დანახე, დახეულ დახეველი. ~ ბამბა დანახე მასრაჲ (ბამბადახეველი მასრა);

2. დახევეა, დასევა (ბევერისა). ~ ტილ ეხევის (ეხევეა, ესევეა); ქალეჲ მამას დორთიანი ეხრვიან (ეხევეიან); საჲათი დახევენაჲ (|| ახევენაჲ) ექთონ ტილ? — ღორიზენი (ღორისაგან) ამხევის, ღილ-წრულ ზედ დამხევენიდენ წაიღნაში, ისინ ბევერ იყენ, მე — ერთ.

[სინ. დაღრვენაჲ; დასევენაჲ, დაყრაჲ]. **დახეთხევაჲ** დახეთქება. ~ ფთა (საყლ-თარი სახელია) ბიზაჲ აჰყუნავს დათს, ახეთხევეს (ახეთქებას).

**დახივევაჲ** დახევიწევა. ~ გარს უხივევენ (უკან ახევიწევენ); გარევეს დოხივი (დაახევიწევი), უკან წოღდენ!

**დახილაჲ** დაძებნა.

**დახიჰიკეჲვაჲ**, **დაჰიჰიკეჲვაჲ** სულ ერთიანად დაბრმავება. ~ შენ რაჲზე დახიჰიკეჲვლი (რისთვის დაბრმაველი)?

5. ხიჰიკაჲ.

**დახლართაჲ**: ზ მ ნ ზ . ხლართი-ხლა-

რთი იგივეა, რაც ხანხლი-ხანხლი (ნ. დახანხლამ). ~ ხლართი-ხლართი დარჩა. (სინ. წუა-წუ, ნ. დაწ(ვ)ამ; წნები-წნები, ნ. დაწნებამ).

დახლრამა ნ. ვახლრამა.

დახმამა [ახ. დახმა ] ქობი, ქობმანი. ~ ერ პატრა დახმამ დამიდგამ.

დახორხლევა, მოხორხლევა, შ(ო)მოხორხლევა ხვევით დამრგვალება, დახვევა; შემოხვევა. ~ ქენღირს (ნ.), ჩათს (ნ.), საბელს ახორხლევენ (ახვევენ), ევმაგრ (ისე) ინახენ; ბაწრი კვლას (ნ.) ახორხლევენ; ბაწრი გორგალ დაახორხლ!

[სინ. დაგორგლევა, მნიშე. 1].

დახორხორევა (1) ბევრის კამა, ვაძლომა. ~ დაახორხორა.

— დაგახორხორა რაიმე სანუგბროთი მთელი ოჯახი ანუ ამხანაგობა ნამეტან გაევახარა ჟ ა ნ.

დახორხორევა (2), შ(ო)მოხორხორევა თავის მოყრა, დაგროვება, დახორხევა, შექუჩება. ~ ბუთუმე (ყველა) დაგრუევეულ, ექ მოსულ, დოგხორხორევენ ზედ; ქალს გრღრემამ დართიანი შომოტხორხორეს (გველები ქალის ირგვლივ დახორხოდნენ); არჩილი ქორწილში ნათესავევ, ყაუმ-ყარდამ (ნ.) ვარაქ (უნდა) დაეახორხორო; ორღობეში ერ რამ მამხდარ, ხალხ შექუჩეღლ, დახორხორეულან; ორ გვექ (აი აქ) ერ ქალს გულ წასლოდა, დახორხორეულიყნონ (დახვეოდნენ) ზედ; წუხელ ე გადაე (ვაეები) შენთან პაბე (რატომ) დახორხორეულიყნონა?; დახორხორევა ინსნეე (ადამიანების) დაგრუევაჟს (დაგროვება).

— წამოხორხორდება ბევრი ხალხი ერთად მოვა კ ა ი შ.

დახორხოშევა, დახორხოშალევა მსხვილად დაფქვა. ~ ხორხალ ხორხოშდევის (|| ხორხოშალედევის), გროშდევის; ჩონ ფქულ დოჯხორხორევი, ხორხოშელამ ქნაღ; დახორხოშეჟას გროშ ფქულებე (ფქვილებე) ამბოვენ, აგროშამ და დახორხოშალევა ერთი (ერთად).

დახრევა ნ. დახევა (2).

დახრენამ ნ. დახენამ.

დახრტამ სახვევით დაწმენდა, დასუფთავება (ეზოსი, ბოსლისა, საქათმისა და მისთ.). ~ აღილ ხრტავ (ბოსელს ეხვეტავ); ზ მ ნ ზ. დაახრტაღა დასახვეტად. ~ ერ ცხენი ქობ მიპკეს დაახრტაღა.

— ხეტა ჟ ა ნ.

დახრწამ დახეწამ, სახრწით (ნ.) ვასუფთავება (მატყლის ძაფისა); მ ი მ ლ. ნახრწ დახეწისას დარჩენილი ძაფის ნაკუწები.

— ხეწა ს ა ბ ა, ჩ უ ბ., შ ე ნ თ.

დახრამ ხიდან ხილის ლატნით ჩამობერტევა; ჩამოყრა; მ ი მ ლ. დაახრელ დასაბერტევი. ~ დღე კაკალ დაახრელ მაქ; დანახარ ჩამოსაბერტევი, ჩამობერტევილი (ხილი). ~ ქლიავის დანახარ ალატ (ქლიავის ჩამოსაბერტევი ლატანი); დანახარ ქლიავს თუთქენ, ჩაფრევე (ლასტებზე) ავმოვენ; დახრიღ ჩამობერტევილი (ხილი).

— დახრა ნიგვისის ანუ წაბლის ხის ბღერტა ალატით ჟ ა ნ., ხრის ბღერტავს შ ა ნ. რეღ.

დახრტამ, შახრტამ დახერება, შეხერება (წენიანისა, სითხისა). ~ წონ არ დაახრტავარ (წვენს არ დავხერება); ჩომობტენ ცხენიწედადთი, პატა წყალ შახრტა; ად მამაზაღლო, ცოტა წყალ დეგებრტეასა!; შ. კ ო ნ ტ. დახრტინევა დახერეპინება, დაღეეინება. ~ ყმაწულებე (ბავშვებისთვის) ქათამს ხარშავდა, წონს ახრტინევადაყ (|| ახრტრედაყ) ახერეპინებდა, ასმევედა).

დახრუნჟამ, მოხრუნჟამ ხრუნჟების (ნ. ხრუნჟ) გავეთება ძაფზე, კედზე და მისთ. ~ მავრა დანახახ (დაძახული) ბაწარ მავრა იხრუნჟევის უარაწე (ჟარაწე) ან თითისტარზე. წორზე თუ პატა(ცოტა) მალე არ გამაძტან, დამხრუნჟევე, ბაწარ დახრუნჟელავ — ამბოვენ.

[სინ. შახრუტამ].

— მოხმუნჟა ნაკების შეკრება ძ ო ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.).

დახრუშტ(ი)ევია, დახრუშტაა 1. დხუა-  
ქუქება, დახეევა. ~ წიწილი ბოლოვეს  
ოხრუშტევეთ (ნაწნავის ბოლოებს ვახ-  
ვევთ); შენ თმამ ხრუშტი (ხუქუქია),  
არჷმ (რომ) არ დაგიხრუშტევი (ხომ  
არ დაგიხევი)?; მ ი მ ლ. დახრუშტ-  
(ი)ეჷლ დახუქუქებუღი. ~ დახრუშ-  
ტეჷლ თმამ;

2. დახრუქეა, მობღუნძეა. ~ წუმ-  
რიან წელ უმ კეპტევის ი, მენაჲ იწოჲ,  
ტეან იხრუშტევე, მარკლჷჲ ცუჲ, ჰა-  
ტრიაჲ ჩევე (წვიმიანი წელწიადი როცა  
არის, (ვენახი) ვაზი იწეება, მტევენი  
იხრუქება, მარცვლები ცევია და პატა-  
რა რჩება); მავარ ცხელში (სიცხეში)  
დოთოლ იხრუშტევის.

შდრ. ხრუშტ.

— შეხრუსტვა კანის ცეცხლში მობ-  
ღუნძეა ს ა ბ ა, ხრუქეა, ხრუსტვა  
კმღუნა, მობღუნძეა ჩ უ ბ.

დახტომამა, შახტომამა, შ(ო)მოსტომამა  
დახვდომამა, შეხვდომამა, შემოხვდომამა.

~ გზაზე ერ ჩობან (მწყევსი) უხტევის  
(|| უხტჷვის) (უხვდება); ამთ ტყეში  
ერ დათ (დათვი) უხტევაჲ (|| უხტჷ-  
ვაჲ) (უხვდებათ); შეველ შიგ შაარში  
(ქალაქში), ზჷბნივარ (ეძებნი), ნოხო  
ერ ჰენგილაჲ დამიხტჷ ვე! (ვნახო, ერთი  
ინგილო შემხვდება — მეთქი!); გზაზე  
სამ ერჷურა (ერთგვარი) ხეჲ დაგიხტრჷ-  
ვის (დაგიხვდება); ამ გზამთ წამ, შენ-  
ზე დაახტომელი (დაგიხვდება) ერ გეჲ;  
ერ ქართულ ვაღამ დამიხტო (ერთი  
ქართველი ბიჭი დამიხვდა); გზაზე ერ  
სახლ დაგიხტრა? (დაგიხვდა?); მეურ-  
მეჲ სა დაგიხტრჷა? (დაგიხვდა?); წყა-  
ლზე ერ ბებერ დატხტოჲ (|| დოტხ-  
ტოჲ) (დაუხვდათ); ერ ქალ შოგმიხტო  
(შემოგვხვდა); გზაზე იმათ თავ (თავი)  
შომოხტოჲ (შემოხვდათ); ყაჩაღეჲ და-  
ჰხტონა (დახვდნა); გზაზე დატხტოთ  
(დაეუხვდეთ), კარგა შახვდოთ, ნოხოთ,  
მინ არისა ე კაც; გზაზე ერ ყურღლეჲ  
დაჰხტომი (დახვდომია); უხარიაჲ ერთ-  
მერთი შახტომამა; მ ი მ ლ. დანახ-  
ტომ; შამანხტომ დამხვედრი, ვინც

დაგხვდება; შემხვედრი, ვინც შეგხვ-  
დება. ~ მილიან ქალიზე დანახტომ გა-  
დასთან (მილიან იმ ვაჟთან, რომელიც  
ქალს დაუხვდა); გზაში შამანხტომ კაც.

— დაჰხტო: დახტომამა ჯ ა ნ.

დახუქაჲ: კიქიქა დახურამა ნ. კიქიქაჲ,  
მნიშჷ. 2; ტკენინ დახურამ ნ. ტკენინ;  
ჩარგულა დახურამა ნ. ჩარგულ.

დახუქამა: თოლეჲ(ს) იხუქავს ნ. თოლ,  
მნიშჷ. 1.

დახუხამა იგივეა, რაც დახანხლამა. ~ და-  
წოვაში ამბოვენ დახუხას, ზოგდეჲა ე-  
ვე რამ კმაში (ზოგჯერ მუჲე რამის კა-  
მისას):—პათარ (რა) შეჲე რამ იყრაჲ.  
ენი (სულ მთლად) დამხუხავ; დახუხამი  
ინსანს (აღამიანს) ჟრიანტლავს, ყბამ  
(პირი) ენამ იხუხეჲ.

დახწვე(ნ)ამა, დღწვე(ნ)ამა 1. გათაჲებამა,  
დამთავრებამა. ~ მამამა ახწვეს (ათაჲებს)  
შიშამა გომოზიდას; ი სამკალ წელს არ  
ღეხწვე (არ გათავდება); ბჯთჷმ ხალყ  
ღეღიჲეჲაჲ, ი საქმეჲ დღე ვერ დაახწვე-  
ველი (მთელი ხალცი რომ დაესიოს, ის  
საქმე დღეს ვერ გათავდება); საქმეჲ  
დააღწვი?; კაცმა მოხნამ ვერ დაახწვიჲ  
(ვერ გაათავა); ქორწილ !ღეხწვიჲ (გა-  
თავდა); კაცეჲმა კმამა დააღწივეს.

— შ ა ნ. რეჲ;

2. გაღარჩენა, დახსნა, გათავისუფლ-  
ბა. ~ ტქენიჲუმეჲ არის, ჰენევეიჲ ჟარი-  
თ იღწვეს ვაღეჲს (რომლებიც ჭარიდან  
ათავისუფლებს ვაჲებს); ფიქორ ნუ გაქ,  
მე დაგახწვე (დარღი ნუ გაქვს, მე გადა-  
გარჩენ); მე ამ ზმევი ჳელით შენ თავ  
დაახწვევარ (ამ ძმების ხელიდან დაგიხსნი);  
შენ ემგე (ასეთი) კამ საქმეჲ მიყავ,  
სტყდღლს დამახწვი (სიყვლილს გადამარ-  
ჩინე), ერ კოჲეჲაჲ (ერთი სიყვთეჲ) მი-  
ყავ!; ემ კაცმა ჩონ სტყდღლჷ ღოგახ-  
წვიჲ (სიყვლილს გადაგვარჩინა); წამ, ამ  
ცენს ამ კუცეჲ დღუხწვიჲ ეანავრი ჳელი  
(ეს კვიციანი გადაურჩინე მგლისაგან)!; ეჲ,  
ეხლა თელ ქნტლჷყავ, ე ემჷმ ღემეხწვიჲს  
მოკდომიზნიჲე (ეჲ, ახლა ცოცხალი ვყო-  
ფილოყავი და ეს ვირი გადამერჩინა სიყ-  
ვლილსაგან);

მა გამოძვრომა, დაძვრომა, ვასხლ-  
ტომა. ~ გარ დევნივა უღლოქმამ  
(ხარი გამოძვრა უღლოდან); ეხლა დედექ,  
სად უნდ დემეხწიო; გადას ყორ დახწე-  
ნი ტელით (ვაეს ცხვარი დასძვრომა ხე-  
ლიდან);

4. დამრობა, მოძრობა (დასძვრება,  
მოსძვრება). ~ თითვე ვალაღ-ვალად და-  
ხწევნოდა (თითები სახსარ-სახსარ დასძ-  
რობოდა);

5. დავარდნა, დაცემა. ~ დათი (დათვის)  
დანახაში ყმაწულ შიშით ეხწეჲ (ვარდუ-  
ბა) მიწაზე; გარბენაში ორმოში ეხწევი; მე  
მოჭტანდი ჩეა (ჩაი მოჭტონდა); ფეყ  
წომოჭყარ, ვოლოაქციე (წავიქეცი), ეს-  
ტაქან დემეხწივა ტელი (ქიქა დამივარდა  
ხელიდან).

— შან რეჲ.

დაქველვაა ნ. ტავილ.

(დაქაქაა იგივეა, რაც დაბაქაა. ~ წინდაა  
აგაქა-დაბაქა; დეგეცას ქება, აბიოტრა  
დაგიტაქა ჩემ ტამსუმუხ (რა უშნოდ  
დაგიტრაეს ჩემი ტანისამოსი), ემას დაა  
(მეტს) აღარ ჩოაქომ მე; საყერველ  
ლოუტაქა, ლოუგდო; მიმღ. დანაბაქ,  
დაბაქულ უშნოდ, დაუღვერად შეკერი-  
ლი, დაყერებული, მიჭანული.

დატადა: პურ დატადა ნ.პურ.

დატეთვაა, დაუეთვაა განციფრება, სა-  
ხტად დარჩენა, გაშეშება (გაყვირებისა-  
ნ. ზროხად; ნ. კედლი სახლ; მიწი პირი სახლ ნ. მიწად; პატრა სახლ ნ. პატრად; სახლ დადგამა ი რ ი ნ. ტალაში წაქცევა; სახლ წაყურ ნ. ყურევა, მნიშვ. 1; სახლ ჩანთევა ნ. ჩანთევა; სახლ(ი) აყენევა სახლის სახურავის გამართვა; ნივნივებისა და ლარტყების დაყვრა. საყვავის ატანა და ნაგებობის ზემო ნაწილის კრამიტით ან ჩალით გადასახურად მთლიანად გამზადება. ~ სახლს სიპტა დგმენ, მველნი (მერმე) აყენევენ — სახურავიბე (სახურავისათვის) გააქონ ბოინთირ (გააქეთ საყვავე), მველნი კავევ აყრონ (ნივნივებს აყრავენ), მველნი ალატეე (ლარტყებს). მველნი კრამეტ ხურენ ან ჩალს. ემ ზეითიან თარაფი (ზევითა მხრის) გაქეთევის აყენევა ეტყუნ; სახლ აყენევაში, ბოინთირ გლევაში ნადია ჰნედიოდნენ (საყვავის გატანის დროს ნაღს აყეთებდნენ). სახლ აყენევი ნადიში დიად (ძალიან) ბევრ ხალ კებტოლა (იყო), დიდ-წრტლს ეზახოდნენყ; დღე სახლი დამლი ნადია მაქ, სამ დღეს უკან აყენევი ნადია მექნეყ; სახლი თოდ ნ. თოდ, მნიშვ. 1; სახლ(ი) მობრუნევა სახლის სახურავის შეკეთება, გარემონტება. ~ ჩონ სახლს მობრუნევა უნდ; სახლი ქებ ნ. ქებ, მნიშვ. 2; სახლში ნაქოდომ ნ. დაქოდომ, მნიშვ. 2; სახლში დაედონა ნ. დაედონა, მნიშვ. 2; ტრირი სახლ ბეშეების სათამარი სახლი, მტერისგან გაყეთებული; ყალა სახლ ნ. ყალა, მნიშვ. 2.

სახლი ჩიტ გარეულ ჩიტი ერთგვარი, ჩალიან სახლებში იყეთებს ბუდეს.

სახონქრე 1. ხეანქრის დასაწნავი მოწყობილობა. ~ სახონქრე ხით კებტეე (ხისგან კეთდება), ემას ჩხირეე აქ. ნაფოტივი ხემს (ნაფოტივით ხეა), ხუთ ჩხირ აქ, აამ ხუთ ჩხირი ჰწნონ (აი ამ ხუთი ჩხირით წნავენ) ხონეარს;

2. ხეანქრის დასაწნავი ძაფი.

ნ. ხონეარ.

სახლწ მატყლის ძაფის სახევი. ლერწმის მოკლე ლეროა, ძაფს ხეწაეს, ზედმეტ ბეწებს აცლის და ასუფთავებს. ~

აქტანენ (იღებენ) ჩალს, სქელ ლეროევს. ოგემით აყეთევენ სახრწს, უსმენ ბაწრას, ბრწრეს აცლის.

[სინ. სახახ].

— სახევი საბა, სახევი, სახევიწლი ჩუბ., სახევი ძიძი., კეცხ., ხუბ. (ქართლ.), სახევიწლი კაიშ. სახ-სალამათ [ახ. სალ-სალამათ] სალ-სალამათი, სალი, ჯანმრთელი; უნებელი, დაუზიანებელი. ~ იქ წანასულ ინსან (იქ წასული ადამიანი) სახ-სალამათ ვერ ბრუნდეყა.

— სალსალამათი ჩუბ., მენთ., სახსალამათი გიგ., თოფ., ქაეთ. (ყიზ. მოზდ.).

სახსია [ახ. სახსი] იგიეეა, რაც ტულუზ. ~ სახსია ყაბ (თიხის ჭურჭელი).

სახურ სახურავი, სარქველი. ~ სახურ დახურ, ტრრ ნუ მოხტრს (მტვერი არ მოხედეს); „ბრინჯის ალის გასაყეთებლად ბრინჯს ცხელი წყლით რეცხავენ, ჰყრიან ერთ ჭურჭელში და ზედ მავრა ჰხურვენ სახურს, რომ დაიფლოს (ნ. დაოფლა) და დაღბეს“ (შინამრეყ.);

2. საფარი, დასაფარებელი რამ. ~ „რომ წეიმ-წეალი არ მოხედეს მანაზე ჯეჟმს. ნაბადს ჰხურაენ... ათოლე დღის შემდეგ სახურს ჰხდაინ (შინამრეყ.).

სახყალ ნ. საყალ.

სახეიზ ნ. საყიზ.

საქელ (მრ. საქლეე, საკლიეე) სახელი (ტანსაცმლისა); საქლი ზირილია (ტანსაცმელზე). ~ ხიშტაყეს (ნ. ხიშტაქ) საკლი ზირში უყრიდნენ (უდგამდნენ).

— ჯან., საბა, მენთ., უთრგ., სახელი: სახლები ჩუბ. საგეჩავ ატამ სახლეჩი ანუ საპობი ატამი.

— სა-კეჩი შან. რეც.

საგიფეე გიფის (ნ.) ჩამოსაკიდებელი სპეციალიტი ხე, რომელიც მოძრაყია. ძაფის დამახვისას იგი ტრიალებს, მოძრაობისგან ძაფი ირღვევა, იძახება და ჯარის თითისტარზე ეხვევა. ~ საგიფეე გაკეთეულ ხემს (ხეა), ზედ ბაწ-



რი გიჟ კეპტევის; გიჟეს ჰე (ან) მუ-  
გლევზე იხევენ (იხვევენ), ჰე კედემ  
სატიფეზე.

საგნავი უღულ იგიევა, რაც კალოა უღელ  
(ნ. უღელ)..

საგორცეა სახორცედ განყუთვნილი საყ-  
ლაჟი საქონელი; საგორცეა ალაგევაა  
დაკლული საქონლის ხორცის სხვადა-  
სხვა სახით მომზადება-შენახვა სა-  
ზამთროდ. ~ საგორცეა ოტლაგევი;  
სატოლმეა ჩოტყყო, საგორცეა(ნ.) დო-  
ტყუწი, დოტყირიბევი (ნ. დაყირიბე-  
ვაა) ვაგმოველა, სამწოდეა დოტყუწი;  
საგორცეა ალაგრთა საზამთრო (სა-  
ზამთროდ)?

[სინ. სალაგ(ი) ალაგევაა].

— შან. რეც., მენთ., სახორცე  
ხორცეული ჩუბ., რქიანი საქონელი  
ჯან., გვ. 95.

საქრეა სახრე.

საპტყენ, საბთყენ, საა(ბ)თყენ, საა(ბ)ტ-  
ყენ საითყენ. ~ აა კაცო, საპტყენ მიი-  
ლი? (საითყენ მილიხარ?); შენ სახლ  
საბთყენა?

ნ.-ყენ.

საპყელ, სახყელ [ახ. საგგალ] წყერი. ~  
დეკაც იქერს ამ კაცს, საპყალი (წყერით)  
ათრევს.

საპყიზ, სახყიზ [ახ. საგგხზ] კევი.

საპყიზი ზიანაა ბალახოვანი მცენარეა.

ჩვეულებრივ, რძიანზე უფრო დაბალი  
იზრდება. მოწყვეტისას რძის მსგავსი  
წყენი გამოისდის. ბავშვები ამ წვენს ლო-  
ფით (ნ.) ასხამენ, ანჭრებენ ისე, თით-  
ქოს კარაქს დღებენო, და კვეს აშზა-  
დებენ.

ნ. ზიანაა.

საპყიზი ფოთოლ მრავალძარღვა.

[სინ. კიკოა ფოთოლ].

— შაყ.

სევეგილია, სევეგულია [ახ. სევეგილი] შე-  
ეყარებული. ~ ე ქალ ემ ვადიბე, ე  
ვადა იმ ქალიბე სევეგილია კეპტევიან  
(ეს ქალი და ეს ვაჟი შეეყარებულები  
არიან).

სეველ ნ. სრველ.

სელ [ახ.] წყალდიდობა, ნიაღვარი, ღვარ-

ყოფი. ~ კაცმა ინატრა: ამ გვეთან ავე  
(ისეთი) დიდ სელ მოტდესავე, ნუმ (რომ)  
ჩემ დეკაცი თავ (ჩემი ცოლი) წაყოხასავე;  
„წყლი ყბასთან (სათვესთან) ეს სე  
ლელება ჩევედას (გაუყეობია). ურბე-  
ვით მიდიან, ვაგს შიპქან (შიპქი),  
ბენდ ჰქემენ (ჭებირს აყეობენ)“ (შ-  
ნაძმარეწე.).

სელავ 1. წყლის ჩაოსავალი ვზები მია-  
ში, მთის დასწვრივი ლელები;

2. მთიდან მორების თავქვე დასაცუ-  
რებელი ვზა, შურო. ~ თაში მანაქერ  
შიმას ერთა ჰკრან (ერთად კრავენ),  
მან (ნ.) აყეთვენ, სელავით ქრწ ავღე-  
ვენ.

— შურო: საშვავე ქგლ (იბერ.).  
სელინთუა [ახ. დიალ. სელინთა] წყლო-  
საგან მოტანილი, გამორიყული შეშა,  
ხერგი, ნატანი. ~ წყალ აღიდევაში  
წყალ მოპტანავს შიშევს, ეესი (აი ესაა)  
სელინთუა.

სეშა სულელი, ბრიყვი, კუქანაყლები. ~  
შენ სეშა ხარა, თუ მე სეშა მგღა?  
(შენ ხარ სულელი, თუ მე მასულელები?);  
ე კაც სეშას (სულელია), თუ არ ახალ  
ლაშფას მომტემსაზროლ (ძველ) ლაშფაზე?  
სეშა-სეშა რამევე სისულელები. ~ სე-  
მა-სემა რამევეს ნუ შჩედ! (სისულე-  
ლებს ნუ ჩაიხარ!).

[სინ. დუვანაშ].

სეშაოვა სულელური ლაპარაკი ან მო-  
ქტევა. ~ პაბე სეშარეა? (რატომ სუ-  
ლელობ?).

ნ. სეშა.

სენ ჩირქისმაგვარი სითხე, როგორიც  
დავაადებულ აბრეშუმის ქიას სდის. ~  
სენ ბაყლივი რაჰმი (ჩირქივით რაჰაა),  
ამმა ბაყლ სხოვს (მაგრამ ჩირქი  
სხვაა). სენ ყუთოლ ფერზედა (ყვითე-  
ლი ფერისაა). ეს ცეცხლ მებ ნაქნარ  
(ზედმეტი ცეცხლის მქონე) კუნტა  
ქიათთი [ნ. კუნტაა (2)]<sup>2</sup> ჩომოდის. ავა-  
ტყოფ ქიაა, კუნტაა, ნაზირზე (ნ.)  
ყვიდევის, სენ ჩომოდის კუდით;

2. დაჩირქებული კრილობიდან ჩა-  
მონადენი სითხე. ~ ვერევე (იარები)  
ნუმ სყდევე ინსანზე, ტყარზვის, ამ-

ბოვენ: სენ ჩომოდის აერაჲ შიგაძ-  
თაჲ; ერ მზზობელ გოჭონდა (ვეყვედა),  
მუკლევ დოტსივდა, დოჭირქდა. ამაზე  
ამბოდენენ: სენ დააგევი (ნ. დაგევაჲ,  
მნიშ. 1), ჩომოდისაჲ.

სენთ (1) [აზ. სჲმთ] მიმართულება. ~ ამ  
სენთით წაჲ!

— სენთი ადგილმდებარეობის გარ-  
კევეა, გამოცნობა — რა მხარეს არის  
აღმოსავლეთ-დასავლეთი შ ა რ ა შ.

სენთ(2) [აზ. ზეპინ] კეუა; ზ ე დ ს. სენ-  
თიან მოსაზრებულ, დაკვირვებულ,  
აზრინი, კეიანი. ~ ევე სენთიან ქალი,  
ოქადლი კაჲ საქნელი (ეგ მოსაზრებული  
ქალია, ოქახში კარგი იქნება).

სეჲჲ [აზ.] ბოტი, ვატი, ფარის წინამძ-  
ლოლი, ელქაჭი. ~ ბუთუჲმ ქეჩიევე (ყვე-  
ლა თხა) არ უზღრვიან ცხორს, სეჲჲ  
დიდ მამალ ქეჩიას (თხა), ცხორს მიჲ-  
ყონავს. ეემას დიდრონ ქებევ (ჩქებუ) აქ.  
სეჲრან [აზ.]: სეჲრანზე წასულთაჲ სა-  
სეირნოდ წასვლა.

— სეირანი სალაყბო, სასეიროდ შე-  
საყრები ადგილი ძ ი ძ., კ ე ე ც ხ.,  
ხ უ ბ. (ქართლ.).

სეჲრანოვაჲ სეირნობა. ~ ფაჩაჲ (ხელმ-  
წიფე) თავი ქალთან სეჲრანოვს.  
ნ. სეჲრან.

სეჲრაჲ სერა, ქოთნისა და მისთ. პირის  
მოსაყრავი. ~ სეჲრაჲ ფაში ზედათი  
განაგად რამი. ემას ფაშიზედათი გლიან,  
მეველანი (მერმე) აგმოვენ, კოჲპი, ბან-  
კაჲ-რაჲში (ქილისა და მისთან.) ყმაზე  
აყრან (პირზე აყრავენ).

— ჯ ა ნ., სერა ს ა ბ ა, ჩ უ ბ.,  
ქ გ ლ., კ ა ი შ., კ ი ნ ქ. ხევის.; ხბოს  
(ცხვირს) თხის) ტყავი, მსხვილფეხა  
საქონლის კუქის აპკი ან ბუშტი საღ-  
ვებლის პირის გადასაყრავად გ ი გ.,  
თ ო ფ., ქ ა ვ თ. (მთიულ.); ქ ა ჯ.

სეპისკორ ნ. ზაპისკორ.

სერნაჲ ზოლივით წაგრძელებული მი-  
წის (ჩვეულებრივ ვენახის) ნაკვეთი.  
~ მენაჭი სერნაჲ; ერ სერნაჲ ჩემი  
(ჩემია), ორ სერნაჲ ჩემ ზმისი.

სესხულოვაჲ, სესხუჲჲ სესხება. ~ პურ  
სესხულოვაჲ.

სეფისკორ ნ. ზაპისკორ.

სიათაჲ იგივეა, რაც საჲჲჲ. ~ სიათა კა-  
რეე (უბრალო, სიდა კარები) და ყორამა  
კარეე (ლირსებიანი კარები).

სიარვარგეჲ, სიარვარგ(ე)ოვაჲ, სიარვარგ-  
ოვა უეარვისობა, სიგლახე. ~ თავი  
სიარვარგოვა ბუთუჲს (ყველას) აჩრ-  
ნევეს; როგო სიარვარგოვან ჩედისა  
ჲევეგი? (რა სიგლახეს ჩადის ეგ!).

[საპირისპ. სიკაჲჲ, ნ. კაოჲჲ].

სივ-სივ ამას იძახიან ბავშვები; როდესაც  
უნდათ სხვას შეახარბონ რაიმე კარგი  
საქმელი, რომელსაც თვითონ ჲამენ, მო-  
ანდომონ ჲამა და არ იჲამონ. ~ სივ-  
სივ, მე ეშჲომ, შენ არ გაჲმევე.

შღრ. დასიევეა.

სიზალეჲ ძალა, სიმაგრე. ~ სიზალეჲ  
არ აქ ემ არაყსაჲ; ჲარამიჲ (ნ.) სიზალეს  
არ აზლევს ფოთოლს.

სიზგეჲ სიგრძე. ~ სიზგეჲთი ჲგელ არა  
ე ფეჲსომოზ, ამაჲ ფართოჲს (სიგრძით  
გრძელი არაჲ ეს ფეხსაცმელი, მაგრამ  
ფართოჲ); სიზგეს უჲან წასულთაჲ სიგ-  
რძეში წასვლა, მაღლა გაზრდა. ~ ეე  
ყმაწულ სიზგეს უჲან წასულ.

ნ. ჲგელ.

სიკაჲჲ, სიკაოვაჲ, სიკაჲჲჲ იგივეა, რაც  
კაოვაჲ. ~ ჲაქთონ კაოვაჲ ჲქრნიე (რამ-  
დენი სიყეთე ექენი), ჩემ წინ არ დადგა  
(წინ არ დამიხედა), სიკაოვაჲ ჲამა რამ არაჲ;  
ჲათარ კაჲ ინსანა; სიკაჲჲჲსალითი  
მაგა კაჲ რამ არ გომოდის გელითვე (რა  
კარგი აღამიანია, სიყეთესაჲვით მაგას  
სხვა არაფერი გამოსდის ხელიდან).

[საპირისპ. სიარვარგეჲ].

სილამაჲჲუვაჲ სილამაზე. ~ ე ქალ, აგე  
(ისეთი) ჲამაზ ყოფილ, იმი სილამაზუ-  
ვიათი (მისი სილამაზით) აჲჲაქერუვაჲ  
ნათლევ ყოფილ (ნათლება თურმე) დღო-  
სიჲსალი (დღესავით).

სილაჲ იგივეა, რაც სიფილაჲ, სიმსილაჲ;  
სილაჲ ჲნაჲ პირამდე ავსება.

სილაჲჲ სილა, სილაქი.  
[სინ. ჩაფალაღ].

სიმარტ(კ)ლ ჲღმარტლი. ~ სიმარტკლ  
ორჲურაჲს (ორგეჲარია): ერთ არის  
ჲირ, მეორეჲურაჲს (მეორეგეჲარია) უ-

ლალ (|| ვალა) სიმარტყლ (ნამყენი ზღმარტი). ვეს ლაფ გემრიალი (ძალზე გემრიელია); სიმარტყლი ზირ.

— ჟ ა ნ., მ ა ყ., ზიმარტილი მ ე ნ თ., ზმატილი ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.).

სიმთელეა სიმრთელე, ჯანმრთელობა.

~ ეპ სიმთელეა იყოს, ბუთუმ რამს ინსან გააკეთევს (ადამიანი ყველაფერს გააკეთებს).

სიმთროლეა, სიმთროლ(ე)ოვია, თროლოვია სიმთერალე. ~ სიმთროლეში ერკაცს ერ დეკაციბე (ერთი ქალისათვის) უკოცევი; სიმთროლეოვაში ნაქნარ საქმეს (საქმეა) ვეს, მავაზე ჰეჩინამ (არავინ) არ დაპტინევს; თავი თავ სიმთროლეოვაში (|| თროლეოვაში) ავლევს (სიმთერალეს იგონებს); ფინ სიმთროლეოვა იცის.

სიმრუდ(ე)ოვია, მრუდოვია სიმრუდე.

სიმსილაა ნ. სიფსილა.

სიმტყელეა სიმტრყე.

ნ. ტყელ.

სიმუ(ც)არ [რუს.] სამოვარი.

სიმუარი სახეა წინდის ქრელია ერთგვარი (ქსოვისას სამოვრის მსგავსი სახეებია გამოყვანილი). ამგვარსახეებიან წინდას სიმუარი სახე წინდაა ეწოდება.

სიმღერეა, სიმღორეა, სიმღორწა სიმღერა. ~ ქალ სიმღერეა სათქმელი (სიმღერას იტყვის, იმღერებს).

— სიმღერე ჰ ი ნ ჰ. ვაჟა.

სიმღრუმეა სიღრმე. ~ ათ-ზუმთერე კაცი სიმღრუმეათი (სიღრმეზე) მიწაა მომთხარით!

[სინ. ღრუმ, მნიშვ. 2].

სიმჟუთლეა სიყვითლე. ~ სიმჟუთლეა გოჟდეს (სიყვითლე გაუვიდეს), კაგვორა (კარგად) ვარეცხ!

ნ. ყუთელ.

სიმწოვეა სიმწვავე. ~ თით ტყე (მტოვა), ემი სიმწოვით ვერ დამიზინნი! ხახის სიმწოვით ვატარლით!(წყველაა). ნ. წოვეა.

სიმჭრუ(ვ)ალეა სიმხურვალე. ~ ცეცხლი სიმჭრუ(ვ)ალეა იგრეე (ისე, ტყუილად) იყარგვე, ზედ ჰობ შდღვით!

სინაა ხურტყმელი. ~ სინაა წრულ ესმევის, წითლა იწევის, ტევან-ტევან დანაილ რამში (მტევნებად დაკიდებული რამაა), კრუეაენიყიეი რამში (მოცხარითაა).

[სინ. ურუსი ყურზენ].

სინუ დალი, ხინჯი, დეფექტი. ~ ავად გაქდომას უკან სინუ დამჩომი; ზ ე დ ს. სინუიან ხინჯიანი, დეფექტის მქონე. სიხრლაა ხის საგლევი იარაღი.

სიპ, სიპ ქუაპ ბრტყელი, სრილაა ზედაპირის მქონე ჰვა ქვევრზე დასფარებულად (იშვიათად ქვაბებისა და მისთანათა დასახურადაც იყენებენ). ~ ქვევრს ზედადთი სიპს ასარქლევენ (ახურავენ); ბუთუმ რამს (ყველაფერს) სიპ თუ არ დაადევ, კატაა გდის, შუპს; ზოგივე (ზოგი) სიპ ქუაზე პურსაც აცხოვენ.

— სიპ, სიპიქუაა ჟ ა ნ., სიპ შ ა ნ.

რეც., შ ა ნ. ვაჟა I, III, შ ა ნ. გვეს., ჰ ი ნ ჰ. ვაჟა, სარქვეული მ ე ნ თ., ისიპი ქუა სიპი ქვა უ ლ.; სიპი ქვა რიყის ქვა, ხევის ქვა, ვალესილია და მავარი. სახლებს ამით აშენებენ ქიზიყსა და კახეთში მ ე ნ თ., სიპი ბრტყელი ქვა, ხმარობენ სახლის სახურავად გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (მთიულ.).

სიპტა, სიფტა, სიფთა [ახ. სიჭთა] პირველად, ჯერ. ~ სიპტა (ჯერ) ურუსულა (რუსულად) მელაპარია, მევლან (მერმე) თათრულა მითხრა; სიპტა შენ ვაბან, მევლნი (მერმე) მე; მინც სიპტა იზრახეს, ის ტანაა წააყონელი წყალზე (ვინც პირველი დაილაპარაკებს, ის ხბოს წაიყვანს წყალზე); კაცს აუღლი ცულდ, სიპტა იმ ოანაშიმე (საყვარლისთვის), მევლან იმ დეკაციბე (მერმე იმ ქალისთვის) დაჭრავ.

სიპტათვ, სიპტათვ 1. პირველადვე, თავიდანვე. ~ სიპტათვ შაშინეაა კაბარა; სიპტანდელ (პირვანდელი, პირველი) თოფ თუ მოხტო მამხალლას, ამბოვენ — ნასოვაჟს (ცუდი ნიშანია, ცუდის მომასწავებელია), კაბ აარავ, გარაქ სიპტათვ არ ჩამავდან (თავიდანვე არ უნდა ჩამოავდონ), მეორეზე, მესამეზე ავლევენ.

ნ. -თავ, მნიშვ. 2;

2. სიფთაზე, დილაღრიან. ~ დილაღლა იქნა (დილა დაღდა), მამაჲ სიპტაჲთავ წაჲდა ტყემი.

სიპტანდელ, სიფტანდელ, სიფთანდელ პირვანდელი, პირველი. ~ მოდიან თავი სიპტანდელ შინ (თავიანთ პირვანდელ სახლში); სიპტანდელ დატიტბაჲ (თავდაპირველი, პირველი დატიტიბვა); ზ მ ნ ზ. სიპტანდელჲა, სიპტანდელივი, სიპტანდელუჲრაჲთი პირვანდელივით, როგორც პირველად. ~ გადაჲ ყათირს (ჭორს) სიფტანდელჲა ფეყეჲს უქრავს (ნ.-ველა).

სიპტათავ ნ. სიპტათავ.

სიჲაროვაჲ, სიჲარეჲ სიზშირე, ერთმანეთთან მკიდროდ განლაგება, მიჭრილობა (უმთავრესად ნათესისა, ნარგავისა, მცენარეულობისა). ~ ხახ სიჲაროვი არ დადიდრჲუნდა (ხახვი, იმის გამო, რომ ერთმანეთზე მიჭრილი იყო, არ დამსხვილდა).

[სინ. ჲაროვაჲ].

ნ. ჲარ.

სირ [აზ. სირ] საიდუმლო. ~ გარაჲ შენ სირ მეუმ ვიცოდინო (შენი საიდუმლო მე უნდა ვიცოდეს).

სირაჲ [აზ. სირაჲ] პურის ჭამის ჲერი მწყემსისა, რომელიც დლით სოფლის საქონელს მირეყავს საძოვარზე და სალამოს ყოველდღე სადილობს საქონლის რომელიმე პატრონთან. აი. ამგვარი ჲერის მოსელას უწოდებენ სირას; სირაჲ მიცეჲაჲ საქონლის პატრონის მიერ მენახირისთვის კუთვნილი სადილის ჭმეჲა.

— მ ე ნ თ., კ ი რ., ნ. ჩ ზ ბ., ნ ი ე., ე ლ., მ ა ი ს.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (აჲარ.); მორიგებითი სა ბ ა, ჲერი, რიგი ქ გ ლ (ქიზ. გურ.), რიგი ძ ი ძ. (მესხ.-ჲავახ.).

სირბინ სირბილი. ~ სირბინი (სირბილით) მიდიოდა; მე მამჩქარევი (მეჩქარება), სირბინი წასლრვარ (წავალ). სირთ [აზ. დიალ.] სერი (მთისა). ~ სირთს წოროა განასულ (სწორად რომ გაღის, იმგვარ) ადგილს ებნევიან თავი; ეი-ლირ (ბილივი) გაღის სირთზე.

— ჲ ა ნ., სერი, მთა, ქელი ნ ი ე. სირიდ [აზ. სირიდ] გვირისტი, ნაკერი, ლიანდაგი. ~ მეჲრნ შაკერაში თუ გინ ადღღრტანევ, თუ გინ წრტლა შაკერაჲ (მანქანით ეკრვისას, თუ გინდა მსხვილად შეეკრავ, თუ გინდა — წმინდად). წრტლა შანაკერს წრტლ სირიდ ებნევიან (წმინდად შეეკრილს წმინდა გვირისტს უწოდებენ); სირიდ დაცეჲაჲ ქსოვილზე. საბანზე და მისთ. გვირისტის გატარება, გავლება. ~ სირიდს ევრღანზეც სცემენყ (საბანზეც ატარებენ), არხოლოღზეც, მუქასარზეც (ნ. მუქასარ); მუქასარზე ერ ტოტზე ორ-სამ სირიდ სცემენ (სინ. დასირილევაჲ); ზ ე ლ ს. სირილევიან გვირისტანი, ნაკერიანი, ლიანდაგიანი; ზოლებიანი. ~ სირილევიან ფარჩაჲ (ზოლებიანი ქსოვილი).

— სირიდი ღობეზე ან ბოძებზე გადაებული ლატანი მ ე ნ თ.

სირსწლაჲ ნ. სურსტლაჲ.

სირქან ერთგვარი ბალახი, საქონელი ძოკს ზამთრის საძოვარზე.

სირცხტლ ნ. სურცხტლ.

სისეველჲ ნ. სისრველჲ.

სისინოვაჲ. სუსუნოვაჲ, გასისინოვაჲ ძლიერი სურვილით შეჲყრობა. ~ გაჲშუჲ ყმაწულ თავი მინამდომ საქმეზე (ამ საქმეზე, რაც თვითონ უნდა). ვერ ხელანდა, წასტლაჲ უნდა, სისინოვს; ყმაწულ სისინოვდა. უხარბიანდა; ემი ღერ დიბე (ამისი გულისათვის) გაჲს-სინდა.

— სახანი, გასახანება მ ე ნ თ. სისყეჲ სისჲე. ~ თითი სისყეჲთი გაჲრტული (თითის სისჲეზეჲა გახვრეტული).

ნ. სველ.

სისრველჲ, სისეველჲ სისველე. ~ სისრველჲაზნი ნუ გაფუჲრდესავ რამეჲმ, საფარში ინახენყ (სისველისაგან რომ არ გაფუჲრდეს რაღაც-რაღაცეები, წვიმისაგან შესაფარებელ ადგილში ინახვენ ხოლმე).

ნ. სრველ.

სისურცხტლჲ ნ. სურცხტლ.

სისწოროვაჲ, სისწორეოვაჲ, სისწოროეოვაჲ, სისწოროჲა, წოროოვაჲ სისწო-

რე. სიმართლე, სამართლიანობა. ~ ადვკაც სისწორეოვია (|| სისწორეოვას) არ შჩედის, თავი ყმაწულებე ბეურს ომოპტანს შიკმელს, სხუ ყმაწულებე ცოტას (ეს ქალი სწორად არ იქცევა, თავის ბავშვისათვის ბევრს იღებს საკმელს, სხვისი ბავშვისათვის ცოტას); ემ დუნუაზე სისწორეოვია ჰერ (სრულიად) არ ალის; მოტყუევა კია რამ არა, სისწორეოვია კახსაე (კარგიაო); შენ იმი თარფ ნუ უდგევ, სისწორეოვიათი თქუ-ავ(შენ იმის მხარეს ნუ იჭერ, სწორად თქვი)!.

სისწრუთ, ხისწრუე ნ. სუსწრუე.  
 სისხლიან ლელეა ტოპ. ადგილია სოფ. კახში, კასრის საყდართან (ნ.). ინგილოთა გადმოცემით, აქ მომხდარა სისხლიანი შეტაკება ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის.

სიტკბილეა სიტკბო. ~ ყმას (პირს) წოვდა სიტკბილეა.  
 სიტყრა სიტყვა.  
 სიუკოვეა უკუეობა, სისულელე. ~ სიუკოვეა გელში ვარგ არ ხარავ; თავი სიუკოვეათი მოულა ჰე (ეს) საქმეა მაგია თავზე.

სიფათ, სუფათ [აზ. სიფათ] იგივეა, რაც პირი სუფათ (ნ. პირ, მნიშვ. 2). ~ ქალ ინსნი სიფათი იზლეე, სხო რამი — დათ, უანაერი სიფათზე დგევის თურმენი (ქალს ადამიანის საზე წაერთმევა და სხვა რალაცის — დათვის, მგლის საზე გაუხდება თურმე).

— სიფათი საზე, ხატი; გამოშეტყველება მე ნ თ.

სიფთა ნ. სიპტა.  
 სიფთანდელ ნ. სიპტანდელ.

სიფინთოვია, სიფინთევაა, სიფინთეოვია, ფინთოვია სიაეე, სიციულე, ბოროტება. ~ სიფინთევაა არ იცის მავანავ, ბუთუმთან კახს (ყველასთან კარგია), დოდთან დიდი, (დიდია), პატრასთან — პატრავა; ემ სიფინთოვით რაა წაალღევხარა იმ დუნუაში? (ამ სიავით რას წაიღებ იმ ქვეყნად?); ჰერმინამიბე (არაუინათვის) ფინთოვია არ მიქნი.

სიფინუ ავეანში. ბავშვისთვის მოსაშარდავად შედგმული თიხის კურკელი.  
 სიფხილაა, სიფხილაა მეტისმეტად აესებული კურკელი; სიფხილაა უქნა პირამდე აუესია. ~ რაქთონ (რამდენი) წყალ ჩატსხამ, სიფხილაა უქნი. [ინ. სილაა].

— სილაზე ხამზე ნიტრა მე ნ თ.  
 სიფხია ლერწმისგან გაყეთებული ერთგვარი საყრავი, სალაშურს წააგავს, ოლონდ მასზე უფრო ნაზსა და წერილხმას გამოსცემს; ყოშა სიფხია ერთი მეორეზე გადახვეული ორი ანუ წყვილი სიფხია.

სიფტა ნ. სიპტა.  
 სიფტანდელ ნ. სიპტანდელ.  
 სილალ [აზ. სისლალ] პეწი, ბზინეარება, პრიალი; ზ ე დ ს. სილალიან პეწიანი, ბზინეარე, პრიალა. ~ პოგო (რა) სილალიან კაცია! (გ ა დ ა ტ. რა პეწიანი კაცია!).

სიყუარით(თ) სიყვარულით; სიყვარულისგან. ~ მაგრა უყუარს მაგია თავ, სიყუარი კლრავ; სიყუარი გამთხოვდა; ეემ ფინ (ფინთ) ეულაბეკს (სიტყვებს) გული კი არ ვომბოვ, სიყუარი(თ) ვრბნევე; (ვეუბნები); სიყუარით რაა საქნელ, არ იცის (სიყვარულისგან რა ქნას, არ იცის).

სიყუთლეა სიყვითლე.  
 სიჩაფლეა სიბინძურე, უწმინდურება. ~ დლაშა (საზედამე ქვეერს) წმინდა ადგელში ინახენ. იქ ნავავ, სიჩაფლეა გადაყრავ არ იქნეე. ნ. ჩაფალ.

სიჩრად [აზ. დილ. სიჩრათმა=საქონლის ავადმყოფობა] იგივეა, რაც კარში ტარევაა.

— ჩიჩრალი ცხერის სატყვიარია. წინა მხარში გაფუჭებულ ბალახს რომ ცხვარი მოსძოვს, ავად ხდება, ფალარათდება და იხოცება. ხალხში წამსული არ იციან მე ნ თ., ლ ე ო ნ.; გაჩიჩრახება, ჩიჩრახი კუქის აშლა, გაფალარათება ქ ა ჯ.

სიცივეა ჩ(ო)მოსულაა სიცივის დაღვობა, სიცივის ჩამოდგომა. ~ ეუმას (ნ.)

ფაზზე (შემოდგომაზე) აკეთებენ, სიცივეს ჩომოსტლას უჯან, ზამთრი პირზე, რახანც საყახაეს(ნ.) დაკლავ.

სიცოცხლე საცოდაობა. ~ სიცოცხლე დოჯი (საცოდაობით დავიწი).

სიცხე: ქუქუშმახ სიცხეან ნ. ქუქუშმახ. სიცხე-ყიამათ დიდი სიცხე, პაპანაქება.

~ ქე დეკას გაპირევი, თუ არ ჰეგ არ მოტლოდა ემ სიცხე-ყიამათში (ამ ქალს ვასპირებია, თორემ ეგ არ მოვიდოდა ამ სიცხე-პაპანაქებაში).

შღრ. ყიამათ.

— ყიამათი, სიცივე ყიამათი ძალიან ხველი ყინვი და სიცივე მენტ, ყიამეთი, უიამეთი დარი ჟოჯოხეთური აუდარი შარაშ, ყიამათი ძალიან ბნელი ხეზ; ყიამეთი ჟოჯოხეთური ცული ამინდი ნიე.

სიწითლ(ე)ოვამ, წითლოვამ სიწითლე.

სიწმინდიანოვამ სიწმინდე, სისუფთავე. ~ სიწმინდიანოვამ დიდი კამ რამი (ძალიან კარგი რამაა), თუ იქნა.

სიჭკუანემ, ჰკუანოვამ სიჭკვიანე. ~ ემი სიჭკუანეზე (|| ჰკუანოვანზე) გამათეჭვიარ, პათარ ნასწავლ ინსანავ! (ამილი ჰკუთი გაკვირებული ვარ, რა ნასწავლი ადამიანია!).

სიჭკუავე ჰუქვი. ~ ტაბილ მუწუქ ეყრეავ ყმაწულევს სიჭკუკვი (სატყბური უჩნდებათ ბავშვებს ჰუქვისსავან).

სიხარულიან დღეა სასიხარულო, ბედნიერი დღე. ~ სიხარულიან დღევე ამბოვენ გახსლინევი დღეებე (გახსნილების დღეზე), შულ ყოლოვაშიაც, ქალ გათხუევაშიაც.

სიხნად [აზ. საღანაგ] საცრის რკალი, კარხა.

სკელ სქელი. ~ ხეზე ერ სკელ გრლ (გველი) მოხვენი (მოხვევია); ზ მ ნ ზ.

სკლა სქლად. ~ ბაწარს სკლა ნუ ასტავ, პატა წიბლაკა დაასტ! (ძაფს სქლად ნუ ართავ, ცოტა წმინდად დაართე)!; ხაჯათს სკლა ნახვე (სქლად, მსხვილად ნახვე) აბრაშუნს ეტყუან.

სლანკ ნ. წლანკ.

სლოყინ სლოყინი; ზ მ ნ ზ. სლოყინ-სლოყინ. სლოყინ-სლოყინით. ~ ბებერ

სლოყინ-სლოყინ მოც(მოღის) შინ.

— ჯან.

სლუყ-სლუყოვამ სლუყენი, გულამოყენით ტირილი.

— სლუყ-სლუყ მენტ; სლუყ-სლუყი საბა; ჩუბ.

სლუყ ცოცხალი, მარდი, მკვირცხლი; გაღატ. გამძერალ-გამომძერალი. ~ ცუტკ ყმაწულზე (ცქეიტ ბავშვზე) ამბოვენ — სლუყ რამიოვ.

[სინ. სუსლუქ].

— ჯან; სხვლიკა ხელიყივით პატარა ძოწ.

სმინლ სმიინდი. ~ სმინლ შოპტქ(შევენი); სმინლი თვე კატარი; სმინლი კეკაქ (კეკექ) ნ. კეკაქ; სმინლი მინდორ სმიინდის ყანა (სინ. სმიინდიან); სმინლი ფოჩ ჩალა, ჩალის ღერი სმიინდისა [— ფოჩი სმიინდის უღვაშები ქგლ (ქართლ. იმერ.)]; სმინლი წიწილა ნ. წიწილა, მნიშვ. 1.

— ჯან.

სმინდიან ივიევა, რაც სმინდი მინდორ (ნ. სმინდ). ~ სახლს უჯანერ. პატარა სმინდიან იყო.

სოკოა ნ. აბელი სოკოა; გრლი სოკოა; ლანგარა სოკოა; უანგარა სოკოა; ქოშოტ სოკოა ნ. ქოშოტაა; ნ. ჩოფურ სოკოა.

სოლ: მამალ სოლივიევა, რაც მამალ ფარ (ნ. ფარ); ობოლ სოლივიევა, რაც ობოლ ფარ (ნ. ფარ).

სოლადა, სოლახა [აზ. სოლახა=ცაცია] მარცხენა. ~ სოლადა თოლ (მარცხენა თვლი).

— ჩოლაყა (?) იმნ.

სოლადასიან, სოლახასიან მარცხენა მხარეს, მარცხნისაყენ. ~ ვერთ სოლადასიან დამდგარ, მეორეა — სალინდასიან.

ნ. სოლადა, -იან; შღრ. სალინდასიან. სოლახა ნ. სოლადა.

სოლახასიან ნ. სოლადასიან. სოლმა [აზ. სოლმა] გახუნებული. ~ სოლმა ბაწარ (გახუნებული ძაფი). სონილ „სანელეგელი, სუნელი“ (ჯან.).

სოტეს მესაელი. ~ ოცდახუთ სოტეს მესაელი.

სოველ. სვეელ სველი.

— სვეელ, სვეელ ჯ ა ნ.

სოვლათ [ახ. სოვგათ] ძღვენი.

სოლ სველი, შრათი. ~ სუზმას (ნ.) რახანტ მოვლიან, ჩევის (რჩება) სოლ: დოს ასხმენ თორბაში, იწურევე სოლ, ჩეე (რჩება) სუზმაჲ; ზეა (რძე) არ მჲქ, ზირზე ჩანასულ სოლ მოქცემ, თუ გინდ.

— სელ ჯ ა ნ., სუელი გ ი გ., თ. ო. ლ., ქ ა ე თ. (მობ.).

სოშობ სომეხი.

სონოვია, სონოვია ნ. დასრნოვია.

სოა სეია, სატაყური. ~ სოათი (სეი-ისჯენ) კაა გირც (ნ.) კეპტევე ცეთდე-ბა; ნტვზუნან სოა; ქონიან სოა.

— მ ა ე.

სოშობათ [ახ. სოშბათ] საუბარი; სოშობათ ჩედთქ საუბრობს.

სოტ. წინდის გვერდებზე სივრძივ (თითებიდან ვიდრე ყელამდე) აყოლებული ერთი; ფერის ძაფით ნაქსოვი ზოლი. ასეთ წინდას სოტიან (სოტრვიან) წინდაა ანუ სოტ წინდაა ქქეია.

სოტყაა; სოტყაა სეტყეა. ~ სოტყაა მრძლად; ხევე დაერალუდა (დაისეტყეა). სოფელ-სოფელი.

სრელ 1. იგივეა, რაც ზოლად. ~ ეემ ფარჩას (ნ.) სრელე აქ; ზ ე დ ს. სრელევიან იგივეა, რაც ზოლადევიან (ნ. ზოლად). ~ სრელევიან კაბაჲ; სრელევიან ეუნაჲ (ნ. ეუნაჲ).

— კ ი ნ ქ. ეაჲ, სრელა-სრელა მ ე ნ თ., ზოლ-ზოლად; ვადატ. კრელ-კრელი, არეული ფერი ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ ე ბ. (ქართლ.), სრელა ზოლ-ზოლი, სხეადასხვა ფერი ბეწვისა ჩ უ ბ.; პირუტყუთა, რომელსაცა ზურგზედ გრძლად სხვა ფერი წასდევს ს ა ბ ა;

2. ერთი რიგი, ერთი ზოლი ნახნავში; დანაცემ სრელ ნახნავში (აჩაჩით და მისთ.) გაყვანილი ერთი ზოლი, ერთი რიგი.

— ვიწრო და გრძელი ყანა კ ი ნ ქ. ხევის, სვრელი ძ ო წ.

სროვნაა სროლა. ~ ე თოფ კაგგორა (კარ-გალ) ვერ ესრტს (|| ოსრტს) (ისერის); ქუევეს სროტლოვდნენ (ქუევეს ისრო-დნენ); დაძმალ, შენბე სასროვენ-ლი (გესერის!); ღორევეს ეობ ვესრო-ნიყ (ვესროლეთ); ერ სროვნით ახრ-არეს ყოფილ (ერთი სროლით ახვედ-რებს თურმე); სროვნიათავ ხტრე ტყუ-ეა, კდრე (სროლისთანავე ხვედბა ტყე-ა და კედბა); თოფ სროვნაჲ; შ ი მ ლ. ნასროვენ ნასროლი; მსროლელი; სას-როლი. ~ ნობოთ, ნასროვენ ადგილში (იმ ადგილში, სადაც ვესროლეთ) სისხლ არის თუ აარ; თავ სროვნაჲ ჩახტო-მა, ხტომით ჩავარდნა რამეში. ~ თაე ვესროვენ (ჩაეხტი); თაე უსროვენი (ჩა-ხტარა) ორმოში.

სროშაა ნ. ასროშა.

სტენჭაა, სტენვია, სტენაა ნ. ვასტენაა. სტლოვ [რუს. + ეე. (-ებ)] მაგიდები. ~ სტლოვზე ბეერ ღუნეა. ბეერ შიკმე-ლევ იყო.

სუალ ნ. სუ(ე)ალ.

სუბუქ მსუბუქი.

— ს ა ბ ა, ჩ უ ბ.

სუეაჲლ წისქვილის ღარში ფუშტიდან (ნ. ფუშტაჲ) წყლის გასაშვებ-ჩასაკეტი კარი. ~ სუეაჲლ წყალ განაშომ (გამ-შვებო) და დანაყლეთი (დამკეტი). [სინ. წყლი კარ].

სუ(ე)ალ [ახ. სუეაჲ] ბათქაში. ~ თეთრ მიწაჲ სუეალიბე (ბათქაშისთვის) ვარ-გობს; სუეალ ქნაჲ ბათქაშის წასმა, შელესეა.

სუზმაა [ახ. სუზმა] კარაქის შედლების შემდეგ დარჩენილი დოსაგან ვაკეთე-ბული ხაჲო. ~ ნაარამს (სადღვებელს) ცლიან, დოს ასხმენ ქობში, დემენ ცეც-ხლზე, შკრიან. გათბოვაში ზეპირზე იგდევს სუზმას. ქობს ჩამაქრნ (ჩა-მოაქეთ), ასხმენ თორბაში, იწურევე სოლ (სველი, შრათი), ჩეე (რჩება) სუ-ზმაჲ. ბეტრ ადღლეას უკან თუ მაგრა გაწურული, იმაშინ მაგარ სუზმაჲ კე-პტევე; სუზმაჲ ზროხი დოათი კეპტევე (ყეთდება), ცხრტ სუზმაჲ არ კეპტევე-ცხრტ ზეათი (ცხერის რძისაგან) მა-

გამ (ნ.) კებტევი; სუზმი გირც ერთგ-  
ვარი საქმელია: მწვანისა და კვერცხ-  
ში მომუშულ სუზმას ახევეენ ცოშში  
ხინკლისებურად და მდულარე წყალში  
ხარშავენ, ნ. გირც; სუზმი ქათამ ნ.  
ქათამ.

— აზლაკი მე ნ თ.

სუკე: ობოლ სუკე ნ. ობოლ.

სულ (1) სუნი. ~ კატამ გორცი სულ გაა-  
გა; სულ ატანაჲ (|| სულ აღევია) (სუნის  
აღება, ყნოსვით კვალის მიგნება); სუ-  
რაგმი (ნ. სურაგ) ზალღევ სულ ატა-  
ნენ (სუნს იღებენ) ღორის, ჰე(ან) შო-  
ლის (შელისას), ჰე ერ რამისი (ან სხვა  
მისთ.); ზ ე დ ს. სულიან სუნინი, სუ-  
ნის შქონე. ~ არჩან (ღვია) ლამაზ, სუ-  
ლიან ხეას (ხეა); სულ დაურაჲ სუნის  
დადგომა. ~ ბარაჩივე ნადირ მას-  
ლრლ ელირზე ედევია (მონადირეები  
იმ ბილიყზე სხდებიან, საიდანაც ნადი-  
რი უნდა მოვიდეს), ამმა (მაგარამ) ქუ-  
ლაგ (ქარი) საჰტყენაც უბერავს, იმი  
ბოლოზე ედევია, სულ ნუ დაჲყარა-  
სავ ინსნის (ადამიანის), ნადირს არ  
მიტვირთავ, არ დაფხტრსავ (არ დადრთ-  
ხეს); სულ მოოდის (მოჰდის) ნ.  
მოსტლაჲ, მნიშე. 2;

— ჩ უ ბ., შ ა ნ. ვაჲ III, კ ი ნ კ.  
ვაჲ; ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.).

სულ (2): სულ ამღვეელ სულთამხუთავი.  
~ ნუცაჲ გრქევეის (გვეუზნება): თქონ  
ჩემ სულ ამღვეელ ხართავ! — სულის  
ამღვეელ მომაკვდავის სულის მიმღე-  
ბელი ანგელოზი ჯ ა ნ.); სულ ახხნაჲ  
იგევა, რაც სულპურ; სულ მამიკდრს  
ფიცილია: სულს გეფიცები; სუ-  
ლზე მოსტლაჲ მოსულიერება, მოლო-  
ნიერება. ~ ცოტა სულზე მოსულ ჩონ-  
თან ტარევაში (სიარულში), შინ ჰეჩ-  
რამ (არაფერს) არ აქმედენენ; სული  
გაზრომი-გაზრომი იგივეა, რაც კლო-  
მი-კლომი (ნ. მოკლომაჲ). ~ სული გაზ-  
რომი-გაზრომი მუშოიგა.

სულთოვაჲ სულთაობა (სასულიერო დღე-  
სასწაული) ანუ მიცვალებულთა სულის  
მოსხენიება დიდ მარხვაში შესვლის წი-  
ნა კვირას. სულთაობა ორგვარია: გო-

რიცან სულთოვაჲ და კორცხნვლაჲან  
სულთოვაჲ. პირველი — მარხვამდე ერ-  
თი კვირით ადრე იციან, შაბათ დღეს.  
ხოლო მეორე — მეორე შაბათს, ერთი  
კვირის თავზე. ~ გორციან სულთოვაჲ  
მარხვაჲ შესტლი წინ კურტას კებტე  
(მარხვაში შესვლის წინა კვირაშია).  
ამ დღე (დღეს) დილილითავ (დილიდანვე)  
დგევიან სახლი დეკაცე, ავეთევენ  
ფლავს. ზეჲ ჩასტლინეჲბ (შხის ჩას-  
ლამდე) გარაქ (უნდა) სუფრაჲ დააგან  
მიწაზე, მევლან (მერმე) მალაგან (და-  
აწყონ) ბუთუმ განაქეთევენ რამ (ყვე-  
ლაფერი, რაც გაუკეთებიათ), ამოყო-  
ფან (დაარიგონ) გორციან ფლავ, ვაშლ.  
სხალ, თხილ, კაკალ, ერ დოლაჲ წყალ,  
ერ შტოფ ღუნეჲ, ერ შუშა არაჲ დადონ  
სუფრაზე. არაჲი შუშასთან ღრვენ  
არაჲი ესტაქან (კიქას), ღუნე შტოფთან  
— პარაწიჲ (ნ.), ჰე ჩეჲ ესტაქან (ან  
ჩაის კიქას). ესენ ბუთუმ საესრაჲ იქნეს  
გარაქ (ეს ყველაფერი საესე უნდა იყოს).  
ქაფქირში ჰე კილა (ან კიდე) კრამეტი  
ნაჭერში ატანენ (იღებენ) ცეცხლი ნა-  
ლრდალს, ატანენ გელში საქმელს.  
მეღნი (მერმე) სიპტა (ყერ) ოყახი დიდს  
(უფროსს) გენევიან: ჩაყარ საქმელ! ისიც  
თლტს (ჩამოთელის), მინც მანაქდომ  
(მეკვდარი) არის, ამბოვს: ღმერთმა აცხოვ-  
ნასყ, თოლ თავიანთზე აქონდასყ! კედემ  
(კიდე) თლტს სახლი პატრონ იმ მა-  
ნაქდომეჲს, მისაც პატრონ არ აქ. ისენიც  
ღმერთმა აცხოვნასყ! მემლან სამღვეჲ  
შემაოტარევენ ცეცხლს სუფრაჲ ღრ-  
თიან. საქმელ ჩაყარს უჲან ერ ხეთ წუთ  
ელოდევია, დააწოროჲ საქმელ. მეღნი  
სუფრაზე მანალაგეჲ პურს გეჩენ.  
ღუნრს ღრუნან, ამბოვენ; ღმერთმა აც-  
ხოვნასყ! პურს ზალღს უგდევენ მან-  
გეჩენ, ზალღი ნაქამ მადღ მანაქდომეჲს  
მალე მეეწევაჲ (მეკვდრებს უფრო ჩქარა  
მოუწევეს, ერგებო). მოზობლეჲს უზ-  
გავნიან ერ პურ, ერ ბოშყავ (ნ.) ფლაჲ,  
ერ ესტაქან ღუნეჲ, თხილ, კაკალ; რაჲც  
არის საქმელ ჩანაყარ ადგილზე (საქ-  
მელის ჩაყარის ადგილას). მოზობლე-



ვიბე (მეზობლებსათვის) გაგზავნას უკან სახლში ყოფ ინსნეე (აღამიანები) ელდე-იან, აცხოვენეენ მანაქლომევს (მკვდრებს). შკამენ, ლევენ. გორციან სულთოვი ერ კურბუშს თაეზე (ერთი კვირის თავზე, კვირის სწორს) კედემ კორცხვლააან სულთოვამს (ერბოკვერცხიანი სულთობაა). ისიც შაბათ დღე ეკბტეე (არის). ემ სულთოვას კორცხ ეღლააან ამაშზე ეხანთან, ემ დღე გორც არ აგმარევენ. მარხოლსავ (მარხვაო) თააქი გასხო-ნეიენჟახ (ვიდრე გახსნილებამდე). ავეთევენ ამ დღე ფლავს, უჭორცო, კორცხვლააან ფლავს, შვიკმანდს, საკმელს ყრიან დაჭოცილევიბე (მკვდრებისათვის). რათარაც (როგორც) გორციან სულთოვაშივილაპარიკით, ამ ფორმაითაც ეესი (ამგვარადაა ესეც).

— სულთობა ჩ უ ბ., ძ ო წ.

ხულის(ხ)მა ნ. -მა.

**სულლულ:** სულლულ (სულლულიან) ადგილ [აზ. სულაქ იგივეა, რაც ნაქყანტ მიწაა. ~ ნაქყანტს სულლულ (|| სულლულიან) ადგილს ებნევიან, არეარგ მიწაას (უეარგისი მიწაა). ემ ადგილს კი არ წყრან (რწყავენ), თავითაეზე (თავისთავად) გომოდის წყალ. ეემ ადგილს ჰამმეშა წყალ ეგვე (ამ ადგილს მუდამ წყალი უდგება).

**სულპური მიცვალბულის სულის ახსნა.** ორმოცის ალაპი მკვდარზე. ~ „სულის პური, ანუ სულის ახსნა მიცვალბული-სა ერთ განსაზღვრულ დროს არ იციან, მაგრამ უფრო მეორმოცე დღეს იხდიან ხოლმე. ამ დღისთვის წინდაწინ მიიწვევენ ყველა ნათესავს და ნაცნობს მთელი ქალაქობით. დიდი მზადება და ხარჯი იციან; აცხოვენ პურს, ლავშს, კლავენ საკლავს. საკლავი სამი უნდა დაკლან, სამივე ცხვარი. ან არა და, ორი ცხვარი და ერთი დეკეული. ცხვარს დაკვლის წინ მარილს შუაქმევენ, ქათმებს კი ქოჩორს შეუტრუსავენ.

ამ დღემდის ვინც მგლოვიარედ არის, თმას და წვერს არ იკრებს. შავის ჩაცმა არ იციან. ქალები, იმის მაგიერ, რომ შუა ტანისამოსში გამოეწყონ, პირიქით, რაც რამ ახალი და კრელ-კრელი

ტანისამოსი აქვთ, იმას ჩაიცვამენ და ისე დადიან.

ამ დღისთვის დაბარბული ჰყავთ და ლაქი და ყველა მგლოვიარეს თმას და წვერს პარსავს და კრეკავს. მაღაქს გასამრელოდ აძლევენ ერთ მანეთს, ერთ ხელსაბოცს ან ჩითის სუფრას, ლავშასა და საინთ ფლავს.

ვიდრე კაცები თმა-წვერის პარსევა-კრეკვაში არიან, ქალები, შინაურები და ნათესაეები მიდიან მიცვალბულის საფლავეზე და თან მიაქვთ სასმელ-საკმელი და ტანისამოსი მიცვალბულისა. თან მისდევთ ერთ ან ორი კაცი, რომელთაც მიაქვთ სასმელ-საკმელი. მისეღისთანვე მიცვალბულის ტანისამოსს შლიან საფლავეზე, დაალაგებენ სასმელ-საკმელს, ანთებენ სანთელს და უკმევენ, შემდეგ ტირილს დაიწყებენ. დიდხანს ტირიან და მოსთექვამენ გარდაცვალბულის აე-კარგს. როცა ტირილით გულს იჭრებენ, დასხდებიან და კანახსმას შეუდგებიან. რაც რაიმე დარჩებათ შეუქმელი, იმას სახლში აღარ წაიღებენ და ქვრიე-ობრებს უწყალობებენ. ტანისამოსს კი დაკეცავენ და იმას აჩუქებენ, ვინც მიცვალბული გაბანა. ქალების დაბრუნებისას უკვე ყველაფერი მზად არის და სუფრა გაშლილია. აქაც ჩაუყრიან მიცვალბულის სანთელ-საკმელს და მერე დასხდებიან სუფრაზე. სტუმრებს იმ დღეს წვინანს, ფლავსა და ხილუელებს მიატრამევენ, ქალებს, გარდა ამისა, კორკოტიაც უმასპინძლებიან. წასვლისას ყველას თან მიაქვს ერთი ორი ლავში და კუქულა ღვინო.

ხალხი რომ დაიშლება და წაე-წამოვა, მაშინ მიცვალბულისათვის საგანგებოდ გამოცხობილ პატარა პურს ღობეზე დასდებენ და იტყვიან: შენ წილ მივიღია, შენ წილ-რამ აქ აღარაა. ამ პურს ღობეზე შესდებენ და, თუ მათხოვარი გამოივლის, იმას უწყალობებენ.

სულპური სამჭერ იციან. ერთი, ჩვეულებრივ, მეორმოცე დღეს, მეორე—

წლის თავზე და მესამე—ორი წლის თავზე. გარდა ამისა, ვინც უფრო შვედლებულია, ყოველ წლიე იწვევს ხოლმე ნათესაებს და იხდის სულპურს“ (ე დ ი ლ ი, გვ. 117-118).

[სინ. სულ ასხნაა; ხეარათ].

— ჟ ა ნ., გვ. 162-164.

სულუფ 1. სარეველა ბალახი ბრინჯის ნათესში. ~ სულუფ ჩალთუქში კეპტეე (არის), ნათესში, ფრტისაალი (ფეტვის მსგავსი) თავთავ აქ.

— სულუფ, ღორმუფ მ ა ყ., შ ი ნ ა მ რ ე წ ე;

2. ამ მცენარის მარცვალი. ~ დანაყულ (დაცხვილ) ბრინჯში შავ რამ ნუმ (რომ) კეპტეეის (არის), აას (აი ისა) სულუფ.

სულლუფ იგივეა, რაც სალტეა, მნიშვ. 2.

სუმაყ, სუმაყ ფთილა, ფარო (მატყლისა). ~ მატყლს დასჩეჩავ, დააწყავ. მეველი (მერმე) მოაგურგლეე (მოამრგვალებ), მოაგურგლეე, იქნეე სუმაყ; ხუთ სუმაყ გამიქეთეი.

სუმახ [აზ.] იგივეა, რაც თუთუბოა. — მ ა ყ.

სუნაყ მსუნაგი.

— ჟ ა ნ.; ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ.

(ქართლ.), სუნაგი ჩ უ ბ.

სუნაა „გელიანი ხის ჯიშია“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

სურათი გადატანაა სურათის გადალება.

~ წადანდელ (უწინდელ) დროში სურათს არ გადააქდენენ (არ იღებდნენ).

სურაა [აზ. სურაჰ] მოაჯირი.

— სურაია ჩ უ ბ., მ ე ნ თ.

სურად ჩ(ო)მოგდევა ხმის გავრცელება, რაიმე ამბის მრავლისათვის ცნობება, შეტყობინება. ~ სურად ჩმაგდეს, ჩონ ყმაწულეეს თიფლიზში უშეოლში აპყონენაე (ხმა გაავრცელეს, რომ ჩვენს ბავშვებს თბილისის სკოლებში იღებენ-ს); შენ ზროხაა ნუმ (რომ) დაკარგულ, სურად ჩაგმიგდრა? (აცნობე თუ არა ყველას?).

სუსალულ სასულე. ~ კმაში იხტილათ ფჩედიოდი (კამისას ვსაუბრობდი), პუ-

რი ლოკმაა სუსალულში წოტდა; ჯიოჯენ (დაეიხნეე), მაგრა დამაგრა.

სუსმატ მსუნაგი, წუწვი, საქმლისთვის სულწასული.

— ჟ ა ნ.; ციმიია მ ე ნ თ.

სუსმატოვა მსუნაგობა, წუწვიობა. ~ სუსმატოვს, ვერ ვაზლოვ.

ნ. სუსმატ.

სუფრაა დაგვევა ნ. დაგვევა.

სუქან მსუქანი; სუქან მიწაა ნოყიერი (ან ხელოვნურად განაოყიერებულ) მიწა. ~ სუქან მიწაა ფუნტარი (ფაშარია, ფხვიერია), იგრეე (ისე) მიწაა, ხამ მიწაა ნაქერ-ნაქერ კეპტეეის (არის); სუქან ნაწლიეე ნ., ნაწლიაა.

სუთულ [აზ.] თიხლო. ~ სუთულ კარტხ.

სუთუნ [აზ.] ბოძი, სვეტი. ~ ჰენგილოურა (ინგილოურად) ბოზ (ბოძს) ბეერ არ ამბოვს, სუთუნ ეზახიან; სუთუნევი თირ აიენის ქერთან სვეტებზე გადებული გრძელი ძელი, რომელიც უშუალოდ სუთუნბაშებზეა (ნ. სუთუნბაშ) დაბრჯენილი.

სუთუნბაშ [აზ. სუთუნბაშ] აიენის სვეტის თავი. აიენის თითოეულ სვეტს იმ ადგილას, სადაც ის ქერს უერთდება, თავზე ოთხკუთხი ფიცარი ადევს, თითქოს ქული ახურავსო. ესაა სუთუნბაშში. მასზე გადებულია აიენის სახურავის გასწვრივ გრძელი ძელები ანუ სუთუნევი თირეე. ზოგჯერ ამ გრძელ ძელებსაც სუთუნბაშს უწოდებენ.

ნ. სუთუნ.

სუქალულ სიკვილი.

სუმაყ. სუმაყ.

სურაგ, სურაჰ [აზ. სურაჰ] მრავალთა ერთად ნადირობა (ტყის შეკვრით). ~ ნადიროვაა სხოას (სხვაა), სურაგ სხოას. ნადიროვაში ღამი უღრვით (გსდუბით), ჰე (ან) წყლი გუბზე, ჰე პურში, ჰე სმინდში, ჰე ხეზე. ნადირ მოლის შიქმელა (საქმელად), წყალ დაალეველა (დასალევად), ჩონც ქყლავთ. სურაგში დღისიამ მივდივართ, ბარას ეუქრავთ (ნ. ბარაა, მნიშვ. 1), თოფევით აჟეეზე (ნ. აჟე, მნიშვ. 3) დგრვით (ვდგვით). მეზალეეე (ნ.) ზალეეეს ყრიან (უშ-

ვებენ), ბარას აყოლევენ (შემოვლას იწყებენ). ზამთარში თოვლზე კოლს ვაწრნავთ (ნ. კოლ). ზალღევ იყუფევიან, ლორ-რამიც (ლორი და მისთანანიც) ბარაზე გომოდის, ჩონც ვოსრუთ, ძქლავთ; სურავს ჩედის ნადირობს, ~ დაჰა სურავს აღარ ჩრდივართ (აღარ ვნადირობთ).

სურავოვან სანადიროდ. ~ სურავოვან წასტლამ.

6. სურავ.

სურამა (1) [აზ. სიღირმ] ურდული. ~ სურამა გოტყარ, კარეე გამგარდესაც (მაგრად დაიკეტოსო); ალილი (ნ.) კარს კლეტენუ სურამათი.

სურამა (2) [აზ. სურამ=ჰეავისრქა] და-ავადებული პურის მცენარე, რომელსაც წერილი და შავი ფერის მარცვლი აქვს. ასეთი ხორბალი მდარე ხარისხისაა. ~ სურამა კატეკუდას (ნ.) მინგავს, გზელ წრულ, შავ მარცლრე აქ, ბილ კულეე აქ, პურში კეპტეე, პურს აშიეე, პურიშიგაფათი ცხრილი გაცრამი გადისუ, ლად წრულ კეპტეე (ძალიან წვრილია); პეჩ კაა პურ არ მეგრძეევა კოლხოზით (კარგი პური სულ არ გვერგოკოლშეურნეობიდან), შიგ სურამა ბეტრ ივო.

— გულადშუტა შ ი ნ ა მ რ ე წ ე.

სურსულა (1) ქრისტესისხლა.

— მ ა ყ.

სურსულა (2), სირსულა სირსეელი, სირსეილი (კანის ავადმყოფობა).

— ჯ ა ნ., სირსეელა მ ე ნ თ., სურსულა ბ ე რ., ე ლ., სრსეელი ს ა ბ ა; სირსეელი, სრსეილი ჩ უ ბ.

სურუთთმა [აზ. დილა. სურუთმ] შეშის, ხეებისა და მისთანათა შეკერა, რომელიც მთიდან თრევით ჩამოაქვთ ქვევით; სურუთმამათი ჩ(ო)მოტანა მთიდან ხის დიდი მორების; შეშისა და მისთანათა თრევით ჩამოტანა. ~ შეშას სურუთმამათი ჩომოტანენ (ჩამოაქვთ) ქრმ; ღორ მამიკლავ თაში (მთაში), სურუთმამათი ჩომოტყონ ქრმ (თრევით ჩამოვიტანე); „მთაში მოპრილ შეშას სელავით ქვეშ საურმეზე ჰყრიან...

თუ სელავი ცუდია, ჯერ საულაყეზე ჰყრიან, სურუთმამათი ჩამოაქვთ საურ-

მეზე და ურემზე დადებული შეშა მოაქვთ სახლებში “ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); სურუთმა ხეა მთიდან თრევით ჩამოტანილი ხე, მორი და მისთ.

სურულუმა, სურულლუმა, სურულია ცომისგან გაკეთებული ერთგვარი სკამელი, რომელსაც შემდეგნაირად აწაზადებენ: „სღამენ ცეცხლზე წყალს. შიგ ჰყრიან კაი მსუქანი ხორცის ლოქმევს (ნაჭრებს), გზელ შუნდს (კერკს) ან ნელდ შუნდს, პირპილს, ქიწიბი კეპეკს (ნ. კეპაკ), მარილს და ადუღებენ. ამ დროს ცომს ზელავენ, ავუნდევებენ და სკრიან ცერი თითის სისქესიგძე პატარ-პატარა გუნდებად. ხორცის მოხარშვის შემდეგ გუნდებს ჰწვენენ: საჩვენებელ თითს აქერენ გუნდაზე, უსვამენ ტაბაკის პირზე და გათხელბულ-დახორხლებულ (დახვეულ) ცომს ჰყრიან მღულარე ხორცის წვეწმში. მოხარშვა-ამოყრის (ამოღების) შემდეგ ერთად დანაყულ ნიორში და მარილში, ან მარილ შეწყობილ [ნ. შაწყოვია (2)], წრლად დანასხამ (მაწონ დანასხამ) ნიორში აწებენ და სკამენ“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); თაყ-ფეყში განაქეთე სურულუმა კაა კეპტეეყ (კარგია ხოლმე); სიპტა ჩანადვეე (პირველად ჩადებული) სურულუმა უკანახენდელს (უკანასკნელს) ელოდვეის, ქობში ერთა იხარშევისაც — ემაგრ იტყუნ (ასე ამბობენ); სურულუმა გ(ო)მოსწეეა (|| გასწეეა) სურულისათვის ფორმის მიცემა, თითის დაქერით ცომის გამოწეეა-გამოყვანა; სურულია-მურულია, სურულია-ტურულუმა იგივეა, რაც სურულია.

სურუმა [აზ. სურუ] ჯოგი, ნახირი (ღორისა, ცხენისა, ძროხისა, ცხვრისა, თხისა და მისთ.).

სურცხულ, სისურცხულეა სირცხვილი. ~ სურცხულუ (|| სისურცხულუთ) ღომაწ (სირცხვილით დავიწვი); ეს ჩემზე სურცხულუ (ეს ჩემთვის სირცხვილია).

სუს დათვის კანაფი (მცენარე). ყვითელი ფერის საღებავად იყენებენ. ~ ყუ-

თრლ ბაწარ სუწში იღებვის. სუწს  
ტყუწავით. ტყრით ქოშში, ვოსხაშთ  
წყალს, ბაწარსაც ტყრით, ვოლუღევთ  
ვრ საათ, მეველი (მერმე) შაპში ტტტტ-  
ბათ (ნ. დატიტბა).

— მ ა ყ ., სისვი მ ე ნ თ .; ხისვი  
მწუანე გ ი გ ., თ ო ფ ., ქ ა ვ თ . (ხეცს.);  
ქ ი ნ ქ . ხეცს.

სუწსლუქ იგივეა, რაც სლუქ. ~ სუწსლუქ  
კაცი.

სუწსტუნ. სუწსტუნოვამ, დასტრნამ სტეე-  
ნა, დასტეენა. ~ ჰაბე (რატომ) სუწს-  
ტუნრვა (უსტეენ) სახში? წაბ ტყეში,  
მინდორში ისუწსტუნ (დაუსტეინე)!; გ-  
დამ ოტ ქალს დოტსტუნა; მ ი მ ღ . ნა-  
ხუწსტუნე, დანასტრნ მსტეინავი. ~  
ნასტსტუნევე გროლიე არის. ტან წოპ-  
ლაც (წერილი) აქ, ქელლამ ბუზნი-  
სწორ (თავი მუშტისოდენი); ჩიტ დანა-  
სტრნევი გმას ჩედის (ჩიტი სტეენის  
მსგავს ღმას გამოსცემს); ზ მ ნ ზ .  
სუწსტუნ-სუწსტუნ სტეენა-სტეენით. ~  
სუწსტუნ-სუწსტუნ მოღის;! სუწსტუნ ქნა  
იგივეა, რაც სუწსტუნ; სუწსტუნ ქნი-  
ქნი იგივეა, რაც სუწსტუნ-სუწსტუნ. ~  
შენ სუწსტუნ ქნი-ქნი ჰაბე (რატომ)  
ზიდორდი?

სუწსტუნოვამ ნ. სისინოვამ.

სუწსწრუქ. სისწრუქთ. ხისწრუქ ვასწე-  
რივ. ~ ამ ხი სისწრუქთ წაპ; ღობი  
სისწრუქ წაუღა.

სუწფათ ნ. სიფათ.

სქელ. სქელ თარაფ შამბირუნა ნ. თარაფ,  
მნიშ. 1; სქელ ნაწლიევე ნ. ნაწლიამ.

(ს)წო(ს)წო(რ), (ს)წოწოწო(რ), (ს)წოწოწო(რ),  
(ს)წოწოწო(რ), (ს)წოწოწო(რ), (ს)წოწოწო-  
რამ, (ს)წოწო, (ს)წოწოამ, (ს)წოწოწოამ  
ტოლი, სწორი, თანაბარი, თანატო-  
ლი, -ხელა, -ოდენა. ~ შუნდტუ ქუჯკამს  
სწოსწორ (შეინდის ქუჯკისხელა). ჩონ  
შუნდ ქლიავი წოსწორი (ტოლია), ბუზნი  
სწოსწორამს (მუშტისოდენა); ფუ-  
ფუნა (ნ.) ქათამს ესევის, წრუწლ რამ-  
ში (წერილი რამეა), ბალღუნწს (ბალ-  
ღინწოს) მინგავს (წააგავს), ამმა (მაგ-  
რამ) ლაფ წრუწლი (ძალზე წერილია),  
პესოკი მარცლუწ წოწოწორი (მარცელის

ტოლა); თამ წოწორა ხეა (მთის სწო-  
რი, მთისხელა ხე); ტან წიპლაც აქ,  
ქელლამ ბუზნი სწორ (მუშტისოდენა).  
სინ. ქ(ს)წოსწო(რ); ქ(ს)წოსწო(რ).

შღრ. ამ(ს)წო(ს)წო(რ); რამწოწო(რ).  
— სწოწორა ქ ი ნ ქ . ვაჟა.

სხალ მსხალი; ნ. დოღრა სხალ; დომფალა  
სხალ; ზამთრულა სხალ ნ. ზამთრუ-  
ლამ; ზაფხულა სხალ, ზაფხულიამ  
სხალ ნ. ზაფხულიამ; ნ. კაღოამ სხალ;  
კამმეტა სხალ; კათითავა სხალ; კონწი-  
ოღლი სხალ; ქურკურა სხალ; ღიშონ  
სხალ; შაპრამ სხალ; შირახულღლამ,  
შირახულა სხალ; ნუგბარ სხალ; უან-  
გინ სხალ; ტრიან სხალ; ტურამ და-  
ნაქრეფ სხალ; უჯუღო სხალ; შაპა  
სხალ; წითელგორღა სხალ.

— ქ ა ნ ., ს ა ბ ა , ჩ უ ბ ., ე რ ი ს თ .

სხილ სხმილი, ხორცზე დაყრილი ბუზის  
კერცხეზა; ~ ბუზ დრვს (დებს) კრც-  
ხრვს (კერცხეზს) გორცხე. ეემას სხილ  
ეზახიან, სამ-ოთხ დღეს უკან მატლა იქ-  
ევე ჰენი (ანუ) მატლავს (|| იმატლევ).

— მსხმილი ს ა ბ ა , მსხმილი,  
სხმილი ჩ უ ბ ., მსხნილი მ ე ნ თ .

სხლაპუნ ნ. დასხლაპუნევა.

სხლიან ადგილი, სადაც მსხლის ხე იზრ-  
დება მრავლად. ~ სხლიანში მიედ-  
ნ. სხალ.

სხლინ 1. სხნილი მარხვის შემდეგ. ~  
თავსაპარს (ნ.) და სულპურს (ნ.) ზოგ  
ინახავს, მარხოში არ ჩედის (არ აქე-  
თებს), სხლინში აკეთებს;  
2. სასხნილო საქმელი.

[საპირისპ. მარხულ].

სხმულოვამ მსხმულიარობი. ~ ტყიმაღ  
სხმულოვამში ზოგ ყუთორლი (ყვითელი),  
ზოგ წითელ.

სხოგან ნ. სხოა.

სხოგნი(თ) ნ. სხოა.

სხოდასხოა სხედასხევა. ~ ნემსი წორი  
(ნ.) შაყერამ არის ერ ფერ ზაფით, კი-  
კიკიკამ (ნ.) კი სხოდასხო ფერეით.  
ნ. სხოა.

სხოდასხოყურ იგივეა, რაც სხოყურ-სხო-  
ყურ (ნ. სხოყურამ).

სხოთაარ [სხვა + აზ თჳპარ = გჯარი] იჯე-  
ვეა, რაც სხოეურ(აა).

სხოა (ნრ. სხოვე) სხვა. ~ ეგ როგო  
მოაშორრთა ჩემ ოჯალით, რუმ სხომ  
ნუ იცოდინას?; სხოვეს ასესხა; სხოვე-  
თან (სხვებთან) ერთა მივდ; სხოას  
სხვაა. ~ ეს ჰელბეთ სხოას (სხვაა);  
სხოგან სხვაგან [— გი გ., თო ფ.,  
ქა ე თ. (გუღამაყ.); სხოგნი(თ) სხვა  
ადგილოდან. ~ ე ზმევიც სხოგნი მოა-  
ჯონენ დეკაევეს. [— კნით : სხვა-კნით  
გი გ., თო ფ., ქა ე თ. (ხეეს.);  
სხრვიბეთ სხვებისთვის. ~ სხრვიბე-  
თაე მააყუარეველ ინსან ყოფილ (სხვე-  
ბისთვისაც საყუარელი ადამიანი ყოფი-  
ლა).

— ქა ნ.; გი გ., თო ფ., ქა ე თ.  
(გუღამაყ.), ცხო ი ქ ე ე (მოხ.), ქა ქ.  
სხოამლაა მუწუცი.

— ქა ნ., სხრუპელი მე ნ თ.

სხოეურაა [←სხო + აზ. ჯრან] სხვაგა-  
არი. ~ სხოეურა ინსანი (სხვაგვარი ადა-  
გვანია); ზ მ ნ ზ. სხოეურაათი სხვა-  
გვარად. ~ ჩემ გელი მოკლაა არ იქნეე,  
თუ სხოეურაათი მოკლაე, მოკლოთაე;  
სხოეურ-სხოეურ სხვადასხვაგვარი. ~  
შიშით თოლქრ (თვალში) სხოეურ-  
სხოეურ რამევე მეჩრნე (სხვადასხვა-  
გვარი რალაეები მეჩვენება).

[სინ. სხოდასხოეურ; სხოთაარ].

ნ. -ეურაა.

სხოფრულაა, სხოფრულ სხეანირი;  
ზ მ ნ ზ. სხოფრულ (სხოფრულა) სხვა-  
ნირად. ~ იმან თაეი საქმე სხოფრულა  
გააკეთა.

სხრვიბეთ ნ. სხოა.

სხრიალ, დასხრიალევია, მოსხრიალევია  
ტრიალი, დატრიალევა, შემოელა რაიბის  
ირველივ. ~ ეუტუქულუ ზეათიანა  
ქუაა სხრიალოეს; პატარზალს სახლ  
წინ სამღეფა (სამჭერ) ცხენით ასხ-  
რიალევენ (ატრიალევენ); ბაწრი დას-  
ტაში (ძაფის დართვისას), ჰე დაზახა-  
ში (ან დაძახვისას) ტარს ნატეხარში (ნ.  
მნიშვ. 2) ასხრიალევენ; კაც აქაათი-იქიამ-  
თი უსხრიალევს დააქერელა, ანეაზ ვერ  
იქერს (კაცი აქეთ-იქიდან უტრიალევს,

მაგრამ ვერ იქერს); სახლი დრრთიანი  
სამღეფა მათარიალევეხარ (სახლს სამ-  
ჯერ შემოუვლი); ვადამ მოუსხრიალა  
(ვაემა შემოუარა) ცხენს; მი ი მ. ნა-  
სხრიალ მბრუნაეი, რომელიც ტრია-  
ლებს; ნ. ნასხრიალ ქაა; ჰკოა დასხ-  
რიალევია თაებრუს დახვევა.

სხუ. სხუთა, სხოთა სხვისი. სხუთა. ~ ამ  
ქალს სხუთა (სხვისი თაეი) უყუარდა;  
სხუთა დააეას ჰაბე ფყიდლოვა (სხვის  
ჩსუბში რატომ ჩავერევი?); მენუგნეა  
სხოთა ნუჯანზე არ შაეაყ, ნუგან და-  
ალაგელიაე (აბრეშუმის ქიის მომყანი  
სხვის ქიასთან არ შეეა, ვითომდა ჰია  
გატუდღებო).

### გ

ტაბაჟ, ტაბაჟ 1. [აზ. თაბაჟ] გობის მსვა-  
ესი ხის ქურქელი (ძირითადად ხორ-  
ბლეულის დასარკვევად).

— ქ გ ლ; გი გ., თო ფ., ქა ე თ.  
(ქართლ. ფშ.), ქა ქ., ძო წ.; დაბა-  
ლი სუფრა. გრჳელი ფიცარი ოთხ ფეხ-  
ზე საქმლის დასადებად და მოსასხლო-  
მად ი ქ ე ე (ღეჩხ.), მრგვალი დიდი  
თაბახი ჯა ნ., ხონჩა საბა, დიდი  
ხონჩა ან ლანჯანი ხისა ჩ უ ბ., მთლია-  
ნი ხისგან ჩარხში გამოპირილი მრგვალი  
ქურქელია, ზედ პურსა და ხმელ საქ-  
მელს აწყობენ მე ნ თ., ხის მრგვალი  
ფართო თეფში კ ი ნ ჰ. ვაეა;

2. დარჩეული კაელის გულის ნახე-  
ვარი, კაელის ლებანი. ~ კაელი ტაბ-  
აეჟ; ტაბაჟი (ტაბაჟივით) ლებნევიავ,  
აამაზე ვებნევიან ტაბაჟ.

— შგარი კაელიაა მე ნ თ.

ტაბლაა რ ე ლ ი გ. მიცვალეულთა სუ-  
ლის მოსახსენებლად მოშადღებული სას-  
მელ-საქმელი; შენ ტაბლაა ჰქოში  
(წყევლა).

— ქა ნ., კ ი რ., შა ნ. ვაეა IV,  
კ ი ნ ჰ. ვაეა, მე ნ თ.; მიცვალეულის-  
თვის გამომცხვარი დიდი ქადა კ ა ი შ.;  
საყურთხისათვის გამომცხვარი ოთხეუ-  
ხელი ზაქაპური ძო წ.; ფიცრის სუფრა

ფეტელი ს ა ბ ა ; მაგიდა, წინ დასადგ-  
მელი ფეხელი ფიციარი, სტოლი; მას  
ზედა დაგებული სანოვაგე ჩ უ ბ., გა-  
წყობილი სუფრა შ ა ნ. ტეხს, სუფრა,  
მაგიდა პურის საკმეღე გ ი გ., თ ო ფ.,  
ქ ა ვ თ. (მოხ.); სამფეხა დაბალი მაგი-  
და ქ ა ჯ.; თაბლა დიდი, ბრტყელი თეფ-  
ში — ეიწრო კიდებიანი (ჩვეულებ-  
რივ მრგვალი ან ოვალური), — ლან-  
კანი ნ ი ე.

**ტაბლოვა** ტაბლობა, პურის ქამა მკედრის  
სულის მოსახსენიებლად მიცვალებულის  
გარდაცვალებიდან მესამე დღეს; „გა-  
რდაცვალების მესამე დღეს ტაბლობა  
ციან, რომელსაც განსაკუთრებით მარ-  
ტო ქალები ესწრებიან. ამ დღისთვის  
ამზადებენ ყოველივე საკმელს, გარდა  
ხორცეულისა, რადგან, ინგილოების შე-  
ხედვებით ხორცეული ამ დღეს არ  
ერგება მიცვალებულს; სამგლოვიაროდ  
განსაკუთრებით დედაკაცები მიდიან და  
მიაქვთ შესაწირად ფლავი, ღვინო, ხი-  
ლი და სხე. როცა ყველანი შეიკრიბებიან,  
ჩამოიღებენ მიცვალებულის ტანისამოსს,  
გაშლიან იმ ადგილას, სადაც მიცვა-  
ლებულს სული ამოუვიდა და ტირილს  
დაიწყებენ. ტირილის შემდეგ ტანი-  
სამოსს კეცავენ და ინახავენ, ხოლო მის  
ადგილას აწყობენ ხორაგეულობას. ოჯა-  
ხის უფროს ქალს ნაკვერჩხლით სავსე  
ქაფქირს და საკმევებს მისცემენ. უფ-  
როსი ქალი საკმევებს აიღებს, ჩადებს  
ორ კბილი ქაფქირში და იტყვის: ღმე-  
რთმან ჭანათში (სამოთხეში) შეიყვა-  
ნოს. შემდეგ დანარჩენი ქალებიც რიგ-  
რიგობით მივლენ, ისინიც ჩაპყრიან საკ-  
მევებს, იმავე სიტყვებს გაიმეორებენ.  
როცა საკმეველი წვას დაიწყებს, მა-  
შინ სამჭერ შემოთვლის კმევით ხორა-  
გეულობას ორი დედაკაცი. კმევა იწყე-  
ბა აღმოსავლეთის მხრის ქვემო კუთ-  
ხიდან, მარცხნიდან მარჯვნივ. შემდეგ  
მეორე დედაკაცს გადასცემს და ისიც  
კმევით ჩამოთვლის და მეორე სხვას გა-  
დასცემს. კმევის გათავების შემდეგ სა-  
კმელს არ აჭრებენ, არამედ იქა სდე-  
ბენ, სადაც მიცვალებული ესვენა და,

ვიდრე მთლად არ დაიწყება საკმელი, საკ-  
მელს ხელს ვერაფერ ახლებს. საკმევე-  
ლის გაკრობისთანავე სუფრას შლიან  
და თითოეულ სტუმარს სამ პურს და-  
ულაგებენ. სტუმრებმა კარგად უნდა  
სკამონ და სვან და, რასაც ვერ შესკა-  
მენ, უნდა ჩაიწყონ თან მოტანილი ხე-  
რჯინში და სახლში წაიღონ. აგრეთვე  
თან უნდა წაიღონ სახლის პატრო-  
ნის ღვინით სავსე კუჭულები. ასეთი ტა-  
ბლობა იმართება გარდაცვალების ყოველ  
სწორზე, ვიდრე ორმოცი შესრულდება.

ყველაზე უფრო საყურადღებო ამ  
ტაბლობაში ქაფქირით კმევა-კურთხე-  
ვაა სუფრისა. ლაპარაკი არ უნდა,  
რომ ეს ჩვეულება იმ დროს შემოსულა,  
როცა საინგილოში მოსულმა მოლებმა  
მღვდლები ძალდატანებით გააძევეს და  
ხალხს გარეგნულად ქრისტიანობაზე ხე-  
ლი ააღებინეს. სწორედ ამ დროს უნდა  
შემოსულიყო ქალებისაგან სუფრის კუ-  
რთხევა; ქაფქირი იმავე საცეცხლურსა  
ნიშნავს, რომლითაც მღვდელი უქმევს  
ხოლმე მიცვალებულს“ (ე დ ი ლ ი,  
ვ. 115).

**ნ. ტაბლა.**

— **ტაბლობაა** ჯ ა ნ., **ტაბლობა** კ ი ნ ქ.  
ვაეა.

**ტაია** [აზ. დაჰაი] ბიძა (დედის ძმა); მოლ-  
ლა **ტაია** ნ. მოლლა.

— **ტაა** ნ ი ე.

**ტაიაქალ** ბიძაშვილი ქალი (დედისძმის-  
შვილი)

**ნ. ტაია.**

**ტაიაშულ** ბიძაშვილი ვაჟი (დედისძმის-  
შვილი)

**ნ. ტაია.**

**ტალამპურ** ბაწრის დასაგრები ხელსა-  
წყო.

**ტალახ:** კარი **ტალახ** წაღვეა ნ. კარ.  
**ტალახა** [აზ. დალაგ] ელენტა.

[სინ. ტერიპ].

— **ჯ ა ნ.**

**ტალდა** [აზ. დალდა] იგივეა, რაც საფარ.  
~ **წუშა**ა არჩამნასულ ადგილს, ნამ  
არნაქნარ ადგილს **ტალდა** ებნევიან  
(ისეთ ადგილს, სადაც წვიმა არ ჩამო-

დის, სადაც სინესტე არაა, ტალდა ეწოდება; ტალდაში ინახენ ტაშსუმუხ, რამ-რამ, არ დასველდეს, სისველეაზგანი (სისველისაგან) ნუ გაფუჩდესაგ.

**ტალერკ** [რუს.] თეფში, სიანი. ~ ოორ ტალერკ ფლაე; ქორწილში ემეურა ადითი (ამგვარი წესია): ზალ შინ შოშოყონაში კარეთან რამს (რამეს) აგეჩინევენ (ამტრევიენებენ), ჰე ტალერკ (ან თეფსს), ჰე ესტაქან (ან კიქას), კედე (მერე) შინ შაპყონენ; მა(ს)აღგომელ ტალერკ მოსარგები, ზომით რამეს შესაბამისი თეფში (ჩეულებრივ, ტოლის ქვაბში ჩასადებ თეფსზე ამბობენ): იმისთვის, რომ ტოლმა მოხარშვისას მთელმთელი გამოვიდეს, ქვაბში ჩადებულ ტოლმას დაპირქვაგებულად თეფსს ადებენ, მოარგებენ. ეს თეფში იმგვარი ზომისა უნდა იყოს, რომ ქვაბშიც ეტეოდეს, მაგრამ ქვაბის სივანეზე (ღიაებტრზე) ნაყლები არ უნდა იყოს. ~ მასაღგომელ ტალერკ, ზედ ნემ მეეწყოვის ტოლმას, აასი. თუ პირვეით ტოლმა გამოჩანდა, იშლევის ტოლმა, ლამაზა ზედ გარაქ (უნდა) ტალერკ მეეწყოს; ემ ქობი მასაღგომელ ტალერკ არ გოქ, ყუადლიც არ მოდის (სახურავიც არაა ამ ზომისა).

— **ტარელკები, ტალერკები** გი გ., თო ფ., ქავთ. (მთიულ.).

**ტამარ** [აზ. დამარ] სისხლძარღვი (ყველა ძარღვი, რომელშიც სისხლის მიმოქცევაა). ~ ხანჯალს ტამრევი უსომს (ძარღვებში უსვამს); ტამარ გადაუქრა (ვენები გადაუქრია).

**ტამაშუა** [აზ. დამაქს] წვეთი.

**ტამაშურ** [აზ. თანბურ] ერთგვარი სიმიანი საყრავი, თარის მსგავსი.

**ტამაშურა ჩალა** ერთგვარი ჩალა (ნ. ჩალა). ~ ტამაშურა ჩალათი სახლევს არ ხურენყ, უხივი გომოდის, თე გურგალ აქ, მოწევი დროზე თუ გელ მახალ (თუ ხელი ახლე), შიგ ბუმბულ, მატყლ გომოდის.

**ტამს(ო)მოზ, ტამს(ო)მოს, ტამს(უ)მუხ, ტამს(უ)მუხ, ტანს(ო)მოზ, ტანს(ო)მოს, ტანს(უ)მუხ, ტანს(უ)მუხ.** ტანსამო-

სი, ტანსაკმელო. ~ შენ ტამსომოზ გააგლო, მე ჩოაყო (ჩაიციკაბ), ჩემ ტამსომოზ გოაგლო (გაეიხილი), შენ ჩაეს; ე ტამსუმუხ ჩაეს, ნოხო, ვაშნა? (გშვენს?); ტამსუმუხ დაარეცხელვარ (დაერეცხავ); ერ ყათ ტამსომოზ ნ. ყათ (1), მნიშვ. 2; **თეთრიან ტამსომოზ** ნ. თეთრიან; **ტამსომოზ კებტევ** (აქ ჩნილ) მენსტრუაცია აქეს, მენსტრუაცია მოუვიდა (სინ. სარეცხ კებტევ; ფართალ კებტევ; ტან მიიღის).

— **ტანსომოზ** ჟ ა ნ.

**ტ დ რ.** ფეესომოზ.

**ტამლა** [აზ. დამლა] დამლა, დალი. ნიშანი; **ტამლა** დარაბ იგივეა, რაც დატამლა. ~ **სოლახა გარზე ტამლას** დარაყე (მარცხენამხარზე დაღს დაგადებთ).

**ტან მიიღის იგივეა, რაც ტამსომოზ** კებტევ [ნ. ტამს(ო)მოზ].

**ტანა** [აზ. დანა] ხბო. ~ **ტანი** ფაშ-ფუტარ (ხბოს შიგნული); **ტანე** ჩაყრა (ხბორების ჩამწყყდევა); **ტანა-ტუნა** წერილფეხა საქონელი, ხბორები; **ტანე** ნაყურ იგივეა, რაც მეტანე; **ტანევეზელ წანჯლა** ხბორების სამწყყავად წანსლა. ~ **ტალარში** (გულდაში) ჩატდრვი ერ კოქობ წრლა (მაწონი), პურ, მიღის ტანევეზელ.

— **ჯ ა ნ.** ხბო (საფურეც და დაუყვერავი სახარეც) წლიდან ორ წლამდე **მ ე ნ თ.**, ხბო ერთ, ერთხანევიარ წლამდე **ნ ი ე.**; წლის დეკეული ჩ უ ბ.

-**ტანაა, -თანაა -თანა, -ნაირი** (მსგავსების აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობა აქეს, თუმცა თარგმანში უმრავლეს შემთხვევაში არ გამოიყენება). ~ **შენისტანა** (შენისთანა); **არვარგისტანა**, **არვარგისტანა** უვარგისი; **ბევრისტანა**, **ბევრისთანა**, **ბევრისთანა**, **ბევრისთანა** ბევრი, ბევრი მათგანი, უმრავლესობა. ~ **ბევრისტანა** ეხლა ჰრქმითი (ნ.) კოლა (ნაცელად) თაეროვაა ამბოვენ; სახლევი ბევრისტანა ჩარგულ კებტევ (სახლების უმრავლესობა ოთხმხრივ ჩალით დახურულია); **დიად** (ძალიან, მეტად) უწინდელი სახლევის

ბერისთანაჲ კედლიან (ნ. კედელ) ყოფილ; დიდისტანაჲ, დიდისთანაჲ დიდი, უფროსი. ~ დიდისტანა შუღ შიმახზე წაუდა; კახსტანაჲ, კახსთანაჲ, კახსტანაჲ საუკეთესო, ძალიან კარგი. ~ ზოგდევთა კახსთანას დათესაში არეარგისთანაჲ გომოდის — უხრწო ფაყულას თესავ, ხრწიან გომოდის; მრზრბელმა კახსტანა (|| კახსთან) დიდ ქობ მისკა: ხიბალ ნაქნარ (შხამიან) ვაშლს ახრაზიონს აზლევს, კახსტანას (კარგს) კი თუთან შქამს; პატრახსტანაჲ, პატრახსტანაჲ. პატრახსტანაჲ პატარა, უმცროსი. ~ დიდისტანა ყმაწულის (უფროს ბავშვს) შუქურია ეზახიან, პატრახსტანას (უმცროსს) — ციციონს; პატრახსტანა შუღ (უმცროსი ვაჟი) იყურევს ღედ-მამაჲ ნათქომს; შავისთანაჲ შავი; წიბლაკისტანაჲ წერილი.

ტანაყირან 1. [აზ. დიალ. დანაგჷრან] ერთგვარი სარეველა მცენარე, რომელიც საქონელს კლავს. ~ დანაზილივი რამეკტევის (დანილივით რამაჲ) ტანაყირან, იმი კჷმში ზოხხაჲ იგოცევის;

2. ერთგვარი კია, რომელიც კომბოსტოს, ხახვს, კარტოფილს და მისთ. ანადგურებს (ზოგის მიხედვით, ეს იგივეა, რაც ყურველაჲ). ~ შენ მამულ ტანაყირანს უქამი.

ტანაჩიჲ [აზ. დანა + აზ. ჩი] იგივეა, რაც მეტანეჲ. ~ იმი შუღ ტანაჩიჲ ყოფილ.

ნ. ტანაჲ.

ტანაჩიოვაჲ მებზორეობა; ტანაჩიოვას ჩედის მებზორეობას ეწევა. ~ ვადაჲ ტანაჩიოვას აღარ ჩედის (ვაჟი მებზორეობას აღარ ეწევა).

ნ. ტანაჩიჲ.

ტანკ, წანკ [აზ. დანკ]: ყური ტანკ (წანკ) ნ. ყურ.

ტანკიჲ პატარა, მრგვალი მოყვანილობის, დაბალბირიანი კალათა, ღვედღევიანად დაწნული. ხმარობენ მეტწილად ფერადი ძაფების ჩასალავებლად. ~ ამ ტანკიში რაჲ განკა?; ტანკიჲ შაკერაჲ ტანკიჲს დაწნა.

— ტანკეტ, ტანკიჲ ჳ ა ნ., ტანკ, ტა-

ნკიჲ კალათი გიგ., თოფ., ქავთ. (ინგლ.).

ტანს(ო)მოზ, ტანს(ო)მოს, ტანს(უ)მუზ, ტანს(უ)მუს ნ. ტამს(ო)მოზ.

ტანტალიოჲ ტიტრელა, ტიტლიკანა. ~ ქალს ტამსომოზ გეეგდა (ტანსაცემელი გეეხდა), იღვა ტანტალიოჲ.

— ტანტალიოკონი შ ა ნ. რეც.

ტანტაყეე ნ. ტატაყეე.

ტაპაკ ნ. ტაბაკ.

ტაპანტიჲ ქნაჲ დამლა, დაფანტეა, წასვლა-წამოსვლა, დამორება (თეშეყურილი ხალხისა). ~ ეთქოთ, ყონალულეში (წეეულეზაში) შიკმელ სკომით, გათიევაში იტყუნან (გათავებისას იტყვიან) — ტაპანტიჲ იქნა; ყარფუზ იყიდლოდა, დამთარაშეს, ტაპანტიჲ იქნა, ველარ მეეესწარით; ტაპანტიჲ ქნილან (გაყრილან); ტაპანტის (პ)ჩედიან იყრებიან, ცალკედებიან. ~ გემრაში წასლრა (სადგომებში წასასვლელად) ცხორ დაზარაში (როდესაც შემოდგომაზე მთიდან ცხვარი ჩამოდის) ტაპანტის (ანუ დაფანტის) ჰჩედიან (ჩობან-ფეშაქარი, ვისაც უნდა ცალკადება, ვისაც უნდა, უერთდება ბინას“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

[სინ. დაფანტიჲ ქნაჲ].

ტაპარაჲ იგივეა, რაც სალმა-ბიჩახ.

ტაპარ-ტუპურ დანაობის ერთ-ერთი ილეთი: მოთამაშე საკეც დანას წვერით იჭერს, ტარს მიწაზე აჭეთ-იჭით არტყამს და მერქო ისე ისერის, რომ დანა მიწაში ჩაიჭროს.

ნ. სალმა-ბიჩალ.

ტაპკირ: ტუპკირ ყურძნის დაწურვის დროს საწნახელში ჩაგებული გრძელი და ვიწრო ლასტი იმისათვის, რომ ტუბილს მარცვლები ან ჰაჷა არ გაჷყეეს. ამჷმად ტაპკირის მაგივრად საწნახლის სიგანის ჯოხებს აწყობენ (ნ. არტახეე).

— ტუპკირი ს ა ბ ა, ტოპკირი მ ე ნ თ.,

ტოპკირი, ტუპკირი ქ ღ ლ.

ტაპტაჷაჲ ვირთხა. ~ ტაპტაჷაჲ თავს მინგავ (წავაგავს), ბუღეს მიწაში აქითევის.

ტაპუნ, დატაპუნევაჲ ტუჩების ცმატუნი,



ცმაყური. ~ ყურდღლევი ამაბიგრა ატაპუნევა ყბას! (რაკურდღლევი თუშნოდ აცმაყუნებ პირს!)

ფააზზე (შემოდგომაზე) იმ კირაქს უქ-  
ცევენ (ხელმეორედ ხნავენ), მეღვინი  
თესენ.

— მ ე ნ თ.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ.  
(ქართლ.), უქცევდით ვაბრუნებდით  
ი ქ ვ ე (კახ.-ქიზ.); უქცევს: გვერდს

უქცევს მეორე გვერდზე აბრუნებს  
ქ ი ნ ქ. ვაჟა.

ქწოსწორ(აბ), ქწოპწორ(აბ), ქწოწორ-

(აბ), ქწორ(ა), ქწორა, ქწორაბ,

ქწო, ქწოწო ნ. ქ(ს)წოსწორ(რ).

### ღ

ღაღაძან მიწა ნოყიერი მიწა, რომელ-  
შიც სასუქი უხვადაა შეტანილი.

ღაღაცოფა ღოღოშმაგა. ~ ტყელფო-  
თლეიან ბალახს ეტყუნა ღაღაცოფა.  
ეეს ნაქამ რაამ არა (ეს არ იქმება).

— მ ა ყ., ღოღოცოფა მ ე ნ თ.,

ქ გ ლ, ღვაღოშმაგა ს ა ბ ა, ღვაღოშ-  
მაგი, ღოღოშმაგი ჩ უ ბ.

ღაღოა ღოღო. ამისაგან საქამადს აყე-

თებენ, მის ფოთლებში კი ტოლმას  
ახევენ; ღაღოა ტოლმაა ა) ღოღოს  
ფოთოლში გახვეული ტოლმა;

ბ) გ ა დ ა ტ. შემწვარი ღოღოს !ფოთ-  
ლები ქრილობაზე დასადებად.

— ღვაღო ს ა ბ ა, ღვაღო, ღოღო  
ჩ უ ბ., ღოღო მ ე ნ თ., ღაღო ქ გ ლ  
(ინგილ.).

ღამეველა ნ. ღამეტლა.

ღამეა: კაჟი ღამეა ნ. კაჟი; ღამეა-ღღეა  
ღღე და ღამე; ღამეე-ღღეეე განუწყ-  
ვეტლიე მთელი ღღეები და ღამეები; ღა-

მი დაღომაა ნ. დაღომაა, მნიშე. 2;  
ყაჟიო ღამეა ნ. კაჟი; ჩაბარევი ღა-  
მეა ნ. ჩაბარევა.

ღამეღლა, ღამეველა, ღამრველა ღამიანად,  
ღილაღრიან, გათენებადღე. ~ ღილა-  
ღაზე ღღეე ღამეტლა.

— ღამეულა ქ გ ლ (ინგილ.).

ღამი ღამით.

ღამრველა ნ. ღამეტლა.

ღანზილ ღანძილი. ~ ღანზილი შიქამად.

— ღანძილი მ ე ნ თ.

ღანზილოვან: ღანზილოვან წასტლაა  
ღანძილის მოსაკრეთად წასკლა. ~ ღან-  
ზილოვან წაჭდა.

ღაღაჟე [აზ. ხაშხაშ] ხაშხაში.

~ ღაღაჟეს პურზე უსმენ (უსვამენ)  
თათრეე გომოცხოვაში, ფრტი მარცლუ  
წოჭწორი (ფეტვის მარცვლის ოდენა)

თესლეე აქ.

ღარიბ-ღურბათნი [აზ. გარიბ + აზ. გუ-  
რბათ] უცხო ქვეყნის ხალხი.

— შ ა ნ. რეც.

ღაროა ღერო. ~ ღაროა ვაჭშომ (გაუ-  
კეთებია) ჟალღას (თუთას), კვალს.

ღარღატ ჰუქრუტანა, ღრჩო. ~ ღობეა  
აუკანკლი (ნ. აკანკლაა), შიგ ღუღრუ-  
ან (ღიდრონი) ღარღატეე ღოუგვი

(დაუტოვებია); გოდორს მოწნაში ტრ-  
პენე (ზეგვავენ, ცემენ), ღარღატეე ნუ  
იქნესა; ღარღატეეით ქულაგ (ქარი)  
შ(ო)მოდის.

— ღარღატი ქ გ ლ (ინგილ.).

ღაღაღოა გასხნაა საყელოს ან გულისპი-  
რის გადაღღევა. ~ ღაღაღოა გოტსხ-  
ნი (გული გადაუღღევს); ღაღაღოა

გოტსხნი, იწყველევავ (ამას ამბობენ, მაშინ, როდესაც წყველის დროს მწყვეარი გულს გადაიღლავს და ისე ეხვეწება ღმერთს მისი წყველის ასრულებას).

— **ღეღლა** გულგაღლილი ან ტანისამოსგახსნილი კ ყ., **ღეღლო** ქ გ ლ (ჯახ.).

**ღაქოა** ხსენის ხაქო. ~ ახალ დანახოვ ფური ჰე (ან) კამეჩი ზეგ (რძე) იჭრევის, ეემას ღაქოა ებნევიან. თქმულოვამს (თქმულებაა): ღაქოა თუ ქალმა ჰამა, წადმი (გაისად) დეკეტლ საქნელიავ (იქნება), თუ გადამ (ვაემ) ჰამა, მრზორ (მოზვერი) საქნელიავ (იქნება). ღაქოს პურთან არ შკამენ, ამბოვენ, ღაქოა პურთან ჰამაში ტანა ტომსომოზ დააღეპელიავ (ხბო ტანსაქმელს დაღეპავსო).

— ხაქო ჯ ა ნ., აჭრილი რძის ხაქო მე ნ თ.

**ღღელ**, **ღღლ** მღვდელი. ~ ზრლ დროზე ღღელ ჩონთან დეკაცევიც კებტეოდნენ (ძველად მღვდლად ჩვენში ქალებიც იყვნენ).

— **ღღელი** ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.), **მღღელი** ქ ა ჯ.

**ღელეა**: ნ. ბერონთ ღელეა; ბრუმა ღელეა ნ. ბრუმაჲ, მნიშე. 2; ნ. თაფლი ღელეა; ღაზაროა ღელეა; პაატიაა ღელეა; პარტიაა ღელეა; სამაროვანი ღელეა; სისხლიან ღელეა; ტიბლაჲ ღელეა; ქიტანი ღელეა ნ. ქიტან(თ); **ღელეა** ჩავდევა ღელის გაცეთება. ~ „წყლი ყბასთან (სათავესთან) სელს თუ ღელეა ჩეეგდას (გაუკეთებია), ურმე-ვით მიდიან, ეაკს მიაქრს (მიაქეთ), ბენდ ჰკეშენ (ჩებირს აკეთებენ) (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); **ღელე-უურეა** ნ. -უურეა; ნ. შუნდრუან ღელეა; ჩადრიან ღელეა; წაბლიან ღელეა; წყლიან ღელეა.

**ღეროვა**, **ღოროვა** მღერა, სიმღერა. ~ ნაღღულოვს, აღარც ღეროვს; არც ჰერამ ჩედის (არც არაფერს აკეთებს); გზაზე მიდიოდა, ჰემ (თან) ღეროვდა (მღეროდა); უშკოლში ღეროვენყ (სკოლაში მღერიან); ღეროვა დაჲწყო.

— **ღეროზა**, **ღეროზს** ჯ ა ნ.

**ღერღნა** ღრღნა. ~ ზალ ზოლს (ძველს) ღერღნდა, იღვა.

**ღიზილ** აბრეშუმის პარკიდან ამოხვეული, საპონში მოხარშული და დარბილებული აბრეშუმის ძაფი, მოხარშული სართავი (ნ. სართავი). ~ „სვევიდან პირველად წვერის ამოღების დროს ეანეალს (ნ.) მოსდევს სართავი. სართავი სქელი, გრძელი აბრეშუმია, მას ხარშავენ საპნიან წყალში, რის შედეგად მზილდება და ზაბ-ზაბ ცალკადევის. მოხარშვის შემდეგ მას ღიზილს ეზახიან“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); -ღიზილის ძაფი წინდისთვის, ბალისთვის (ნ.) ნემსზე სახმარად ძალიან კარგია“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

**ღიზილ** ღრძილი. ~ ღიზილევ მტკიცე (ღრძილები მტკიცეა).

**ღილ** ნ. კისრი ღილ.

**ღიმ-ღია** სულ მთლად ღია (ქარზე ითქმის). ~ ჩემ სახლი კარვ ღიმ-ღიას (სულ მთლად ღია).

**ღინდილ** ღინცილი, უმნო, უგვანი ლაპარაკი და სიცილი, ღაზღანდარობა. ~ ჰეგ ჰათარ (როგორც) ქალაჩ, ვადევთან (ვაეებთან) დგას, ღინდილოვსავ.

— **ქინდილი** უებილო ხუმრობა, ოხუნჯობა; ეინმეს გამასხარაება, დაეინვა ქ ა ე თ. III, **ღენდერა** მოსულელო, უგზოუკელოდ მოსიარულე მე ნ თ., მადინდარა ღაზღანდარა, ოხუნჯი, ენაკვიმატი ძ ი წ.

**ღინჭილოა** სივის ყვაილი, იყენებენ საფურერის დასამზადებლად. ~ სრა (სვია) ბერდევ, იზდევ (იზრდება), ზედ ისხამს ჩიჩაქ (ყვავილს), ემა ეზახიან ღინჭილოა, პურ ააფუეველა (სასაღუებლად) აგმარევენყ.

— **ღენჭილა** ჯ ა ნ.; **ღვრინჭილა** ზღვის პატარა ლოკოინას ნიყარა, თმებში იტანდნენ და აყენის ჩხაყუნაზე აბამდნენ, — აფი თვლი არ ეცეს ბაქმესო ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.). **ღირ**, კისრი ღირ იგივეა რაც კისრი ღილ. ~ კისრი ღირში დააქრძვარ შენებ (დაგვარავ).

**ღირღიტოა, ღირღიტაა, ღირღეტაა, ღირღიტ,** ღურღეტელაა გუთნის ბორბალი, თვალი. ~ აახლა ხი გუთნევე არ კეპტევე (აღარ არის), კინი (რკინის) გუთნევე კეპტევე. ღირღიტოა ხი გუთნევი ღროზე ამბოვდენევე, ევხლა კი თათრულ ამბოვენ „თეჟარ“. ათაბაბურ ღირღიტ გმას აზლევდა (ხმას გამოსცემდა), ღრიალ-ღრიალ უტარნი ამას (ხმაურით დადიოდა); გუთანი ღირღიტოვე.

— ღირღიტი მცირე გოგორა ს ა ბ ა, ღირღიტა გუთნის მეორე პატარა გოგორა ჩ უ ბ.; ღირღიტა ა) ღერძი გუთნის თვლებსა; ბ) რვილის დამაკეპშირებელი საუღლე ხესთან (შოლტყავთან) გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (ქართლ.); ღირღიტები გუთნის თვლები, ორივე გოგორა. არის დიდი ღირღიტა, ანუ კვალის ღირღიტა და პატარა ღირღიტა, ანუ ველის ღირღიტა მ ე ნ თ.

**ღიქ** ეკალიძი, ეკალი. ~ პატარა, მრგვალი, წითელი ნაყოფი აქვს. მის ნორჩ ყლორტებს საკმელად ხმარობენ, ძირითა და ნიგვზით აზევენ.

— ს ა ბ ა, ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., მ ე ნ თ., ქ გ ლ (ქართლ. კახ. ფშა.); ჰ ი ნ ჰ. ვაჟა, ზალახია შ ა ნ. ვაჟა I.

**ღიქრიან** ეკალიძით დაფარული ადგილი. ~ ქალს ამბავს ერ ხამ კტუტუ (კვიციის) კულზე, უშომს ერ ღიქრიანში. ნ. ღიქ.

**ღლარჟუნ** ტლანქად, დაუღეარად, გლიჯინათ სიარული (შესვლა, გადასვლა, ვადალჯება რამეზე). ~ კამეჩი, ფურ, ცხენ, ღორ, ინსან (ადამიანი) ღობეს უმ (რომ) შააწრვის (მიაწვება) ი, ვადასტლაა უნდ იქითიან მამულში, ღადრავეს (ნ. შალადრაა), გადადის, მაშინ ამბოვენ — აღლარჟუნევეს.

**ღლი(ვ)ანწ** 1. ტანაყრილი და ხშირი ნათესი (უმთავრესად ნესტიან ადგილებში). ~ ემეჟრა (ამგვარი) ნათეს სუჯტ ომოლის, წიბლანე კეპტევის (წერილია), არ იზრდების, ნაყოფს არ იზლევს. შრალ ადგილში, თუ

ჟარ (ნ.) იქნა, ღლივანწ კეპტევის; ჩონ ხახ (ხახვი) გრილოში (ჩრდილში) იყო, ღლივანწ ხახ ჟარ ქნილ, ღლივანწი.

— ღლივანწ ჟ ა ნ., აყვირება: აუვირეული მ ე ნ თ.;

2. გ ა დ ა ტ. მალალი და სუსტი აგეპულების ადამიანი.

**ღმერთ:** ღმერთი ღღე ყოველღღე, ცისმარე ღღე. ~ ღმერთი ღღე გორც შკომლით; ისენ ღმერთი ღღე ტრპეა-ენეყვაათი ატარევენ ყოფილ (ისინი ყოველ ღღეს ცემა-ტყეპაში ატარებენ თურმე); ღმერთი კარ გაღვევაა ხალხის ცრუ რწმენით, ღმერთი რამდენიმე წყლიწადში ერთხელ ცაზე თავის კარს აღებს, რაც დიდი ბედნიერების მომასწავებელია. ამ ღროს ცას რომ შეხედო, ღმერთი ყოველჯვარ ნატვრას აგისრულებს: ~ 7 წელში თუ 14 წელში ერღეფა (ერთხელ) ღმერთ ჩანს თავი კარ გაღვევაში ცაზე. კარევე სამღეფა (სამჭერ) იღევი-იგულევე (იყებტება): იზილ (სინათლე) ჩნდების, იმალევის სამღეფა. უღემაშინ (აი მაშინ), მინც (ვიწყ) უმ (უნდა) იყოს, ინსანმა (ადამიანმა) რაღც უნდა მაათხოვას, ამსრულევეს ღმერთ. აქედანაა გამოთქმა: „ღმერთო კარის ჰირიმენ!“, რომლითაც მიმართავენ ხოლმე ღმერთს; ღმერთიბე ინსაფრა? ნ. ინსათ; ღმერთისმა, ღმერთისმა ნ. -მა; „ღმერთო, შენ!“ ამ სიტყეებს წარმოთქვამენ ჩვეულდერივ ჰამის დაწყებამდე, როდესაც ერთი თანამესუფრე მეორეს პურის შოთს გაუწოდებს შუაში ვადასამტერევად (ისე, რომ პურის ერთი ბოლო ერთს დარჩეს ხელში და მეორე ბოლო—მეორეს) და ჰამის დამთავრებისას. ზოგჯერ რაივე სხვა საქმის დასაწყისისა და დასრულების ღროსაც; შენ იქენ, შენ წინ ღმერთივ! — ეუბნებიან ვინმეს, როცა უნდათ დააფიცონ და სიპართლე ათქმეინონ. ~ შენ იქენ, შენ წინ ღმერთივ, წოროა თქუ, მე მითქო-მა ე ეუღაბ?

-ღმეტ გარდა. ~ აემ(ღ)მეტ, (აამღმეტ)

აი ამის მეტი. ~ აემღმეტ არ მაქ (აი ამის მეტი არ მაქვს; იმღმეტ იმის გარდა, იმის მეტი.

— ჟ ა ნ.

ლოზა: კანკალა ლოზა ნ. კანკალა; ლოზა ვასწევია ნ. ვასწევია; ლოზე ყურია ნ. -ყურია.

ლონიან ლონიერი.

ლორა ბირკაა ერთგვარი სარეველა ეკლიანი მცენარე, ნაყოფი შვინდის ყურის მოყვანილობისა აქვს. ~ ლორი ბირკაა მანაკარ წრტლ ბირკაას (ლორის ბირკა, რომ ევკრება, აი ისეთი პატარა ბირკაა).

ლორი ინაა ბალახოვანი მცენარე, წყლის ნაპირებზე იზრდება. ~ ლორი ინაა წოვეს (მწვავეა), თუ ყბაში (პირში) მოხტო (მოხედა) ინსანს (ადამიანს), წოეს.

— წალიცა მ ა ყ.

ლორი ხალ ერთგვარი მხალია, რომელსაც ლორი ეტანება, არ იკმება. ~ ლორი ხალ მამალ ხალი, არნაკამ ხალი (რომ არ იკმება, ისეთი მხალია). ევმა ლორს აკმევენ. ზოგ ამბოეს — ქორფა ქნაში ინსანიც კამსავ (ზოგის თქმით — როცა ქორფა, ადამიანიც კამსო).

ლორჰუე ბურჩხა, სარეველა მცენარეა, გავრცელებულია წყლიან ადგილებში (ბრინჯისა და იშვიათად სიმინდის ნათესებში). საქონლის საქმელად იყენებენ. ფეტვის მსგავსი მარცელი აქვს. ~ ლორმუე სულუფს (ნ.) მინგავს (კვავს), ამმა (მაგრამ) სულუფ სხოას (სხვაა), ეს ჩალთუქში (ბრინჯში) კეპტევის (არის).

— ჟ ა ნ., სულუფ, ლორ მუე მ ა ყ.

ლოროვან: ლოროვან წასულაა ლორზე სანადიროდ წასულა.

ლორლოტაა იგივეა, რაც ღრუტ.

ლორჩიტაა ერთგვარი შავი ფერის ჩიტი.

ლოღროა იგივეა, რაც ღრუტ. ~ ლოღროა ხეში კეპტევე (ხეშია).

ლოჰ ღოჯი, ეშვი. ~ ფილი ღოჰევე (სპილოს ღოჯები).

ლოღ (პრ. ღოღევე, ღოღრე) ქალამნების ამოასხმელი ღვედი, კობი. ~ ქალმევე ღოღით იქნევის (ქალამნები ღვედით ამოისხმება).

ლოღკეც ღვეღკეცო, ხეობა მცენარეა, რომლისგანაც ტანკოევს (ნ. ტანკო) წნავენ.

— ჟ ა ნ., მ ა ყ., ღვეღკეცი, ჭაშკუტა ს ა ბ ა.

ლოროვან ნ. ღეროვან.

ლორჰუნ კრაჰუნის, ღრჰუნა კბილევისა.

— ჟ ა ნ.

ლორლოვან ღორლო.

ღრიმ ნ. ღრჰმ.

ღრინჰოლაა ბალახოვანი მცენარეა ერთგვარი. ჩრდილიანი ადგილები ეუვას. ადრე ვახუშტულზე მისი ნორჩი ღეროები იკმება, ყინტორას (ნ.) წაგავს.

— ს ა ბ ა, ე რ ი ს თ., ღრინჰოლა,

ღრინჰველა ჩ უ ბ., ღრინჰველა მ ა ყ. იგივეა, რაც ჰყიმი ჰ გ ლ (ქართლ.).

ღრინჰღრინჰ კარის კრილის ხმა.

ღრუფ, ღრულ იგივეა, რაც ღრუტ. ~ ჩიტ ერ ხი ღრუფში ზარე (ძერება).

ღრუტ, ღუღრუტ ფუღურო, ღრუ (ხეში). ~ ღვკაცს უთქომ კაციბე (ცოლს უთქვამს ქმრისთვის): შენ წაა, ერ კაცი ღრუტში ჩაა.

[სინ. ღორლოტაა; ღოღროა; ღრუფ, ღრულ].

— ქუჭრუტი ნახურეტი, ნაჩურეტი მ ე ნ თ.

ღრჰმ, ღრიმ, ღრჰმეა 1. ღრმა. ~ ღრმოა ლაღ ღრჰმ ყოფილ (მეტად ღრმა ყოფილა); ვეზირეე ვადას (ვაქს) ერ ღრჰმ ჰეეროზში (ერთ ღრმა ქაში) ადღევე; ზ მ ნ ზ. ღრჰმეათი, ღრჰმა ღრმაღ. ~ გუთან ღრჰმა ჰვნაეს; გუთან წანასულ ადვილში ნაღარ ვარღევის (იმ ადგილში, სადაც გუთანის მიღის, ნაღარი კეთდება), ღრჰმა (ღრმაღ). ფართოაი (ფართოდ) ოპოდის მიწაა; მოჰფიქრდით ღრჰმეათიავ (ღრმაღ დაფიქრდით, კარგად მოიჯუჭრეთ).

— ღრიმეა მ ა ნ. რეც., ღრიმეა ქ ა ჟ;

2. იგივეა, რაც სიმღრჰმეა. ~ ქალ ღრჰმში (სიმღრმეში) ჩასულ.

ღრუღუღ ნაკებისგან დაწითლებული და ამოჭადარი, ან კინჯრის დანასუხის აღ-





შუღ ქჷონიყ (ამთ ორი ეყი ჰყოლიათ); ჩიტეღს ბუღეღ გოტქეთევიყ, კოტცხ ლოტუღოვიყ (ყვეტცი ლუღელით).

— აჟე გი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ფერეიდ., ლეჩხ., რაქ.); აღნიშნავს ირიბი ობიექტის მრავლობითობას ი ქ ე ე (კახ.-ქიზ.), —ჟე, —ჟე მ ე ნ თ.; წინადადებაში შემასმენლის შემდეგ დაისმის დამატების მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ბ ე რ.;

2. გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას და ხ ო ლ მ ე ნ ა წ ი ლ ა კ ის მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ს გ ა დ მ ო ა გ ე მ ს. ~ ზაფხულ დიად ბეტერ მუშუოთყ, ზამთრიძე ოგრტეეთყ, კედე ზამთრი შკომთყ (ზაფხულობით ძალიან ბევრს ემუშაობთ, ზამთრისათვის ვაგროვებთ, მერმე ზამთარში ეკამთ); ჰენგილავეემა (ინგილოემა) სხოჟურ (სხვაგვარი) ქორწილ იციანყ; იქ წინასულ (წასული) ინსან (აღამიანი) სახ-სალამათ ვერ ბრუნდევყ; ჰენგილავეევი ქალეე ყარაბახზე (გაზაფხულს) თუ არ ჰეტდენენ ლანზილ და აურეღელა (დასაყრეღად), ღუნუქაქ არ ლადგევიანყ (არასგზით არ გაჩერდებიან), ჰამქეშა (მუღამ) მიდიანყ, ჰყრეფენყ, მოტანენყ (მოაქეთ), ჰყიდიანყ; ბეზგაგს ჰამქენყა?; ემ ჰერაძთიე ინსან კდრეყ, ამბოვენ (ამ იარისგან ადამიანი კედებო, ამბობენ).

—ჟე გი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (მოხ., მთელ., გულამყ, ფერეიდ.), —ჟე, —ჟე მ ე ნ თ.;

3. იგივეა, რაც —ყენ (ამ მნიშვნელობით მხოლოდ რამდენიმე ზმნიზედასთან გეხედება). ~ შინაყ (შინისყენ) აღარ მოხტდე; წინაყ ზაროღა (წინისაყენ მიძერებოღა); წინაყ-ჟიანაყ ეტარეოღა (წინ და ჟიან ლადიოღა); კაცეე ჟიანაყ ბრუნდევინყ; წორაყ (წერისყენ).

ყაბაძა, ყაბაძა, [ახ. გვამბე] კახა, მეძაი. ~ თურმენი ე დეკაც ყაბაძა ყოფილ; თუ დეკაც თავი კაც შინ არქნაში სხო კაცეეს მოჰყონავს, ი დეკაც ყაბაძას (ის. ქალი კახაძა).

ყაბაძა შ ა ნ. რეტ.

ყაფთაჲ [ახ. გაჭიძე=რიომა] ჰანგა ერთგვარი.

ყაბ [ახ. გაბ] ქურტელი (გამი, ქვაბი, ლანგარი, სინი და მისთ.). ~ ერ ყაბ ფლაე; ერ ყაბ ჰალეაჲ; ნაცორ ყაბ ნაცორის ჩასაყრელად ქილისა თუ სხვა რაიმე ქურტლის გატეხილი ძირი.

— სინი ფლაეისა ჩ უ ბ.; ყაბა ხის ქურტელია, 200 კილომდე ტეეადობისა, ხისხელიანი სარქველი აქეს, ჰერმეტულად იხურება ძ ო წ.

ყაბარ [ახ. გაბარ] ბებერა, ბურცი, კოჩი. ~ ყაბარ აბებრულ (ბებერა გაჩენილა); ტელეე ყაბარ მაქ, იქთონ მუშიოე (ხელეზზე ბებერები მაქეს, იმდენს ემუშაობ); ყაბარ ადგომაჲ ხელის გულეზზე კანის ამობურცეა და შიგ წყლიანი ბუშტუეების გაჩენა, დაკორება; ყაბარ-ყაბარ ქნაჲ იგივეა, რაც ყაბარ ადგომაჲ. ~ ბევრ ემიუშაე, ტელეე ყაბარ-ყაბარ ქნილ (დაკორებულა).

ყაბლაჲაჲ [ახ. გაბლამა=ჩალაგება, ჩაწყობა] ცხერის ხორცისგან მომზადებულ საჭმელი, ყაურმის მსგავსი, ხახვსა და მწვანილშია შეზავებული. ხარშვისას მორეეა არ სქირდება. ამას, ჩეუღლებრიე, მიცვალებულის სულის ასხნაში აყეთებენ. ~ ყაბლაჲაჲ გაქითეეაში ყოჩს სქირიან ლოკმა-ლოკმა (ასოასო), ქრშ კორც ჩელიან (აწყობენ), მეღან (მერმე) ხახ, საეზიად ჩელიან (მწვანილს აწყობენ), კედემ (ისეე) გორც ჩელიან, ემაგ (აი ასე) ყათ-ყათ (ფენაფენა) ყრიან ქობ ატსევიჩეახ (ავსებამდე). წყალს არ ასხმენყ, თაე-ფეევი წონს ასხმენყ, შიგ ღუმელსაც აკუწვენ (აჭრიან), კარტოფილისაც ჰყრიან; შენ ყაბლაჲაჲ შკომ! (წყეეღა).

— ყაბლუფლავი ფლავი მომწვარის ხორცით მესზადებული ჩ უ ბ.

ყაბურღაჲ [ახ. დილ. გაბჰრღა=ურმის ქალები] იგივეა, რაც ალატ, მნიშენ. 2. ყაბუხ, ყაბულ [ახ. გაბჰგ] ქერქი (ხისა, მცენარისა); კანი, (ხილუელისა); ჩენჩო, ბუღე, კილი (მარცვლუელისა). ~ მურყნი ყაბუხ; კაკლი ყაბუხ; ყუ-

რზნი ყაბუხ; სორბალი ყაბულ; ბაწარს შალეზაში ბროწლი ყაბუხში აღულევენ; გზაში წასტლაში ყაბული ყაბუხევე დაყარ, ემ ვაშლი ყაბუხევით მე შენ თავ საპოენევეარ (გაიოვნი).

**ყადაგ**, **ყადაგია** [აზ. გაღაქ] ერთგვარი ძველებური ქსოვილი (სხვადასხვა ფერისა იყო). ~ ყადაგით კაცევი არხოლოლს იკეთედნენ, ქალევე — მაჯრევეს (წინსაფრებს). ყადაგ ჰჭინავდა (ბზინავდა), გან-გან (სიგანეზე) ჰჭინავდა. მაგას შალეზაში ჰტრპავდნენ (ბეგევედნენ, თელავდნენ), ემაგრ (ასე) აკეთედნენ. მე შავ ფერის მინახი; ყარფუზ ყადაგ, ყ. ყადაგია მომწვანო ფერის ყადაგია.

**ყადანაა** (1) ტოპ. მინდორია სოფ. სეხეთლოსკენ (აზერბაიჯანშია), სადაც ზამთრობით ცხვარი მიჰყავთ საძოვრად.

**ყადანაა** (2), **ყადაა** სახონერეას (ნ. მნიშე. 2) დასაქსელავი ჩარჩო, ყდა.  
— ყდა საბა, ჩუბ., კინკ. ვაჟა, ყღები მენთ.

**ყადარ** [აზ. გაღარ] 1. გარკვეული ნაწილი, საქმით რაოდენობა, ნორმა (რისამე). ~ იხტარის ერ ყადარს დიდ ზმას აზღევენ (ქონების ერთ ნაწილს უფროს ძმას აძლევენ);

2. სიკვდილის ყამი; **ყადარ** აქ, **ყადარ** მოჰსტული სიკვდილის ყამი მოუვიდა, დაუღვა. ~ თუ ყადარ აქ ინსანს, მააკდომელი, თუ ყადარარ აქ, არ მააკდომელი (თუ სიკვდილის ყამი დაუღვება ადამიანს, მოკვდება, თუ არადა, არ მოკვდება); **ყადარ** ნაქნარის, ვისაც სიკვდილის ყამი დაუღვა, სიკვდილის დრო მოუვიდა. ~ ლოყბან (საყუთარი სახელია), შენ ყადარ ნაქნარ ინსნევეს ნუ ამთელე! (ისეთ ადამიანებს, რომელთაც სიკვდილის ყამი აქვთ დამღვარი, ნუ აჯანბრებლებ!).

—სადარი, ამფა, შესაფერისი მენთ., საფერი, საყადარისი, ტოლი, ღირსი ქგლ, შესაფერისი, სადარი, ბადა-

ლი, მსგავსი ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

**-ყადარან** (დაერთვის სახელზმნის ფორმებს) რაც უფრო..., რაც უფრო მეტად, რამდენადაც..., რამდენადაც უფრო. ~ კმიყადარან ჰჰმა მინდოდა, ვერ ზღოოდი (რაც უფრო მეტს ვჰამდი, უფრო მეტად მინდოდა ჰამა, ვერ ვძლებოდი); წასლუყადარან წასტლა მინდოდა (რაც უფრო მივიდიოდი, წასვლა მინდოდა); ქალ ნათაენეყადარან ღეროვდა (ქალს, რამდენადაც შეეძლო, მღეროდა).

**ყადალა** [აზ. გადალან] აკრძალული რამ, ნაკრძალი, ყადალაღადებული. ~ ერგან ერ ყადალა ტყეა არის, მინც ამაქ მიიღის, ვეღარ ბრუნდევ; ემ გზაათი წასტლა ყადალას (აკრძალულია), დოტბრუნდეთ; ნადიროვდა ექ ყადალას; ყადალა ქნაა აკრძალეა. ~ ყადალა უქნი (აუკრძალავს).

— აკრძალეა, აკვეთა, დამლა ჩუბ.; საქონლის წანახედის საზღაური მენთ. **ყადაშანევე** ასე ეწოდება ოთარაშვილების უბანს. ხალხის გადმოცემით, ოთარაშვილებში ერთი უფროსი კაცი ყოფილა, იმას თათრული სახელი — ყადაშა ჰრქმევიდა და ამ უბანსაც სახელი ამის მიხედვით შეჰრქმევიდა.

შდრ. ყლურწევე; ერგანევე.

**ყადახ** [აზ. გადაგ] მოქლონი, უმთავრესად ხის ქურქლისა თუ ავეჯის ნაწილების დასაყავშირებლად. ~ ტაბაკ, ვარცლ, ზონჩაა, ტანსმოზ დანარეცხ გეუ (ტანსაცმლის დასარეცხი გობი), თექნაა (ნ.) ნუმ გააბზარევის, ყადახით ამაგრევენ. ეეს ორ კინაას (რკინაა), ეემას განატყრომს ზეათი უღდევენ (გამოსდებენ), ჰრშაათი აქაათი-ქი-ათი (აქედან და იქიდან) დრევენ, უქრევენ, ეემით განატყრომ ადგილს ამაგრევენ. მეველანი (მერმე) ზედაათი (ზევიდან) ეესტს აკრონ.

— ყადალი მქედლის ლურსმანი მარტ. - იმნ., დიდი ლურსმანი, შან. ვაჟა IV, ყადალა ქგლ (ფშ.). **ყადირ** [აზ. გაღარ] ყადრი, ფასი, ღირე-

ბულება. ~ შენ ყადირს გუან გაგვეეს; ჩემ ყადირ ვერ განაგევ ინსან რამ მე-ქირება? (ადამიანი, რომელმაც ჩემი ყადირ არ იცის, რად მინდა?).

— ყადარი, ყადრი ჩ უ ბ., ყადრი მ ე ნ თ; პატრიისცემა; ამავი, სი-კეთე) გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (ინ-გილი.); რიდი; ღირსება შ ა ნ. ვეჟა IV.

ყავალ [აზ. ვავალ=დაირა] ზურნა. ~ ყავალ უკრავს ქალ გამაყოფელ მუყანს (ქა-ლის გამოსაყვან ჰანგს); ერ წყულ წინდას ყავალს ჰკიდევენ ქალი პატ-რონევ ქალ გომოყონაში; ნ. ნაღრა-ყავალ.

— სალამური გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (ინგილი.); გრძელი სალამური ი ქ ე ე (ჯავახ.), ჩასაბერი საკრავი სალამურის მგსავსი, ოღონდ, სალამურზე ცოტა უფრო გრძელი ნ ი ე.

ყავალიჩი [აზ. ვავალიჩი = დაირის დამკე-რელი] მეზურნი.

ნ. ყავალი.

ყავა(ნ)ლ [აზ. გოვავ=ალვის ხე] ხვალო, ქალის ვერხვი. ~ დრეკავს ერ ღიდ ყავანლი წორს.

— მ ა ყ., შ ი ნ ა მ რ ე წ ე., ყ ა-ვ ა ღ ი ო ფ ი ნ ი ე.

ყავანღრიან 1. ვერხვიანი, ვერხვნარი; 2. ტ ო პ. ვერხვით დაფარული მთაა საინგლოში, სოფ. ყორანდის (ნ.) თავ-ში.

ნ. ყავანღ.

ყავარ მსხვილი ლერწამი, რომლისგანაც ჩაფარს (ჩელტებს) წნავენ. ~ ჩალაჲ სხოჲს (სხვაჲ), ყავარ სხოჲს. ჩალაჲ წიპლანკი (წერილია), ემით სახლევს ჰხურენ. ყავარ ჩალაჲჲ სქელი. ემით სახლევს არ ჰხურენ, ეემით ჩაფრევს სწნრნ (წნავენ). ეეს ჩაფრი ყავარი; ყავარ ბუთუმგან (ყვეღგან) არ იზღე-ვის. თუთანაც (თანაც) თუ იქნა, წყლი პირში, არხი პირში კეპტევ (არის). ახალ ომოსტლაში იმი ფოთლევ ჩალაჲ ფოთლევს მინგავს (წაგავს). გზელი და ფართოჲს (გრძელია და ფართოა). ყავარიზგნი (ყავრისგან) სარამულ-რამ-

საც (სალამურსა და მისთანასაც) აყ-თევენ; ყავარ ჩალაჲ, ჩალაჲ ყავარ ი. ჩალაჲ; შენჲჲ ყავარ გადაჲჲომას (წყევლა: როცა კაცი მოკვდება, მას ზომას აუღებენ ყავრით კუბოს გასაკე-თებლად, აქედანაჲ ეს წყევლა).

— ლერწამი მ ა ყ.; თხელი და ვიწრო ფიტარი ს ა ბ ა; თბლად დახდალი ფი-ქვი, სახლის სახურაჲდ ხმარობენ ე ლ., ყავარი [თურქ. კავარა „ნაჭერი“] ნა-პობი თხელი ფიტარი შენობის სახუ-რაჲდ ქ გ ლ.

ყავალ ნ. ყავანღ. ყავარიან ლერწმით დაფარული ადგილი, ლერწმინი. ნ. ყავარ.

ყაზ [აზ. გაზ] ბატი. ~ საათიჲც გინდ, ჰე (ან) ქათამ მიპოვენ, ჰე ქათამი ადგილზე ყაზ მემეც; ყაზევ ნაყურ ნ. ყურეგაჲ, მინიშე. 1.

ყაზად „თავისუფალი“ საქსელე“ (შ ი ნ ა-მ რ ე წ ე.).

ყაზმაჲ [აზ. გაზმა,=მიწური; აზ. დილა. თავლა, საქინიზო] გომი, საქონლის ზამთრის მიწური სადგომი.

ყათ (1) [აზ. გათ] 1. ფენა, წყება, შრე. ~ წყლი ყბასთან (სათავესთან) ბენდ (ჯებირის) გაქეთევაში ერ ყათ (ერ ფენა) ეჲგს ჰყრიან, ზედათი აყრიან ქტას, იმა ზედათი კიღემ ეჲგს, კიღემ ქტას, ჰეემავარ (აი ასე) ერ ყათ ეჲგ, ერ ყათ ქტას აყრიან, აყეთევენ ბენდს; ერ ყამჩიჲ აჲგ დაქარი, რუმ იმი ზედა-თი შუღ ყათ ტყავ გაუღდეს (მათრახი ისე დაქარი, რომ ზედ შვიდი წყება ტყავი გასქერეს); ბაშეინერის (ქალის თავის სამკაულის ნაწილია, რომელზე-დაც ვერცხლის ფულებია ასხმული) ლეჩაჲჲ ვიხეღით ორ ყათ (ვიხევე-ღით ორ წყებად); ზ მ ნ ზ. ყათ-ყათ ფენა-ფენა, შრეებად. ~ ყაბლაჲჲ (ნ.) გაქეთევაში ქობში ერ ყათ გორკი ლოკმევს (ნაჭრებს) დრვენ, მვეღნი (მე-რმე) ერ ყათ ხახს, კეღემ ერ ყათ გორკ, ერ ყათ ხახ და ემაგ (აი ასე) ყათ-ყათ ავსრვენ ქობს;

— ღარანი მ ე ნ თ.;

2. ერთი ხელი, ერთი კომპლექტი, ერთი წყება (ტანსაცმელი). ~ ერთე (ოლონდაც) ახლა ერ ყათ ტამსომოზ მემეც, ჩემ შინ წოტდე, ლფ ხუთ ყათ მაგილეე (სულაც ხუთ ხელს მოგიტანს); შაკმანზა ორ ყათ ტონით (ტანსაცმლით).

— გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (იმერხ.);

3. ნაყეცი, პლისე, ნაოკი. ~ ჩემ კაბას ყათეე აქ (ნაყეცები აქვს); ზ ე დ ს. ყათიან ნაყეცებიანი, პლისეებიანი, ნაოკიანი. ~ ყათიან კაბაჲ ჩოტეომ; უთეში ყათ ოთხად დაყეცილი ჯეჩიმიშ შენაყეცი ადგილების ხაზები;

4. (ნაწილაკოვანი სიტყვა, გამოხატავს რაოდენობით რიცხვით სახელებთან ერთად მოქმედების მრავალგზისობას). -ქერი, -გზის. ~ მეორე ყათ შაყოლა ქონით დასრობაჲ (მეორეჯერ მოჰყვა ქონით დაზელას);

5. -ფა, -ყეცი, -მაგი (როგორც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილები). ~ ერ ყათ ბაწარ (ცალფა, ერთწვერი ძაფი); წყალს ძეწყათ, პოკვაში ოსხამთ, მეღვნი (მერმე) შიგ ურევეთ ორ ყათ კირ (ორმაგ კირს, კირის ორმაგ რაოდენობას); ზ მ ნ ზ. ყათა: საღღობლი ვაზს გარეულ ვაზით სწნრნ. თუ სყელ იქნა, ორ ყათა (ორფად) სწნრნ, თუ წიპლაყ (წვრილი) იქნა, სამ ყათა (სამფად) სწნრნ.

ყათ (2) [აზ. გათ=განაყოფი] ფიცარსა და ფიცარს შუა გაყოფის ადგილები; ამ ადგილებში გაჩენილი ღრეჩო, ნახვრეტი, ქუქრუტანა. ~ ჩილაქან (ნ.) მაგღდა (გაეჩხირა) ღობი ყათში.

ყათარ [აზ. გათარ] საივანე ჩანთა, პატრონტაში, ფალასკა. ~ ყათარ თოფი პატრონეე ჩანაწყოე რამი (ჩანაწყობი რამაჲ); გადას აჟლი ხანეალ, თოფ, ყათარ შომოტრტყამ წელზე, წასულ. — ყათარა ჩ ი კ ო ბ.

ყათარამაჲ [აზ. გათარლანმა] ქალების ცეკვა ერთგვარი.

ყათირ [აზ. გათხრ] ქორი. ~ ყათირმა გააროყინა (დაიყოყინა).

— ნ ი კ.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (ჯავახ., მესხ.), ყათარი ჩ უ ბ.

ყათ-ყათ ნ. (ყათ (1), მნიშვ. 1.

ყათისიჲ ნ. ყათსია.

ყალათ [აზ. გალათ]: ყალათ ქნაჲ, ყ. ჩადენაჲ მიქარეჲ, სისულელის თქმა ან ჩადენა. ~ ყალათ ვუქ, კიდემ იქ წავალ (მიექარე, თუ კიდევ იქ წავალ); ყალათ ჰქრნ, მეველ თქრნსა (მიექარე, რომ მოვედი თქვენსას); ყალათ უქნი, ჰემაგ ულაპარკენი (მიუქარავს, ასე რომ ულაპარკენია); ყალათ ჩედის მიქარავს, სისულელეს ამბობს (აყეთებს). ~ ყალათ ნუ შჩედ, ბეტრ ნუ ლაპარაკოე!

ყალამ (1) [აზ. გალამ] საკრეთელი, სატეხი ხეზე სახეების გამოსაყვანად, ან საფლავის ქვაზე ასოების ამოსაკვეთად. ~ დანაქრევეე უსტამ კორთეჲ დაქრევეეაში ყალამით ჰყრიდა (დამქრელებელი ოსტატი თაროს დაქრელებისას სატეხით ამოტეხავდა).

— კალამი ქვის მთლელის იარაღია მ ე ნ თ.

ყალამ (2) სანამყენე კალამი (ხეხილისა), სანამყენე რქა (ვაზისა). ~ სხო ვაშლით ერ პატრა ყალამ შქრიან, კირ ვაშლზე აჟალდევენ (ამყინან); ვაზი ყალამ.

— კალამი მ ე ნ თ.

ყალამქარ ჩით ერთგვარი ძეგლებური ჩითია. ამისგან პერანგებს კერადენენ ძეგლად ახალგაზრდა ქალებისთვის. ყალან [აზ. გალანხ] დანარჩენი, სხვა. ~ ერთ ოთად ჩემი, ყალან ოთალეე ჩემ ზმევისი (ძმებისა).

ყალანეე ასე უწოდებენ ეპიტაშვილების უბანს სოფ. კახში.

ყალაჲ [აზ. ვალა] 1. ციხე, ციხე-სიმაგრე. ან მათი ნანგრევები; ნ. მათეჲ ყალაჲ; ურუსი ყალაჲ.

— ყალა ძ ი ძ. (ფერეიდ.);

2. ქეით ნაწენი სახლი. ~ ყალას ჰენი (ანუ) ყალა სახლს ქუაჲთ (|| ქუაჲთ) და კირით ანაშენეე სახლს ებნევიან; უწინ კედლიან სახლევ ბეტრ

კვბტვოდა, ყალაეე თხლა (იშეიათად) მინაშს (ეინშეს) ექონეოდა; ყალაა სახლ იგივეა, რაც ყალაა, მნიშუ. 2. ყალააჩია [აზ. გალააჩჩ] მკლავი.

ყალად 1. ჩალით დახურული სახლის სატყეპნი. საზეპელი ფიცარი, რომლის ერთი თავი ბრტყელია, ბოლო კი სახელურივით — ვიწრო და წაგრძელებული. ტყეპნით დახურვის დროს ყალადის ბრტყელ თავს ჩალაზე სცეპდნენ და ისე ტყეპნიდნენ.

[ღინ. ტყეპნი];

2. ტარი (ბარისა) . ~ ბარი ყალაუ;

3. თოფ-ყალადის (ნ.) თამაშის დროს ბურთის სარტყაში ჯოხი.

— ქოლოკი ჯ ა ნ.

ყალადან (1) [აზ. დილ. გალაგან] ღიკა.

— მ ა ყ .

ყალადან (2) ზარმაცი, გაეგონარი (საქონელი) . ~ ყალადან საქონელიაე.

— თამამად აღზრდილი; თავისუფლად მოსიარულე მ ე ნ თ ., ძლიერ თამამი ძ ო წ .; უგვარო, მაღალი და 'უსტი ს ა ბ ა; ყალთადანი უფუშევრად, უქნარად აღზრდილი კაცი, მცონარა მ ე ნ თ .

ყალბ შურიანი და გაუტანელი ადამიანი. ყალბოვად შურიანობა.

ყალთად [აზ. გალთაგ] უნაგირის კეხი. ყალია დოვდა, ყალიაა საქმელია ერთგვარი; ~ ყალიას ემყურა ამზადევენ: „ფაშს და აედლი გელინ აჭუშაშს (ფაშეზე მობმული შიგ ფოთოლ-ფოთოლ რა-დმია) რეცხავდნენ, კუწუწავდნენ და მოხარშვის შემდეგ ჰყრიდნენ ბრინჯს. ბრინჯის ჩაყრის შემდეგ] ასხამდნენ ზედ დოს, ან ევეეს ჰყრიდნენ, აღუღებდნენ ბრინჯის მოხარშვამდე და ბოლოს ანელებდნენ მარილით“ (შ ი ნ ა მ რ ა ე წ ე .).

— ყალია ღორის მალეები ჩაყაურმებულნი და შინდით შეზავებული მ ე ნ თ .; „ღორის ხორცის წენის ჩიხირთმა ქ გ ლ (კირ.), მოხარშული ხორცი მყავით ჩ უ ბ .; ხორციანი შექამადაი ქანკუ-

რი ჩირითა და ტყლაპით შეზავებული მაისი.

ყალიან [აზ. გლადან] ყალიონი. ~ მონაჭვე ყალიან (მოსაწვეი ყალიონი); ყალიანს უდრეს (ყალიონს უკიდებს).

ყალიბ [აზ. გლიბ] 1. სპეციალური კერპელი, კალაპოტი რაიმე მასისათვის სათანადო ფორმის მისაცემად. ~ საპოვნსაც, ქალასაც ყალიბეეში ასხმენე, აციევენ; თოფი ყალიბ ტყეის დასამზადებელი ფორმა, ყალიბი. ~ ტყურს აღნოვენ, ყალიბში ასხმენ, ტყურა გურგალ გომოდის. ოგე რაშიც ასხმენ, ოგეის ყალიბი; ნაბდი ყალიბ ნაბდის გასაყებლად ჯეჯიმზე ჰფენენ რაიმე უბრალო ქსოვილს, რომელზედაც ყრიან დაქენტილ მატყლს, ზემოდან ასხურებენ წყალს. შემდეგ მაგრად დაახვევენ ჯერ სპეციალურად გამოთილი ზეზე, მერე კი ჯეჯიმში შეახვევენ და ფეხით აგორებენ. მატყლი ამ დროს ითელეზა და კეთდება ნაბადი. სწორედ ჯეჯიმზე დაგებულ ამ ქსოვილს, რომელზედაც მატყლი იშლება ნაბდის გაყებების დროს, ეწოდება ყალიბი. ზოგის მიხედვით, ყალიბი თვით ჯეჯიმს ჰქვია, რომელზეც მატყლია მოსათელად დაფენილი. ნაწილი კი ყალიბს იმ ხეს უწოდებს, რომელსაც ფეხით აგორებენ ნაბდის დაგებისას; ჯერფუჩი ყალიბ ხისგან გაყებებული ორთელიანი სათაქსი, ყუთის ფორმისა, რომელშიც ასხავენ სააგურე მასალას (მიწას ან ტალასს) და აგურს აყებებენ; ყალიბ ადევაა ა) იგივეა, რაც ყალიბ ქმაა. ~ საქალმე ტყავმა ყალიბ ააღა, ეებლა გომოჭშქროთ (იტყვიან მას შემდეგ, რაც წყალში საქალამნედ დამბალ ტყავს გადაკეცენ ორად ან ოთხად, ზედ ბრტყელ მძიმე ქვას ან სხვა რამეს დაალებენ, რომ თანაბრად გაიყეოს და თანაც გასწორდეს ტყავი. ერთხანს ასე გააჩერებენ და გამოსაქრელად გაამზადებენ); ბ) ფეხსაცმლის (ქალამნისა და მისთანათა) გაწეინება, სხვის ფეხზე

გაფართოება. ~ იმი ფეჟზე ყალიბ აქლას, მეღლი ჩააქმევეარ (მერმე ჩაიცივა); ყალიბ ქმაა დანწებით, დაპრკევით რაიმე ფორმის მიღება, გაბრტყელება, გასწორება. ~ ფიჩოჩხ კრიან, ჟავს კრრნ (ცოცხს კრავენ), მეღლი მოპტანენ (მოაქეთ) ეზოში, ზედ ქტას ადვენენ, ყალიბ ქამს, სწორდევის, იტკეანეე, ჩაგტაში ტყელ ჩევის; ნახადმა ყალიბ ქამა (იტყვიან, როცა ჭეჩიმში გახვეული ნახდის გასაყეთებელი მატყლი შეითელება); ბალახს რომ კვატავთ, ვაგრტევეთ ერთ ადგილზე, იმბოვთ — ყალიბ ქამას, ხტალ გამაალეველა (გამოსაღებად) ჰადტულ იქნეს, ნუ დაშანშლას; წინდაზე ამბოვენ, რახანც ახალ შანაქენი (როცა ახალი მოქსოვილია), პიწწა აბტევეულ კეპტევე, ემას სასტულევი ქრ (ბალიშებქეშე) დრვენ—ყალიბ ქამასავ; საქალაქე ტყავს ყალიბ უქამი; მ ი მ ლ. ყალიბ ნაკჰმ დანწებით, დაპრკევით გაბრტყელებული, გასწორებული; შ.

კ ო ნ ტ. ყალიბ ქმევენევაა დანწებით, დაპრკევით რაიმე საგნისთვის გარკვეული ფორმის მიღებინება, გაბრტყელება. ~ ყალიბ აქმევენეს; ზ მ ნ ზ.

ყალიბ შიქმევენ(ე)ველა დასაწენხად, დასაპრესად; შესადგომად, შესაქლუდალ. ~ გაბტევეულ ცოცხზე დიდ ქტას ეოღდეუთ ყალიბ შიქმევენეველა, მეორე დღეს ხედაე, გატყელეტულ, ჩააგრლა კამ კეპტევე (ჩასაგველად კარგია); ყალიბში გ(ო)მოსტლაა იგივეა, რაც ყალიბ ქმაა. ~ ყალიბში გომოსულ || ყალიბ უქამი; ყალიბში (ყალიბი) გ(ო)მოტანაა გ(ო)მოღევაა იგივეა, რაც ყალიბ ქმევენევაა. ~ ყრლი ნაქრევეს ზიმე ქქევეს აღრვენ, ყალიბი გომოპტანენ; ყალიბში მიცემაა ყალიბში მოთავსება დასაწენხად, დასაპრესად, ან გასაწევეად, გასადიდებლად. ~ ცოცხ ყალიბში მისქ!; ფეხსმუზ ნუმ წრჰლ გაქ (ფეხსაცმელი რომ პატარა გაქეს), ყალიბში მიპციე გაადიდეველა (გასადიდებლად); ყალიბში შაკრამ იგივეა, რაც ყალიბ ქმევენევაა. ~ საქალმე ტყავს ყალიბში ჰკრრნ, ზედათი ზიმე რამს ადრვენ.

[სინ. დაყალიბევაა];

2. აკვანზე დასაგები ლეიბი. ~ სიფინეი (ნ.) ებაზე (პირზე) კირკალ (ნ. მნიშვ. 2) დრვენ ამმაზე, რუმ ყალიბ მაღლა დადგესავ, ყმაწული კურტუმ ქრშყენ არ ჩავარდესავ;

3. შედეღებული სისხლი ან მანონი. ~ სისხლი ყალიბ; ყალიბ-ყალიბ ქნაა იგივეა, რაც ჩაყალიბევაა. ~ სისხლ ყალიბ-ყალიბ ქნილ (სისხლი შედეღებულა); წრლაა (მანონი) კამგორა (კარგად) ჩადიდეტულ, ყალიბ-ყალიბ ქნილ (|| ჩაყალიბეტულ).

ყალღან საყტარ (საყტრევე, საყდრევე) წმინდა ადგილად აღიარებული ერთი ადგილი, სადაც ძველად მაღალი ხეები და ქევერები ყოფილა (ამჟამად ეს ადგილი დატული არაა); ყალღან საყდრევე გაიწყრესი (წყველა).

ყალ-მაყალ აყალ-მაყალი. ~ ყალ-მაყალ ნუ შჩედ!

ყალმახ კალმახი.

— ჭ ა ნ.

ყამჩია 1. [ახ. გამჩხ] მათრახი. ~ ცხენს გაუქნევა ყამჩია; მე შენ ზმევიბე თითომაზე თითო ყამჩია დააკრვარ (მე შენს ძმებს თითოს თითო მათრახს დეკრავ).

— ყამში გი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ., (ჯავახ.), ყამჩი ძ ი ძ. (მესხ. -ჯავახ.);

2. აბრეშუმის პარკის გამონარშვის დროს სახმარი მემანენიკის (ნ.) ჯოხი, ნამგალავით მოხრილი, კაღლის ტოტისაგან გაკეთებული.

— ჭ ა ნ 126, შ ა ნ. რეც.

ყამჩიაბაშ მანჯანიკში აბრეშუმის პარკის ხევის დროს უღარგისი პარკი, ყაჭი, რომელიც ძაფს აღარ უშვებს. ამას მემანენიკეები ყამჩიათ (ნ. მნიშვ. 2) იღებდნენ და აგდებდნენ, ანდა აგროვებდნენ ცალკე. ~ მანენიკს ნუმ ახევენდნენ უწინ, ოგევი წრრზედ გრუვეღბოლა არვარგ პარკ, არვარგ ყაჭ. აამა ყამჩიაბაშს ან ყამჩიაწრრს ეზახდნენ. აამას აგრტევედნენ, სასტულში ჰყრიდნენ.

[სინ. ყამჩიაწრრ].

— **ყამჩი-ბაში** ჟ ა ნ., გ ვ. 127.  
**ყამჩიაკამეტ** კამფეტია ერთგვარი, მოგ-  
რძო ფორმა აქვს.

**ყამჩიბატარ** [აზ. გამჩხ] 1. ერთგვარი  
წიწვიაანი მცენარეა, 2-3 მეტრზე იზ-  
რდება, წვრილი ფოთლები აქვს. ~  
ყამჩიბატარ ყარასაუში (ნ.) იზღვევის  
ცახი სიმაღლეზე, ლამაზ ხეას (ხეა),  
წრულ, წიბლანე ფოთლეე აქ.

— **ყამჩიბატარა**, ულულან იალღუნი  
მ ა ყ;

2. მათრახის სახელური (ხელის მო-  
საცილებელი), რომელსაც ყამჩიბატა-  
რისგან (იხ. მნიშვ. 1) აეუთებენ.

**ყამჩიბაჭორ** იგივეა, რაც ყამჩიბაშუ.

**ყანად** [აზ. განად] 1. ფრთა. ~ ჩიტმა  
გამალა ყანადღე, გაფრინდა; აყუშყაა  
ყანად ფანჯრის ერთი ნახეური, ერთი  
ფრთა; გუთნი ყანად ბელტის გადასაბ-  
რუნებლი ფრთა გუთანში. ~ გმალ  
მიწას კრის, ყანად კი კიმევეს (ბელ-  
ტებს) აბრუნევეს. ეეს კიმევე განდაყარი  
(გადამყრელია);

2. ნაფთევი, ხნულის ერთ-ერთი ნა-  
ხეური. ~ ემ ნარის ექეთა ყანად ჩე-  
მი, იქითა ყანად შენი; ყანადღე ნარის  
(ნ.) აქეთიან-იქითიან მანაჯან აღგილე-  
ვი (აქეთა და იქითა მხარეს მოხნული  
აღგილებია).

— **ნაფთევი** მ ე ნ თ.;

3. ყვეილის გვირგვინის ერთი ფურ-  
ცელი; ცალყანადაა ცალფურცელა.  
~ თი ვარდ (ნ.) ცალყანადაას (ცალ-  
ფურცელაა), თითო ფოთოლ კვებტეე  
(არის) ზედ.

**ყანაბუზ**, **ყანავეზ**, **კანაბუზ** [აზ. განოუზ]  
ყანაოზი, აბრეშუმის ფარჩა (ძველად  
ამ ქსოვილისგან ქალების ახალონი,  
ლაბადა და მისთ. იყერებოდა); შავ  
ყანაბუზ იისფერი ყანაოზი; ყარფუზ ყა-  
ნაბუზ უხეში ქსოვილია, ერთგვარი მომ-  
წვანო ფერისა. ამისგან ქალის პერან-  
გებს კერავდნენ ძველად.

— **ყანაოზი** ჩ უ ბ., ქ გ ლ; ძ ი ძ.,  
კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.), აბრეშუმის  
ქსოვილი ქალის საცვლებისათვის  
მ ე ნ თ.

**ყანდალ** [აზ. დიალ. განდახ] განიერი, ღრმა  
და მოგრძო თხრილი. ~ ყანდალს ჭიბ-  
რუთ მამულევი დორთიანი (გარემო).  
ამაში წყალ არა (არაა), სიმაგრეაზე  
(სიმაგრისათვის) ეკებტეე (ეუთდება); «ყა-  
რასავეს (ნ.) ბეერ ნაქყანტ (ქანკრობიან)  
აღგილებში თხრიანი ყანდალგებს მიწო-  
თგან წყლის ჩამოსაწურად და დასაშ-  
რობად“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ვ.).

**ყანთარაღაა** [აზ. განთარლა] აღვირი  
ლაგამიანად. ~ ცხენს ყანთარაღაა  
ოტყრა (ამოსლო); წყალთან გაწევენ-  
ში კაცმა ყანთარაღათი ცხენ წყლის-  
კენ დაწაფა (დასწია).

**ყანიღ**, **ყანიხ** ასე უწოდებენ ალაზანს  
აზერბაიჯანელები. ~ ყანილი პირზე  
წოჯღეთ.

**ყანჟიღ** [აზ. განჯხვ] იგივეა, რაც ჯუ-  
ვაე ზალღ.

**ყანჟიღაა** ზად მატყლის ძაფებოთ ნაქ-  
სოვი კრელი ზონარი (აბგისთვის; ხუ-  
ჩინისთვის; ავენისათვის. მას პატარ-  
ძლის ფარდაში (ნ. ფერდოა) გასაყრე-  
ლადაც ხმარობენ).

ნ. ბალ.

— **მატყლის** ძაფებისაგან დაწნული  
თოკი გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (ინ-  
გილ.).

**ყანდალ** [აზ. განგალ] ნარშავი, ეკლიანი  
სარეველა ბალახი. ~ ყანდალ ფინთი  
ქ ლაფ (ძალიან ფინთია), ეკლვე ბეერ  
აქ, ემას ზეათი (ზევით) ბამბახსაალი  
(ბამბისმაგვარი); ნაყოფ აქ, მალაი  
(მალაია), თეთრ ჩიჩაქს იშომს (თეთრ  
ყვეაილას იყუთებს).

— **თეთრი** ნარი მ ა ყ.

**ყანყოტ** 1. წერო.

— **ყარყატი** ს ა ბ ა, ს მ ტ., ყა-  
რყანტი ჩ უ ბ.;

2. **გ ა დ ა ტ.** მალაი და გამხდარი  
აღამიანი. ~ რა ყანყოტ რამ ხნრა  
ყანჩურაა ფილტვების ანთება; ყანჩუ-  
რაა ქნიღ ფილტვების ანთება დამა-  
რთნია.

**ყანწ ურმის** სასაპნე. ~ ყანწ კამმეჩი  
ქებევი (ჩქებია), კემენშაიაც (რომელ-  
შაიაც) საპონს აქეთუვენ, ურმიზე გმა-

რულოვენ (ურმისთვის ხმარობენ), ზროდ სხრიალში არ დააწრსავ (იძისთვის, რომ ღერძი ტრიალისას არ დაიწვეს).

— საანის კათხა, სასაპონე, სასაპონე ხანწი ძოწ.

ყააა მარფად [აზ. გააა მარფაჲ] ბალახია. ქვიან ადგილებში ამოდის. მისი ფოთლები სამკურნალოდ გამოიყენება.

ყააა [აზ. გააა] დიდი ქვა, ლოდი, კლდე. ~ დეე მივ, ვრ დიდ ყაას სწევს, შიგ ზრრე; ნ. გაგაა ყააა; თახტა ყააა; ყაააა დაგეცას! წყეელაა. იგივეა, რაც ქტაა დაგეცას (ნ. ქტაა); ცუტკეჭული ყააა ნ. ცუტკეჭულ.

ყაადაა [აზ. გაადა] ყაიდა, წესი, ჩეუულება. ~ ჩონ ყაადაა ემეურაა (ჩეენი წესი ასეთია); დეეაა ააქავ თავი დანაწოლ ყაადაათი წრე აქლემი თავის ჩეუულეებისმებრ წეება).

— კ ი რ.

ყაან, ყააინ [აზ. გააან] ცოლის ძმა. ყაანათასია, ყააინათასია [აზ. გააანათათა] სიამირი.

ყაანანასია, ყაინანასია [აზ. გააანანა] სილდერი.

ყაანარ ნუქრებიანი, კოყრებიანი ხე. ~ ყაანარ ღუგუმ-ღუგუმ ნაქნარ ხეას (ნუქრებიანი ხეა).

ყაასანად ყაისნალი. ~ სავალა შალ [ნ. სავალაა (1)] სკელ კეპტეოლა (იყო), ემა დეკაცეე (ქალები) ქსოვინდენ ყაასანალით.

ყაასარ ცხენის აედამყოფობაა.

ყაასია, ყაასი ქლიავ [აზ. გააას] = გარგარი ქლიავის ჯიშია, მრგვალი, მსხვილი და მეტად ტკბილი ნაყოფი იცის. მწვანე ფერისაა, სანამ ძალზე არ დამწიფდება. ~ ყაასი ქლიავ წელს არ დოგიჩურჩი.

ყააიშ [აზ. გაააიშ] მსხვილი თასმა (გუთანში).

— ყაიში დანის პირის ასაწყობი, ასალები ტყავი ბ ე რ.

ყააჩია [აზ. გაააჩ] 1. მკერატელი. ~ ჩემ ყააჩია არ ქრის;

2. მარწუხი, ჭვარედინად გადაბული საყრდენი ხე ნაგებობაში, რამე-

ლსაც საყავებს შეუყენებენ ხოლმე გასამაგრებლად.

ყაა 1. თბი, ფორი;

-- ყააი, ყააუი თბი ღვინისა; ხავსი ქაობისა. საერთოდ თხიერი ნიეთიერების თბი მ ე ნ თ.; წყლის ხავსი ძ ი ძ., კ ე უ ხ., ხ ე ბ. (ქართლ.);

2. ზ ე დ ს. მძალე, გაფუქებული, დობებული. ~ ყაა კაკალ (მძალე კაკალი).

ყაჲ [აზ. დიალ. გაჲ] დიდი და ღრმა წყლის არხი ბრინჯის, პურისა და მისთ. ნათისის მოსარწყავად. ~ არხ პატრამს (პატარაა), ყაჲ დიდ და ღრუმ. ყაჲ გათხრაში 10-15 ინსან კეპტეე (10-15 კაცია). ყაჲში წყალ კეპტეე მინდორი, ჩალთუქი (ბრინჯის), პური მაარწყალა (მოსარწყავად); ყაჲი შაკრამ ყაჲებში (ნ. ყაჲ) წყლის შეწყვეტა. ~ ჩალთუქ დათესაში სიპტა (ჭერ) წყალს უშენ დანათეს ადგილში. ეე წყალ ჩალთუქ მოწვეინება (ბრინჯის მოწვეამდე) შიგ კეპტეე (შიგაა). ჩალთუქ უმ (რომ, როცა) მააწვის ჩ, მევლნი ყაჲეეს კრრნ, წყალს წყრტენ შიგაათი გათობაა მაასლრლ (მოსასვლელ) დროზე. ეემას ეზახიან ყაჲი შაკრამ, პენი (ანუ) წყალ მოწყრტამ ჩალთუქი შიგაათი მააწვეელ დროზე (წყლის შეწყვეტა ბრინჯში მოწვის დროს).

შღრ. ყანდალ.

ყაჲარი, ყაჲარია, ყაჲარაა ყაჲარი, უნაგირზე გადასაფარებელი. ფერადი ძაფებით იქსოვება.

ყაჲარი ორთუქი, ცხენთ ზურგზე გარდასაფარი ჩ უ ბ., წ ე რ.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ფშ.); ცხენის აკაზმულობის დასამშენებელი ნაწილი: მოქარავული მათლია ან ნოხ-ფარდაგული. თოქალთოს ზემოდან გადააშლიან ზა შემდეგ უნაგირს დაადგამენ. თითქმის ცხენის მთელს ზურგს ჰფარავს კისრიდან გაეამდე და ფურღებამდე მ ე ნ თ.

ყაჲირ [აზ. ] სეაი. ~ ყაჲირს კდრიზგნი მტრამ ნაქამ არ აქ (მკვდრის გარდა არაფერს ქამს), ერკეე (მხოლოდ) კდარს ქამს, 300 წელს ცხოვროვს.



— ყაჭირი ჩ უ ბ., ყაჭირი სხუათა ენაა, ქართულად ძერძერუეი ს ა ბ ა, იგივეა, რაც ძერძერუეი ქ გ ლ (ფშ.), კ ი ნ კ. ვაჟა.

ყულაჲ ნ. ყაშხაჲ.

ყარა შალაჲ ..კვლებში გამეებული წყლის შერევა გაფხვიერებულ მიწასთან და ატალახებაჲ“ გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ინგილ.).

ყარა ფულ იგივეა, რაც ვარშაი თეთრ (6. ვარშაე).

ყარაბულაჲ [აზ. გარა + აზ. ბულა] შავი ღერის მწერია ერთგვარი (ჰიაფანდურა ანუ ფუნაგორია უნდა იყოს). ~ ყარა-ბულაჲ ზროტი. ცხენი ნრხს ამჭურგლევს ტყუესაალი (ნეხეს ამრგვალებს ტყვი-ასავით).

ყარაბულდაჲ [აზ. გარა +აზ. ბულდა] შავთავთავიანი პური, შავფხიანი თავ-თუხი. შედარებით მდარე ხარისხისაა, მისი ფქვილისგან მკადივით პური ცხე-ბა.

ყარაგადანეჲ ასე უწოდებენ ფოლადშ-ვილებსა და პაპიაშვილების უბანს.

ყარაგუნ [აზ. გარა +აზ. გუნ] შავი ღლე, სიმწრის, უბედურების ღლე.

ყარავაჲ თვლების ავადმყოფობაა.

ყარავაშ [აზ. გარაბაშ=მოსამსახურე ქა-ლი] მოსამსახურე, მსახური (კაციც და ქალიც). ~ ფაჩაჲ (ხელმწიფე) ზგავნის თავი ყარავაშს.

ყარაველ. ყარაულ 1. ყარაული. ~ ემ სახლთან გრრც (ახლო) ყარაულ დგას; ღამი დაზინევაში ერთმერთის ყარაულ დგევიან (ერთმანეთს ყარაულად უდგე-ბიან); ყარაულ განხვევაჲ ყარაულობა. ~ მოჲ, ერ საათ ყარაულ გასწივ. (ყარაულობა გასწივ, იყარაულე)!; თო-ფი ყარაულ ნ. თოფ (2).

— გ ი გ. თ ო ფ., ქ ა ე თ. (აქარ.); 2. იგივეა, რაც თოფი ყარაულ [ნ. თოფ (2)]; ყარაველში ატანაჲ მიზანში ამოღება, დამიზნება. ~ ბარაჩიევ ღორ-რამ მოკლაში უმიზნევენ, ყარაულში ააქონ (მიზანში იღებენ).

ყარავლოვაჲ, ყარაულლოვაჲ ყარაულობა, დარაჯობა. ~ ფაჩაჲ ემ ვაშლ მიაწ-

ვეულ (დასამწიფებელ, მოსაწევე) დრო-ზე ეღვეის, ჰეყარაულევს; ზ მ ნ ზ. ყა-რაულოვან, ყარაულლოვან საყარაულოდ. ~ ქაჩალ წასულ ყარაულოვან; მამაჲ სამარებზე ენერთ (არცერთ) არ წა-ხრლით (არ წახველით) ყარაულლოვან. ყარავლოვან ნ. ყარაულოვაჲ.

— ყარავლობა, ყარაულლობა გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (აქარ.).

ყარათიქან [აზ. გარა +აზ. თიქან] კე-ლიანი მცენარეა.

ყარაზ (1) [აზ. გარაზ] ერთი სიტყვით. ~ ქაჲც უნდ ქნას, ყარაზ, შენ ნათქომ ქენ.

ყარაზ (2) [აზ. გარაზ]: ყარაზ აღვეაჲ (ყ. დაღვეაჲ) სამაგიეროს გადახდა, მიზღვევა. ~ ჩემ ცხრა შულ ემ ღვეეჲ-ძა ამმიწყურტოს (ამომიწყურტეს), ეემათ კარაზ ვერ ოჲლ (|| ეემათ მე ერ ყარაზ ვერ დაღვედეიყ) (სამაგიერო კერ გადა-ეუხადე).

ყარაზლუჲ [აზ. გარაზლი] გაბოროტებუ-ლი, გულღეარძლიანი, ბოროტგანმზ-რახველი, სამაგიეროს გადახდის სუ-რვილით აღსავსე. ~ მაგი ყარაზ ვერ ოჲლ (სამაგიერო ვერ გადაეუხადე), ყარაზლუჲ ვარ.

ყარაკაკაჲ, ყარაკაკაჲ ნ. კარაკაკაჲ.

ყარალ [აზ. გარალ] 1. ჭომა, ნორმა; საკმარისი, სამყოფი. ~ ჩემ ყარალ (ჩემი სამყოფი) არის; ყარალა(თ) ზო-მაზე, ნორმაზე. ~ ცეცხლ გარაქ ყარა-ლით იქნეს (ცეცხლი უნდა ზომამზე იცოს), თუ ბეგრ იწნა ან ცოტაჲ, თელ ღაყ-დევე; ჩემ ყარალ ორ ფუთ აყრდეჲს (აყრდება), სამ ფუთ ვერ ოჲციდევე; კომ თავი ყარალით (თავის ზომამზე) დულს.

ყარამალ [აზ. გარამალ] ფურისა და ხარის ზოგადი სხელია. ~ „ფურს, ვარს და სავითოდ ძროხისგან ნაშენს ყარამალს უძახიან“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.); ყარა-მალ ფერმაჲ ზ (|| ფორმაჲ); „ყარამალი სიცივეს და სიციხეს კარგად უძლებს, ზოლო კამეჩი მცივანაა და ვერც სიცი-ხეს უძლებს“ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

ყარამლაჲ იტყვიან საჩალთუქე მიწის ატალახებისას.

ყარამეშაჲ ტ ო პ. პატარა სოფელია აზერბაიჯანში, კახთან ახლოს. ინგილოებს აქ საქონელი მიჰყავთ საძოვარზე.

ყარამიხ 1 [აზ. გარამუგ, აზ. დილ. გარამუხ, გარამხს] ეკლიანი ხის ჭიშია. ~ ყარამიხს ეკას ეზახიანი, შხამიან ეკალი, თუ წეგეა (შეგერქო), ფინთი; 2. ავადმყოფობაა ერთგვარი, ავადმყოფს შავ მუწუკებს აყრის.

ყარამლეჲ ასე უწოდებენ ისაშვილების უბანს სოფ. კახში.

ყარანუშ [აზ. გარანგუშ] მერცხალი. ~ პენგილავეე „მერცხალ“ ბევრ ამბოვენ (ინგილოები „მერცხალს“ ხშირად ამბობენ), ყარანუშს ზოგდევთა (ზოგჯერ) იტყუნან.

ყარაჲ: ყარაჲ დაყუწაჲ მიწის ბელტის გაფხვიერება. [— გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ინგილ.); ყარაჲ დაყარაჲ ა) ჰაჩიჩით ქელების გველება; ბ) საფლავის ქვაზე წარწერის გასაყეთებლად ასოების წინასწარი მოხაზვა.

ყარაჲჲ, ყარაჲჲე გაზაფხული.

ყარაჲგრაჲ [აზ. გარაჲარა] იგივეა, რაც ჯამან.

ყარასავ ასე უწოდებენ ინგილოები ბარის ცხელსა და ქაობიან სოფლებს, (ყარამეშას, ალათემურს, ქოთოქლოს ალიბეგლოს, მეშაბაშს, თასმალოს, ყორადანს და სხვ.). ~ ყამიჩიტარ (ნ. მნიშვ. 1) ყარასავში იზდევის ცახი სიმალღეს; „სახლი მასლაჲ გორკაჲთი (ახლოს) თი კალთევით, ყარასავში გორკ ყოფ (ახლოს მყოფი) ტყევეით იქრეოდაყ (შ ი ნ ა მ რ ე წ ე.).

— ქ ა ნ., გვ. 53.

ყარასაჲყიჲ, ყარასახუიჲ [აზ. გარა ჭ ა ზ. საგგახს] შავი ფისის კევი, წაქლად იყენებენ.

ყარაჲულ ნ. ყარაელ.

ყარაჲულოჲჲ ნ. ყარაელოჲჲ.

ყარაჲულოჲჲა ნ. ყარაელოჲჲა.

ყარაჲაჲყაჲ ნ. კარაკაჲყაჲ.

ყარაყილიჩი [აზ. გარა ჭ ა ზ. გხლჩხგ]

1. შავფხიანი ბრინჯის ჭიშია (სინ. შავყილილიან ჩალთუქე);

2. შავფხიანი თაუთავი (პურისა).

ნ. ყილიჩი.

ყარაყურაჲ შავი ფერის, ფუქი. დაავადებული კაკალი. ~ ყარაყურაჲ კაკალზე კეჰტეჲ, იმპინ ამბოვენ: კაკალ ყარაყურაჲჲ ქნსლაჲ.

ყარაშამბაჲ უჯანგარი. ~ ეჲგ (ნ. მნიშვ. 3) არქნაში ყარაშამბაჲთიყ აყეთევენ ეჲგს, ზოგდევთა (ზოგჯერ) ეემით ჰყახენ.

— მ ა ყ.

ყარაჩიჲ [აზ. გარაჩხს] მათხოვარი.

— ყარაჩი ალბათ ყარაჩაელი (?), ბოშებზედაც იტყვიან; გა დ ა ტ. შავი ადამიანი მ ე ნ თ.

ყარაჩიოჲჲა მათხოვრობა, ზ მ ნ ზ. ყარაჩიოჲჲან მათხოვრად. ~ ქალევი მამა ჩეჲარდნილ ყარაჩიოჲჲან (ქალების მამა მათხოვრად წასულა, მათხოვრობა დაუწყია).

ყარაჲკაჲჲა ნ. კარაკაჲჲა.

ყართ [აზ. გართ] ძველი, ძველებური; ძირეული; ნამდვილი, ქეშმარიტი. ~ ყართ პენგილატრ (ძველი ინგილოური); ყართ პენგილაჲე (ძველი, ნამდვილი ინგილო); ყართ პენგილატრა ლაპარიკოჲს.

-ყართა როგორც-კი, მაშინვე, -თანვე, მას შემდეგ, რაც; რამდენდაც, იმდენად უფრო. ~ საბელ დააგრეხელი, დაგრეხიყართა ქალ მიწაჲსყენ მასლრლი (თოკი დაიგრეხება, დაგრეხისთანვე ქალი მიწისყენ მოვა); ქალ გაზრდიყართა ლამაზდევ (ზრდასთან ერთად ლამაზდება); თქმიყართა (თქმისთანავე); ნანდოყართა მიაყემეჲარ (რამდენიც გინდა, იმდენს მოკეჲმ).

ყარიშულლ, -ყარიშულლუ, -ყარიშულლა, -ყარაშულლა [აზ. გარჩხმხგლხს] -იანად. ~ ე კაც წყალში ვარდევ თავი მეშუეყარიშულლ (თავის ტომრიანად); დიდ ზმაჲ თავი თულევიყარიშულლ ნა. დიროჲჲან წაჲტად (უფროსი მმა თავის მეძებრიანად სანადიროდ წავიდა); მიჰ-

ყონენ ემ კაცს ეშაქყარიშულლუ (მიჰ-  
ყავთ ეს კაცი თავის ვირიანად).

**ყარმაღ, ყარმახ, კარმახ** [ახ. გარმაგ] კაუტი, კავი, ჩანგალი; აწყესი. ~ ცუ-  
ცქუღლში კაწაბ ანასწეე -დანასწეე ვიშ  
(კრიკის ასაწეე-დასაწეეი ბაწარი) ყარ-  
მალით იკრვ (იყერება); ბაშინიერი  
(ნ.) ერ ბოლოათი მიყერებულ იყო ლე-  
ჩაქზე, მეორე ბოლოზე ყარმაღ აქონ-  
და (პქონდა), იმას უგდედენენ (გა-  
მოსდებდენენ), ეემაზე იკროდა (იყე-  
რებოდა); თეუზი ყარმახ (თეუზის ან-  
კესი); მანგანამ ყარმაღ (ნ. მანგანამ,  
მნიშვ. 2).

**ყარტლიან, ყარყლიან** ქუუქყიანი, ტურტ-  
ლიანი. ~ ყარტლიანს ქუუქყიან ინსნი-  
ბე (აღამიანზე) ამბოვენ, რუმ არ გაბა-  
ნულ.

— ჟ ა ნ., კ ი ნ ქ ვ ა ჯ ა; ყარტ-  
ლი გულის სიბილწე და სიმყარაღ ს ა  
ბ ა, ქ გ ლ; 1. წყლისაგან ქვებზე წარ-  
მოქმნილი ლორწოვანი მასა. 2. თამ-  
ბაქოს წყეის შედეგად წარმოქმნილი  
მოყვითალო-მოყვივისტრო ლორწოვანი  
მასა ძ ო წ.

**ყარფ, ყარფავ** იგივეა, რაც გარჩ, გარ-  
ჩავ.

**ყარფუშ (1)** [ახ. გარფხზ] საზამთრო;  
ზროხი ყარფუშ საზამთროს ჭიშია, გუ-  
ლი არ უმწითდება, საქონელი ქამს.

— გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ყიზლ.-  
მოზღ., კახ. -ქიზ); ძ ი ძ. მესხ.-  
ჯავან., ქ ა ჯ., ყარფუში, ყალფუში  
ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.).

**ყარფუშ (2); ყარფუშ ყადგ ნ.** ყადაგ;  
ყარფუშ ყანაჭ ნ. ყანაჭ.

**ყარფუშიგულამა** დიდბიბილოიანი ქათა-  
მი.

**ყარყ ძველი** ქურქის, ბეწვის, ტყავისა  
და მისთანათა ნაგლეჯები. ~ ლოგინთან  
უგიაყ ყარყ ზოგივეს; ჩემსებრა ყარყევი  
ჩაფცოს, ნოხო, ლამაზა!

**ყარყლიან ნ.** ყარტლიან.  
**ყასაბიმა** ქსოვილია ერთგვარი, ამისგან  
ძველად მუქასარს (ნ.) იყერავდენენ.  
— ყასაბა [არაბ. კასაბ=ნაზი ქსოვი-

ლი, ეგვიპტური] იგივეა, რაც შუბლსა-  
ფენი ქ გ ლ.

**ყასაბჩიმა** მუყასბე.

**ყასიმა** პრელ ერთგვარი წინდა. ~ ყა-  
სიმა პრელ დიდკრიან (ნ. კორ, მნიშვ.  
3) წინდას (წინდაა). ყასიმა კაცი  
სახელ ყოფილ. ეემ წინდას კაცი ღეყი-  
ბე (ფეხისთვის) ქნიდენენ (ქსოვდენენ).

**ყასტიბე(თ), ყასტ, ყასტი, ყასტინან, ყას-  
ტინდან** [ახ. გსლ] განგებ, ყასილაღ. ~  
მე გომოსლა ყასტიბე დაეაჯუნან; შენ  
დეკაც (შენი ცოლი) ყასტ ამბოეს,  
აუღ ვარავ; ერ დღე მელამ ყასტიბეთ  
კდრვის; იმამ ყასტი თქო (ყასილაღ  
თქვა); ყასტი ჩედის (განგებ აყეთებს).  
ნ. -ბე.

— ყასილათ სხვათაშორის, ისე  
მ ე ნ თ.

**ყატ** აივნის ქერზე გადებული მოკლე თი-  
რები (ნ. თირ, მნიშვ. 1), რახეც  
ლამთა არის მიყრული. ასეთივე ხის  
ძელები აივნის იატაკისა, რომელზედაც  
იატაკის ფიტრებია დაკრული. ~ ლამ-  
ფამ თუ არის ქერზე, ყატვე არ ჩანს, თუ  
არ არის — ჩანს; პოლ არის დაკრულ ყა-  
ტეზე, თუ ქრშ პოლიან აფან, მიწიან-  
ზე არ კვტევე (მიწის იატაკზე არ კეთ-  
დება).

**ყატამ ჩობნის დიდი ძალი.**

**ყატყატოვამ** ინდაურისა და ბატის ძა-  
ხილი. ~ ყაზევე (ბატები), ინდატრევე  
ყატყატოვენ.

**ყაუმ** [ახ. გოქუმ] ნათესავი, მოყვარე,  
მოყეთე.

**ყაუმოვამ** ნათესაობა, ნათესაური ურთიერ-  
ობა; მოყვრობა. ~ მე მინდ ჩონ ორ  
ოქაზში ყაუმოვამ დოაწყეთ.

ნ. ყაუმ.

**ყაუმ-ყარდამ** [ახ. გოქუმ-გარდამ] ნა-  
თესავები, მოყვრები, მოყეთეები.

ნ. ყაუმ.

**ყაუტ ქუმელი, ხალი.** ~ ყაუტ შიქმელ  
რამი (საქმელი რამა), ქერს აჯალე-  
ვენ მაგრა, მეელნი (მერმე) ფქრნ ცუ-  
ცქუღლში, ცრიან საცრით. მეელნი  
ბექმასს წყალში აქანევენ (ახავებენ),  
ზელენ, კვტევე ყაუტ. ყრლი წრნშიაც

აყეთევენ. ჰენგილაევეში (ინგილოებში) წალანდელ დროზე ჩობნეუ აყეთედნენ, ეებლა დაღესტნელეუ აყეთევენ.

ყაფაზია [აზ. გაძაქს] გალია.

ყაფან [აზ. გაფან] დიდი სასწორი.

ყაფალ [აზ. გაფალ] 1. სახურავი, სარქველი, ხუფი.

— თავსახურავი გ ი გ., თ ო ფ. კ ა ე თ. (იმერხ.);

2. მოქარგული გულისპირი მამაკაცების უწინდელ პერანგებზე. იგი ფარავდა საკინძისათვის ჩაჭრილ ადგილს; ზ ე დ ს. ყაფალიან: ყაფალიან პერანგ.

ყაყაჲ ნ. კარაკაჲყაჲ.

ყაყაჩო ღამეჲ ნ. კაყაჩ.

ყაშ (1) [აზ. გაშ] წარბი.

ყაშ (2), ყაშაჲ [აზ. გაშ] ვერცხლის ქამარზე ერთი მტკაველის სიგანე ვერცხლისავე შესაკრავები.

— შ ა ნ . რ ე ტ.

ყაშაჲ [აზ. გაშოჲ] სამურველი (ცხენისა).

ყაშაჲ ნ. ყაშ (2).

ყაშულღიხარან [აზ. გაშხგ ჩხხართან] იგივეა რაც სლარაჲ.

ყაშხაჲ, ყაულაჲ, ყაშლაჲ [აზ. გაშგა] ნიკორა, თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე; ასეთივე ნიშანი, ოღონდ მოყვირთალო ფერისა, აბრეშუმის ქიაზე. ~ ჩონ ტანას შუბლზე ყაშხაჲ აქ; ყაშლა ნიკოჲ; ქიას დაზინეჲს უკან (ქიაჲ დაზინეჲჲ ნ. ქიაჲ, მნიშუ. 1) ტუჩზედითან ყაშლაჲ გომოდის.

[სინ. თეფალაჲ].

ყაჲ კუტიანად გამოხარშული, მდარე ხარისხის, დამპალი და გაფუჭებული აბრეშუმის ქიის პარკი. მისგან კედს ართავენ, რომელსაც უმთავრესად ძველმანების დასაყერად ან ახალი ტანსაცმლის დასალამბავად ხმარობენ. იშვითად ტოლალების, ზეაწერისა, ზოგჯერ საშარელე და საჩოხე შალისა და მისთანთა მოსაქსოვადაც იყენებენ. ~ კაჲ დიდ ანარჩევ პარკით ღომფალს აყეთევენ, ეს საღომფლემს (საღომფლეჲ), არვარგ პარკ — ყაჲი.

— ნიკარტუტაში მოხარშული (უმთავრესად პეპელგამოსული) პარკი ან

პარკის გამონახადი პერანგი, რომელსაც თითის ტარზე ართავენ საშინაოდ ძველმანების დასაყერებლად მ ე ნ თ.; ბოჲი გამოხარშული ს ა ბ ა; აბრეშუმის პარკი, ბოჲი გამოხარშული; ყაჲის ქია ჩ უ ბ., საყერაჲ-საქარგავი მისაღ კ ი ნ კ. ხეჲს.; აბრეშუმის ქია ე ლ.; კოჲის ძაფი უ თ უ რ გ.; ყაჲ-აბრეშუმში ქსოვილი აბრეშუმისა და ყაჲის ძაფისაგან შ ა რ ა შ.; შალ-ყაჲი შალისა და ყაჲის ნარევი ქსოვილი წ ე რ.; ყაჲა აბრეშუმის ნართო ქ ა ჯ.

ყაჲა პირპილ, ყაჲაჲ ნ. პირპილ.

ყაჲყაჲ კაჲკაჲი.

— ჯ ა ნ.

ყახაჲ [აზ. გახაჲ] კახაჲი, ცხვრის ან თხის გამხმარი ხორცი, ლორი, რომელსაც მეტწილად ფლავთან ერთად ქამენ; ქერიჲა ყახაჲ ა) თხის კახაჲი; ბ) გადატ. გამხდარსა და მაღალ ადამიანზე ამბობენ (სინ. დერბენდი ყახაჲ); ყახაჲიან ფლავ ფლავია ერთგვარი, ყახაჲის წვენი ხარშავენ.

— ყალი მზეზე გამხმარი ხორცი შ ა ნ. ვაჲა II, კ ი ნ ჯ. ვაჲა, მკლესა და ცულსა გმელსა გორცსა ეწოდების ს ა ბ ა, დამარილებული, გამხმარი ხორცი ქ გ ლ, მარილში გამოყვანილი გამხმარი ხორცი კ ა ი შ., დამარილებული ხორცი, ოდნავ თორნეში შემწვარი მ ე ნ თ., კალი ცხვრის ხორცი, დამარილებული და მზეზე გამხმარი ქ გ ლ (ფშ.), ყალი უ თ უ რ გ.

ყაჲჲაჲ ნ. ყააბაჲ.

ყაჲყაჲ ნ. კაჲკაჲი.

ყაზაჲტყენ, ყაზაჲთყენ გულადმა, პირადმა. ~ ყაზაჲტყენ დაწო.

[სინ. გულანდ].

ნ. ზეჲტყენ.

ყბათაჲჲ, ყბათაჲჲე, ყბათაჲჲყენ, ყბათაჲჲყენ, ყბათაჲჲყე გულადმა, პირადმა, პირით ქვემოთ, თავადმა, ქვევით. ~ ყბათაჲჲჲ წეჲს; ყბათაჲჲე მიდის.

[სინ. ყბაჲჲოყენ].

ნ. თაჲჲრ.

ყბანაფარ ნ. ყბაჲ, მნიშუ. 1.

ყბა 1. პირი. ~ პური ლოკმევს ყბა-  
 ში იღრვს (იღებს); ყბა ახომს (პირს  
 აღებს); ყბა იმისყენ დედექ! (პირით  
 იმისყენ დადექი!); ყბა არ დააყენა  
 (პირი არ გააჩერა); ტწნს (ცეცხლს)  
 ედრი ყბაზე ჰე (ან) პირზე (სახეზე)  
 ადევნენ; შაპა სხალ წარემს (მწარეა),  
 ყბას შაპავს (ნ. დაშაპა, მნიშვ. 2);  
 მე ჩათალ ყბამ მაქ, ნუ მზრახვე ი  
 (მე ცუდი ვენა მაქვს და ნუ მალაპარა-  
 კებ, იცოდე); მაგი ყბამ არა იტყვიან  
 ისეთ ადამიანზე, რომელსაც რაიმე საქ-  
 მის გაკეთების უნარი არ შესწევს და  
 მისთვის შეუფერებელ, დაუღლებელ  
 საქმეს აკეთებს; უნავრი ყბამ შაკრამ  
 (გამაგრევა) ნ. უნავარ; ყბაზე მო-  
 სულამ: ყბაზე მამდის პირზე (ენაზე)  
 მდგას. ~ ერყე თამრო მამდის ყბაზე  
 (მხოლოდ თამრო მდგას პირზე); არ  
 ჰცხონიან, რაც ყბაზე მოოდის (რაც  
 პირზე ადგას), ამას ამბოეს; ყბა-  
 ზე მანასულ (ყბი მანასულ) რაც პირზე  
 მოადგება. ~ ყბაზე მანასულ რამდევს  
 ნუ ლაპარაკოქ! (რაც პირზე მოადგე-  
 ბა, იმას ნუ ლაპარაკობ!); ყბანათარ  
 იგივეა, რაც ჩომოფხურულ (ნ. ჩომოფ-  
 ხურამ); ყბამ აკუნამ პირის მოკუმეა,  
 პირის მომუწეა. ~ შენ ყბამ აკუნ  
 (პირის მოკუმე), უჩუმრა დედექ!;  
 ყბამ აკუნნი (პირი მოკუმეაქ), არც  
 ჰამს, არც ლაპარაკოეს; ყბამ გამაგ-  
 რევა გ ა დ ა ტ. პირის აყრა, პირზე  
 კლიტის დადება ვისმესთვის (მოლაპა-  
 რაკებით, შეშინებით და სხვ.). ~ ქურდს  
 მზზზბლევი ყბამ გოჭმაგრევი, არ-  
 ხანნი; ხალხი ყბამ გაამარა; ყბამ  
 დღფანტამ ზედმეტი ლაპარაკი, წყრო-  
 მითა და ლანძღვა-გინებით. ~ ყბას  
 ჰამე იფანტავა? (ბეერს რატომ ლაპარა-  
 კობ? რატომ ილანძღობი?); ყბას ნუ  
 იფანტავ, გნავგი!; ყბამ დაღენევა:  
 ყბას არ აღენევეს გ ა დ ა ტ. პირს არ  
 აჩერებს, განუწყვეტლოვ ჰამს ან ლა-  
 პარაკობს; ყბამ დაჭეჩამ ნ. გაჭეჩამ;  
 ყბამ თბილ ადგილში აქ თავი ქედში  
 აქვს, არხეინია; ყბამ მიყოფამ უშვერი  
 სიტყვებით წახხუბება ვისმესთან. ~

ყბამ მიყოფამ; მი მ ლ. ყბამ მინა-  
 უფ ვინც უშვერი სიტყვებით ჩხუ-  
 ბობს; ყბამ მოგრუევა. უ. მოგრუე-  
 ვამ გ ა დ ა ტ. გაჩუმება, დაღუმება.  
 ~ ყბამ მააგრევეს, დაღუმება!; სიხა-  
 რული ყბამ ვერ აგრუევეს (სიხარულით  
 ტუჩებს თავს ვერ უყრის); ყბამ მო-  
 კუამ ნ. მოკუამ; ყბამ მოკუამ  
 იგივეა, რაც მოკუამ. ~ ბეერ ნუ ლაპა-  
 რიკოვ, ყბამ მაკუქ! (პირი მოკუმე!);  
 ყბამ მოსხნამ გ ა დ ა ტ. გაუთავებე-  
 ლი ლაპარაკის დაწყება. ~ ყბამ მო-  
 ხსნამ; ყბამ ყბაზე მიცემა გააფთრე-  
 ბით ჩხუბი, როცა მაჩხუბრები საღინ-  
 ძლივ სიტყვებით ერთმანეთს არაფერს  
 შეარჩენენ ხოლმე. ~ ყბამ ყბაზე  
 მიტუიავ, იკიდევინ (სინ. ფეუ ფეუ-  
 ზე მიცემა); ყბამ შანახამ დაღუმე-  
 ბა, გაჩუმება. ~ ყბამ შენზე შანახ  
 (გაჩუმდი, პირი გააჩერე), ბეერ ნუ  
 ლაპარაკოქ; ყბამ: ე კ ა ე ე რ ყბამს  
 (|| ე კ ა ე ცარიალ ყბამს) (ეს კაცი ყბე-  
 დია, ცარიელი ვენა); წუმამ ყბაში  
 უჭერი ნ. წუმამ; წული ყბამ ნ. წყალ.  
 — შან. რეც;

2. პირი ქურტლისა (ქოთნისა, დო-  
 ქისა, ქვევრისა და მისთ.). ~ წრლამ  
 ჰამ, კოქპი ყბამ არ გახსნო (|| არ მო-  
 ხსნო) (მაწონი ისე ჰამე, რომ კოქპობს  
 პირი არ მოხსნამ; ქოთნევი, ოჯუ-  
 რევი, კოქპევი ყბაზე სეგრას აკარნ  
 (სგრას აკარვენ); გოზავრი (ნ.) ყბას ქე-  
 დავს (მქიდროდ ხურავს); სიფინეი (ნ.)  
 ყბაზე კიეკალ (ნ.) დრვენ; გევი  
 ყბამ ნ. გევი; კარი ყბამ ნ. კარ; საჩიჩე-  
 ლი ყბამ ნ. საჩიჩელ; ყბამოჭეჩულ  
 პირმოტეხილი [— გ ი გ., თ ო ფ.,  
 ქ ა ე თ. (ინგილ.); ყბამ გამაგრევა  
 პირლია ქურტლის მქიდროდ და-  
 ხურავა, ზევიდან რაიმის მაგრად მო-  
 ქერა. ~ ყრლ კოქპაში შანახში ყბამ  
 კამგორა თუ ვერ გოჭმაგრით (პირი  
 მაგრად თუ არ მოკვარით), მამინ ამ-  
 ბოვენ — დაქარულ, თავი გემოზე არა  
 (არაა), გაფურქულ;

3. შესაკვრელ-გასახსნელი ნაწილი  
 (ტომრისა, ხურჭინისა, გულისა და

სხვათა). ~ დატუმრას უკან ტუმრი ყბვეს აყრუნ (კრავენ); ხურჯინი ყბაა გაარღვეა; ყოში (ნ.) ყბაზე ავლევდნენ ტყელ შავ ბალს (ზონარს); ყბაა მოგრუქვია, ყ. მოგრუქვია ტომრის, აბგისა და მისთ. პირისათვის თავის მოყვრა. ~ მეშუეი ყბაა მიაგრუქვა; ზ მ ნ ზ. ყბაა მიაგრუქვია პირების თავის მოსაკრავად. ~ ხურჯინი ყბაა მიაგრუქველა ბალს (ნ.) უკეთევენ ხურჯინზე;

4. შემოუქეცილი პირები, კიდები ქსოვილისა. ~ ტოტევი ყბაა ანუ ტოტევი პირ (შარვლის ტოტევის ბოლოები); მუქასარი (ნ. მუქასარ) ტოტი ყბეზე ქობას აკეთევენ; ყბაა ყბაზე წაკრეფაა ნ. წაკრეფაა, მნიშვ. 1;

5. გულის ჩასადებად გათხლებული ცომის ნაპირები, კიდები; ყბაა გამაგრევაა სახინკლე ცომში გულის ჩადება და ნაპირების თავის მოყრა-დამაგრება. ~ გირცი ჩადრევაში (ნ. გირც) გირცი ფოთლეს ყბას უმაგრევენ, ყბაა ყბაზე აყრევენ; ყბევი წაკრეფაა ნ. წაკრეფაა;

6. პირი, მკრელი მხარე (იარალისა). ~ წალდი ყბაა; ბარი ყბაა; გაწკეპაში (გალესისას) ბარი ყბას (პირს) ცეცხლში ავლევენ, აცხელებენ, მევლნი (მერმე) ჩექქრით ტრპენ (ცემენ), ყბას ათხელებენ;

7. კრილობის, წყლულის, ჩირქოვანი მუწუკისა და მისთანათა პირი, ღია ნაწილი. ~ ღერას ყბაა არ ჰქონი; ყბაა მიცემაა კრილობის, წყლულის, ჩირქოვანი მუწუკის თავის გახსნა და სისხლისა და ჩირქის გამოსვლა. ~ ღერამ ომოფლერთა (ამოხეთქა), ყბაა მისცა, სისხლ გომოტდა.

ყბააგახმულ ნ. გახმაა.

ყბაპირანდ, ყბაპირანყ, ყბაპირანყენ იგივეა, რაც პირანდ. ~ ყბაპირანდ მიდის. ყბაქრუხყენ იგივეა, რაც ყბათაქქრ. ~ გადაა ბალახზე ყბაქრუხყენ წვეს. ყეთოყ-ყეთოვ ნ. გეთოვ-გეთოვ.

ყელ (1) აჩარის, გუთნის, ჩარფანის (ნ.) მოხრილი ნაწილი, რომელზედაც მიმაგ-

წლანკ, სლანკ წყალ-წყალა და უგემური საქმელი, ლაკლაკა. ~ ჰევო წლანკ რამმიან! (როგორი წყალ-წყალა რა-მან); ე ფყალამ (ლობიო) წლანკ რა-

ამი; წლანკ წონ (წვენი).

[სინ. ტლანკ].

— სლანკ თხელი წვენი ჯან.

წლით, წლით წელში ყოველ წელიწადს; ყოველწლივ. ~ ე ყმაწულ წლით გა-აზღელ კოლა ღლით იზღვე ყოფილ (ეს ბავშვი იზხელა, რამხელავ ყოველწ-ლივ უნდა გაზრდილიყო, ყოველღლ იზრდებოდა თურმე).

წლრ. ღლით.

წმინდა გიორგი საუტარ ივივეა, რაც ქერ-მუხი საუტარ.

[სინ. ღილ საუტარ].

წმინდა კიღბან ნ. კიღბან.

წმინდა ოჟალ წმინდა ადგილად მიჩნე-ლი ოჯახი, სადა ინახებოდა წმინდა კ-ღობანი, სხვადასხვა საეკლესიო ნიეთე-ბი და სიძველენი. ამგვარი ოჯახი საყდ-რის მაგივრობას ეწეოდა და ხაღბი აქ სალოცებად დადიოდა. ~ ხუციან ოჟალ [ნ. ხუციან(თ)], ჰიტინ ოჟალ [ნ. ჰი-ტინ(თ)] ჩონში წმინდა ოჟალევნი (წმინდა ოჯახები).

წმინდაა, წმინდა ფქულ პურის ფქვი-ლი. ~ ჰატ ჩონში ღარბი შკამს, თუარ (თორემ) წმინდაა შკამენყ.

— კაიშ., წმინდა, წმინდანი ხორ-ბალი, იფქლი ჰინკ. ვეჟა.

წმინდაოვამ სიწმინდე. ~ ქურკლი წმი-ნდაოვამ ღაფ (ძალიან) მიუტარს; ოჯ-ლი წმინდაოვამ კამ რამი (კარგი რა-მამ), თუ ნათავნევ ინსან იქნა (თუ და-მანამა ეს შეძლო).

წნეხი-წნეხი ნ. დანწნეხამ.

წნორ ტრიფი.

წნუნან ნ. წონ.

წო-ივივე წა-ზმინსწინი, რომლის ხმო-ვანი დამსგავსებულია მომღვენო ჳს ან უ (ჳ)-ს. ~ წოვდა || წოტდა (წ-ვიდა); წოღლ (წავიღე); წოჟყონ (წ-ვიყვიანე); წოტრთომ.

— გიგ., თოფ., ქავთ. (ინგლი.).

წოდ მწვადი. ~ წოდს წოეს (მწვადს წვებს); ზმნზ. წოდ-წოდ; წოდ-წოდ დაგქრი (ნაყწ-ნაყწად, ასო-ასო და-ქრი, აჯუწუა).

— ჯან., მწოლი ქაჯ.

**წოვია** მწვავე. ~ წოვე ზეე (მწვავე მზე);  
ემ ჩიჩაქს ზურკ პირპილიეი წოვია ექ  
(ამ ყვაეილს ძირევი პილილიეით მწვა-  
ვე ექს); ზოვღეფა ბუზნი ღატრპაათი  
წოვე სიტყტაა თქმაა კაას (ზოვჭერ  
მწვავე სიტყვის თქმა მუშტით ცემაზე  
უეეთესია).

— ჯ ა ნ.

**წოლა** ნ. ღაწოლა.

**წომო**-ასიმილაციის შედეგად სახეცე-  
ლილი რთული მზნისწინი წამო-  
(გარკვეულ შემთხვეეებში მისი პირვე-  
ლი ხმოვანი შეიძლება დაიკარგოს).  
~ წომოვაცომ (წამოვაცეამ); წომობტენ  
|| წმობტენ (წამობტი); წომოტყონიყ  
|| წმობტყონიყ (წამოტყეანიით); წომო-  
წო (წამოწეა).

**წ(ო)მობარკლა** ნ. აბარკლა.

**წ(ო)მოკუნეევა**, წამოკუნეევა, წამოკინ-  
ეევა წამოსკუბება, წამოჯღომა. ~  
კაბე წომოკუნეედი?; „აზიზაა ჩაქინ-  
ღა, შირინაა წამოკინეღა (გამოცანაა:  
აზიზაა არის ზედგარ, შირინაა — ქობ)“  
(გრ. ი მ ნ.); კუნზუ რა წ(ო)მოკუნეეუ-  
ხნარა, მოა, საქმეა გააქეთ!; ყმაწულ  
ხი ბუთალზე (ხის ტოტზე) წმოკუნეეუ-  
ლიყო.

[საპირისპ. ჩაქუნეევა].

**წ(ო)მორიგეევა** ნ. არიგეევა.

**წონე** თახტაა, წონე თახტა უიჟიმ ჯე-  
ქიზია ერთგვარი, მწეანე ფერის ძაფით  
.იქსოვება.

— წონე-თახტაა ჯ ა ნ., გვ. 142.

**წონე** მწეანე. ~ წონე ბაწარი; წონე პარკს  
(აბრეშუმის ქიისას) კაბუნს ეზახიან.

— მწონე კ ა ი შ., კ ა ჯ.

**წონილ** მწეანილი. ~ შიკმელში წონილ  
ჩავეყრიაყა?; წონილ შაწყოა ნ. შა-  
წყოაა, მნიშვ. 3.

[სინ. საეზილ].

შღრ. სალურეეა.

**წოორ** 1. სწოორი, პირდაპირი. ~ წოორ  
გზაა;

2. გაღატ. სწოორი, მართალი. ~  
შენ თუ წოორ კაც ხარ, გარაქ ბუტუქმ  
რამ მითხოო (უნდა ყველაფერი მითხ-

რა) (—ჯ ა ნ.); ზ მ ნ ზ. წოორა, წოორა  
ა) სწოორად, პირდაპირ, ზუსტად. ~  
მიღის წოორა სახლში; მოტუნენ, წოო-  
რა ამ სამ გზი ახრეეზე (ჯვარედინზე),  
დაედენ. (—წოორა ჯ ა ნ.); ბ) სწო-  
რად, მართლად, სინამდელილის შესაბამი-  
სად. ~ მოკო წოორა (რა სწოორა?)  
ამბრეთა!

**წოორეევა** ნ. სისწოორეევა.

**წორა** ნ. წოორ, მნიშვ. 2.

**წოსწო(რ)**, წოსწოორაა, წომწო(რ), წო-  
მწოორაა, წოწო(რ), წოწოორაა, წო(რ),  
წოორაა, წოორაა ნ. (ს)წოსწო(რ).

**წრ-** იგივე წა- ზმნისწინი ვე კომპლექსის  
ან მისგან მომდინარე რ-ს წინა პოზი-  
ციაში. ~ წრველით || წრვრლით ||  
წრვრლუთ (წაველით).

**წრთ** წვეთი. ~ ერწრთ წყალ; ზ მ ნ ზ.  
წრთ-წრთ წვეთ-წვეთად. ~ წრთ-წრთ  
ჩომოდის ყოფილ წყალ.

**წრლა** მაწონი. ~ ერ კოჭო მწრლაა;  
ბებრასთან წაა, ზეა და წრლაა მიტც!  
(ბეზიასთან წადი და რძე და მაწონი მი-  
ეცი!); ცხრტუ (ცხერის) წრლაა; წრ-  
ლაა გაჭრაა ქილიღან მაწენის ამოლე-  
ბა..

— წელაა ჯ ა ნ., ი მ ნ., წველა  
ჩუ ბ., მე ნ თ.

**წრმრ-**ასიმილაციის შედეგად სახეცელო-  
ლი რთული ზმნისწინი წამო- (უმათე-  
რესად ვე კომპლექსისა ან მისგან  
მომდინარე რ-ს წინა პოზიციაში). მი-  
სი პირველი ხმოვანი ზოგჯერ შეიძ-  
ლება დაიკარგოს. ~ წრმრველ || წრ-  
ველ (წამოველ).

**წრწ** წვენი. ~ სყოა წრწ, აეანეერი წრწ  
(არჯაკელისაგან დამზადებული წენია-  
ნი საქმელი); ჩონში ბალბი წრწსაც  
აქეთევენ, პიტნი წრწსაც; ზ ე დ ს.  
წრწან წენიანი (—ჯ ა ნ); თაფლი წრწ  
თაფლი (უკვე გამხხლილი და დაწუ-  
რული); ფაფლი წრწ ნ. ფაფლაა; ყრ-  
ლი წრწ ნ. ყრლ; ყრლიწრწიან, შიქამად  
ნ. ყრლ.

— წენ ჯ ა ნ.

**წორ წერი, წერიო.** ~ ფეყი წორეე; ხი წ რზე ჩიტ ჟღერს; ცახი წორრის ერთმერზე აწონ ნ; ზმნზ. წორაყ წვე-რისყენ, წვერში; წორ-წორ წვერო-დან წვეროზე. ~ ჩიტ ხი წორ-წორ ეტარეე; ენი წორზე ლაპარიყ ნ. ენა; ნემსი წორ ნ. ნემს; საქმი წორ ლაპარგაა ნ. საქმეა; საქმი წორ პოვნაა ნ. საქმეა; წორ-წორზე მოტანაა იგივეა, რაც თავ თავზე მოტანაა (ნ. მოტანაა, მნიშე. 1). ~ ჩონში სხოდასხოყერა (სხვა-დასხვაგვარად) ლაპარიყვენ, ეებლა შენ წორ წორზე მააჲან (თავი მოაბი, გაარყვე).

— ჯ ა ნ.

**წორაყ ნ. წორ.**

**წორ-წორ ნ. წორ.**

**წორხოდ წუხელ.** ~ აა შულო, ესენ შენ-თან იყნა წორხოი?

— წეხელი ჯ ა ნ.

**წრანყენ, დაწრანყენეაა წყარუნი, დაწ-ყარუნება, ეღარუნი, ჩხარუნი.** ~ ყუ-რი ზაალაა ნუ წააღ, კოზევეს ნუ აწ-რანყუნეე; ჰარევეს ჰაბე აწრანყუნეა? (გასალებებს რატომ აეღარუნებ?); წრან-ყენი გჷაა მოდის, რაა წრანყენრე-სა?

**წრიყ ქათმის ფაღარათი (ავადმყოფობა).** ~ წრიყ უჩნდეე ქათამს. დაწრიყიანე-ვაში კარში ატარევეს (ფაღარათი აქეს). გოდნაა (უჯანა ტანი) უწითდეე, წკლუნტ (სკინტლი) უგროვედვის გოდნაზე, მოწყლინტაში ზედ უჯანე გე (ჩჩება) ჩამასულ წკლუნტ, ამამინ ამბოვენ — ქათამს წრიყ შაყრიავ. ჭაწრიყიანე-ნეტლაე; ქათმევეზე, კუქულევეზე კარში ტარევეს არ ომბოვთ, ამაზე ჭაწრი-ყიანევეს ეომბოვთ;

2. გ ა დ ა ტ. ითქმის ბავშვის კუ-კის აშლილობაზეც, ფაღარათზეც. ~ ჩონ ყმაწულს წრიყ შაყრიავ, კარში ატარევეს; ზ ე დ ს. წრეყიან იგივეა, რაც დაწრიყიანეტლ (ნ. დაწრიყიანეაა).

— წიტი ს ა ბ ა, ჩ უ ბ.

**წრუუტ იგივეა, რაც კრუა-კრუა.**

**წრულ პატარა.** ~ ფეყსომოზ წრულ მაქ;

**წრულ-წრულ პატარ-პატარა.** ~ ხედაეს ბუღეში წრულ-წრულ ბავლეე ეიან; ზ მ ნ ზ. წრულა წერილად. ~ ტოლში გორეს საყუწაზე წრულა ქუწენ; წრულ-წრულა პატარ-პატარა(ღ), ცოტ-ცოტა. ~ მიწაა მოთხრაა თორანის ლაჲ ყეფაას (ძალიან ძნელია), გარაქ წრულ-წრულა აყრევენო (უნდა ცოტ-ცოტა აარო); დიდ-წრულ დიდი და პატარა, უფროს-უმცროსი. ~ სახლი აყენეე ნადიში დიად ბეერ ხალღს, დიდ-წრულს ეეხახოდითყ; მასლაათ ჩედიან დიდ-წრულ; წრულ ნაწლიეე ნ. ნაწლიაა.

— წერილი შ ა ნ. კ ე ვ ს.

**წრულიან წვრილიანი, წვრიმალა, ახლად ტანყირლი.** წვრილი ხეების ნორჩი ტყე. ~ ახალ თ დატეში (ნ. დაცემა) ტყეს, ის წრულიანი; წრულიანში ვარ (ხშირი) ბუთქეე (ბუჩქები), ლიქ, შ დანწლ, თხალ-ბ ჳ თ მ ერთა დარეტლ. (ყველაფერი ერთმანეთშია არეული); წრულიანში მიედ; ქემანდ ჰაბე არ გრ-მობორი? (რატომ არ გამოხვედი?) — ვერ გრმეველ, მაგრა წრულიან ყყო. ნ. წრულ.

— წრულუან წვრილიანი, ბუჩქ-ნარი (?) შ ა ნ. რეც., წვრილიანი შ ა ნ. ვეა II, კ ი ნ ქ. ვეა, გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (თიან).

**წრულმრალ წერსამანი.**

**წრულფეეა გ ა დ ა ტ.** მცირეცწლოვანი. ~ წრულფეეა ყმაწულეე.

**წრულფეეოვაა გ ა დ ა ტ.** მცირეცწლო-ვანი ბავშვები. ~ წრულფეეოვაა მაქ (მყავს), ვერ მოვლივარ.

ნ. წრულფეეა.

**წუ- იგივე წა- ზმნისწინი ვა კომპლექსის წინა პოზიციაში.** ~ წულ (წვალ), იმათ მე ვიპოვნიყ.

— გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ვ თ. (გურ).

**წულდი ნ. წასტაა, მნიშე. 1.**

**წუმპალ (მრ. წუმპალეე) დიდი წვეთი.** ~ წუმპაა წუმპალ ღემეცა; ერ წუმპალ სისხლ; წუმპალეე მაპტო (მომხედა).

— ჯ ა ნ.

**წუმწუმა** ნ. წერწუმა.

**წუნია** წუნია.

**წუნკალა** წუნკალი. ~ „კანკალა ლობეთ გადაებტენ, წუნკალა ზაღმა დამიჭირა“ (გამოცანა: კინკარი) (ი მ ნ.).

**წუნკლი** (მ რ). წუნკლევ, წუნწკლევ წუნწკლი. ~ ზაღლ ტალახში წრვ, ცუვის წუნკლევ; ზ ე ლ ს. წუნკლიან, წუნწკლიან წუნწკლები რომ ჩამოსდის; ბინძური, უსუფთაო, ფეთხუმი. ~ წუნკლიან ზაღლ; წუნკლიან ქალ; წუნკლიან-წუნწკლიან იგივეა, რაც წუნკლიან. ~ ტურქელ წუნკლიან-წუნკლიან კორთეზე (თაროზე) არ დევნყ, კორთეა არ ამჩორდესავ, არ დაღმესავ.

— წუნწკლა ჩ უ ბ.

**წუნდა** დაუღომა წამოსკუბება. ~ წუნდა ვისავ.

**წუნწკლევ** ნ. წუნწკლ.

**წუნწურა** 1. ცოტა და წვეთ-წვეთად მომდინარე წყალი; მკონავი წყალი. ~ ჩონ არხში წუნწურა წყალ მოდის; წუნწურა ეყო, წყალ არ მოდიოდა; 2. გა ღ ა ტ. ტენწი ადამიანი.

**წურწუმა**, წუმწუმა იგივეა, რაც ჰაფთუთა.

— მ ა ი ს., წუმწუბა, წუმწუბი, წურწუბა, კუმწუბა წ ე რ.

**წურწურ** გა ღ ა ტ. წურწური, ვისმეს ცუდ დღეში ჩაყენება, გაწვალება. ~ ემკურა ნუმ მექცევ, საქნელი დროა, მაგა მაგრა საწურწურევიარ (ასე რომ მექცევა, დადგება დრო და მაგას მაგრად გაწურწურებ, ცუდ დღეს დავაყრი); მაწაფელებელმა მაგრა გაწურწურა; ფულიბე მოსტლაში გარაკ გაწურწურო მე შენ (ფულისთვის როცა მოხვალ, უნდა გაწურწურე, უნდა გაწვალო).

**წურწუბ** ნ. კუქმახ.

**წურწუბა**: თაგი წურწუბა ნ. თაგ.

**წუბა** წუხილი.

**წუმა** წვიმი; შაჰუა-შაჰუა წუმა ნ. შაჰუა, მნიშვ. 2; წუმა და მცა წვიმამ და მსხა. ~ გზაში წუმა და მცა; წუმა მოსწყდა წვიმა შეწყდა; წუმა ყბაში უკერი საცა, იწვიმებს. ~ ღუნუა

(ქვეყანა) ერ რამ (ისე) მოღრუბლულ, წუმა ყბაში უკერი; წუმას ფეჰ ჩომოუტიდვი იტყვიან, როცა გადაუღებლიე წვიმს; წუმა-წყალ გაბმული წვიმები.

— ჯ ა ნ.

**წუმრიან** წვიმიანი. ~ ჰოგო წუმრიან დღესა! (რა წვიმიანი დღეა!); წუმრიან წელ რუმ კეპტევის ი (როცა არის), ტევან ისრუშტე (იპრუწება), მარცლრე ცუე (ცეივა), პატრამ ჩეუ.

**წუმრიან**(ვე) (მ რ.) წვიმიანი ამინდები. წელს წუმრიანევი (|| წუმრიანი) (წვიმიანი წელი, წვიმება), ნათეს გააზალიანევი (წ. გაზალიანევა); წუმრიან-ში ცოცხ დაწყოვე, ზეა გომოღდესავ. [საპირისპ. ზიანევე].

შღრ. წუმრიან.

**წუმს** წვიმს. ~ ლაფ (ძალიან) მაგრა წუმდა; ღუნუა მაჰქუნა, საწმელი (ღუნია მოღრუბლა, იწვიმებს).

**წურა** მწვირე, კუქყო.

**წურა-წურა**, წურე-წურე: წურა-წურა (წურე-წურე) მიდის (წოშდა) ჩეუელებრიე, იტყვიან პურის ცომზე, რომელიც ცუდადაა მოხელილი, თორნეზე არ მაგრდება და იშლება, პატარა-პატარა ნაწილებად მიდის. ~ ცომიბე წყალ ვერ შაწყოვაში (ცომს თუ წყალი ვერ შეუწყვე). ჰე (ან) ლაფ (ძალიან) ცხელ წყალ იქნა, ჰე ციე იქნა, პურ წურა-წურა მიდის.

**წურუან** წვირიანი, კუქყიანი.

ნ. წურა.

**წურულტ** წოწოლა, მოგრძო და წაწვეტებული. ~ კარანტაშს წურულტ წორ (წვერი) აქ; რა წურულტ ცხურ ჰქა ემ კაცს!

— ჯ ა ნ.

**წურულტ** ვაშლ იგივეა, რაც ზუზუ (ზუზუა) ვაშლ.

**წურულტ** ფაფა წოწოლა ქელია ერთგვა. რი, თათრებს ახურავთ. ~ წურულტ ფაფაყს თათრეე იხურენ, გზელ, წრტიან ფაფაყი, მოლლეე; იხურენ. ჩონეე არ იხურენ. [სინ. შიმ ფაფაყ].

**წუნლუტქებევიან** იგივეა, რაც ჩხიტაქე-ბევიან.

**წუნლუტ.**

**წუ-წუ ნ. დაწუ(ვ)აა.**

**წყალ (მრ. წყლივ):** ~ ქვერს რრცხათ, წყლივით ვაღლეთ. ხაპირი (ყოპით) ომაქით (ვიღებთ) ნარჩომ წყალს; მოდგომინუახ წყალ დახხმაა ნ. მოდგომაა; პირზე წყალ არ აქ ნ. პირ; წყალ აღევიწევაა უსწორ-მასწორო ადგილის მორწყვა. ასეთ ადგილში ბარით ასწორებენ მომაღლო ადგილებს და წყალს თანაბრად ახვედრებენ მიწას. ~ წყალს უშუშენ, აფაინევენ (ნ. გაფაინევაა), ამა (მაგრამ) თუ ადგილწორო არა (სწორო არაა), ლუფ ჩოქაქი (ძალიან ოღრო-ჩორროა), მაშინ ბარით ეტარევიან შიგ და მიწას წყალს აღევიწევენ, ჰენი (ე. ი.) იმ ადგილში, ჰემენსაც წყალ არ ხტრვ (ხვდება), წყალს უშუშენ, ბუტუშ (ყველა) ადგილს ბარაბრა რწყონ (თანაბრად რწყავენ). ეესი (აი ესაა) წყალ აღევიწევაა; წყალ გჳკრაა მორწყვა (ნათესისა და მისთან.); წყალი დაგევამ ან ნათესში წყლის გაშუება იმგვარად, რომ წყალი გაიშალოს და მთელს ზედაპირს მოედოს, მოეფინოს. ~ ადგილს წყალს უგევენ, წყალ დაგევის ერ-ორ-სამ დღეს უკან, ადგილ რუმ დაღბეე, კედემ პაჩიხათი ვნონ (მერმე აჩაჩით ხნავენ); ჩალთუქს (ბარინჯს) რუმ დატესსავთ, დატესას უკან წყალს მოტყურტავთ (შევაჩერებთ), ჩალთუქს ნუმ (რომ) ვალურტადეიც (ამწვანდება), მემლიან (მერმე) დოუტებთ წყალს; ბ) წყლის დადგომა, დაგუბება. ~ სულულ (ნ.) ადგილ კი არ წყონ (რწყავენ), თავითავზე (თავითავად) გომოდის წყალ. ეემ ადგილს ჰამეშა წყალ ეგეე (ამ ადგილს მუდამ წყალი უდგება); კარეე ვაღევაში წყალ ლემევა (კარის ვაღებისას წყალ დაემეფინა, ფეხებში შემიდგა); წყალ დაწმინდაა: ჩემბე ეგ წყალ არ დაწმინდელი (გადატეგ მე ტულ საქმეს მიზამს); წყალ მოწყურტაა ნ. მოწყურტაა, მნიშუ. 2;

**წყალ შაწყოვაა ნ. შაწყოვაა, მნიშუ. 3;** წყლა ვახტლაა მოშარღვა. ~ დღე წყლა ბუტრ გოტლივარ ამმაზე, რუმ ყარფუბ მიქამი; ფურ წყლა გოტდა; ზ მნიშ. წყლა ვახლოლა მოსაშარღვად; წყლი აღოზ (აღოზ) იგივეა, რაც წყლი ყბაა. მნიშუ. ბ. ~ დილიგში (ბოსტანში) აღოზ ვიქნრა (გაგეკეთებია) მოსარწყავე? წყლი დინგ ნ. დინგ; წყლი კარ იგივეა, რაც სუეავალ; წყლი ყბაა ა) წყლის სათავე, სადანაც წყალს უშეებენ და ეხოებში ჩამდინარე პატარა რუებში ანაწილებენ ~ წყლი ყბაა ჩონსყენ ქენ, მე მოტყუო, მეღლნი მე ტქონსკინი საქნევარ (ვიზამ) წყლი ყბას; ბ) ეხოებში ჩამდინარე რუების პირგახნლიც ადგილი, საიდანაც წყალი ნათესებში შედის. ~ წყლი ყბაა ვიქნრა არხზე; წყლი შოქმად ბრინჯისგან დამზადებული ერთგვარი საქმელია ქინძითა და შარლით (იშვითად ქონით) შეზავეებული [- წყლის შეკამადი ქგლ (ინგო.); ხამ წყალ [ნ. ხამ. წყალკურთხოვაა წყალკურთხოვა.

— წყალკურთხოვაა გავ, თოფ, ქავთ. (ყიზლ-მოზლ.).

**წყალჭყობ** სველი, წყლიანი და ტალახიანი ადგილი.

**წყანწყალაა, წყანწყარაა ნ. წანწყალაა, წყერ მწყერი.**

**წყერიჩიტ მწყერიჩიტა.**

**წყილ რწყილი.** ~ წყილს დატემენი.

— ჟან.: გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ.).

**წყილი ბალახ, წ. ბალახაა, წყილი ჩიჩაქ ყვითელი ფერის ბალახია, მუხსუმზირასავით თავს იყებებს, მურალი სუნი აქვს. ამ ბალახს რწყილების მოსასპობად იყენებენ. ~ წყილი ბალახ ანუ წყილი ჩიჩაქ ჩონ მინდორში ეკატეე (არის). კალივებუე ბუერ ეკატეე-ეემას წყილ ნაქნარ ფართალში (რწყილიან ლოგინში) სასთულ ქრ ღევენ, სხო ადგილეშიც ღევენ, ოვემის (აი ამის) სულზე წყილ აღარ მოდის.**

— ფარსმანდუკი მ აყ.

წყლი არწივ წყლის არწივი. ~ ლაგლაგ სხოას (სხვაა), წყლი არწივ სხოას. ეესი წყალში კეპტევ (არის), ამმა (მაგრამ) ლაგლაგ არა (არაა). წყლი არწივს მაღალ კანქევ აქ, იუდ არ აქ. წყლი ზაღმ წაგი.

წყლი ქათამ წყლის ქათამი.

წყლიან ღელეა ჰი დ რ. ღელეა თი ზირ-ში (ნ.თი ზირ), მთიდან ჩამოდის. ამ ღელეში მუღამ წყალია.

წყლიპირაა წყლის ნაპირას მყოფი.

წყლისმა ნ-მა.

წყლიყოფილაა ერთგვარი ავადმყოფობა.

— წყლისყვიალა კ ა ი შ.

წყრტაა 1. გადახდა (ფულისა, ვალისა და მისთ,) ~ ერ წლი ვაადაა მემეც, ემ ათ მანით ვალ ჰსწყრტო (გადავიხდი); შ. კ ო ნ ტ. წყრტინევაა გადახდევინება. ~ ხურტინში რააც რამ დააყლდეე სი-ათი, მაქეკალს აწყრტინევენ (ახდევინებენ); შტრაფ მაწყრტინეს (გადაშახდევინეს);

2. სასჯელის მოხდა. ~ ტუსსალში წელ ნახევეარ წყრტა (შეასრულა), მოტდა.

წყრალ ნ. გაწყრომაა.

წყრულ, წყრუვალ მწყურვალი. ~ შერ, წყრულ მოკლო (მშიერ-მწყურვალი მოკვდა).

წყრულ წყვილი. ~ ერ წყრულ წინდაა; ხუთმეტ წყრულ ფურ-კამმეჩ; წყრულ შიბ ფერად წინდაზე ამოქსოვილი წყვილი შიბი (ნ. შიბ, მნიშ. 1), სხვაგვარად ამას კიჭკიკაა ეწოდება (ნ. კიჭკიკაა, მნიშ. 1). (საპირისპ. თეჭ შიბ, ნ. თეჭ, მნიშ. 1).

### ჭ

ჭადარ [აზ. ჯადარ] ნაპირალი, ღრმა ნაბზარი, დამსკდარი ადგილი; ზ მ ნ ზ . ჭადარ-ჭადარ ~ მიწაა ჭადარ-ჭადარ დამტყროლ.

ჭად-პურ ნ. კატ-პურ.

ჭამჭამაა დაბალი ტანის ხეა. მწარე, წითელ ნაყოფს ისხამს, რომელიც არ იკმება. ~ ჭამჭამაა შტდანწლი სიმ-აღლზე ოხდეე. იმი ფოთოლს ავამ-არევენ წამლა.

— კილო მაყ., ქ გ ლ (ინგილ.). ჭანაა (1) იგევა, რაც ჰაეა. ~ ჭანა (ტყუილად) ნუ მოოდიხარ ჩემთან! ჭანაა (2), ჭანაქია უეარგისი, სუსტი, ცუდი, უხეირო. ~ ჰოგო ჭანა კაც ხნრა!

[ინ. ჭანქურ].

ჭანაქია ნ. ჭანაა (2).

ჭანდარ 1. ჭადარი.

— კ ა ი შ;

2. გადატ. მაღალი ადამიანი. ~ ჭანდარ კაცია!

ჭანდრი საყტარ საყდარია სოფ. კახთან ახლოს, კექენში (ნ.), პაატიაა ღელეს (ნ.) ზემოთ. მის ეზოში უზარმაზარი ჭადრის ხე დგას. ~ წაღან (წინათ) ჭანდ-რი საყტრი ოზოში ბევრ ჭანდრეე ყოფილ.

ნ. ჭანდარ, მნიშ. 1.

— ჯ ა ნ., გვ. 350.

ჭანჭახ ჭენჭები, კოპიანი, ტალახიანი ადგილი.

— ჭაობი კ ი ნ ქ. ხეც., კაობიანი, წყლიანი ადგილი; სახნავ-სათესად უეარგისი მიწა ნ ი ე.; თხელი ტალახი, ჭენჭები ქ გ ლ; ჭუნჭუხი სველი, წვი-მისაგან ძალიან დასველებული მ ე ნ თ., ჭინჭები, ჭენჭები ტლაპო, გაუვალი ტალახი ბ ე რ., წუნწუხი ძენძები, წუმ-პე, მწვირე ჩ უ ბ.

ჭანჭურ იგევა, რაც ჭანაა. ~ ჰოგო ჭან-ჭურ ინსან ხნრა! (რა უხეირო ადამიანი ხარ!); ჭანჭურ-მანჭურ ნაყარ-ნუყარი. ჭამალ ეყლის პატარა ბუჩქი.

ჭამაა, ჭამაა მოწონელი პატარა კალათი. ~ ემას ჩონ ჭამაა არ ეეზახით, ალიბეგ-ლოში ზოგიე ეეზახიან; ზინამ ჭამაში წიგნ (ჭაღალდი) ჩააგა, თუთაა ნუ გაა-წურასაე, შირაა (ტყბილი) ნუ გმოტ-ღე-საე.

ჭამუნ ნ. ეაპუნ.

ჭამპაა, ჭამპაპოვია წყალს მიერ გამოცე-მული ერთგვარი ხმა (მაგ. როცა ბაეშვი ბანაობის ღროს წყალზე ხელებს ატყაპუნებს და წყალს ამოძრავებს).

— ჭამპიპი, ჭუმპუპუპი სითხის მოძ-რაობის ხმა ქ გ ლ.



ჭარულ თხილ თხილის ქრთა. მოგრძოა, მაგარი კანი აქვს.

— ქარული შ ა ნ. რუც.

ჭარქუა ჩარჩო (ფანჯრისა, კარისა). ~ ქარქუევი ვოქეთევი.

ჭარხილ ქარხალი.

— ქერხილ მ ა ყ., ქერხალი კ ა ი შ.

ჭატ მჭადი (სიმინდის ფქვილისა). ~ ქატ ჩონში ლარიბ შქამს, თუ არ წმინდაა (ნ.) შქამენყ; ქატ მიცემამ იგივეა, რაც ბებრის კუნტამ ავიღევა (ნ. ბებრი კუნტამ). ~ ქატ მივეც (მოუვეც) [სინ. ქატი (ჭატ) ქმევენევა]; ქატი (პური) გოგოლაა (კოკოლაა) თორნეში გამომცხვარი მჭადის (ან პურის) პატარა კვერი, კოკორი. ~ ქატი გოგოლას ქატი ავთევენ, პური გოგოლას პური ფქვლით. ემას გრუველ წყალში ზეუნენ, ცოტა ხაშს ურევენ, თორნეში აკრბნ გურგალ-გურგალ (მრგვალ-მრგვალს), პათარაც (როგორც) ჩონ ქატევი. ეემას გლიან თავსრით (ნ.). გელ მოგვლევიძთავ (ხელის ხლებისთანვე) ვარდევი გოგოლას ზოგ დროზე (ზოგჯერ) ბუხარაში ნაქნარ (ბუხარაში მყოფ) ქტაზე—სიბზე აცხოვენყ; ნეაცარს ჩქუჩენ (გაქეჭავენ) აქეუნენ-ჩქიფენ, სიბზე აღრვენყ (აღებენ) ერ გოგოლას, ზედაით ნაყარ აყრიანყ. გამოცხვოვის უკან გამოქტანენყ (გამოაქეთ), ქქამენყ; ქატი კოკოა ერთგვარი შექამადია. ~ ქატი კოკოა სმინდი ფქვლით კატევის (კეთდება). ცხელ წყლით ზრლავთ. ოპტანთ (ვიღებთ) ცოტა ცოშს, ომგურგლევთ (ვამრგვალებთ), ცოტა ოსწორევთ, გურგალ კატევის (მრგვალი ხდება). წყალს ოდღღევთ ქოშში, შიგ ცოტა მარილსაც ჩქურტთ (ყყრით), მევდან (მერმე) ემ კოკოევი შიგ ქომში ჩქურტთ, იხარშევის. ქათევირით ომოქტანავთ (ამოგვაქვს), ტალერკევიშქურტთ (თეფშებზე ყყრით). მევლნი ხახს აგალღევენ, ემ ხახზე ცოტა წყალსაც ოსხამთ, ხახი ფაფას ოქეთევეთ. ხახში ვუკიდევთ ნიგოზს. ემას ოგემ ქატი კოკოა ნაქნარ ტალერკევეზე ზედ ოსხამთ, კომთ, ერ გე-

მრიალ კეტევის! (ისეთი გემრიელია!). ცოტა შუნდი ევეესაც ურევენ. არ ომლევ მოხარშაში ამიბე, რუმ (იხიტომ, რომ) ცხელი წყლით ვზელავთ. ქონ არ უნდ, ზოგივე უშერბიან; ქატი (ქატ) ქმევენევა იგივეა, რაც ქატ მიცემამ. ~ ქატ ვაქამევი (მოუვეც).

— ქად ქ ა ნ.

ქატ-პურ, ქად-პურ ერთმანეთში არეული ხორბლისა და სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარი პური.

— მქად-პურა კ ი რ., მქადპურა მ ე ნ თ.

ქაფა, ნ. ქაპაა.

ქენევა 1. ხელის კვრა. ~ ბებერ უქენევი ქალს, წყალში ავლევს; ქალმა კარს უქინა, კარ გაძლი; უქინ (ხელი ქყარი), კარ გააღველი (გაიღება).

[სინ. გელ ქენევა].

— ქენევა ჩ უ ზ., აქენა გელი უწინა ქსაბა;

2. გ ა დ ა ტ. ჩაცემა. ჩარტუმა (დანისა და მისთ.). ~ მუცელში დანამ უქინა.

ქერხლ ქირხლი, ბურუსი, ნისლი.

— ქერხლ ქ ა ნ.

ქეჭა ქაჭა. ~ ქეჭათით არაყ ვოდღევთ. — შ ა ნ. რუც.

ქიანდღლაა, ქიანდღლაა 'ქიყელა. ქიანჭუ(ვ)ან ქიანი ხილი. ~ ქიანჭუენ ქლი- [ავ, ვაშლ] ქეჩ (სრულიად) კაბ არა. ქიაა 1. აბრეშუმის ქია. ~ ქიაა თესლ (აბრეშუმის ქიის თესლი, გრენა); აღრგანაღლუჭ(ვე) ქიაა ნ. ქიაა გ(ო)მოდლუჭევი; ამნახულ ქიაა ნ. ქიაა ომოსტლაა; არმანაწევი ქიაა ნ. ქიაა მოწევაა; გათალხეწლ (გაწყალღულ) ქიაა ნ. ქიაა გათალხევეა; გამნაღლუჭევი ქიაა ნ. ქიაა გ(ო)მოდლუჭევი; დანახინევი ქიაა ნ. ქიაა დაზინევი; ერთიბე დაზინევია ნ. ქიაა დაზინევი; ერთიბე ომოსტლაა ნ. ქიაა ომოსტლაა; მორუზა ქიაა ნ. მორიზაა; მოწე ლ ქიაა ნ. ქიაა მოწევაა; ნ. მუხი ქიაა; ნამზინ ქიაა იგივეა, რაც დანახინევი ქიაა (ნ.

ქიაა დაზინევაა); ნასტენ ქიაა ნ. გასტენაა; ოთხიბე დაზინევაა ნ. ქიაა დაზინევაა; ორიბე დაზინევაა ნ. ქიაა დაზინევაა; ორიბე ომოსტლაა ნ. ქიაა ომოსტლაა; სამიბე დაზინევაა ნ. ქიაა დაზინევაა; სამიბე ომოსტლაა ნ. ქიაა ომოსტლაა; ნ. ტოლმა ქიაა; ყორველა ქიაა ნ. ყორველაა; ნ. ყორჩი ქიაა; ყურველა ქიაა; ცეცხლიან ქიაა ასე უწოდებენ ჩვეულებრივი წესით მოყვანილ აბრეშუმის ქიას მუხის ქიის (ნ. მუხი ქიაა) საპირისპიროდ, რომელსაც ცეცხლი არ სჭირდება; ქიაა გაზარაბრევაა ნ. ქიაა დაწყულებევაა; ქიაა გაბრუებევაა ამას ამბობენ არბეშუმის ქიაზე, როცა იგი ფოთოლს არ ქამს, ანდა ბევრს ქამს, მაგრამ პარკს არ აყეთებს. ~ გაბრუებევაში ქიაა არ შქამს, ჰე (ან) ბევრ უქამი, ცახზე არ გადის, არ ჰქნის (პარკს არ აყეთებს), ნაზირში (ნ.) შიგავ ინქევის, ჰე (ან) ნაზირში ქნის პარკს. ოგემშინ ამბოვენ — ქიაა გაბრუებულევა; ქიაა გ(ა)დასევაა ნ. გადასევა; ქიაა გათალხევაა (გაწყალღევაა) აბრეშუმის ქიის წახდნა და დახოცეა. ~ სიცივი ქიაა იგოცეე, წყალღევის, გათალხევააჲ ჰეგი (ესაა); ქიაა გათალხევაა ციეშიაჲ კეპტეე (სიციეეშიაჲ ხდება), მაგრა ცხელშიც (დიდ სიხეშიც); ცეცხლი მანახტომ (მონახეღერი) ქიააჲ თალხღევის, უცეცხლო ქიააჲ თალხღევის, კდრე (კეღება); მ ი მ ლ. გათალხეულ (გაწყალღულ) ქიაა წამხდარი, გაფუქებული აბრეშუმის ქიაა. ~ გათალხეულ (|| გაწყალღულ) ქიაა ყუთლა აყუთეეს (ყვითლად ანათებს), კუნტაა (ნ. მნიშვ. 2) კეპტეეს (ხდება); ქიაა გ(ო)მოდღუევაა იგიეეა, რაც ქიაა ომოსტლაა. ~ ქიაა ომოსულ, ჰენი (ანუ) ქიას გამოტლუზნი; მ ი მ ლ. გამნალღუ(ეე) ქიაა იგიეეა, რაც ამნასულ ქიაა (ნ. ქიაა ომოსტლაა). ~ გამნალღუე ქიას პატრონ ერღეფა (ერთხელ) უყრის დღეში ფოთოლს; ადრ გამნალღუეე ქიაა აბრეშუმის ქიაა, რომელიც სხვაზე ადრე იცვლის კანს.

~ ადრ გამნალღუეე ქიას ცალკ ჩაფარ-  
 ლე (ჩელტზე) გადატანენ (გადააქეთ);  
 ქიაა ამოსტლაა (ამოსლაა) ნ. ქიაა  
 ომოსტლაა; ქიაა დაზარაბრევაა ნ. ქიაა  
 დაწყულებევაა; ქიაა დაზინევაა  
 აბრეშუმის ქიის კანში ჩაწოლა. ~  
 „ქიაა(ს) დაზინევაა მართლა ზილ (ძი-  
 ლი) კი არა (არაა), აი მაშინ ტყავ ვუ-  
 ბოშღევის, იგღას. ნაშინ დროზე (ძი-  
 ლის დროს) ცხტრთან ტუჩ(ს) ზედთან  
 პატარა ყუთოლ ყაშხაა (თურქ. ნიკორა)  
 ეუჩნღევეს“ (შ ი ნ ა მ რ ე ვ ე.); ქიაა  
 ოთხღეფა (ოთხეყრ) იზინეეს, ოთხღეფა  
 ომოდის (ნ. ქიაა ომოსტლაა); ერთიბე  
 იზინეეს (ნ. ერთიბე დაზინევაა), ორი-  
 ბე იზინეეს (ნ. ორიბე დაზინევაა),  
 სამიბე იზინეეს (ნ. სამიბე დაზინევაა),  
 ხუთქიბე იზინეეს (ნ. ხუთქიბე დაზი-  
 ნევაა). მეოთხე დაზინეეს ჩონ ხუ-  
 თქიბე დაზინეეს ვეზახით; მ ი მ ლ.  
 დანაზინეე ქიაა კანში ჩაწოლილი აბ-  
 რეშუმის ქიაა; ერთიბე დაზინევაა აბ-  
 რეშუმის ქიის პირველ კანში ჩაწოლა;  
 ორიბე დაზინევაა მეორე კანში ჩა-  
 წოლა; სამიბე დაზინევაა მესამე კანში  
 ჩაწოლა; ოთხიბე დაზინევაა იგიეეა,  
 რაც ხუთქიბე დაზინევაა; ხუთქიბე  
 დაზინევაა მეოთხე კანში ჩაწოლა;  
 ქიაა დალაქაა ნ. დალაქაა, მნიშვ. 1;  
 ქიაა დაწყულებევაა (გაზარაბრევაა, და-  
 ზარაბრევაა) აბრეშუმის ქიის დაწყვი-  
 ლება, გათანაბრება. აბრეშუმის ქია  
 ყველა თანაბრად არ იცვლის კანს. ზოგი  
 ადრე ამთავრებს ამ პროცესს, ზო-  
 გი კი უფრო გვიან. იმისათვის, რომ  
 ეს ასე არ მოხდეს, საქირთა აბრეშუმის  
 ქიის დაწყვილება, რაც შემდეგში მდგო-  
 მარობს: ვიღრე ძინავს (ნ. ქიაა დაზი-  
 ნევაა) ქიის ერთ ნაწილს, მეორეს —  
 უკვე გამოღვიძებულ (ნ. ქიაა გამოღუ-  
 ზევაა) ნაწილს — თუთის ფოთოლს არ  
 უყრია, საქმელს არ აძღვეენ ანუ უცდენ  
 (ნ. სტენევაა), ანდა, შესაძლებელია,  
 მხოლოდ ერთხელ მისცენ საქმელი. ამის  
 შედეგად მოგვიანდ ქიაა თანაბრდება  
 დაწინაურებულს და მაშინ უკვე ყვე-  
 ლა ერთად გადაჰყავთ გაძლიერებულ

კებაზე. ~ კიას ზოგს ზინავ, ზოგს გომოტლუზნი. ეე კიაა გარკე (უნდა) დუაწყულოთ. ადრ გამნალუზ კიას გუღუვაქთ (გადაგვაქეს) ცალე ჩაფარზე (ჩელტზე), შიქმელ არ ოზლეუთ. ეუსტენათ, დანაზინეჲ კიაა გამნალუზეეს (კანგამოცელილს) დეეწივას, კიაა წინუჲან ნუ იქნეს. ისიც იმას ეწევის, ოგემაშინ კეპტეჲ გაბარაბრეჲაჲ (აი მაშინ ხდება გათანაბრება). მეელნი (მერმე) ეოზლეუთ ბ<sup>რ</sup>თუმს (ყველას) ერთა (ერთად), დლეში სამდფუა (სამქერ), ოთხდფუა, ბეტრ ფურცელს ვოზლეუთ. პარ (ყოველ) ომოსლაში (კანის გახდისას) აწყუტლევენ კიას; კიაა კბილ გ(ო)მოლდეჲა იგეეჲა, რაც კიაა პირ ომოკრაჲ; კიაა მოწეჲაჲ აბრეშუმის კიის მოწიფეჲა, პარკის გასაყეთებელ ასაკამდე მისელა. ~ კიაა ხუთქიბე ომოსტლას უჲან (მეოთხე კანიდან ამოსვლის შემდეგ) იწევის — ყუთლდე (ყეთლდება), ცახზე გადის, პარკს ქნის (აქეთებს), მეელნი (მერმე) იცახე; თუ კიას კაგორა აქამ, მალე იწევის; მ ი მ ლ. არმანაწეჲე კიაა და მოწეჲულ კიაა. ~ მოწეჲულ კიაა ხრალი (თუთის ხის ტოტის) დარყეჲაში ქრ<sup>შ</sup> ჩომოგრაილდეჲ (ჩამოცივიდება); არმანაწეჲე — აარ, ხრალით არ ცუქ; კიაა ომოსტლაჲ (ომოსლაჲ, ამოსტლაჲ, ამოსლაჲ) აბრეშუმის კიის მიერ კანის გამოცელა, კანის გაზნა, კანში ამოსელა და ასაკიდან ასაკში გადასელა; მ ი მ ლ. ამნასულ კიაა კანში ამოსული ანუ კანგამოცელილი აბრეშუმის კია [სინ. კიაა გ(ო)მოლუზეჲაჲ; კიაა ტყაე გატდაჲ] (— კანში ამოსელა შ ა რ ა შ.); ერთიბე ომოსტლაჲ (ომოსლაჲ) აბრეშუმის კიის მიერ კანის პირველად გამოცელა, პირველ კანში ამოსელა (— ერთისა ამოვიდა მე ე ნ თ.); ორიბე ომოსტლაჲ(ომოსლაჲ) აბრეშუმის კიის მიერ კანის მეორედ გამოცელა, მეორე კანში ამოსელა (— ორისა მე ე ნ თ.); სამიბე ომოსტლაჲ (ომოსლაჲ) აბრეშუმის კიის მიერ კანის მესამედ გამოცელა, მესამე კანში ამოსელა (— სამისა მე ე ნ თ.); ოთხიბე ომოსტლაჲ

(ომოსლაჲ) იგეეჲა, რაც ხუთქიბე ომოსტლაჲ; ხუთქიბე ომოსტლაჲ (ომოსლაჲ) აბრეშუმის კიის მეორე კანის მეოთხედ გამოცელა, მეოთხე კანში ამოსელა (— ქერქისა მე ე ნ თ. ნიშნი კანი ძო წ.). ~ კიაა ოთხდფუა (ოთხქერ) ოპოდის. სიტპა (პირვანდელ) ომოსტლაჲში ტყაეს იელუზ (იეცლის), თეთრ ფერელეჲე (ელეჲა). ეემას ერთიბე ომოსტლაჲ (|| ომოსლაჲ) ეტყუან (პირველ კანში ამოსელას უწოდებენ). კიაა ერთიბე ომოსტლაჲ; ემეჲრა (ამგვარი) კიაა ერ-ორ სამ დლე ქამს ფურცელს, მეკლან (მერმე) კილეჲე მეორეჲ (მეორედ) იზინეეს, ორიბე ზინავ (ნ. ორიბე დაზინეეჲა), ოპოდის. ეემას ორიბე ომოსტლაჲ (|| ომოსლაჲ) ეტყუან (მეორე კანში ამოსელას უწოდებენ). მეკლან სამიბე იზინეეს (ნ. სამიბე დაზინეეჲა), ოპოდის. ეესი სამიბე ომოსტლაჲ (|| ომოსლაჲ) (აი ესაჲა მესამე კანში ამოსელა). ოთხიბე ომოსტლას (|| ომოსლას) ეეხლა არ ამბოვენე. უწინდელ დროზე ამბოდენენ — ოთხიბე ზინავსაჲ (ნ. ოთხიბე დაზინეეჲა) კიასაჲ. ოთხიბე ოპოდისაჲ. ეეხლა მეოთხედფუა (მეოთხექერ) ომოსლაზე ხუთქიბე ამბოვენე. კიაა ხუთქიბე ომოსტლას უჲან იწევის, ყუთლდე (ყეთლდება), ცახზე გადის, პარკს ქნის; კიაა ომოწმენდაჲ აბრეშუმის კიის მიერ კანის ცელის ერთიანად დამთაერება. ~ კიაა ომოსლაში, ტყაე გატდაში ამბოვენ — ომოწმენდელაჲ, ბუთუმს გომოტლუზნი, ომოსტლაჲ; პირ ოპოკრაში (ნ. კიაა პირ ოპოკრაჲ) ზოგ ოპოდის, ზოგ ჩევის (ჩეჲა). რახანც ბუთუმ ოპოდის, ილუზეეს — ვინდ ორიბე იქნეს (ნ. ორიბე ომოსტლაჲ), ვინდ სამიბე (ნ. სამიბე ომოსტლაჲ), ვინდ ხუთქიბე (ნ. ხუთქიბე ომოსტლაჲ), ამბოვენ — ომოწმენდელაჲ; კიაა პირ ოპოკრაჲ ერთი წყეჲა აბრეშუმის კიის კანში ამოსელა. ~ ერ პირ ომოტკრაჲ კიას (ერთ წყეჲას გამოუცელია კანი, ე. ი. ამოსულა კანში); ზოგს რუმ გმო-

ტლუზნი, ზოგ კედემ დგას (არის, დარ-  
ჩენილია) ამასლრლ (ჯანში ამოსასლუ-  
ლი, კანგამოსაცელი), ამაშინ ამ-  
ბოვენ — ერ პირ ომოტკრავ ჭიასავ;  
გამდლუზუე ჭიას პატრონ ერდფა  
(ერთხელ) უყრის დღეში ფოთოლს,  
დანარჩომიე ომოტდესავ, პირ ომოტკ-  
რასავ, გამაღლუზასავ; ჭიაა ტყავ გაჭ-  
დაა იგივეა, რაც ჭიაა ომოსულაა;  
ხუთჭიბე დაზინევაა ნ. ჭიაა დაზინევაა;

2. იგივეა, რაც ზალიაა, მნიშვ. 2.  
ჭიბაჰ, ჭუბაჰ, ჭუბაჰ სულელი, ჭეუთხელი.  
[სინ. ბაჰუა].

— ჭ ა ნ.; ჭუბაჰი თავგზადაქარგული  
მთვრალი მ ე ნ თ.

ჭიგოა ვენახის სარი, ხარდანი.

— ქ გ ლ; ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ.  
(ქართლ.), გ ი ვ., თ ო ფ., ქ ა ვ თ.  
(კახ.-ქიზ., ინგილ.).

ჭიიტ გაკრიჟინებრს ხმა. ~ დაროზაა ჭი-  
ით ეკატეოდა, ვიმალეოდი (ჭიშკარი გა-  
იჭრიჟინებდა თუ არა, ვიმალებოდი).

ჭიკჰუა, ჭირჰუაა; ჭიკჰუაა (ჭირჰუაა)  
წაჰდა პატარა ნაწილებად დაიმსხურა,  
დაიფშენა. ~ ჭატ თორანეში ჭიკჰუაა  
დატყრო; ხოთ ნუმ (რომ) ვარდღე ინსან  
(აღამიანი), იფხნრვის, ამბოვენ, ჭირ-  
ჰუა წაჰდავ; შენამ გაბტყრჰვ, ჭიკჰუაა  
წახოლაჰ! (||ჭირჰუა, წაჰვ!) (წყევლაა:  
შენამც გასკდები!).  
[სინ. ჭუაჰუაა].

ჭიმ [ახ. ჩიმ] ბელტიმფისა. ~ ჭიმ სხოას  
(სხვაა), ბორტოა სხოას. ბორტოა  
გზრგალ კეატე (მრგვილია), დფარტ-  
ხაში ზოგ იფშნრვის, ზოგ ბორტოა  
ჩევის (ჩხება). ჭიმ ახალ ლაფოტკაითი  
მანაბრუნევის (დაბარულს), ამნლევის  
(ამოღებულს) ებნევიან.

— ჭ ა ნ.

ჭინჭრი გირც ნ. გირც.

ჭინჭულოვაა ჭინჭული. ~ ერთმერთთან  
ჰაბე (რატომ) იჭინჭულეერთა, დინეა  
დადექით! | | |

ჭიბლ წირაბლი. ~ თოლი ჭიბლ; ზ ე დ ს.  
ჭიბლიან წირაბლიანი. ~ ემ ვადას (ეაჰს)  
თოლევ ჭიბლიან აქონდა.

— ჭ ა ნ.

ჭიპკიპოვაა ჭურჰლის მერისმეტად აე-  
სება (სითხით, ჭონით და მისთ; გადა-  
ტანით სხვა რამეზეც იქმის). ~ ედრაა  
წყალით ჭიპკიპოვის; ფაულაზე (ლობო-  
ზე) ბევრ წყალ დემესხა, ჭიპკიპოვაა,  
იღვა; ფლაგზე ბევრ დეესხაჰ ჭონ, ჭიპ-  
კიპოვაა.

— ჭიპკიპი, ჭუპკუპი სითხის მოძ-  
რაობის ხმა ქ გ ლ;

2. გა და ტ. გატენა, გაქედვა, გა-  
დაესება. ~ აყარზე (სხვენზე) ჩალოტქ  
(ბრეგულელი ბრინჯი) ჭიპკიპოვის,  
დვას.

ჭირ ველური, გარეული (ხეხილი და მისი  
ნაყოფი). ~ ჭირ ვაშლ (მაჟალო); ჭირ  
სხალ (პანტა); ჭირ თხილ; ჭირ შუნდ;  
ჭირ ტყიმალ; ჭირ ბალ (იგივეა, რაც  
ბალლუნქ).

— ჭირვაშლ მაჟალო მ ა ყ.

ჭირ ქათამ, ჭირ უნსი ქათამ, ჭირ ღინს  
პატარა და გამხდარი ჭიშის ქათამი.  
~ ჭირ ქათმეე (|| ჭირ ეინსი ქათმეე)  
წრჰულ ეკატევიან (პატარები არიან),  
რაში ეინსი ქათამ (ნ.) დიდ ეკატევის  
(დილია), ბევრ ჭამს. კრცხს დაადრველა  
ჭირ ქათამ კახს (ევერცხის დასადებად  
წერილი ჭიშის ქათამი კარგია).

ჭირ ხეა გარეული, ველური ხეხილი. ~  
ჭირ ხეს არნაჯალღევ (უმყნობ) ხეზე  
ამბოვენ; ჭირ სხალს ნუმ (რომ) იმბავს,  
ოგემას (აი იმას) ჩონ ჭირ ხეს ვეზახით;  
რომ ვეაღლღევთ (ვაყნობთ), ჭირ ხეზე  
ვეაღლღევთ.

ჭირაჰ [ახ. დილ. ჭირაჰ] ანეული (გა-  
ზაფხულზე მოხული და შემოდგომი-  
სათვის დატოვებული მრწა ხელმეორედ  
მოსახნავად. ასეთი მიწა კარგად ფხვი-  
ერდება და პურის დასათესად ვარგობს.  
ხოლო როცა საზამთროს, ნესვისა და  
მისთანათა დათესვა უნდათ, პირიქით  
აკეთებენ, ე. ი. შემოდგომაზე ხნავენ  
მიწას და გაზაფხულისათვის ტოვებენ).  
~ ვთქოთ ეფხალა პურ გათიბეს, პურ  
გათიბას უქან მიწას კიდემ აბრუნევენ  
(ხნავენ), აგდევენ ფაზიბე პურ და-  
ათესლა (ტოვებენ შემოდგომისთვის  
პურის დასათესად), აამაზე (იმეტომ)

მალე (ადრე) აბრუნევენ, მიწაა გაფუძვლესავე, კაა იქნესავე. ეერთი იმიზე ჩელიან (და კიდე იმისთვის შერებიანი), რუმ ალაა (ბალახ-ბულახი) ბურ არ ამოვლეს, ეეს არის ჭირაქ. ფაძუზე ჭირაქს უტყევენქ (ნ. ქეყეა), კელმეოლე გნონ, ფარცხენ, კედე რამ ჰთესენ. ბოსტნი (ნ. ბოსტან) ადგილს კი ფაძით გნავენ, ჭირაქ აქეთევენ; ჭირაქ ეტყევენ ნ. ეტყევენ(ის); ჭირაქ ქნაა იგივეა, რაც დაჭირაქევეა.

— ქ გ ლ (ინგილ.); აურა მიწისა ნაშემოდგომევენ ან ადრე გაზაფხულზე მიწის ქირველადი დახენა წინასწარ გასაფხვიერებლად ქ ა ვ თ. III; ნაოში შემოდგომაზე, მოხნული ანეული ძ ი ძ., კ ე ც ხ., ხ უ ბ. (ქართლ.); მ ა რ ტ. - ი მ ნ.; ჭ ი გ., [თ ო ფ., ქ ა ვ თ. (თიან.).

ჭირიშენ: შენ გულყევეაძს ჭირიშენ! ნ. გულყევეა.

ჭირიტანი საყტარ (საყტრევე, საყდრევე) თოფანში ა(ნ.), ჭირიტაშვილების მომულში ძველთაგანვე წმინდა ადგილად მიჩნეული დიდებებიანი ადგილი. ~ ჭირიტანი საყტარში ეეხლა არ მოდიანყ. მინც დაპირეულ (ნ. დაპირევეა), ერყე (მხოლოდ) ის მოვე. ამმა (მაგარამ) ემხევეს არ შჭრიან იმიზე, რუმ (რადგანაც) ეეს წმინდა ადგილი. კაყში ემყურა (ამგვარი) საყტრევე ბევრ კეპტეოდა (იყო) — კაციაშვილების, ყულოშვილების... ეეხლა კაყში ერ ჭირიტანი საყტარ დგას (დარჩა), ერთიე ჭიტანი საყტარ (ნ. საყტარ).

შდრ. ჭიტანი საყტარ.

ჭირკუტ იგივეა, რაც კოწაწ, ქწინიშე. 1. ~ ჭირკუტ დაბალ, არგანაზარდ ინსანზე (ადამიანზე) ამბოვენქ.

ჭირლიტ უვარგისი (ჩვეულებრივი, სარმა-დღემაზე (ნ.) ამბობენ). ~ ჭირლიტ სარმა-დღემაა აქონდა.

ჭირჭიშა პანტა მსხალი ან პანტა ვაშლი, ანუ მყალო. ~ ჭირჭიშაითი არაყს გლიან.

— ჭ ა ნ., პანტა მ ა ყ.; ჭირვაშლ,

ჭირჭიშა მ ა ყ ა ლ ო მ ა ყ.

ჭირქუაა: ჭირქუა წაჭდა ნ. ქიეკუა. ჭილარაა, ჭილარაა თამბაქოს შესახვევი სპეციალური ქაღალდი.

ჭიუჭიუ ნ. ქიუჭიუცოვა.

ჭიუჭიუა ბევრი ლაპარაკის მოყვარული. ~ ქიუჭიუა ინსანს (ადამიანს) ბევრ ნალაპარაკს (მოლაპარაკეს) ებნევიან. — ყიუჭიუა ჭ ა ნ.

ჭიუჭიუცოვა, ჭიუჭიუ ბევრი ლაპარაკი. ნ. ქიუჭიუა.

— ჭიუჭიუი ერთგვარი ხმიანობა ფრინველისა ქ გ ლ.

ჭიშეე ან თ რ. ტარტარაშვილების გვარის შთამომავალთა ერთი ნაწილი (მეორე ნაწილს ტარტარიანევე ეწოდება).

ჭიჭინ, ჭიჭინოვაა 1. ჭრიჭინი. ~ კარევე ჭიჭინოვს; ურემს საბოენ თუ არ ლოტს, ჭიჭინოვს; ჭიჭინაა (ჭრიჭინა) ჭიჭინოვს.

— ჭიჭინი ჭიჭინას გემიანობა ს ა ბ ა; 2. ბაეშვის ძლიერი ტირილი. ჩაბეიჩობა. ~ ყმაწულ ჭიჭინოვს.

შდრ. გაჭიჭინევაა.

ჭიჭინაა ჭრიჭინა, ჭრიჭინობელა. ~ ჭიჭინაა ხეზე კეპტევე, მაგარ ცხელში ჭიჭინოვს, მევლნი სიცხიზნი ტყრუე, ვარდრე, ჰედრე (ჭრიჭინა ხეზე არის, დიდ სიცხეში ჭრიჭინებს, მერმე სიცხისგან სკდება, ვარდება და კვდება).

— ჭიჭინა ს ა ბ ა.

ჭიჭინოვაა ნ. ჭიჭინ.

ჭიჭმახ ძალიან მყავე. ~ დოვლაა (ნ.) ყევე-ჭიჭმახ იყო, მაგარ ყევეა.

ჭიჭნაგურ შინ დამზადებული ძეხვია ერთგვარი: მწვანილში შეზავებული ძროხისა და ცხვირს დაეკილ ხორცს დებენ ძროხისა ან ცხვირის ნაწლავებში, ცოტახანს მდლდარე წყალში ჩათუთქავენ, მერმე კეამლზე ამბობენ დაზამთროსთვის ინახავენ. ამას უშთავრესად ფლავთან ერთად ქამენ. ასეთ ფლავს ჭიჭნაგურიან ფლავს უწოდებენ. ჭიჭნაგურ ჩახხმაა ჭიჭნაგურის გასაყეთებლად ძროხისა და ცხვირის დაეკილი ხორცის ნაწლავებში ჩადება.

— ჭ ა ნ.

ჭკალ, ჩკალ, წკალ ბრწყალი (ლობიოსი,

კიტრისა, საზამთროსი, გოგრისა, ვაზისა და მისთანათა). ~ გუგრას, კიტრს, ბოსტანს, ყარფუხს აქ ქკალი. ქკალი სხოას (სხვაა), თალ სხოას. ქკალი (ბრწყალისა), ჰემნითაც (რომლითაც) გუგრაჲ-რამ (გოგრა და მისთ.) ეხვეის ხეს ან ბალახს, ან მიწას. თალ ამათ ზოლი (ამათი ყლორტია), გაგზელუქლ. თალზე ფოთოლს იშომს (იყეთებს). თალზე კეტევე (არის) ქკალ; ფაყლი ქკალ ეხრვის ქაგზე; ქკალ ომოშმაჲ (გაშმაჲ, ომოღვეჲ) ბრწყალის გაკეთება, გამოშმა (ლობიოს, კიტრისა და მისთანათა ნათესზე). ~ ფაყლას ქკალ ომოშუმჲ || გოშუმჲ || ომოქლი.

— წკალ ჟან., პწკალი მე ენთ., ბრწყალი, პწკალი ვენახისა წერ.

ქკილ (მრ. ქკილვე) 1. ფრჩხილი. ~ ფეყეეს საპოვნში მაგრა ეუბანეთ, ქკილევს ვიჭრით, ყურზენს ვლაგავთ (ეშკლუტ); ქკილ არ გააზგელვედლო (არ გაანედღვედლო!) (წყველა: არგასაზრდელო!); ქკილი დაბრიმივეჲა გადატ. მისპობა. ~ ქკილს დაგიბრიმივეყ! (წყველა: მოგსპობთ); ქკილით სამარეჲ ვათხრაჲ გადატ. ვინმესთვის თითის არგანძრეჲა, არაფრის გაკეთება.

— ჩხილ ჟან., მწკილი კაიშ.

2. ჩლიქი, ქაჩაჩი. ~ ტანაჲ (ხბოს), ზროხაჲ ქკილევ; გარს ქკილ აპყრომი (მოსძრობია).

— ჟან.

ქკილაჲ ნ. ქათმი ქკილაჲ.

ქკოჲ ჰკუჲ. ~ ქკოჲ არ აქ, სემამს (სულელია); ი ყმაწულ ქკოში ჩაგარდნილ; ზეღს., ზმზზ. ჰკუან ჰკეიანი; ჰკეიანად. ~ ერ შულ ცოტა სემამ (სულელი) იყო, ერთ ჰკუან; ჰკუან იყავით! (ჰკეიანად იყავით!); ჰკოჲ დასხრიაღვეჲა ნ. სხრიალ; ჰკოჲ უქრის იგივეჲა, რაც ქკოში გაედლომი; ჰკოში გაუდლომი ჰკუში დასქდომია. ~ მამას გააედლომი ქკოში უჩრღლევი ეულაბ (სრტყეჲა); ჰკოჲ მიცეჲაჲ (დასწავღვეჲა) ჰკუის დარიგება. ~ მამაჲ ბეურ ჰკოჲ აზღვესყ შულღევს (ქკუას არიგებს შვილებს); ჰკუ(თ) გასწლაჲ ჰკუაზე გადასელა, შემლა. ~ ღეკაცუში ჰკუ გადაის (ქალი შიშისგან ჰკუაზე გადადის).

ქკორტლ ნ. ქკორტკლ.

ქკუანოჲა ნ. სიკუქუანეჲა.

ქკლეჲ მქლე. ~ ე ყოჩეჲ ჰემაგ ჰაბე ქკლეჲნა? (ეს სხერები ასე მქლე რატომაჲ?). — ჟან.

ქკლეოჲა სიგამხდრე. ~ ჩემ ჰემაგ (ასეთ) ქკლეოვას ნუ შაახედავ, ყოჩხალ გადაჲ (ბიქი) ვარ.

ნ. ქკლეჲ.

ქკლივქკლიოჲაჲ, ქკლივქკლივ, ქკლივქკლივ, ჩლიქჩლივ 1. ქკიქკი (ფრინველისა). ~ ჩიტ ქკლივქკლიოვს; ყარააზზე (ვაზაფხულზე) მერცხლევ ქკლივქკლიოვენ (|| ქკლივქკლიოვენ).

[სინ. ჩლიქჩლიქოჲაჲ, მნიშე. 2]; 2. გადატ. ახლად ენაადგმული ბეგუვის ტიქტიკი. ~ ჩონ ყმაწულ ქკლივქკლიოვსავ.

ქკლინჲ 1. ჩხირივით წვრილი და მოკლე ნაქერი რკინისა. ~ ქკლინჲ კინი ყუტ (რკინის ჯოხია). ეემას ტუტქულუ ჰმანგანში (ნ. მანგანაჲ, მნიშე. 2) კარმახევე დანაქიდევ გზელ კინაში ზგდევენ (უყრინად) ქრნდალან (გარდაი-გარდმო). ეეს ამაგრევეს გზელ დანაქიდევ კინს, ჩამაადღვესლა (ჩამოსაადღებალ) არ უშომს;

2. ასეთივე მოკლე და წვრილი ჯოხი, ან გამოთლილი ხის ნაქერი მახეში. მახის დაგებისას იგი ერთგვარ საყრდენადაა გამოყენებული. ~ დელაჲ (კვერნის), ტაპტაჲაჲ (ვირთხის), კატაჲ, ჩიტ დაქერაში ქტაჲ ან სხო რაჲმის — თახტის, კინის — ერ თავს ქრშ უყუღღვენ ხეს ქტაჲ-რამ დაამაგრეველა (ქვის ან სხვა რამის დასამაგრებლად). ემ ხეს თლიან კარანტაშიფორმადი (ფანქარივით, ფანქრისნაირად). ეეს არის ქკლინჲ, ჰენი (ე. ო.) ქტას-რამ ქკლინჲზე აყენევენ. დააქერელ (დასაქერი) რამ მოდის, ზარვ (ძერება) ემ ქტაჲქრშ. ქკლინჲზე გარაქუმ წემევეცოს (წამოცმული უნდა იყოს) გორც. გორცი ჰმას რუმ ეყოლღვის (იწყებს) დელაჲ, ტაპტაჲაჲ, კატაჲ... ქკლინჲ იქევეის (ვარდება), თუთან ეტანევის, კღრვის;

3. კარის შიგნიდან დასაყეტად გარდღეარდმო გაყრილი ხე, ურდული. ~

~ ქერდოვან (საქურდავად) წყველით; ვერ შეველით შიგ, კლინე გეყვარაყ (ურდული გაყვარათ).

კლინკლოა გუთნის ნაწილია.

კჰამა, კჰამა, შჰამა კჰამა. ~ არ ცალიან (არ მცალია), ევხლა ვქომ (|| ვქომვარ) (ვჰამ), ვერ ხედნა?; ერ ცოტა რამ შიკმევარ, მაასლრვარ (ცოტა რამეს შევექამ და მოვალ); თუ მე დაგიჭირ, შენ თავ შიკმევარ (შეგქამ), შენ თუ დამიჭირ, ჩემ თავ შიკმეხარ (მე შემქამ); მე იქ ვერ წულ, ისენ ჩემ თავ შიკმელნიაყ (|| შიკმენნიაყ) (შემგამენ); იმი გორც თუ არ სქომ (|| სქომ) (ვქამე), ვერ გოზულეე (ვერ გავექლებ); ზალს რაა ოქამრთა? (რა ვეკამოთ?); დლე ჩონ ფლავ გუქამი (გვიქამია); პიწა ექამასაც, ფიჭირ არ იყო (ცოტა მაინც რომ ექამა, არა უშავდა); არც ჩაქამა, არც კჰამა, არც დახურაა არ გოყლი; ამ წამალ კჰითავ ისენ სისხლს აარწყველნი (ამ წამლის მიღებისთანავე ისანი სისხლს არწყვეენ); მ ი მ ლ. არნაქამ, ვერნაქამ ის, ვინც არ (ვერ) კჰამს, ვისაც კჰამა არ შეუქლია; ის, რაც არ იქმება.

~ ემი ვერნაქამ ინსან იქნევა? (ისეთი აღამიანი, რომელიც ამას ვერ შექამს, შეიძლება იყოს?); ვერნაქამ რამს ჰაბე (რატომ შქამა? (იმას, რაც არ იქმება, რატომ კჰამ?); ლორი ხალ (ნ.) არნაქამ ხალი (არ იქმება); ნაქამ მქამელი; შექმული; შესაქმელი. ~ ი დევ ინსნეე ნაქამ ყოფილ (ის დევი აღამიანეზის მქამელი ყოფილა); პურ ნაქამ (პურის მქამელი); ჩემ გულ გადაალოყ (გული გადამელია), ნაქამ რამ არ დამიჭირა (რაც შევექამე, არ შემერგო); ცხი პიტნაა ნაქამ რამი (საქმელი რამაა, იქმება); მატატელა პინდაერეე ნაქამ რამი (მატიტელა ინდაურების საქმელი რამაა); ჰგ ნაქამ რამი, ჰაბე შქამა? (ეგ ვანა იქმება, რატომ კჰამ?), ჰგ სოყოა ნაქამ არა (არ იქმება); ნაქამეე, ნაქამებ (მრ.) მქამელები. ~ ევზირმა ვაშლევ მოხიბლა (მოწამლა). ნაქამეე (ვინც კჰამა, მქამელები) დამგოცენ; ზ მ ნ ზ. შიკმელა საქმელად.

~ ნადიროვაში ღამი ვეღრვითწყული გუბზე, ჰე (ან) პურში, ჰე სინდში, ნადირ მოლის შიკმელა, წყალ დაალეველა (დასალეველ), ჩონც ჭყლავთ; კჰამ-კჰამი კჰამა-კჰამით. ~ გარ ქერ კჰამ-კჰამი იღვა თავიბე (თავისთვის); შ. კ ო ნ ტ. კჰეე (ი)ნევაა, შიკმევენევა კჰეეა. ~ ნე პტირხარ, პურ შენბე მე შიკმევენეერ (მე გაქმეე); ორმოც დლე შიკმევენეეხარ ჩემ ცხენეიბე (აქმეე ჩემ ცხენებს); ჰე ვაშლ თუ დლეკაცს აქმევენ, შენ დეკაციბე ერ ყმაწულ გააჩენელიყ (ეს ვაშლი თუ ცოლს აქამე, შენ ცოლს ერთი ბავშუა გაუჩნდება); ჩარაა რაა აქონდწყა, აქმევენს (რა გზა პქონდათ, აქამეს); ე ვაშლ გაქქანას (გათალოს), ყაბუზ ყმაწულს აქმევენას (ჯანი ბავშუს აქამოს); ფაშ-ფუტარ მრზობლევს ვოქმეენოთ (შიგნეულობა მგზობლებს ვაქამოთ); ცოტა პურ მაქმეენით (მაქამეთ); თურმენი ჩემ დეკაცს ჩემ შიკმელ თავი დოსტიბე პუქმევენეეი (თურმე ჩემ ცოლს ჩემი საქმელი თავისი კუროსთვის უქმეეი); მ ი მ ლ. ნაქმევენე მქმეველი, ვინც აქმეეს; რაც აქამეეს; ზ მ ნ ზ. შიკმევენეველა შესაქმევიენბლად. ~ ხიკაკენაა (კოდალა) დაკლა, დეკაცს (ცოლს) მისცა ფაჩასთან წაალეველა, შიკმევენეველა (ხელმწიფესთან წაალეზბად და შესაქმევიენბლად); მე მეეალეა ვარ იმიბე შიკმევენეველა (მოვალე ვარ, იმას ვაქამო); ღავან კჰმევენეაა ნ. ლავან; ყალიბ კჰამა ნ. ყალიბ, მნიშვ. 1; ყინწიამილ კჰამა ნ. ყინწიბ; შენ ნაზუქ ჰახან პქრმთა? ნ. ჰახან; შენამ საგზოა (საგზოა) შექამ (კჰამ) ნ. საგზოა; ჰატი კჰმევენევაა ნ. კიტ.

კჰმი-კჰმი ნ. კჰამა.

კჰოგაა ნ. კჰრგაა.

კჰორტკლ, კჰორტკლ მქვარტლი; ზ ე დ ს. კჰორტკლიან, კჰორტკლიან მქვარტლიანი. ~ ჩონ ბუხარა კჰორტკლიანი, ქულავ თუ მოტლად, დაწრლი სახლ (ქარი თუ მოვიდა, დაიწეება სახლი).

— ქ ა ნ., კჰორტლი ქ ა ქ.

კჰოტ: კოტი(ნ) და კჰჩაა ნ. დაკჰჩაა, მნიშვ. 2.

**მ** ო-**კ** ო-**პ** ო-**პ** ო! 1. ღორის შოსხმობი 'ღაძა-  
ხილი.

[სინ. ტოხ- ტოხი!];

2. ღორი ბაეშეთა ენაზე (იშვითად  
დიდებრც ეძახიან ასე).

**კ** რგაა, **კ** ოგაა **კ** აობი; **ზ** ე დ ს. **კ** რგააან  
წყლიანი, **კ** აობიანი (ადგილი). ~ **კ** რ-  
გააან ადგილში მიწაფთი ამოდის წყალ,  
წყლიან, ტალახიან ადგილი. თავქრ  
სოფლებში (ნ. თავქრ, მნიშე. 1) ბუტრ  
კეპტევ (არის) ემეურა (ამგვარი) აღ-  
გილევ; **ქ** ებ მოთხრაში (სადირკელის  
ამოთხრისას) თუ წყალ ამოდის, ამაზე  
ამბოვენ — **კ** რგააან 'ადგილ.

**კ** რა(წ)ყუნ **კ** რაქუნი, **კ** რაქ-**კ** რუქი, **კ** რია-  
ლი. ~ ბოჯითი (თაგზე) **კ** რაყუნოვს;  
გ ა დ ა ტ. ლოგინში (საწილში) აქე-  
თყენ-იქითყენ მობრუნევა-დამბრუნევაში  
ჩემ გარდევ **კ** რაყუნოვს.

**კ** რელ 1. სახე, ნაყში, ორნამენტი, ჩუ-  
ქურთმა. ~ წინდამი ერ **კ** რელ ამითი-  
ევი, მეორე **კ** რელს ვიწყოვ; საჭრელოა  
(ნ.) მიემეც, ერ **კ** რელში მაკლი; გენეურა  
ფაულაა თეთრი, შიგ შივ **კ** რელევ აქ;  
ნ. ასტმი **კ** რელ; კილბანა **კ** რელ; 'ყ-  
ხიშაა **კ** რელ; ნ. **კ** რელ-პრელ;

2. სახ(ებ)იანი, [ნაყშ(ებ)იანი, ორ-  
ნამენტ(ებ)იანი, ჩუქურთმ(ებ)იანი. ~  
**კ** რელ კორთეა; ემ **კ** რელ კორთეზე  
ცარც უსმენე, ოგე ზედ დანახატ რაა-  
მევ კაგგორა ეცნევის, ზედ ირემ გომოპ-  
ყონენყ (გამოპყათ ხოლმე), ყურბა-  
ეურ (სხვადასხვა) რაამევე გომოპყონენყ;  
**კ** რელ კილბანც იყო. ხი კილბან **კ** რელ  
კეპტეოდა (იყო), მუერუა ც (სკივრი)  
კეპტევ (არის) **კ** რელ, კოვზევიც. **კ** რელ  
კოვზევს ტარ აქ დაქრელუტლ; **კ** რელ  
მეემაა (ნაყშებიანი სპილენძის დიდი  
ლანგარი); მეემაა საააც კეპტევ (სა-  
დაც არის). იგრევ (სადა) მეემას შიგ  
დაქრევლეველ არ აქ, **კ** რელ მეემას  
კი ნაყიშევ აქ; **კ** რელ (დანაქრევლევე)  
გირც ნ. გირც.

— მ ე ნ თ.; მოქარგული გ ი გ.,  
თ ო ფ., ქ ა ე თ. (ხეგს.); სხუადასხუა  
ფერი სა ბ ა, ფერად-ფერადი ჩ უ ბ.  
**კ** რელგრილოა მზენარევი ჩრდილი. ~

ერ არის მაგარ გრილოა, ჰეჩ იშოდ არ  
ჩომოდის (ერთია მაგარი ჩრდილი, სი-  
ნათლე სრულებით არ შედის შიგ),  
მეორეას (მეორეა) **კ** რელგრილოა. ეემა-  
ში ზეაც, იშილო (სინათლევ, შუქი)ც  
ჩომოვს, გრილოაც არის.

ნ. გრილოა.

**კ** რელთავაა ბალახია ერთგვარი. ~ **კ** რელ-  
თავაა ჯონეას მინგავს, ყოროლევი  
(|| ყორულებში), მინდორში კეპტევ (არის).

**კ** რელ ჩიტ თეთრგულიანი ჩიტია ერთგვა-  
რი

**კ** რელ-პრელ (მრ. **კ** რელ-პრელევ) **კ** რე-  
ლა-პრულა. ~ **კ** რელ-პრელევ ჩატცომ,  
ეტარევის.

**კ** რეა მკრელი. ~ **კ** რე დანაა; ევი ყის-  
მათ **კ** რეა ყოფილ იმას ბედი უქრის  
თურმე.

— ჯ ა ნ.

**კ** რიანტელ წითელი მხალისგან დამზადე-  
ბული მკავე წვენი. მხალს ხარშავენ,  
ნახარშ წვენში ურევენ შვინდისგან  
გაკეთებულ მკავეს, რომელსაც ანე-  
ლებენ მწვანელით—ქინძით, კამიტ, რე-  
პანით, ნივრითა 'და მარლით.

— მკავეთ წითელს შექამადი ს ა ბ ა;  
ტყემლის წვენი, ნივრითა და მწვანელით  
შეზაგებული მ ე ნ თ., ტყემლის წვენი  
ქ ყ., ქ ი ნ ქ. კაყ; **კ** რიანტელა ტყემ-  
ლის წუასგან და მწვანელებისგან გა-  
კეთებული მკავე წვენიანი კ ი რ.

**კ** როფლ **კ** როფლი. ~ **კ** როფლ დაპყ-  
რიავ.

**კ** როხ, **კ** როლ **კ** როლა. ~ ჩონ ქალს  
- **კ** როხ თოლევ აქ; **ზ** ე დ ს. **კ** როხთო-  
ლევთან **კ** როლათვალებიანი. ~ **კ** როხ-  
თოლევთან ყმაწულ.

— ჯ ა ნ., **კ** როლაა **კ** რელი ქ ა ჯ.  
**კ** როხ თუთაა **კ** რელი თუთაა, მოშავო და  
მოთეთრო მარცვლები აქვს.

— **კ** როლა თუთა ალაჯა ჩ უ ბ.,  
მ ა რ ტ. - ი მ ნ., მ ე ნ თ.

**კ** რუა-პრუა **კ** რუქუკალის მკავე გამოცე-  
მული **კ** რიკინის ხმა. ~ **კ** რუქუკელაა  
ყელელში კეპტევის (არის), **კ** რუა-პრუა  
ჩედის (ჩახის).

[ სინ. წრუტლ. ]



**ჭუაა** 1. ნაუოტისოდენა ხის ან ფიცრის პატარა ნაჭერი (გამოიყენება სხვადასხვა დანაშენულებსთვის, უმთავრესად, განაბზარი ან გატეხილი ადგილის დასაკერებლად). ~ თუ დარკობაა ყანად (ჭოშკრის ფრთა) გატეხულ, შუაითი ერ გროლ ქნილ, იმას ერ ქუას მიაკარონ, ააღევენ ნაფოტივი რამს, მიაკარონ, ეესი (ესაა) ჭუაჲ; ააღ ე ჭუაჲ, მიაკარიე ქობი კარზე განაგერ ადგილში; ჩეჲ ნაჲ (საწინახელი) გაგროტულ, ერ ტელისწორ (ხელისოდენა) ადგილში ჭუაჲ დამიკრავ;

2. პატარა ნაუწი ქსოვილისა (კერვის დროს რამეში ჩასაყენებელი). ~ ახლუტ ერეე პერანგეზე (მხოლოდ პერანგებზეა), ჭუაჲ კი — რამიე გინდ.

**ჭუაჭუაჲ:** ჭუაჭუა ქნაჲ პატარა ნაწილებად დამსხერევა, დაფშენა; ჭუაჭუა წაწდა (დატყრო) იგივეა, რაც ჭიკჭუაჲ წაწდა (ნ. ჭიკჭუაჲ). ~ ტაღერე გააგეჩა, ჭუაჭუა წაწდა; პოგო (რა) ჭუაჭუა დატყრაჲ!

— ჯ ა ნ.

**ჭუბაჲ** ნ. კიბაჲ.

**ჭუგუ-ჭუგუ!** იგივეა, რაც ტიყ-ტიყ!

**ჭულუჲ,** შულულ [ახ. შულუჲ] ცელქი, ცეტი.

— ჯ ა ნ., მ ე ნ თ.

**ჭულუყოვაჲ,** შულულოვაჲ ცელქობა. ~ უშკლი (სკოლიდან) შენ თავ გომოუგდლიყ, გიქულუენი უა? (იცელქე ხომ)? — აარ, მე არ სჭულუოყე (არ ვცელქობ ხოლმე); შენ ჭულუყოვაითი მრზობლოვისთან ამრიგ-დამრიგ (შენი ცელქობით მეზობლებს გადამიღე).

ნ. ჭულუჲ.

**ჭულუმპურ** 1. დაჩურჩული, უჩენხო თხილი, კაკალი, წაბლი. ~ ჭულუმპურ ჩომოცუენულ თხილევ ქრ, ღუაგრუეთო.

— ქ გ ლ (ინგილ.);

2. გაღატ. არაფრის მქონე, ღარიბ-ღატაკი. ~ ჰეგ ჭულუმპურიჲ, ცამ-ცარიელიჲ (სულ მთლად ცარიელიაო), ჰერამ არ აქავ (არაფერი არ აქვსო); ამ სახლით მე ჭულუმპურ გამოველ.

**ჭუპუტი** ფლავ ნ. შექუტი ფლავ.

**ჭურმაქუტუხ** პატარა, ჩია, დაღუელი. ~ ოთხდენა (ოთხი) ჭურმაქუტუხ ყაწუღ. მაქ; პოგო ჭურმაქუტუხ ზროხანას! (რა ჩია საქონელია!).

— წერილმანი და გოლო-პოლო ხალხი ან ხილი ჯ ა ნ.

**ჭუუტ** პოტი; **ჭუუტი(ხ)** დაგეჩაჲ ნ. დაგეჩაჲ, მნიშვ. 2.

**ჭუულიან** ჭეჭყიანი. ~ ნუცაჲ ჰაჰმეჲა ჭეულიანი (მუდამ ჭეჭყიანია).

**ჭუუმახ,** წუწმახ ძალიან მარლიანი, მლაშე. ~ ჩონ ფაყლაჲ ჭუუმახ ქნილ; ლაშე-ჭუუმახ, ლაშე-წუწმახ ზომანზე მეტად მარლიანი, ზედმეტად მლაშე. ~ ჩონ შიქმელ ლაშე-ჭუუმახ (|| ლაშე-წუწმახ) ქნილ.

**ჭუუულ** ქათმის წიწილა; ზ ე ღ ს. **ჭუუულევიან** წიწილებიანი. ~ ჭუუულევიან კერტ(კრუხი); **ჭუუულევ** გ(ო)მოყონაჲ ნ. გ(ო)მოყონაჲ, მნიშვ. 2.

— შ ა ნ. რეც., მ ე ნ თ.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (გურ.), ჭუუულა ჭ ი ნ ჭ. ვ ა ე ა.

**ჭუუუმახ:** ჭუუუმახ სიხტეჲს აპბოენ, როცა მეტისმეტად ცხელა.

**ჭუუუნეკლაჲ,** ჭუუუნეკლიაჲ ჭეჭეკალია, ერთგვარი შავი კალია, ღამით ჭრიკინებს. ~ ჭუუუნეკლაჲ სხომს (სხვა), კიკინაჲ (ჭრიკინა) სხომს. ჭუუუნეკლაჲ ედელში კეპტევის (არის), წრულტ (|| ჭრუა-ჭრუა) ჩედის (იძახის) ღამე, ბუნარაჲ (ბუხრის) პირში ბევრ კეპტე (ხშირადაჲ).

— ჭუუუნეკლიაჲ მ ე ნ თ., კიკიმაკალია კ ა ი შ.; ჭუუუნეკლაჲ ციციანთელა ჯ ა ნ.

**ჭუუაჲ** ნ. კიბაჲ

**ჭუანტ** მიწაჲ იგივეა, რაც ნაჰყანტ მიწაჲ.

— ჭუანტ ჭაობი მ ე ნ თ., ჩ უ ბ., ჭ ყ., ქ ა ჯ., ჭუანტი, ჭუანტობი ჭ ი ნ ჭ. ვ ა ე ა!

**ჭუაჰყაჲ** საჭმლის უხეიროდ ჭამის დროს გამოცემული ხმა. ~ ჰათარა ამბიერა ჭამსა, ჭუაჰყაჲ გჰამაჲ მოდის (რა უშნოდ ჭამს, ჭუაჰყაჰის ხმა ისმის); ჭუაჰყაჲ ნუ ჰჰამ, ლამაზა ჭამ!

**ჰეტი** ჩიტა ერთგვარი, შავი ფერისა, თეთრი გული აქვს.

**ჰეტი** ვენერა, განთიადის ვარსკვლავი, ცისკვის ვარსკვლავი.

— მ ე ნ თ., ქ გ ლ (ინგილ.); ჰ ი ტ ა ვარსკვლავი შ ა ნ. ვ ა ე II, ჰ ი ნ ქ. ვ ა ე; ვარსკვლავი ჩრდილოეთისა ჰ ე. **ჰელურთ**, **ჰელურტ** უმზეობის გამო მოუძწიფებელი, მუავე და წყალწყალა ყურძენი. ~ **ჰელურთ** გემრიალ არ აღის, წყლიანი (წყლიანია), ტყავ ცალკ ცალკაედევ, შიგ ყოფ წონ კი ცალკ, ზმარფორმათი გემოა აქ (მმარვიით გემო აქვს); ჩემ ყურზენ **ჰელურთ** ქინღ.

**ჰელურთუნ**, **ჰელურტუნ**, **აჰელურთუნევა**, **აჰელურტუნევა** წყალში, ტალახში რაიმე მაგარი საგნის ტყაპუნი, ჰეაპუნი და ამ ჰეაპუნის ხმის გამოცემა. ~ წყალში აჰელურთუნევეს (|| აჰელურტუნევეს) ერ ჟოხს, დგას.

— ჰ ლ ა პ ლ უ ბ ი მ ე ნ თ.

**ჰელურთუნა** ერთგვარი სათამაშოა, რომელსაც ბავშვები კაკლის ხის ნორჩი ყლორტებისგან ანუ ლარტისგან აკეთებენ. ამ ყლორტს ლოპოს გამოაცლიან, შიგ წყალს ჩაასხამენ და, თითქოს შპრიციო, იმგვარად ასხამენ წყალს იქიდან და ერთმანეთს წუწუვენ. ~ **ჰელურთუნა** თამაშოვაში ყმაწუღევე წყალს აჰელურთუნევენ (აჰეაპუნებენ).

ნ. **ჰელურთუნ**.

**ჰელურტ** ნ. **ჰელურთ**.

**ჰელურტუნ** ნ. **ჰელურთუნ**.

**ჰეობ** ჰეაპი, გამდნარი თოვლისგან ან წვიმისგან დამდგარი ტბორი, ტალახი, ლაფი; თოვლი (თოვლიან) ჰეობ თოვლჰეაპი.

— ჰ ა ნ.; გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ქართლ.), კ ა ი შ.

**ჰუფ(ვ)ილ** მუცლის ბუებუეცი, ყურყური, ჰუურჰუური.

## ბ

**ბათ** ნ. **ბაათ**.

**ბაბარ** [აზ. ხაბარ] ამბავი. ~ რა ხაბარია? ფაჩჩას ხაბარ მიიღის (ხელმწი-

ფეს ამბავი მისდის); **ხაბარ** არ აქოყ არაფერი (ამბავი) არ იციან; **ხაბარ** ექცევის ატყობინებს. ~ ფაჩჩას ხაბარ ექცევიან (ხელმწიფეს ატყობინებენ); **ხაბარ** მიცემა (ქნაა) შეტყობინება. ~ იმივე ხაბარ მიტყაყ (იმისთვის შეუტყობინებიათ); **ხაბარ** უყო შეატყობინა. ~ ქალი გემა გაცონევაში მალე ხაბარ მიყავ (შემატყობინე); **ხაბარ** ჩ(ო)მოგარდნა ხმის გავრცელება, ხმის დარხევა. ~ სოფელში ხაბარ ვარდე.

— გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (მესხ.); ქ ა ჟ.

**ხადიმ** [აზ. ხადიმ] მცვედანი. ~ ხადიმს ყმაწულ ვერგანაქეთვე (სიტყვ.-სიტყვბავშვის ვერგამკეთებელ) კაცს ებნევიან.

— ხ ა ლ უ შ ი ს ა ბ ა.

**ხავილ** ნ. ხაოვა.

**ხავწ**, **ხაჰწ** ლეყეპო, დაგუბებული წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე მასა.

**ხაზნა** (მრ. **ხაზნავე**) [აზ. ხაზინა] ხაზინა. ~ ყიზილი (ოქროს) ხაზნა.

**ხათა** [აზ. ხათა] ხათაბალა, საფრთხე, ხიფათი. ~ იმ ერ ოთალში ცხრათავიან დევ არის, ამახანა (არიქა) არ გაუშო, ხათა რამს იქსავ; შენთან ნადიროვან წასულაში ინსანს (ადამიანს) ხათაა არ დააკლდევე; ხათაათი უცაბედლად, შემთხვევით.

— კ ი რ., მ ე ნ თ., შ ა ნ. ვ ა ე

IV, გ ი გ., თ ო ფ., ქ ა ე თ. (ქართლ.), ხათავ ჩ უ ბ.

**ხათაათი** ნ. ხათა.

**ხათირ** [აზ. ] ხათირი. ~ თუ ჩემ ხათირ გაქოყ, არ წახტდეთ; ერ კოვზ ატან (აიღე) ჩემ ხათირიბე (ჩემი ხათირისთვის); ხათირ გაგეჩაა ხათირის გატეხა. ~ მე შენ ხათირს არ გავეჩავე (ხათირს ვერ გაგიტეხ); ხათირ დაკლევამ წყენინება (აწყენინებს). ~ ხათირ არ დააკლო (არ აწყენინო!); ხათირ დაკლომამა წყენა (სწყენს). ~ ბიზას ხათირ დააკლდე (ეწყენება); ჰაბე სწყრქევი, მიზგნა

ხათირ დაგლომრა? (რატომ სწყრები, ვისზე ხარ ნაწყენი?); დეკაცს (ქალს) ხათირ დაქლომა (სწყენია); ხათირში მოხტომა იგივეა, რაც ხათირ გაქეჩა. ~ ე გადაბ ვერ კაცი ხათირში ვერ ხტრვის (ეს გათი ბებერ კაცს ხათირს ვერ უტრხს).

**ხალ (1)** ხალეზივით გამოსული ლაქები ნათესის (ძირითადად — კიტრის, ხახვის, ლობიოსა და მისთ.) ფოთოლზე; ხალი ჩავარდნაა ნათესის ფოთოლზე ხალეზივით ლაქების გაჩენა (სინ. ჩილ ჩავარდნა).

**ხალ (2)** მხალი. ~ ხალ სხოდასხოყურაჲს (მხალი სხვადასხვაგვარია); თეთრ ხალ, მამალ ხალ (ნ.), ღორი ხალ (ნ.), წითელ ხალ (ნ.).

**ხალიბეგი ტყეა ტ ო პ. ტყეა სოფ.** ალ-თემურის (ნ.) გზაზე.

**ხალიჩა** სახეა წინდას ქრელა ერთგვარი (ქსოვისას ხალიჩისებური სახეება გამოუყვანილი). ამგვარსახეებიან წინდას ხალიჩაა სახე წინდაა ეწოდება.

**ხალღ, ხალყ** [ახ. ხლაღ] ხალხი. — შ ა ნ. რეც.

**ხამ 1.** ხამი მიწა, უხნავი ველი, ყაბრა. ~ გუთანში ერ დიდ თექარი (ერთი დიდი თვალა), ერ პატრა თექარი. პატრა თექარ ზეითან (ზევით) კეპტევე (არის), ხამში კეპტევე (ველზეა, მოუხენელ მიწაზეა), დიდ თექარ კოლში კეპტევე; ნაქყანტ მიწას (ნ. მნიშვ. 1) სამ წელს ხამა ინახენ, მესამე წელს თესენ; ხამ ქირდაა შაკრაჲ ნ. ქირდა; ხამ შაკრაჲ ყაბრის გატეხა, მოუხენელი მიწის მოხენა რისამე დასათესად;

2. ხამი, გაუხენელი (საქონელი: ცხენი, ხარი, კამერი); ხამ გარწოვა იგივეა, რაც გარწოვა; ხამ ფარჩა კუსტარულად დამზადებული, გამოუხარშავი ქსოვილი; ხამ წყალ აუღუღარი წყალი.

**ხამხამა** გუთნის პატარა თვალი, რომელიც ხამში ანუ უხნავ მიწაზე ტრიალებს. შდრ. კოლისაჲ.

— ველის ღირღიტა მ ე ნ თ.

**ხამხამა, ხამხი წინდაჲ, ხამხია** ერთგვარი წინდა.

— ხამხური ქრელი მ ე ნ თ.

**ხანაჲ (1)** ლაბიერი, ქერის გვერდითი კოკებდან სხეუნზე აყვანილი დაბალი ყედელი. ~ სახლ დადგმაში ბარუე დახწვენას უკან (ყედლის გათავების შემდეგ) თირვეს (კოკებს) ჰყრიან (სეამენ ქონდალან (ვარდი-ვარდო), მეველი (მერმე) დორთიანი (ორგელი) პატა საქუსალი (საქუსავით, ნ. საქუჲ, მნიშვ. 1) ბარუს სწევენ აყარზე (ყედელი აყავით სხეუნზე), ბარუს შიგნითიანი (შიგნითა მხრიდან) ამაღლევენ, აყარი მანვე ჰწევენ მაღლა (სხვენის გვერდებს სწევენ მაღლა), ნასულედ (მარცვლეულის) დაყარაში პურ-რამ ნუ გადაცუქედესავ აგრ-იგრ (აქეთ-იქით).

**ხანაჲ (2)** 1. [ახ. ხანა=უგრელი] ყლა, ქსლის გასაბმელი ჩარჩო.

— შ ა ნ. რეც.;

2. ქსელი, ს.გ.ძივ გაბმული საქსოვი ძაფები ჩარჩოზე. ~ ხანაჲ გამბაჲ (ქსლის გამბა, დაქსელვა).

**ხანხლი-ხანხლი** ნ. დახანხლა.

**ხაათ,** ხათ [ახ. ხაათჲ] მომსხო აბრეშუმის ძაფი. ~ ხაათიბე (ხაითისათვის) მანენიკში მიაქრნ (მიაქეთ) პარკს, იქ ახევენ. მე თუთან მიხევიევი ხადათ. ხაათ ორეყრა (ორგვარად) ახევიდნენ; ერთ კელი ხაათ უხახდნენ, ერთ — ფარი ხაათს. კელი ხაათს წმინდა, თმისებრა ახევიდნენ, მეველი (მერმე) ველზე გრეხვიდნენ, შინ მოლევას (მოტანის) უკან (შემდეგ) საპოვნი ხარშვიდნენ, ახალ ტამსომოზ შაკერაში აგმარევიდნენ. მეორეჲ ცობას ხსულ კეპტეოლა (მსხვილი იყო), იმას ყაართი (ჩარაზე) გრეხვიდნენ. ბელბად (ნ.) ხაათიზნი სველი (ხაათზე სქელი).

— ხაითი შ ა ნ. რეც.; ხაითი, კეფი ერთი გამბა ძაფი, ზოგის თქმით, ხაითი წმინდა აბრეშუმის ძაფია მ ე ნ თ.

**ხაჲრაჲ, ხეჲრაჲ** [ახ. დიალ. ხეჲრა, ხე-ჯრი] რძის მოსაწყველი ფართოპირიანი და წაწყეტებულბოლიანი თიხის ქუ-

რქელი. მიწაზე არ იდგმება, ამიტომ მუხლებით უჭირავთ წველისას.

**ხაოცა**, ხავილ ამბობენ პრილობაზე, წყულზე და მისთანაზე, რომელიც გამიზნებულა და არ შუშდება. ~ მა-რამ ხაოვს, წყალ ეპარევის, აღარ ჩევ.

— ხაო სიცივით წყულთ გასივება ს ა ბ ა.

**ხაპირ მწარე** გოგონსგან გაკეთებული ორ-შიმო ქვევრიდან წყლის ან ღვინის ამო-საღებად. ~ ქვერევს რრცხავთ (ვრცუ-ხავთ), წყლივით (წყლებით) ვავლევთ, ხაპირი ომოაქთ (ხაპირით ვილებთ) ნარჩომ წყალს.

— ჟ ა ნ., მ ე ნ თ.

**ხაულათ** [აზ. ხაჯალთ = სირცხელი, უხერხელობა, რიდი] დარდი, სევა. ~ აა კაცო, რა ხაულათ გაქა, მითხრო! (რა დარდი გაქეს, მითხარი!); ხაულათით ჰეჩრამ არ უქამი (დარდისგან არა-ფერო უქამია); ხაულათში (დარდში) ჩა-ვარდნენ; ხაულათი(ი) გასწევია (გამ-წევია) დარდი, წუხილი. ~ გადაა ხა-ულათი კწევს (დარდობს), ნაუტულოვს; ბუთუმ ხაულათ სწევენ ყოფილ (ყვე-ლა დარდობს თურმე); ქალს ხაუ-ლათ ბუტრ გაუწევი (ძალიან უწუხნია, უდარდია); აა შულო, ექითხან (ამ-დენ ხანს) ხაულათი გააწევა იქნევი-სა?; ხაულათ მოსჯლაა (შომოყრაა) დადარდიანება, დარდის შემოწოლა. ~ ელაქსანდრის ემი გაგვეითავ დიდ ხა-ულათ მორდის (ალექსანდრე ამისი გაკებისთანავე დიდად დადარდიანე-ბულა); შულო, რამ რქნა (რა მოხდა), რუმ შენ ჰემაგრ ხაულათ მაგრედა? (რომ შენ ასე დადარდიანდი?); აა კაცო, ჰაბე ხაულათ შომოგყრიავ? (დარდი რატომ შემოგწოლია?).

